ივანე სურგულაძე

ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან

თბილისი
2001

ნაშრომში შესწავლილია ქართველი ხალხის მიერ მრავალ-საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბებული პოლი-ტიკური და სამართლებრივი მოძღვრებები და შეხედულებები. წარმოჩენილია ის წვლილი, რაც ქართულმა იურიდიულმა მეცნიერებამ შეიტანა მსოფლიო კულტურის ისტორიაში.

განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორები: პროფ. ვ. მეტრეველი
პროფ. ნ. სურგულაძე

რეცენზენტები: დოც. გ. დავითაშვილი
დოც. ბ. სეხნიაიძე

რედაქტორისგან

საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიას, როგორც სასწავლო და სამეცნიერო სამართლებრივ დისციპლინას, საფუძველი პროფესორ ივანე სურგულაძემ ჩაუყარა. მანვე 70-იან წლებში დაწერა ნაშრომი, რომელიც წარმოადგენს ამ იურიდიული დისციპლინის კურსის სისტემური გადმოცემის პირველ ცდას ქართულ მეცნიერებაში. ეს ნაშრომი თავის დროზე ორ წიგნად გამოიცა. 1981 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, რომლის სათაურია „ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიიდან (XIX ს.)", განხილულია ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და ნიკო ხიზანაშვილის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი; 1985 წელს, ავტორის გარდაცვალების შემდეგ, გამოიცა ნაშრომი, რომელშიც გადმოცემულია საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია უძველესი დროიდან (IV ს.) XX საუკუნის დასაწყისამდე (იხ. ივანე, სურგულაძე, „საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან", თბილისი, 1985 წ.). ვინაიდან აღნიშნული ნაშრომები დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ, საჭიროდ მივიჩნიეთ მათი ხელახალი, ერთ წიგნად გამოცემა, რისთვისაც ნაშრომის მნიშვნელოვანი შემოკლება (ორივე წიგნი ერთად ექვსას გვერდს აჭარბებს) მოგვიხდა. რასაკვირველია, ნაშრომის შემცირება მექანიკურად არ განხორციელებულა. იგი ნაკლებად შეეხო ქართველ მოღვაწეთა პოლიტიკურ და სამართლებრივ შეხედულებებს. შევამცირეთ ძირითადად ნაშრომის ის ადგილები, რომლებშიც ცალკეული ქართველი მოღვაწეების ბიოგრაფიული ცნობები და მათი მოღვაწეობის ისტორიული პირობები და ვითარებაა აღწერილი. გარდა ამისა, დასაშვებად მივიჩნიეთ ნაშრომებიდან ამოგველო ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში, გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლისდებაში" და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში და რუის-ურბნისის „ძეგლისწერაში" გატარებული სამართლებრივი შეხედულებანი და იდეები, რადგანაც აღნიშნული ძეგლები ავტორს საკმაოდ დაწვრილებით აქვს განხილული 1983 წელს გამოცემულ ნაშრომში „ქართული სამართლის ისტორიის წყაროები", რომელიც 2000 წელს ხელმეორედ გამოიცა და ამიტომ სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია. სამაგიეროდ წარმოდგენილ ნაშრომს დავუმატეთ ზოგიერთი ისეთი საკითხი, რომლებიც ამავე ნაშრომის ზემოხსენებულ გამოცემებში სხვადასხვა მიზეზების გამო თავის დროზე არ იქნა შეტანილი, მაგალითად,

იოანე ბატონიშვილის, იაგორ ჭილაშვილის, ნიკო ნიკოლაძის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები. რის-თვისაც გამოიყენეთ ივანე სურგულაძის როგორც ადრე გამოცემული, ასევე გამოუქვეყნებელი ნაშრომები.

შემცირების მიუხედავად ნაშრომი თითქმის სრულად მოიცავს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებს, გარდა XX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებებისა.

* * *

საქართველოს პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის საგანი. საქართველოს პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია არის სამართლის მეცნიერების ცალკე დარგი (იგი არ არის სამართლის დარგი ანუ ნორმათა სისტემა), რომელიც შეისწავლის საქართველოში ისტორიულად არსებულ პოლიტიკურ და სამართლებრივ იდეებს, თეორიებს, შეხედულებებს, დოქტრინებს, კონცეფციებს ისტორიულ ასპექტში[1], ე.ი. მათი წარმოშობის, განვი-თარებისა და დასრულებული სახით ჩამოყალიბების პროცესში, გარკვეულ სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებში.

ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი იდეები, თეორიები თუ მოძღვრებები განხილულ უნდა იქნეს არა როგორც ძოწყვეტილი, აბსოლუტურად „ბმრალი" დამოუკიდებელი ნააზრევი, არამედ როგორც პროდუქტი, როგორც შედეგი ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური მდგომარეობისა. ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებები, ფაქტიურად ნაყოფია ჩვენი საშობლოს წარსულისა, მისი თავგადასავალია, პოლიტიკური და სამართლებრივი იდეები ასახვაა იმ მდგომარეობისა, იმ მიზნებისა და მისწრაფებებისა, რაც ჩვენს საშობლოს სახელოვან წინაპრებს ამოძრავებდა. ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში როგორც სარკეში, ისე ჩანს ჩვენი საშობლოს წარსული ამა თუ იმ ეტაპზე — იქნებოდა ეს სოციალური თუ პოლიტიკური შინაარსის გამომხატველი იდეები, თეორიები თუ ორიენტაცია.

როდესაც ვეხებით საქართველოს პოლიტიკურ და სამართლებრივ

---

[1]ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხ. ვ. მეტრეველი, გ. დავითაშვილი, „პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია (ლექციების კურსი), თბ. 1997, გვ. 3.

მოძღვრებათა ისტორიის საგანს ანუ შესწავლის ობიექტს — მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ამ საგანში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ორ ფენომენზე: პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებებზე. პოლიტიკურ მოძღვრებებში ვგულისხმობთ იდეებს, შეხედულებებს, თეორიებს, კონცეფციებს სახელმწიფოს შესახებ, ხოლო სამართლებრივ მოძღვრებებში — გაანალიზებულია ამ ფენომენის არსი, დანიშნულება, ფორმა და ა.შ. მაგალითად: როდესაც ვიხილავთ ამა თუ იმ ქართველი მოაზროვნის პოლიტიკურ შეხედულებებს (მაგ. ი. ჭავჭავაძის პოლიტიკურ შეხედულებებს) — ვეხებით, როგორია ამ მოაზროვნის თვალსაზრისი სახელმწიფოს ფუნქციების, სახელმწიფოს მექანიზმისა თუ პოლიტიკური ორგანიზაციის სხვა საკითხებზე. ხშირად ესა თუ ის ქართველი მოაზროვნე ეხება პოლიტიკური მოძღვრების ისტორიის გარე, მომიჯნავე (მაგ. რელიგიურ, ეთიკურ, ისტორიულ) საკითხებს. სწორედ ამიტომ ჩვენ მათ გვერდს ვუვლით და ვკმაყოფილდებით მხოლოდ პოლიტიკურ-იურიდიული პრობლემატიკით. სამართლებრივი მოძღვრების შესწავლისას ვკმაყოფილდებით „სუფთა“ სამართლებრივი პრობლემებით.

საქართველოს პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის კვლევისას შეეხვდებით, რომ ზოგჯერ (განსაკუთრებით ფეოდალიზმის ადრეულ პერიოდში) პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული, ზოგჯერ ისინი გახვეულია ეთიკურ და რელიგიურ სამოსელში. ასეთ შემთხვევაში ვცდილობთ ამოვ-კრიბოთ ამა თუ იმ მოაზროვნის ნააზრევიდან ჩვენთვის საინტერესო საკითხები. მაგალითად, იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ — აგიოგრაფიული ნაწარმოებია, იგი საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებების პირდაპირი წყარო არ არის, მაგრამ ამ ნაწარმოებიდან ჩვენ ვგებულობთ, როგორი იყო ეპოქის იდეოლოგია ქალის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, ქორწინებისა და ოჯახის შესახებ, მეუღლეთა უფლებრივი დამოკიდებულების შესახებ და სხვ. ზემოთალნიშნულიდან გამომდინარე, იმის თქმა გვსურს, რომ ქართული პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიაში ხშირად ამა თუ იმ ცნობილი მოაზროვნის შემოქმედებაში მზა-მზარეულად არ „გვიწყვია“, არ გვხვდება ჩამოყალიბებული პოლიტიკური და სამართლებრივი პრობლემები, ჩვენი ვალია ვეძებოთ ისინი „სტრიქონებს“ შორის, ამოვ-კრიბოთ ისინი ავტორის მიერ სხვა საკითხებზე მსჯელობის დროს. მაგ. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ მხატვრული ნაწარმოებია, მაგრამ

მასში უამრავი პოლიტიკური და სამართლებრივი საკითხის ამოკრება და გაანალიზება შეიძლება.

მეორე მხრივ — ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი აზრის კვლევისას არ შეიძლება დავეყრდნოთ ამა თუ იმ მოაზროვნის მხოლოდ „განცხადებებს", ქადაგებას. საჭიროა მოაზროვნის ქადაგებასთან ერთად გამოვიყენოთ მისი პრაქტიკული ნაღვაწი, ცხოვრების განვლილი გზა, გამოვარკვიოთ. რომელი კლასის თუ ფენის წარმომადგენელია იგი, ან ვის ინტერესებს ემსახურება მისი ქადაგება. სწორედ ამ გზით შეიძლება გაირკვეს მოაზროვნის ნამდვილი, ჭეშმარიტი პოლიტიკური თუ სამართლებრივი თვალსაზრისი და არა მხოლოდ მისი ლიტონი ქადაგებიო.

საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებების ისტორია ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილიცაა, უფრო ზუსტად იგი ქართული აზროვნების კულტურის შემადგენელი ნაწილია, მისი ერთ-ერთი უბანია, რომელსაც ქართული აზროვნების კულტურაში თავისი განსაკუთრებული კუთხე, ადგილი აქვს დამკვიდრებული.

საქართველოს პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის შესწავლის მეთოდი. როდესაც ვმსჯელობთ საქართველოს პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის შესწავლის მეთოდზე — უნდა გავარკვიოთ, თუ რა მიდგომით, რა გზებით, რა საშუალებებით, რა ხერხებით, ერთი სიტყვით, რა მეთოდით უნდა გამოვიკვლიოთ ჩვენს ქვეყანაში ისტორიულად არსებული პოლიტიკური და სამართლებრივი იდეები, შეხედულებები, მოსაზრებანი, თეორიები და ჩამოყალიბებული მოძღვრებები.

პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებების ისტორია, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული დისციპლინა, სხვა იურიდიულ დისციპლინებთან ერთად მიეკუთვნება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა რიცხვს და მასში ისე, როგორც სხვა თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში სხვადასხვა მეთოდების კომპლექსი არსებობს, რომელთა შორის შეიძლება გამოყენებულ იქნას დიალექტიკური მეთოდი, ფორმალურ-ლოგიკური, სისტემური თუ შედარებით-ისტორიული კვლევის მეთოდები.

ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებების შესასწავლად ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება შემეცნების გზაა, კვლევის საშუალებაა, კვლევის ხერხია. ამ საგნის შესწავლისას მეთოდის დანიშნულება ძირითადად სამ განზომილებაში იჩენს თავს: 1) მეთოდი, როგორც გარკვეული პოლიტიკური და სამართლებრივი თეორიის წარმოჩენის საშუალება; 2) მეთოდი, როგორც ისტორიულად არსებული პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებების

ინტერპრეტაციის და შეფასების საშუალება; 3) მეთოდი, როგორც მიცემული პოლიტიკურ და სამართლებრივ თეორიასა და განსახილველ სინამდვილეს შორის თანაფარდობის გამოხატვის ფორმა და საშუალება.

ამასთან, პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიაში ამა თუ იმ მეთოდის (ზოგადის თუ სპეციფიკურის) მომარჯვება და გამოყენება თვითმიზანი არ არის, იგი დამოკიდებულია საკვლევი პრობლემის თავისებურებებზე თუ გარკვეულ ეპოქაზე.

საქართველოს პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის კურსის სისტემა (პერიოდიზაცია).საქართველოს პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის სისტემა გულისხმობს გავარკვიოთ, თუ როგორი თანმიმდევრობით შევისწავლით იმ პრობლემებს, რომლებიც შედის ამ სასწავლო კურსში. სხვანაირად — საქართველოს პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის სისტემა გულისხმობს ამ საგანში შემავალ პრობლემათა განხილვას გარკვეული პერიოდების მიხედვით — გარკვეული თანმიმდევრობით.

საქართველოს პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის პრობლემების შესწავლას პროფ. ივ. სურგულაძე იწყებს ფეოდალიზმის ანუ შუა საუკუნეების ხანიდან, ე.ი. ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან, რადგანაც ჩვენ არ გაგვაჩნია ამ პერიოდზე უფრო ადრინდელი წყაროები პოლიტიკურ და სამართლებრივ იდეათა თუ შეხედულებათა შესასწავლად.

ფეოდალიზმი საქართველოში მკვიდრდება IV საუკუნეში. იგი მოიცავს ხანგრძლივ პერიოდს და გრძელდება XIX საუკუნემდე. წარმოდგენილ ნაშრომში ავტორი ფეოდალიზმის ხანას ჰყოფს შემდეგ პერიოდებად: 1) IV-VIII საუკუნეები — ადრეფეოდალიზმის ხანაა, 2) IX-X საუკუნეები, რომელსაც ავტორი ფეოდალიზმის მომწიფების პერიოდს უწოდებს. 3) XI-XV საუკუნეები — საქართველოს გაერთიანების და ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს ხანა, 4) საქართველოს დაქუცმაცებულობის ხანა — XVI-XVIII საუკუნეები.

შუა საუკუნეების პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებების შესწავლის შემდეგ განხილულია XIX საუკუნის პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებები.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერ-
სიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრის გამგე,
პროფესორი ვალერიან მეტრეველი

თავი I. ადრეფეოდალური და ფეოდალიზმის მომწიფების პერიოდის პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებანი

იაკობ ცურტაველი

იაკობ ცურტაველის „შუშანიკის მარტვილობა" არ წარმოადგენს პოლიტიკურ ტრაქტატს. იგი აგიოგრაფიული ნაწარმოებია და პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის არაპირდაპირი წყაროა.

აღნიშნული ნაწარმოების მიხედვით, შესაძლებელია გავარკვიოთ პოლიტიკური მოძღვრების ისტორიის ისეთი პრობლემა, რომელიც ეხება ქალის უფლებრივი მდგომარეობა ადრეფეოდალური პერიოდის საქართველოში.

იაკობ ცურტაველი სპეციალურად არ მსჯელობს ქალის უფლებების შესახებ. იგი აღწერს ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავგადადებული ქალის — შუშანიკის წამებას და გამოთქვამს თავის დამოკიდებულებას ქალის უფლებრივი შეზღუდვის გამო.

ნაწარმოების მიხედვით, ქართლის მაშინდელი ქრისტიანული საზოგადოება შუშანიკის მხარეზეა, მას თანაუგრძნობს, მაგრამ რეალურ დახმარებას ვერ უწევს. ვარსქენი აწამებს შუშანიკს ყველას თანდასწრებით, სცემს მას, ბორკილს ადებს. საზოგადოების პროტესტი მხოლოდ იმაში ვლინდება, რომ შუშანიკს ჩუმად, ვარსქენისაგან მალულად ეუგეშებენ და ამხნევებენ.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ქრისტიანობა ქადაგებდა ამ ქვეყნიდან განდგომას, ხორცის დათრგუნვას სულისათვის. შუა საუკუნეებში საერო და საეკლესიო მსოფლმხედველობის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ საეკლესიო მსოფლმხედველობისათვის ჭეშმარიტი და რეალური ზეციურია, ხოლო საეროსათვის — ამქვეყნიური[1].

---

[1]Ш. В. Хидашели, Основные мировоззренческие направления феодальной Грузии, 1962, გვ. 47; მისივე, საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმართულებანი ფეოდალურ საქართველოში, 1962 გვ. 19.

აიეტი და ფარტაძე (ფარტაზი)

აიეტისა და ფარტაძის სიტყვაში, რომლებიც VI საუკუნის კოლხეთის სამეფოს საგარეო ორიენტაციის საკითხებს ეხება, გამოვლენილია ორატორია შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტზე[1].

VI საუკუნეში კოლხეთი ბიზანტიის ვასალია. ბიზანტიელები ებრძვიან ადგილობრივ ძალებს, ავიწროებენ კოლხეთის საგარეო და საშინაო ვაჭრობას და ა. შ., ამიტომ კოლხების უკმაყოფილება ბიზანტიისადმი დიდია. ამას დაერთო ის, რომ ბიზანტიის მოხელეებმა მოკლეს მეფე გუბაზი. ამასთან დაკავშირებით კოლხეთში მოწვეულ იქნა „სახალხო კრება", რომელზეც სიტყვებით გამოდიან ორატორები აიეტი და ფარტაძე. აიეტი ამბობს: ჩვენი უბედურება ის არის, რომ მოკლებული ვართ დამოუკიდებლობას, რომელიც ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ. ჩვენი მიზანია დამოუკიდებელი ცხოვრება, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ეს არ შეგვიძლია. ამიტომ ჩვენს წინაშე დგას საკითხი: ორ მეზობელ დიდ სახელმწიფოს შორის რომელზე აკილოთ ორიენტაცია — ირანსა თუ ბიზანტიაზე. თქვენ ხედავთ, როგორ ვერაგულად მოგვექცნენ ბიზანტიელები. მათ არ დაინდვეს ჩვენი მეფეც. ბიზანტიელები უხეშად ერევიან ჩვენი შმართველობის საქმეებში, ყოველნაირად გვავიწროებენ. აი, ამიტომ უნდა გადავუდგეთ ბიზანტიელებს და დახმარება ვთხოვოთ ირანს[2].

აიეტი მისტირის „კოლხთა ძველ ღირსებას", როდესაც კოლხები არათუ დამოუკიდებელნი იყვნენ, არამედ სხვებზეც მბრძანებლობდნენ, ახლა კი „ისიც უნდა ვიკმაროთ, თუ მივაღწევთ იმას, რომ ძალიან არ დაგვჩაგრონ იმათ, ვინც წინათ ჩვენი ქვეშევრდომნი იყვნენ".

აიეტი განაგრძობს: მე ვინატრებდი კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდეს ძველი ძალიერება, რომ მას არ დასჭირებოდეს უცხო და გარეშე

---

[1] კოლხეთის ორატორთა ხსენებული სიტყვები ჩვენამდე მოღწეულია აგათია სქოლასტიკოსის (536-382) შრომით. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით და გამოკვლევებით გამოქვეყნებული აქვს ს. ყაუხჩიშვილს (გეორგიკა, III, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, 1936, გვ. 63-81).

[2] გეორგიკა, ტ. III, ს. ყაუხჩუშვილის რედაქციით, 1936, გვ. 64.

დახ-მარება და რომ ყოველგვარ საქმიანობაში, როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიენობის დროს, მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობოდეს, მაგრამ როდესაც ჩვენ ჟამთა ტრიალის ან ბედის უკულმართობის, ან ორივეს წყალობით ისეთ უძლურებაში ჩავვარდით, რომ სხვათა ხელქვეითნი გავხდით, მე ვფიქრობ, უმჯობესია იმათ ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილისმსურველია, ვინც ურყევად იცავს კეთილ-განწყობილებას თავისიანებისა და მოკავშირეთა მიმართ", ასეთი კი ირანი არისო[1].

აიეტის საწინააღმდეგოდ კრებაზე გამოვიდა ორატორი ფარტაძე. ორატორი ამტკიცებს, რომ ისიც აღშფოთებულია გუბაზის მკვლელობით. მისი აზრით, გუბაზის მკვლელები უმკაცრესი სასჯელის ღირსნი არიან.

„მე, — ამბობს ორატორი, — უდიდესი სიამოვნებით ვუყურებდი მათ საშინელ სასჯელს, ვუყურებდი არა მარტო იმათ დაღუპვას, რომელთაც განგმირეს გუბაზი და საკუთარი ხელებით ჩაიდინეს მკვლელობა, არამედ იმათაც, რომელთაც შეეძლოთ შეეფერხებინათ ეს მკვლელობა და არ შეაფერხეს, და აგრეთვე იმათაც, რომელთაც ეს მკვლელობა გაეხარდათ და არც თუ ისე აღშფოთდნენ, თუმცა მე ამას ვფიქრობ, მაგრამ სპარსელების მხარეზე გადასვლა მაინც არ იქნება სასარგებლო"[2].

ფარტაძის სიტყვაში, სამართლის ისტორიის თვალსაზრისით, საყურადღებოა ის გარემოება, რომ მკვლელობის დანაშაულის შესახებ ორატორი გამოთქვამს შემდეგ მოსაზრებას: მკვლელობა მძიმე დანაშაულია, მით უმეტეს მეფის. მკვლელობის დანაშაულში ორატორი არჩევს შემსრულებლებს, რომლებმაც „საკუთარი" ხელით ჩაიდინეს დანაშაული, და იმ პირებს, რომლებსაც ამ დანაშაულის ჩადენისათვის შეეძლოთ ხელი შეეშალათ, მაგრამ ეს არ გააკეთეს. ამასთან, ორატორს შესაძლებლად მიაჩნია იმათი დასჯაც, ვისაც ეს დანაშაული გაუხარდა, ან ამ დანაშაულით არ აღშფოთებულა სათანადოდ.

დავუბრუნდეთ ისევ ფარტაძის სიტყვას. ფარტაძე ამტკიცებს, რომ ირანზე ორიენტაციის აღება უმართებულოა. ის არ მოგვიტანს სარგებლობას, ირანელები სხვა სარწმუნოებისანი არიან, ბერძნები კი, ისევე როგორც კოლხები — ქრისტიანები. ბიზანტიასთან ომში ჩაბმა შესაძლებელია დამღუპველი აღმოჩნდეს კოლხთათვის. ირანელები შორს

---

[1]გეორგიკა, ტ. III, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1936, გვ. 66.X
[2]გეორგიკა, ტ. III, 1936, გვ. 73.X

არიან, ბიზანტიელების ჯარები კი კოლხეთის ქალაქებსა და ციხეებში დგას. გუბაზის მკვლელობა ჩადენილია ორი პირის მიერ, ამიტომ დანაშაულის ჩამდენად არ შეიძლება მთლიანად ბიზანტიის მიჩნევაო. ფარტაძე მოითხოვდა, რომ ბიზანტიის იმპერატორს დაესაჯა გუბაზის მკვლელები, ხოლო მეფედ გუბაზის უმცროსი ძმა — წაოე გამოეგზავნა, რომელიც იმხანად ბიზანტიაში იმყოფებოდა. კოლხებმა დაუჯერეს ფარტაძეს და გაგზავნეს მოციქულები ბიზანტიაში. ბიზანტიის იმპერატორმა, აღასრულა კოლხების მოთხოვნა დამნაშავეთა დასჯისა და წათეს გამეფების შესახებ.

„ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ავტორი

ვიდრე „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ავტორის პოლიტიკური შეხედულების შესწავლას შევუდგებოდეთ, უნდა გავითვალისწინოთ ის ეპოქა, რომელშიც ეს ნაწარმოებია შექმნილი. იგი დაწერილია VI საუკუნის შუა ხანებში.

VI საუკუნე საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული ხანაა: ქართლში ეროვნული მოთავრობა გაუქმებულია და ქართლს სპარსეთის მოხელე მარზპანი განაგებს. ირანმა ქართლში მეფობა იმიტომ მოსპო, რომ ქართლის მეფეების მეთაურობით აქ გაუთავებელი აჯანყებები ეწყობოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ქართლში მეფობა გაუქმებულია, გაბატონებული კლასის უმაღლესი წრის წარმომადგენლები დიდი პატივით სარგებლობენ. მაგალითად, ევსტათი მცხეთელის მარტვილობის მიხედვით, მარზპანთან გამოცხადდნენ ქართლის კათალიკოსი, ქართლის მამასახლისი, პიტიახში და სეფეწულნი: მათ სიხოვეს მარზპანს დაპატიმრებული ქრისტიანების (მათ შორის ევსტათის) განთავისუფლება. მარზპანმა მათ უპასუხა: მძიმეა ის საქმე, რასაც მთხოვთ, მაგრამ ოქვენი ისეთი პატივისცემა მაქვს, რომ უარსაც ვერ გეტყვითო და პატიმრები გაათავისუფლა[1]. ქართლის კათალიკოსი საეკლესიო მმართველობის მესაჭე იყო; „შუშანიკის მარტვილობის“ მიხედვით, ქართლის პიტიახში ქვემო ქართლის სამეფოს ერთ-ერთი მოხელეა. ამათ გარდა, მარზპანთან გამოცხადდნენ სეფეწულებიც, რომლებსაც, შესაძლებელია, რაიმე სახელოები არც ჰქონდათ. როგორც

---

[1]ძველი ქართული აგიორაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, გვ. 34.

ჩანს, მეფობის გაუქმების შემდეგაც სპარსეთის ხელისუფლებას ქართლის სამეფოს მოხელეობა არ მოუსპია. ქართლის დიდი მოხელეები (კათალიკოსი, პიტიახში, მამასახლისი) სახელმწიფოებრივ მმართველობაში ღებულობდნენ მონაწილეობას.

ნაწარმოების ავტორი ორ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას: ა) ქრისტიანობისათვის წამებაზე, 2) წამებულის არაქართველობაზე. ავტორი არ აცალკევებს ამ საკითხებს, მაგრამ წამებულის ეროვნულ კუთვნილებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

ევსტათი მცხეთელი მცხეთის ციხისთავმა იმისათვის დააპატიმრა, რომ მან უარყო სპარსული სარწმუნოება.

ფრიად საყურადღებოა შემდეგი გარემოება: ევსტათისთან ერთად სხვებიც იყვნენ დაპატიმრებული. როგორც კი მოწმეების ჩვენებით დადასტურდა, რომ ისინი სპარსელები არ იყვნენ, მაშინვე გაუთავისუფლებიათ[1]. მაშასადამე, ქრისტიანობისათვის ამ პერიოდში იდევნებოდა მხოლოდ წარმოშობით არაქრისტიანი.

როგორ ესმის ავტორს სარწმუნოებისა და ეროვნების საკითხი? ავტორის თხრობის მიხედვით, ქრისტიანობა არის ჭეშმარიტი სარწმუნოება და ამიტომაც ღირს მისთვის თავდადება. ავტორი ევსტათის პირით ასაბუთებს, რომ ჭეშმარიტი ღმერთი მხოლოდ ქრისტიანების ღმერთია[2].

ევსტათი სპარსეთიდან მოვიდა ქართლს. მამამისი იყო მოგვი, წარმართი; ამავე სჯულის მიმდევარი იყო ევსტათიც.

მცხეთაში ევსტათიმ ისწავლა ფეხსაცმლის კერვა, გაეცნო ქრისტიანულ სარწმუნოებას, უარყო თავისი სჯული და ქრისტიანობა აღიარა.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ „ევსტათის მარტვილობის“ მიხედვით, ხელოსნები თავიანთ კორპორაციებში არიან გაერთიანებული. ამ ორგანიზაციებს თავიანთი დღესასწაული აქვთ. როგორც ჩანს, ხელოსნებს, ხელობის გარდა, აერთიანებდა ეროვნება და სარწმუნოება. ევსტათის უარუყვია მათი მიწვევა იმ საბაბით, რომ აღარ არის მოგვი და ქრისტიანობის მიმდევარია.

როგორც აღვნიშნეთ, ამ დროს ქართლში სპარსეთია გაბატონებული. მან, მართალია, ხელი აიღო ქართლში ქრისტიანობის დევნაზე, მაგრამ იმას კი ველარ დაუშვებდა, რომ სპარსი ქრისტიანების მხარეზე გადასულიყო. ეს ნიშნავდა ფაქტობრივად ქრისტიანობის სასარგებლო აგიტაციას. ნაწარმოებში

---

[1]ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, გვ. 34.
[2]იქვე, გვ. 35.

წინა პლანზე სარწმუნოებრივი საკითხია წამოწეული. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სარწმუნოების საკითხი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეროვნულ საკითხთან, რომ სარწმუნოების გამოცვლა შუა საუკუნეებში ეროვნების გამოცვლასაც მოიცავდა, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში" სარწმუნოების საკითხთან შეფარვით ეროვნული საკითხიც არის დაკავშირებული, რომ მაშინდელ ვითარებაში ქრიატიანობისათვის ბრძოლა ქართველობისათვის ბრძოლასაც ნიშნავდა.

ევსტათი და მასთან ერთად სხვა ქრისტიანები წარუდგინეს თბილისში ირანის მოხელეს — მარზპანს, რადგანაც მცხეთის ციხისთავს არ შეეძლო, არ ჰქონდა უფლება გაერჩია მათი საქმე; როგორც ჩანს, სპარსელის გაქრისტიანება სასტიკად იდევნებოდა, ასეთ პირს პატიმრობა და „აღბმაი ძელსა" ემუქრებოდა[1], ამიტომაც ასეთი საქმეები მხოლოდ მარზპანის კომპეტენციაში შედიოდა.

როდესაც ევსტათი და სხვა ქრისტიანები, რიცხვით რვა, მარზპანს წარუდგინეს, მარზპანმა გასცა განკარგულება, მათთვის თავი და წვერი მოეპარსათ, ცხვირი გაეხვრიტათ, კისერზე ჯაჭვი გამოებათ, ფეხზე ბორკილები დაედოთ და საპყრობილეში ჩაესვათ. ამასთან, მარზპანის ბრძანების თანახმად, რომელმაც ამ რვათაგან „არა აღიაროს მამული რჩული, საპყრობილესა შინა" სიკვდილით უნდა დასჯილიყვნენ. „ორთა მათგანთა აღიარეს მამული რჩული", მარზპანმა ისინი კეთილად მიიღო, უხვად დაასაჩუქრა და გაათავისუფლა[2].

„მამული რჩული", რასაკვირველია, მამაპაპეულ სარწმუნოებას ნიშნავს. „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის" ერთ ადგილას პირდაპირ მინიშნებულია, რომ „მამული" მხოლოდ მამისეულს ნიშნავს: თითქოს ქრისტეს ებრაელები ბრალს სდებდნენ, რომ ის ღვთის ტაძარს „მამულად იჩემებს", ე.ი. მამისეულად აცხადებსო. საერთოდ კი, როგორც ვთქვით, „მამული" მამისეულსაც ნიშნავს და ეროვნულსაც.

ძეგლში ნათქვამია, რომ ევსტათი უარყოფდა „მამულის რჩულს", და როდესაც მარზპანის ქადაგებამ ვერ დააბრუნა ის „მამულის რჩულზე", მაშინ იგი სიკვდილით დასაჯეს[3].

ჩვენს ყურადღებას იპყრობს ძეგლის ერთი ადგილი:

თბილისში მარზპანს წარუდგინეს „მამული რჩულის" მოღალატე

---

[1]ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, გვ. 32.
[2]ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, გვ. 33.
[3]იქვე, გვ. 45.

ევსტათი და სტეფანე, რომლებიც მედგრად იდგნენ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე და არავითარ სატანჯველს არ უშინდებოდნენ. მაშინ მარზპანთან გამოცხადდნენ „ასურნი მთავარნი კაცნი სტეფანესათჳს" და ჰრქუეს: „ესე კაცი ჩუენ ვიცით, ჩუენი მდაბური არს, მამაი და დედაი და ძმანი და დანი მაგისნი ქრისტიანე არიან და ეგეცა ქრისტიანე არს. ხოლო სტეფანე მით სიტყვითა განუტევეს"[1].

ასურების თავკაცებმა დაარწმუნეს მარზპანი, რომ სტეფანეს ისინი კარგად იცნობენ როგორც ასურს, როგორც იმავე დაბის მკვიდრს, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ. ასური სტეფანე, მისი მშობლები და ძმები, ისე როგორც ეს თავკაცები, ქრისტიანები არიან. მარზპანი კი, როგორც ვთქვით, ამ შემთხვევაში საერთოდ ქრისტიანებს კი არ დევნის, არამედ იმ სპარსელებს, რომლებიც გაქრისტიანდნენ. როგორც კი მარზპანი დარწმუნდა, რომ სტეფანე სპარსელი არ იყო, მაშინვე გაათავისუფლა. მაშასადამე, ეროვნება და სარწმუნოება ამ შემთხვევაში ერთმანეთზეა გადაჯაჭვული.

„ევსტათი მცხეთელის მარტვილობის" ავტორის შეხედულებით, ქრისტიანული სარწმუნოებისათვის ბრძოლა განუყოფელია ეროვნებისათვის ბრძოლისაგან. ეს ორი ელემენტი მჭიდროდ არის ერთმანეთზე გადაჯაჭვული. ამავე დროს ეროვნებისათვის ბრძოლა ნიშნავს დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლას ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად.

იოანე საბანისძე

იოანე საბანისძე VIII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა. მის დროს ქართლი არაბებს უპყრიათ. თბილისში არაბთა ამირა იჯდა. იოანე საბანისძე თვითმმსწრეა იმ ამბებისა, რომლებსაც აღწერს.

ქართლის ერისთავი ნერსე, ადარნასე კურაპალატის ძე, ვაუსახლებიათ ბაღდადში და „შესმენითა ბოროტთა კაცთაითა" საპყრობილეში ჩაუსვამთ[2]. სამ წელიწადს მჯდარა ციხეში. ბაღდადის მპყრობელი, რომელმაც ნერსე დააპატიმრა, გარდაიცვალა. არაბეთის ახალ მეფეობელს იგი ციხიდან გაუთავისუფლებია და ერისმთავრობის პატივით ქართლში გაუსტუმრებია. ბაღდადიდან ნერსეს გამოჰყვა არაბი ამო, რომელსაც

---

[1]ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, გვ. 36, 40.
[2]იქვე, გვ. 55–56.

სურნელებისა და საცხებლის შემზადება სცოდნია. ის ნერსეს მსახური გახდა. თბილისში აბო დაუახლოვდა ქრისტიანებს. როგორც ჩანს, არაბები კვლავ განრისხებიან ნერსეს და ეს უკანასკნელი 300 კაცით, რომელთა შორის აბოც იყო, ხაზარეთში გადასულა. აქ აბომ აშკარად აღიარა ქრისტიანობა. ხაზარეთიდან ნერსე აფხაზეთს გადავიდა, სადაც ცოლ–შვილი ჰყავდა გახიზნული. აბოც, რასაკვირველია, ნერსეს წაჰყვა. იმ ხანებში არაბებმა ქართლის ერისმთავრად ნერსეს მაგივრად მისი დისწული – სტეფანოზ გურგენ ერისთავის ძე დანიშნეს[1]. გახარებულმა ნერსემ გადაწყვიტა ქართლში დაბრუნება. აბოს ურჩიეს დარჩენილიყო აფხაზეთში, რადგანაც გაქრისტიანებულ აბოს ქართლში არაბებისაგან საფრთხე ელოდა. აბო მაინც გამოჰყვა ნერსეს, რისთვისაც სიკვდილით დასაჯეს.

ქართლის მაშინდელი კათალიკოსი სამოელი სთხოვს იოანე საბანისძეს, აღწეროს აბოს ცხოვრება და გაუგზავნოს მას. იოანე ასრულებს ამ თხოვნას. ნაშრომი დაწერილი უნდა იყოს VIII საუკუნის მიწურულში[2]. ნაწარმოების ავტორი ქრისტიანული მსოფლმხედველობისაა, მაგრამ იგი ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგაც იბრძვის. იოანე საბანისძეს, როგორც ჩანს, კარგად ესმის, რომ ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა, საქართველოს მაშინდელ ვითარებაში, მხოლოდ ქრისტიანობის დროშით არის შესაძლებელი.

ნაწარმოები გამსჭვალულია პატრიოტული გრძნობით. ავტორს აღშფოთებს ის გარემოება, რომ „ქართველობას“ საშიშროება მოელის, „რამეთუ აღვერიენით ერსა უცხოსა“, რომ ქართველობაში შემოიჭრა „უცხო“ ხალხის სარწმუნოება, „უცხო“ ხალხის ზნე-ჩვეულება, რაც საბოლოო ჯამში, ქართველ ხალხს გადაგვარების საფრთხეს უქმნის.

ავტორი ჩამოთვლის იმ მიზეზებს, რის შედეგადაც ხდება ეს აღრევა. მთავარი მიზეზი სარწმუნოების შეცვლაა.

ქართველობა ქრისტიანობას ცვლის მუსლიმანობით „მძლავრობის“, „უმეცრების“ და „მზაკვრობის“ შედეგად. „მძლავრობასა“ და „მზაკვრობას“ დამპყრობლები, ე. ი. არაბები მიმართავენ. ქართველები, ავტორის აზრით, „მძლავრებისა ქვეშე დამონებულ(ნი) და ნაკ-ლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი“ არიან[3]. არაბების მძლავრობის გამო ქართველები (ზოგნი) „შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა

[1]ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 61.
[2]კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 113.
[3]ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, გვ. 50.

ლერწამნი ქართაგან ძლიერითა"[1].

ნაწარმოების ავტორის მიზანდასახულება სწორედ ისაა, რომ განამტკიცოს ქართველობა, ადგილი არ ჰქონდეს „აღრევას". ამისათვის საჭიროა სიმტკიცე, ბრძოლა დამპყრობთა წინააღმდეგ, თავგანწირვა ხალხისა და სარწმუნოებისათვის. სწორედ ამ თავგანწირვის მაგალითია აბო, რომელიც „თესლით", ე. ი. ეროვნებით არაბი იყო („მამულად და დედულად"), მაგრამ მიიღო ქრისტიანობა. თუკი უცხოელი, ისიც დამპყრობი ეროვნების წარმომადგენელი, ასე იბრძვის ჩვენი სარწმუნოებისათვის, მით უფრო მართებს ქართველებს თავი გაწირონ თავისი რჯულისა და ხალხისათვის. არავითარი შიში, არავითარი რყევა, მოვიქცეთ ისე, როგორც მოიქცა არაბი აბო — ასეთია ავტორის მოწოდება.

ქართლის მაშინდელი კათალიკოსის საბოელის აზრითაც, აბოს ცხოვრება მაგალითი უნდა იყოს „ყოველისა პირის სიფლისა ჩუენისა ქართლისათვის", და ამიტომაც შეუკეთა მან იოანე საბანისძეს აბოს ცხოვრების აღწერა.

იოანე საბანისძე უაღრესად განათლებული, ნიჭიერი და საშობლოსათვის თავდადებული პიროვნებაა. ის მიზნად ისახავს მოამზადოს ქართველობა არაბების ბატონობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ, ნაწარმოების მიხედვით, არაბობის „მძლავრობის" ხანაში ქართული პოლიტიკური გაერთიანების სათავეში დგას ქართლის ერისმთავარი. ერისმთავარი იყო ქართული პოლიტიკური ერთეულის მეთაური არაბების შემოსევამდეც. მაგრამ იოანე საბანისძის შრომის მიხედვით, VIII საუკუნის მეორე ნახევარში იგი არაბთა ამირაზე არის დამოკიდებული, ე. ი. ქართლის პოლიტიკური ერთეულის მეთაურის იურიდიული რეჟიმი უკვე შეცვლილია. მას იბარებენ ბაღდადში და ციხეში სვამენ. ქართლში მისი უფროსი არის თბილისში მჯდომი არაბების ამირა. მაშასადამე, არაბების „მძლავრობის" ერთ-ერთი გამოხატულება ისაა, რომ ქართლი აღარ არის დამოუკიდებელი სახელმწიფო და, იოანე საბანისძის შეხედულებით, არაბთა მძლავრობა უნდა აილაგმოს, რომ ქართლი დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდეს.

---

[1]ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, გვ. 50.

„მოქცევაი ქართლისაის“ ავტორი

„მოქცევაი ქართლისაის“ ავტორი გადმოგვცემს თავის მოსაზრებებს საქართველოში მეფობის წარმოშობის შესახებ. მისი მტკიცებით ალექსანდრე მაკედონელს მეფე აზო დაუსვამს სამეფო ტახტზე ქართლში, მიუჩენია სამეფო რეზიდენციად ქალაქი მცხეთა და სამფლობელოდ მიუცია აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო: „და თანა-ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოი, ძე არიან ქართლისა მეფისაი, და მას მიუბოძა მცხეთაი საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრის წყალი და სომხითი და მთაი ცროლისაი და წარვიდა. ხოლო ესე აზოი წარვიდა არიან ქართლად, მამისა თვისისა, და წარმოიყვანა რვაი სახლი და ათნი სახლი მამა-მძუძეთანი, და დაჯდა ძველ მცხეთას და თანა-ჰყვანდეს კერპნი ღმრთად — გაცი და გაიშ“[1].

რასაკვირველია, აქ მრავალი რამ გაურკვეველია, ლეგენდარულია და ჭეშმარიტებისაგან დაშორებული. ამჟამად ცნობილია, რომ ალექსანდრე მაკედონელი საქართველოში არ ყოფილა და არც საქართველოში მეფობის დაარსებასთან ჰქონია საქმე. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ ალექსანდრე მაკედონელის ხსენებით მემატიანე თითქოს მეფობის წარმოშობას მყარ საფუძველზე აგებს. მემატიანე გარეშე ძალას მიაწერს მეფობის წარმოშობას, ამავე დროს ისეთ დიდ მეფეს, როგორიც ალექსანდრე იყო.

რასაკვირველია, არ შეიძლება სახელმწიფოს ისე წარმოშობა, როგორც მემატიანეს აქვს წარმოდგენილი. მაგრამ ამ შემთხვევაში საყურადღებოა ავტორის იდეა ერთიანი საქართველოს შესახებ.

მემატიანე აღნიშნავს ქართლში სპარსელების მიერ მეფობის მოსპობას და, მოგვითხრობს რა მომდევნო პერიოდის ამბებს — დაახლოებით VI საუკუნის დასასრულისას, წერს: „და განაჩინეს ერისთავად გუარამ და მერმე კურაპალატადცა“[2].

აქ საყურადღებო ის არის, რომ, მემატიანის კონცეფციით, ერთმანეთისგან „განსხვავებულია მეფე და ერისთავი“. მემატიანის აზრით, „ერისთავის“ გაჩენა, ე.ი. არჩევა შეიძლება, მეფე კი დაისმება გარეშე ძალის მიერ. ერისთავობა შინაგანი ძალების, ფეოდალების მიერაა აქ

---

[1]ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, წ. I, გვ. 81-82.
[2]იქვე, გვ. 95.

დაწესებული, ხოლო მეფობა ალექსანდრე მაკედონელისაგან მოდის. ამდენად, მეფობა და ერისთავობა ერთმანეთისაგან განსხვავებულია. მეფობის წარმოშობის გარეშე ძალასთან დაკავშირება იმას ნიშნავს, რომ მეფეს უჩვეულო ძალა აქვს, ის შინაურ ძალებზე მაღლა დგას. საშეფოს შინაგან ძალებს მეფის ხელისუფლებასთან ხელი არ მიუწვდება. მეფობა ან ღვთისაგან არის გაჩენილი, ან გარეშე ძალის მეშვეობით, ამიტომ საშეფოს შინაგანი ძალები მას უნდა ემორჩილებოდნენ, რადგან მეფის ხელისუფლება არაა მათზე დამოკიდებული, არ არის მათგან შექმნილი. მეფის მომხრე იდეოლოგიის წარმომადგენლებისათვის ასეთი შეხედულება დამახასიათებელია.

ბასილ ზარზმელი

ბასილ ზარზმელის შეხედულებებს სახელმწიფო და საეკლესიო, ასევე სამართლის ინსტიტუტების შესახებ ვეცნობით მისი ნაწარმოების „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისაი"-ს მიხედვით.

ბასილს თავისი შეხედულებანი ზოგიერთი საკითხის, მაგალითად ეკლესიის წამყვანი როლის შესახებ სახელმწიფოში, პირდაპირ აქვს გამოთქმული, ხოლო ზოგიერთ საკითხზე დასკვნის გამოტანა მისი ცალკეული მსჯელობიდან, მოვლენათა აღწერიდან, ანალიზიდან არის შესაძლებელი.

ბასილ ზარზმელის აზრით, ეკლესიას უნდა ემორჩილებოდეს სახელმწიფოც. ეკლესიისადმი სახელმწიფოს, ფეოდალთა კლასისა და ხალხის მორჩილებას ავტორი იმით ასაბუთებს, რომ ეკლესიის მსახური ღვთის მსახურია, ე.ი. ეკლესია ღმერთის განკარგულებას ასრულებს.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ეკლესიის წარმომადგენლებს მრავალი ურჩი და მოწინააღმდეგე ჰყავთ საზოგადოების სხვადასხვა ფენიდან.

სერაპიონი და მისი თანმხლებნი მონასტრის ასაშენებლად ჩერდებიან „ადგილსა რასმე ძინძედ წოდებულსა"[1]. აქ მოინდომეს ბერებმა მონასტრის აშენება. როდესაც „უფალთა მის დაბისათა" გაიგეს, რომ ბერები მათ დაბაში მონასტერს აშენებდნენ „ზედა — მოეტევნას მათ", ე.ი. თავს დაესხნენ ბერებს და გამოაძევეს ამ ადგილებიდან[2]. ეს „უფალი", რომლებმაც

---

[1]ძველი აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, გვ. 323.

[2]იქვე, გვ. 324.

ბერები გამოაძევეს, ადგილობრივი ფეოდალები, პატარა მთავრები არიან. მაშასადამე, მონასტრის მშენებლობის წინააღმდეგ გამოსულან ფეოდალები. დიდმა მთავარმა გიორგი ჩორჩანელმა აღფრთოვანებით მიიღო ბერები და ნება მისცა მათ მის საბრძანებელში მონასტრის მშენებლობისა[1].

გიორგი ჩორჩანელმა ადგილის მოსაზომავად თავისი კაცი გაატანა ბერებს, სწორედ ამ უკანასკნელთ გაუწიეს წინააღმდეგობა „საძმოს" მცხოვრებლებმა. სახელწოდება „საძმო" იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ იქ მიწით სარგებლობა თემური წყობილების პრინციპზე უნდა ყოფილიყო დამყარებული. ამაზე მიგვანიშნებს ნაწარმოების ის ადგილი, სადაც საუბარია გლეხკაცზე, რომელმაც ბერად შედგომა გადაწყვიტა. სოფელი ხელს უშლის მას და როდესაც ბერად შედგომის მსურველი არ დაემორჩილება მათ, მაშინ თანასოფლელები მიმართავენ ამ სოფლის „უფალს", რათა აეძულებინათ იგი დარჩენილიყო საძმოში[2]. სოფელი, როგორც ჩანს, თემური წყობილების მიწის სარგებლობის წესით ცხოვრობს, მას წევრის გამოკლება არ უნდა, რადგანაც „უფლის" სასარგებლო გადასახადის გადამხდელთა რაოდენობა შემცირდებოდა და ბერად შემდგარის წილი სხვებზე უნდა გადანაწილებულიყო. ფეოდალიც დაინტერესებული იყო, რომ გადამხდელი თავის სოფელში ჰყოლოდა. მით უფრო, თუ ეს გადამხდელი შეძლებული იყო. მან თავისი სახსრებით მონასტრის შენება დაიწყო. როგორც ჩანს, მაშინდელ საქართველოში არსებობდა თემური მიწათსარგებლობის წესი. თემის წევრები კი საძმოში მონასტრის მშენებლობის წინააღმდეგნი არიან, რადგანაც მონასტერი მათ მიწებს წაართმევდა და დაბეგრავდა. ამასთან, სოფელი საძმოს მსხვილი ფეოდალის, გიორგი ჩორჩანელის წინააღმდეგაც გამოდის, რამდენადაც საძმო გიორგი ჩორჩანელის სამფლობელოში შედის.

გიორგი ჩორჩანელის საბრძანებელში ბერებს სხვა მოწინააღმდეგენიც გამოუჩნდნენ. ჩორჩანელის კაცი და ბერები ერთ ტბასთან მივიდნენ, იქ მათ მონადირენი შემოხვდათ, რომლებმაც გზა შეაცვლევინეს. ახლა ის დროა (საღამო იყო), როცა ნადირი უნდა მოვიდეს ტბასთან წყლის დასალევად და სხვა გზით წადითო. კონტექსტის მიხედვით, აქ საქმე უნდა გვქონდეს ადგილობრივ მცხოვრებლებთან, თავისუფალ მწარმოებლებთან, რომელთათვისაც ნადირობა მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი იყო.

---

[1]ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, გვ. 327.
[2]იქვე, გვ. 344.

ბასილის ნაწარმოებში გამოყენებულია ავრეთვე, მშენებლობის მომხრე პირებიც. ასეთია, პირველ ყოვლისა, დიდი მთავარი გიორგი ჩორჩანელი, რომელიც ამ მხარეში ყველას სჭარბობდა „სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთაითა, რომლისა სივრცე საზღვართ-ვრცელ ეა მრავალი იყო". ეკლესია და მონასტერი, დიდი მთავრის იდეოლოგიური ფასაყრდენი იყო და ამიტომ უჭერდა მხარს ბერებს. ფეოდალთა კლასი, ფეოდალური საკუთრების მიხედვით, იერარქიულად, ფეოდალური კიბურის სხვადასხვა საფეხურზეა განლაგებული, ამიტომ ფეოდალთა შიგნით ინტერესთა სხვაობაა, რაც მათ შორის ჭიდილს, ბრძოლასაც იწვევს. ამ შეხედულებაშიც, ძინძეს სანახების უფალნი სხვაგვარად უყურებენ მონასტრის მშენებლობას, ვიდრე დიდი მთავარი: ძინძეს სანახების მრავალრიცხოვან წვრილ მთავრებს მონასტრის სახით ძლიერი კონკურენტი, საფეოდალო გაუჩნდება, რომელსაც შეუძლია შეავიწროვოს წვრილი ფეოდალები.

ბასილის შრომაში ბერების მხარეზე სხვებიც არიან. ეოდერძის ხევის მახლობლად ბერებმა იხილეს „მცირენი რაიმე ყანობირნი და მცირე დაბაი" და იქ გამოეგება მათ ვინმე ია, რომელმაც სახლში მოიპატიჟა ბერები და მათი მეგზური გახდა; ბასილის სიტყვებით, ია იყო „კაცი ვინმე კეთილი" და ამიტომ სიყვარულით და პატივისცემით შეხვდა ბერებსი[1] აღტაცებული მიეგება ბერებს ვინმე გარბანელიც თავისი ორი შვილით და მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა გაიგო მონასტრის მშენებლობის ამბავი[2]. ია და გარბანელი შეიძლება გლეხებიც იყვნენ. საყურებელია, რომ გარბანელი წვრილი ფეოდალი იყო, ყოველ შემთხვევაში, ორივე ბერების მხარეზეა და ამიტომაც ბასილი დადებითად ახასიათებს მათ.

ისტორიკოსების მიხედვით, ქონების გადაცემის ორი წესი არსებობდა: „მსოფლიო წესი", როცა მამული მემკვიდრეობით გადადის მამიდან შვილზე, და ანდერძით საკუთრების გადაცემა. გიორგი ჩორჩანელს შეიძლება ცოლი დაეხოცა. მან დატოვა ანდერძი, რომლითაც თავისი ქონების ნაწილი ეკლესია-მონასტრებს უწყალობა და სხვა „რაიცა აქუნდა და მამული... დასა მისსა შე[ჰ]ვედრა და შვილთა მისთა საკუთრებით ;ანუთვისა"

საყურადღებოა ის გარემოება, რომ საკუთრების უფლების განყენებული ცნება უკვე ჩამოყალიბებული ყოფილა[3].

---

[1]ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. I, 1964, გვ. 329

[2]იქვე, გვ. 331.

[3]ივ. სურგულაძე. საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით (თსუ შრომები, XXXV, XXXVII, 1949 წ.).

ბასილ ზარზმელს გამოთქმული აქვს შეხედულება მემკვიდრეობის უფლების შესახებ, კერძოდ კი ქალის მემკვიდრეობაზე. გიორგი ჩორჩანელის ანდერძის გარშემო დავა ატეხილა. გიორგის დას სამი ვაჟი ჰყოლია და ერთი გათხოვილი ასული. იმ ქალის ქმარს წილი მოუთხოვია გიორგი ჩორჩანელის ქონებიდან. ცოლის ძმებისათვის უთქვამს: თქვენ ქონება დედის მხრიდან მიიღეთო, ე.ი. ქალისაგან, ამიტომ თქვენს დასაც, ე.ი. ჩემს მეუღლეს, მიეცით ბიძის ქონებიდან წილიო[1]. ერთ-ერთმა ცოლისძმამ, ლაკლაკმა, მოკლა სიძე და შეიქნა ქვეყანაში არეულობა, რომელიც რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა. მას ბოლო მოულო გიორგი მაწყვერელმა, რომელმაც მტკიცედ აიღო ხელში სამცხის მმართველობის სადავეები.

ბასილი ზარზმელი სიძის პრეტენზიას „მძლავრობას" უწოდებს, ე.ი. მისი აზრით, გათხოვილ ქალს მამის ქონებაზე ხელი არ მიუწვდება. ქართული სამართლის მიხედვით, ქალიშვილს, სანამ გათხოვდებოდა, მანამდე ჰქონდა ოჯახში გარკვეული წილი[2]. გიორგი ჩორჩანელს ანდერძის დაწერა სწორედ იმიტომ დასჭირდა, რომ კანონით გათხოვილ ქალს მამის ოჯახიდან წილი არ ეკუთვნოდა.

ბასილ ზარზმელის მსოფლმხედველობას საფუძვლად უდევს ქრისტიანული სარწმუნოება. მისი აზრით, სახელმწიფო, საერო ცხოვრება ეკლესიას უნდა ექვემდებარებოდეს.

გიორგი მერჩულე

გიორგი მერჩულე X საუკუნის მოღვაწეა. თავისი ნაწარმოები „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა" მას დაწერილი უნდა ჰქონდეს X საუკუნის მეორე ნახევარში. მასში აღწერილია VIII-IX საუკუნეების ვითარება საქართველოს იმ ნაწილში, რომელსაც ტაო-კლარჯეთი ეწოდებოდა[3].

გიორგი მერჩულე, ხსენებული ნაწარმოების მიხედვით, ფრიად განათლებული პიროვნება ჩანს. „მერჩულე", როგორც ეს პავლე ინგოროყვამ დაამტკიცა, ავტორის პროფესიის აღმნიშვნელი სახელწოდებაა და ნიშნავს საეკლესიო სამართლის სპეციალისტს, სჯულის მოძღვარს[4].

---

[1]ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, გვ. 340.

[2]ი. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1965, გვ. 247-270.

[3]კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, წ. I, 1951, გვ. 132-136.

[4]პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 10-11.

ოპიზართა სიგელის მიხედვით, რთული სასამართლო საქმეების გარჩევის დროს, სასამართლოში იწვევდნენ საერო სამართლის მცოდნეებს, იურისტებს. ეს იურისტები, როგორც ირკვევა, დიდ როლს ასრულებდნენ სამართლის წარმოებაში და თავისი ფუნქციებით რომის იურისტებს ემსგავსებოდნენ[1]. აღსანიშნავია, რომ მერჩულე კანონიკური სამართლის სპეციალისტი, დიდი სწავლული ყოფილა[2].

ავტორი არათუ გადმოგვცემს რეალურ ვითარებას საეკლესიო და საერო ხელისუფალთა ურთიერთობის შესახებ, არამედ ამჟღავნებს კიდეც სიმპათიას მის მიერ აღწერილი მოვლენებისადმი. ნაწარმოების მიხედვით, სახელმწიფოში წამყვანი უნდა იყოს ეკლესია, რომლის საქმეებში საერო ხელისუფლება არ უნდა ჩერიოს, ეკლესიის მსახურნი კი უფლებამოსილნი არიან მონაწილეობა მიიღონ საერო საქმეებში. ავტორი გადმოგვცემს ასეთ ეპიზოდს:

სახელმწიფოს უმაღლესი მესვეური, კურაპალატი, ეკლესიის მსახურს საბა იშხნელს წერილობით იბარებს თავისთან, წერილის მიმტანი ეუბრუნდა უკან და მოახსენა კურაპალატს, რომ „არა ჰნებავს კაცსა მას ღმერთისასა მოსვლაი აქა“[3], კურაპალატი ბოდიშს იხდის ხანძთელის წინაშე და სთხოვს გრიგოლს, „ვითარ წეს არს“, ისე მისწეროს.

ამის შემდეგ ბერი გამოცხადდა კურაპალატთან. კურაპალატი მსუბუქად საყვედურობს საბა იშხნელს: „ჯერ არს ხელმწიფეთა მორჩილებაი, რაისთვის არა მოხუედ პირველსა წოდებასა, წმიდაო მამაო“? ბერი უპასუხებს: „დიდებულო მეფეო, შენ ქუეყანისა ხელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკნელთაი, შენ ნათესავთა ამათ მეფე ხარ, ხოლო ქრისტეი ყოველთა დაბადებულთაი, შენ წარმავალთა ამა ჟამსა მეფე ხარ, ხოლო ქრისტეი საუკუნო მეუფე“, ამიტომაც არ მოვედი შენს მოწოდებაზეო. მეფემ უთხრა საბას: „სამართალ არს სიტყუა შენი“, ამის შემდეგ კურაპალატმა მოინახულა იშხანი და მატერიალური დახმარება გაუწია მას[4].

ავტორის შეხედულებით, ბერის სიტყვები და მისი მოქმედება იმდენად

---

[1]ი. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1965, გვ. 25-26.

[2]პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 23.

[3]გიორგი მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, პ. ინგოროყვას რედ., 1949, გვ. 65.

[4]იქვე, გვ. 66.

ჰარბებულია, რომ კურაპალატსაც კი არ შეუძლია ეს საკამათოდ მიჩნიოს. ავტორის გადმოცემით, გრიგოლი ეუბნება ოფხაზთა მეფეს ლემეტრეს: „ხოლო სარწმუნოსნი და ჭეშმარიტნი მონაზონნი ქუეყანასა ზედა არაკისსა ხელმწიფებასა ქუეშე არიან"[1]. აქ ის აზრია გატარებული, რომ ეკლესიის მსახური საერო ხელისუფლებას არ ექვემდებარება. ამასთანავე, ნაწარმოების მიხედვით, ეკლესია-მონასტრების შინაგან მმართველობაში მტკიცედ განსაზღვრული იერარქიული დაქვემდებარება არსებობდა და ამ გარემოებას ავტორი საგანგებოდაც უსვამს ხაზს: ხანძთის მონასტრის მამასახლისს ეპიფანეს გრიგოლმა უბრძანა, „ეამის წირვაი" შეესრულებინა, ეპიფანე სათანადოდ შეიმოსა და შეუდგა წირვას, მაშინ „აღეიდა საკურთხეველად მამაი გრიგოლ და კურთხითა სცა თავსა" ეპიფანეს, უბრძანა შეეწყვიტა წირვა და გაეხადა საეკლესიო სამოსი. ეპიფანემ უსიტყვოდ შეასრულა გრიგოლის ბრძანება. ცოტა ხნის შემდეგ გრიგოლმა კვლავ უბრძანა ეპიფანეს შემოსილიყო და განეგრძო წირვა. ეპიფანემაც შეასრულა ეს. ამ შემთხვევაში მაყურებელთ გრიგოლმა განუმარტა: ეპიფანეს არავითარი ბრალი არ მიუძღვის და „თქუენსა ხილვისათჳს ეყაე, რამეთუ სთქუვათ იმათა თქუენთა სრული საღმრთოი სიმდაბლეი", ეი. უნდოდა ეჩვენებინა, რომ დისციპლინა, უფროსისადმი მორჩილება („სიმდაბლე") ეკლესიის მსახურის, მონასტრის ბერის განუყოფელი თვისება იყო. ეპიფანეს არ უნდა ეკითხა, არც უკითხავს, თუ რატომ შეაწყვეტინეს მას წირვა, რატომ სცემეს. ის უფროსს ემორჩილება და ასეთი მორჩილება, „საღმრთო სიმდაბლე", სანიმუშო საქმედ არის მიჩნეული გრიგოლ ხანძთელისა და მისი „ცხოვრების" ავტორისათვის.

მაშასადამე, ეკლესიის მსახური და საერთოდ ეკლესია არ უნდა ექვემდებარებოდეს საერო ხელისუფლებას, მაგრამ ოვით ეკლესიის შიგნით უფროსისადმი ბრმა მორჩილება სასურველია.

გრიგოლ ხანძთელის აზრით, მეფე უნდა იყოს ეკლესიის და ქრისტიანობის დამცველი, სამხედრო საქმის მცოდნე, კარგი მეომარი, ეკლესიის მსახურთ კი ევალებათ მხარში ამოუდგნენ ძლიერსა და ქრისტიანობისათვის მებრძოლ მეფეს[2].

ნაწარმოებში ისეთი იდეაა გატარებული, რომ მეფეები, მთავრები დიდ დახმარებას უწევდნენ ეკლესია-მონასტრებს. სამაგიეროდ, თავის მხრივ, ეკლესია-მონასტრების წარმომადგენლებიც ადიდებენ მათ: „და

---

[1]გიორგი მერჩული, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, 1949, გვ. 56.
[2]იქვე. გვ. 45-46.

მათ ჟამსა მჯლობელი იყო ამა ქუეყანათა ღმრთის მსახური ხელმწიფე დიდი ბაგრატონიანი აშოტ კურაპალატი, კეთილად მორწმუნეი, რომელსა გამო დაემტკიცა ქართველთა ზედა მთავრობაი მისი და შვილთა მისთაი, ვიდრე უკუნისადმე ჟამთა"[1].

გრიგოლ ხანძთელი ასე მიმართავს აშოტ კურაპალატს: „არა მოაკლდეს მთავრობაი შვილთა შენთა და ნათესავთა მათთა ქუეყანათა ამათ უკუნისამდე ჟამთა, არამედ იყვნენ იგინი მტკიცედ უფროის კლდეთა მყართა და მათთა საუკუნეთა და დიდებულ იყვნეს უკუნისამდე". სამაგიეროდ, კურაპალატმა „შეწირნა ადგილნი კეთილნი და შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანძთისა", ხოლო კურაპალატის შვილებმა ადარნასემ, ბაგრატმა და გუარამმა „შეწირეს თითოეულად, რაიცა სახმარ არს მონასტერსა მისსა უხმდა ყოველი უხუებით"[2].

გიორგი მერჩულეს გადმოცემით, გრიგოლი ადიდებს აშოტ კურაპალატს, როგორც პოლიტიკური ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენელს. გრიგოლის სიტყვებით, მეფის ხელისუფლება ღვთისაგან არის გაჩენილი[3]. ამასთან, აშოტ კურაპალატის ხელისუფლების სიმტკიცეს გრიგოლ ხანძთელი აშოტის ბიბლიური წარმოშობითაც ასაბუთებს: აშოტის გვარი დავით წინასწარმეტყველიდან მომდინარეობს, მაშასადამე, ეკლესია მთელი თავისი არსებით მხარს უჭერს საერო ხელისუფლებას, ასაბუთებს, რომ მეფობა ღვთისაგან არის გაჩენილი და ამიტომაც მას ქვეშევრდომნი უნდა ემორჩილებოდნენ.

გიორგი მერჩულეს აზრით, ეკლესიას თავისი მმართველობა აქვს, სახელმწიფოს — თავისი. შინაურ საქმეებში ჩაურევლობა უნდა იყოს ეკლესიის თანაარსებობის საფუძველი, მაგრამ ამ თანაარსებობაში ზოგიერთ გამონაკლისს მაინც უშვებს ეკლესიის სასარგებლოდ. მაგალითად, გრიგოლ ხანძთელი ჩაერია კურაპალატის საოჯახო საქმეებში, მანვე ამხილა ადარნასე ხელმწიფე, რომელსაც „სიძვის დიაცი" ჰყავდა.

გრიგოლმა დაამარცხა „გუარამ დიდი", რომელიც არსენის კათალიკოსად არჩევის წინააღმდეგი იყო. გუარამი ეკიკთხება გრიგოლს: ვთქვათ, ერისკაცმა, ფრიად განსწავლულმა, მრავალი ენის მცოდნემ, იერუსალიმსა და სხვა „წმინდათა ადგილთა" ნამყოფმა, „იხილოს რაიმე

---

[1]გიორგი მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, 1949, გვ. 32.
[2]იქვე, გვ. 39.
[3]იქვე, გვ. 40.

კეთილი წესი, რომელიც ქრისტიანობასა შვენოდიეს და ჩვენში არ იყოს". და რომ ეს წესი მან ქრისტიანებში იქადაგოს, თუ აქვს ამის ნებაო. გრიგოლი უპასუხებს: ერისკაცმა თუ რაიმე „ახალი კეთილი წესი" იხილოს, მან ეს არ უნდა იქადაგოს („უმჯობეს დუმილი არს") თვითონ, არამედ ეკლესიის მსახურთ, ეპისკოპოსთ უთხრას ამის შესახებ. ეპისკოპოსი კი, თუ მოიწონებს, თვითონვე აუწყებს ამის შესახებ თავის სამწყსოსო[1].

უნდა აღვნიშნოთ, რომ საოჯახოო საქმეებში, ქორწინების საკითხებში ეკლესია ფეოდალიზმის დროს გულმოდგინედ ერეოდა. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, საოჯახო საკითხებზე კათალიკოსსაც მიუწვდებოდა ხელი[2]. გიორგი მერჩულეს აზრით, საერო ხელისუფლება მარცხდება ეკლესიის წარმომადგენლებთან შეჯახების დროს. ეკლესიის წარმომადგენელთა მოქმედება ყოველთვის გამართლებულია, მისაბაძია.

გიორგი მერჩულეს შეხედულებით, სასტიკად უნდა იქნეს დაცული ქორწინება, თუნდაც ის არ იყოს სიყვარულზე დამყარებული. შეუღლება სოციალურად ერთ საფეხურზე მდგომ პირთა შორის არის დასაშვები. ამასთან, ქორწინება უნდა ხდებოდეს მშობლებისა და ახლობლების თანხმობით. ზენონის და „შეაცდინა ვინმე უკეთურმა კაცმან" და გაიპარნენ შავშეთს. როგორც ჩანს, სასიძოს ზენონის თანხმობის იმედი არ ჰქონია და იმიტომ წაუყვანია ქალი ღამით, მალვით, თვითონ საცოლე კი თანახმა ყოფილა. ზენონი გამოსდევნებია გაქცეულთ, მაგრამ გზიდან დაბრუნებულა შემდგომი მოსაზრების გამო: „ვარ მე ჭაბუკი სახელოვან. და რომელსა ვსდევ, ფრიად შეურაცხ არს" და მას რომ ბრძოლა გაეუმართო, ჩემთვის „სირცხვილ არს"[3]. სასირცხვილო ალბათ ზენონისათვის იმიტომ იყო სასიძოსთან შებრძოლება, რომ ეს უკანასკნელი სოციალურად დაბალ საფეხურზე მდგომად ეგულება.

თხზულებაში საყურადღებოა გიორგი მერჩულეს შეხედულება დანაშაულის შესახებ. მისი აზრით, დანაშაული მძიმდება, როცა საქმე გვაქვს მოსყიდვით მკვლელობასთან, ე.ი. როცა სასყიდლით დაქირავებული მკვლელი ჩადის დანაშაულს, მკვლელი კი „უბრალოა"[4]. ისმება კითხვა:

---

[1]გიორგი მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, 1949, გვ. 91, 92.

[2]ქართული სამართლის ძეგლები, I, ი. დოლიძის რედ., 1965, გვ. 499, მუხ. 64, 65, 66 და სხვა.

[3]გიორგი მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 42.

[4]იქვე. გვ. 115-117.

თუკი დაზარალებულს, ან მოკლულს რაიმე ბრალი მიუძღვის, ეს. რაიმე დანაშაული ჩაუდენია, ეს გარემოება ხომ არ უმსუბუქებს მის მკვლელს დანაშაულს?

ძეგლის მიხედვით, საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში დანაშაულის შემამსუბუქებელ გარემოებასთან უნდა გვქონდეს საქმე.

თავი II. ფეოდალიზმის გაერთიანების პერიოდის პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებები

ექვთიმე მთაწმინდელი

ექვთიმე მთაწმინდელის მოღვაწეობა ათონის მონასტერში გაიშალა, რომელიც მამის მიერ იყო დაარსებული. ივი თარგმნიდა ბერძნულიდან ქართულად და პირიქით. ბერძნულად ქართულის თარგმნისას ექვთიმე მთაწმინდელი თარგმანს თავის კომენტარებს უკეთებდა. ძნიშვნელოვანია მისი ნაშრომი „მცირე სჯულისკანონი", რომელშიც საყურადღებო მოსაზრებებია წამოყენებული ბრალის შესახებ.

ბრალის საკითხი მნიშვნელოვანი იურიდიული პრობლემაა. იმის მიხედვით, თუ როგორ არის დამუშავებული აღნიშნული პრობლემა ამა თუ იმ ხალხის ძიერ, განისაზღვრება ამ ხალხის იურიდიული განვითარების დონე. ბრალის სწავლების მეტ-ნაკლები სიღრმით დამუშავება მაჩვენებელია ამა თუ იმ ხალხის კულტურული დონისა[1]. ამით იზომება იურიდიული განათლების და კერძოდ სისხლის სამართლის განვითარების დონე[2].

დიდი ხნის გამოცდილება, ცოდნა და განვითარება დასჭირდა კაცობრიობას იმისათვის, რომ ობიექტური შერაცხვიდან ბრალზე გადასულიყო. ბრალი ფსიქიკური დამოკიდებულებაა მოქმედი პირისა თავისი მოქმედებისადმი. ბრალი იმას ნიშნავს, რომ ადამიანი პასუხს აგებს მხოლოდ ისეთი მოქმედებისათვის, რომელიც მას ჩადენილი აქვს განზრახ და გაუფრთხილებლად.

„მცირე სჯულისკანონმა" იცის ბრალის ფორმები: განზრახვა და

---

[1]Г. С. Фельдштейн. Учение о формах виновности в уголовном праве. 1902. стр. 55.

[2]Франц фон Лист. Учебник уголовного права. 1903. стр. 169.

გაუფრთხილებლობა. ძეგლში აღნიშნულია, რომ დანაშაული ადამიანმა შეიძლება ჩაიდინოს ბრალის სხვადასხვა ხარისხის მიხედვით: განზრახ, განზრახვას მიმსგავსებული ფსიქიკური მდგომარეობით, გაუფრთხილებლობის სხვადასხვა სახით.

ძეგლში საუბარია საერთოდ დანაშაულზე, კერძოდ კი მკვლელობაზე. პირველ ყოვლისა, ძეგლი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ადამიანს შეუძლია თავისი სურვილით, საკუთარი ნებით გააკეთოს, ან არ გააკეთოს ესა თუ ის საქმე. ადამიანის მოქმედებაში მისი ნება ღებულობს ამა თუ იმ გამოხატულებას. დანაშაულებრივ ქმედობაშიც ადამიანის ნება იღებს მონაწილეობას.

ძეგლის მიხედვით, დანაშაულებრივი ქმედობანი „მრავალ სახე და მრავალგვარია", ე.ი. დანაშაული მრავალგვარია, ის მრავალ სახედ იყოფა[1].

ძეგლში საუბარია პასუხისმგებლობის საკითხზე. დანაშაულის ანალიზის დროს განხილულია მკვლელობის დანაშაული. ძეგლის მიხედვით, დანაშაულისა და პასუხისმგებლობის საკითხი მკვლელობის კონკრეტულ სახეებთან დაკავშირებით განიხილება.

„მცირე სჯულისკანონის" მიხედვით, მკვლელობა დიდი დანაშაულია. ამ დანაშაულისათვის დამნაშავემ იმის მიხედვით უნდა აგოს პასუხი, თუ როგორია მისი ნების მონაწილეობა ამ მოქმედებაში.

მკვლელობის დანაშაული ძეგლში დაყოფილია ნეფსით თვისით განზრახვით ჩადენილი და „არა თვისითა ნებითა" ჩადენილი მოქმედება („უნებელი")[2].

ამასთან დაკავშირებით ექვთიმე განმარტავს, რომ „არამარტივია" დანაშაული, ე.ი. დანაშაული რთული ბუნების არის და კანონის შეფარდებისას მსაჯულს ევალება მისი ყოველმხრივ შესწავლა. დანაშაულთან ერთად მოსამართლე ვალდებულია შეისწავლოს დამნაშავის პიროვნება, კარგად გამოარკვიოს დანაშაულის ჩადენის მიზეზი, გაითვალისწინოს პასუხისგებაში მიცემული პირის ბრალი, მისი ნების მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში და ამის მიხედვით შეუფარდოს სასჯელი.

ამგვარად, ძეგლში, ნების მონაწილეობის მიხედვით, დანაშაული

---

[1]მცირე სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადა ელგუჯა გიუნაშვილმა, 1972, გვ. 78, 82.

[2]იქვე, გვ. 77.

დაყოფილია შემდეგნაირად: 1) ნებისმიერი, ე.ი. განზრახვითი; 2) უნებური.

ნებისმიერი, თავის მხრივ, იყოფა: 1) საკუთარი გამოკვეთილ განზრახვად, 2) განზრახვასთან გათანაბრებულად.

უნებური მოქმედება, თავის მხრივ, შეიძლება დაიყოს მრავალ სახედ. უნებური მოქმედებისათვის პასუხისმგებლობა არ არის გათვალისწინებული; ამდენად იგი შემთხვევას შეესაბამება, მაგრამ თვით მოქმედების აღწერის მიხედვით შეიძლება მასში გაუფრთხილებლობა დავინახოთ.

ექვთიმეს დიდი დამსახურებაა ის, რომ ქართულ ენაზე გადმოგვცა შესანიშნავი ძეგლი — „მცირე სჯულისკანონის", რომელშიც ბრალის შესახებ მოცემულია რომის სამართლის დებულებები. ამისათვის საკმარისია ერთმანეთს შევადარით „მცირე სჯულისკანონის" და „დიდი სჯულისკანონის" სათანადო ადგილები[1]. ექვთიმეს რომაულ-ბერძნული სამართლის იდეები, ინსტიტუტები გადმოცემული აქვს ვრცლად, კომენტარებით, საკუთარი მაგალითების მოშველიებით. აქედან ჩანს, რომ ექვთიმეს ძეგლის მოწინავე იდეები ბრალის შესახებ გაუზიარებია და ის ქართული სინამდვილისათვის მიუსადაგებია. ამასთან, სამართლებრივი ინსტიტუტებისათვის შესატყვისი ტერმინები მოუნახავს. თავისთავად ის ფაქტი, რომ ასეთი ტერმინები იმ პერიოდში ქართულ ენაზე მოიპოვებოდა, მაჩვენებელია მაშინდელი მაღალი სამართლებრივი კულტურისა.

გიორგი მთაწმინდელი

გიორგი მთაწმინდელი XI საუკუნის გამოჩენილი მოღვაწეა, რომლის საქმიანობა საქართველოში ბაგრატ IV-ის მეფობას ემთხვევა. გიორგი მთაწმინდელი ექვთიმე მთაწმინდელის მოწაფე და მისი ლიტერატურული საქმიანობის გამგრძელებელი იყო.

გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობა ემთხვევა იმ პერიოდს, როცა ბერძენი ეკლესიის მსახურნი ებრძოდნენ ქართულ სავანეებს ბიზანტიაში მათი მიტაცების მიზნით. აქ გამოჩნდა გიორგის დიდი განათლება. მან დაუმტკიცა ბიზანტიის ხელისუფალთ, რომ ქართველებს მაღალი კულტურა აქვთ, რომ საქართველოში ქრისტიანობა IV საუკუნეში

---

[1]მცირე სჯულისკანონი, ე. გიუნაშვილის რედ., 1972, გვ. 78-80. დიდი სჯულისკანონი, ე. გაბიძაშვილის რედ., 1975, გვ. 477-479.

დამკვიდრდა. რომ ქართველები ისეთივე მართლმადიდებელნი არიან, როგორიც ბერძნები, რომ მათ ავტოკეფალია აქვთ, საღვთო წიგნები ქართული ენაზე IV-V საუკუნეებიდან ითარგმნებოდა და სხვა.

თეოფილ გიორგი მთაწმინდელმა მრავალი წიგნი გადმოთარგმნა ბერძნულიდან ქართულად.

გიორგი მთაწმინდელს ბიზანტიაში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და მან შეძლო ქართული საეკლესიების დაცვა.

ფრიად საყურადღებოა ის გარემოება, რომ გიორგი მთაწმინდელი ეკლესიაში დემოკრატიული მიმართულების წარმომადგენელი იყო. თუ მხედველობაში მივიღებთ გარემოებას, რომ მაშინ ეკლესიას სახელმწიფოში დიდი გავლენა ჰქონდა, შეიძლება დავასკვნათ: გიორგი მთაწმინდელის შეხედულება საეკლესიო რეფორმების შესახებ საეკლესიო ცხოვრების ფარგლების სცილდება. დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივი რეფორმები ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ იყო მიმართული და ამიტომ ისახავდა „უგვარო", მაგრამ მეფისადმი ერთგული პირების სახელმწიფო მმართველობაში წინ წამოწევას. დავითი ეკლესიის მმართველობის ხაზითაც ასეთივე პოლიტიკას ატარებდა.

გიორგი მთაწმინდელის პროგრესულმა იდეებმა საეკლესიო წყობილების რეფორმირების საკითხში რეალური განხორციელება იწყო დავით აღმაშენებლის დროს, როდესაც სამეფო ხელისუფლებამ ეკლესიის დამორჩილება შეძლო და სათანადო რეფორმების ჩატარების შესაძლებელი გახდა.

„გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების" ავტორის — გიორგი მცირის გადმოცემით, გიორგი მთაწმინდელი მსხვილი ფეოდალების წინააღმდეგი იყო, მეფის ხელისუფლების განმტკიცებისათვის იბრძოდა. როდესაც მთაწმინდელი, ბაგრატ IV-ის მოწვევით, საქართველოში ჩამოვიდა, მეფე მსხვილ ფეოდალებზე გამარჯვებას დღესასწაულობდა. ბაგრატ IV-მ, გადმოუგზავნა გიორგი მცირე, „წინაადგილნი თვისნი მეფობისა აბაზის ძენი შეიპყრნა, რომელთათვის ყოველთა უწყით ჭეშმარიტებით, ვითარმედ შეპყრობილი მეფისა ეგულებოდა. ეს კაცნი ძლიერნი და ახოვანნი სიმდიდრესა ზედა მეკლავისა თვისისა მოქადულნი და სიმრავლესა ზედა ერისასა აღზუავებულნი ხუთნი ერთობით" მეფემ სძლია[1]. გიორგიმ მეფეს მიულოცა გამარჯვება, ხოლო მეფემ უპასუხა: ეს გამარჯვება თქვენი „ლოცვით" და „ძალღონით" მოიპოვეთ. ბაგრატმა კარგად იცოდა, რომ გიორგი მთაწმინდელი ძის მხარეზე იყო და ამიტომაც მოიწვია ათონიდან საქართველოში.

---

[1]ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, 1967, გვ. 150

გიორგი მთაწმინდელი როგორც საეკლესიო მსოფლმხედველობის წარმომადგენელი, ამქვეყნიურ სინამდვილეს უარყოფითად უყურებს. ქრისტიანული მსოფლმხედველობის მიხედვით, მიწიერი ეწინააღმდეგება ზეციურს და ადამიანის დანიშნულებაც სწორედ იმაშია, რომ ეს წინააღმდეგობა მოხსნას მიწიერის დათრგუნვით. ამდენად, ღვთიური სიყვარული უარყოფს მიწიერსა და მაცდურ სიყვარულს. როდესაც საუბარი გვაქვს გიორგი მთაწმინდელის შეხედულების დემოკრატიულ ტენდენციებზე საეკლესიო დარგში, მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოება, რომ გიორგი მთაწმინდელი, პირველ ყოვლისა, ქრისტიანული მსოფლმხედველობისაა. მისი აზრით, მიწიერი ცხოვრება მოსამზადებელი საფეხურია ზეციურისა; მიწიერი უნდა დათრგუნოს, ხორცი უნდა შეეწიროს სულს. ამიტომ ადამიანი ამქვეყნიურ სიმდიდრეს ისე უნდა უყურებდეს, როგორც საეშმაკო მახეს, რომელსაც შეუძლია ადამიანის სული ჯოჯოხეთისათვის შეამზადოს. ადამიანი უნდა განთავისუფლდეს ასეთი დაბრკოლებისაგან — ასეთია მისი მსოფლმხედველობის ამოსავალი პრინციპები.

გიორგი მთწმინდელი „იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში" გადმოგვცემს, რომ ექვთიმე სასტიკად დევნიდა და კრძალავდა მონასტრის ბერების მხრივ ყიდვა-გაყიდვას. მას ეშინოდა, რომ ბერი არ გამდიდრებულიყო და მომხვეჭელობა არ დაეწყო. ექვთიმეს ასეთი მოქმედება გიორგის ქება-დიდებას იმსახურებს[1].

გიორგი მთაწმინდელის აზრით, მონასტერში მოწესედ არ უნდა მიიღონ ისეთი პირები, რომლებიც ვერ იყიწყებენ მდიდრულ წარმოშობას, და მონასტერშიც, თავისი სიმდიდრისა და შთამომავლობის გამო, სხვა ბერებისაგან განსხვავებული ცხოვრების პრეტენზია აქვთ[2]. გიორგის მოსწონს, რომ მონასტრის ბერები, აგრეთვე მათი უფროსები ფიზიკურად შრომობენ, ეზიდებიან ტვირთს, ამუშავებენ ვენახს და სხვ.

გიორგის ისიც ძლიერ მოსწონს, რომ ექვთიმე ათონელი სასტიკ დისციპლინას იცავს მონასტერში, ამასთან, საერთო საქმეზე ექვთიმე ეთათბირება ბერებს და მათ გარეშე არ წყვეტს არცერთ საკითხს[3].

გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობამ მის სიცოცხლეშივე პოვა აღიარება როგორც საქართველოში, ისე საბერძნეთში. გიორგიმ თავისი შრომით „ყოველნი

---

[1]ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 77.
[2]იქვე, გვ. 79-80.
[3]იქვე, გვ. 76.

განაკვირვა არა ხოლო თუ ქართველნი, არამედ ბერძენნიცა და ასურნი", გიორგი მთაწმინდელის ნათარგმნი წიგნები უმალ ეროვნულდებოდა საქართველოში.

მაგრამ გიორგის საქმიანობა, როგორც ვიქვთ, მარტო ლიტერატურული მოღვაწეობით არ ამოიწურებოდა. გიორგი მთაწმინდელი საქართველოში ჩამოსულისთანავე შეუდგა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მისი ცხოვრების აღმწერი ეკორგი მკირე გადმოგვცემს, რომ გიორგიმ „აღლესა მახვილი მხილებისა მჭეველთა მიმართ მრავალთა უწესოებისათვის". პირველ ყოვლისა, მან გაილაშქრა საეკლესიო თანამდებობათა გაყიდვის წინააღმდეგ[1]. რასაკვირველია, საეკლესიო თანამდებობათა, განსაკუთრებით ეპისკოპოსების, მყიდველები მსხვილი ფეოდალები იყვნენ. გიორგი მთაწმინდელი საეკლესიო თანამდებობათა გაყიდვის წინააღმდეგ იმ დებულებას იყენებდა, რომ გაყიდულ ადგილებს იკავებდნენ საეკლესიო საქმის უმეცარი, მოუმზადებელი პირები. გიორგი მთაწმინდელის აზრით, თანამდებობათა დაკავების ღროს პირად ღირსებას უნდა გასწეოდა ანგარიში.

გიორგი, ისე როგორც ექვთიმე, მღიდრისაგან მოითხოვდა ქონებასა და პირად განცხრომაზე ხელის აღებას[2]. გიორგი მთაწმინდელი გმობდა იმ ეკლესიის მსახურს, რომელიც ეკლესიის საჭიროებისათვის ქონებას იმურებდა, ხოლო „გლახაკთ" არაფერს აძლევდა[3]. ის მოითხოვდა გლახაკთა განკითხვას და თვითონაც განიკითხავდა მათ.

გიორგის ცხოვრების აღმწერი გიორგი მკირე გადმოგვცემს, რომ გიორგი მთაწმინდელი ეხმარებოდა ღარიბებს, გარდა ამისა. მან დაბალ წრეებში შეაგროვა 80 ბავშვი და წაიყვანა ათონს, რათა მოემზადებინა საეკლესიო თანამდებობებისათვის. როგორც ჩანს, გიორგი მთაწმინდელს საეკლესიო მმართველობაში დემოკრატიული რეფორმების გასატარებლად ესაჭიროებოდა კადრების მომზადება, რათა ულირსი საეკლესიო მოხელენი უგვარო. მაგრამ ღირსეული პირებით შეიცვალა.

გიორგი მკირე ასე ამართლებს ბავშვების წაყვანას ათონში: იოსები მონა იყო და ეგვიპტის მეფე გახდა, ხოლო დაკითი მწყემსი იყო და ისიც მეფე და წინასწარმეტყველი გახდა, ეს. ყველაფერი ადამიანის პირად ღირსებაზეა დამოკიდებული და არა სიმდიდრესა და შთამომაკლობაზეო[4].

---

[1] ქ. ქაველიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 196-197; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 162.

[2] ქ. ქაველიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 196-197; ძველი ქართული ლიტერატურის აგიოგრაფიული ძეგლები, II, გვ. 164-165.

[3] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 164-165.

[4] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 163.

გიორგი მთაწმინდელი, რასაკვირველია, ფეოდალთა კლასის იდეოლოგია, მაგრამ, როგორც ვნახეთ, იგი იყო თავისი ეპოქისათვის მოწინავე ადამიანი, პროგრესული მოაზროვნე და თავდადებული პატრიოტი.

ლეონტი მროველი

ლეონტი მროველი XI საუკუნის მოღვაწეა. მისი შეხედულება გამსჭვალულია სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობით, ამიტომ მისი თხრობაც ხშირად ლეგენდარულ ხასიათს ატარებს. მიუხედავად ამისა, ლეონტის ლეგენდარულ თხრობაში მაინც მოიპოვება ზოგიერთი ისეთი დებულება, რომელიც საინტერესოა არა მარტო იმდროინდელი საზოგადოებრივი აზროვნების შესასწავლად, არამედ სახელმწიფოს წარმოშობის საკითხის გასარკვევადაც. საყურადღებოა, მაგალითად, ლეონტის შეხედულება კავკასიის ხალხთა ნათესაობის, მეფის ხელისუფლებისა და მისი ადმინისტრაციის წარმოშობის შესახებ და სხვა. ლეონტის შეხედულება ძლიერ გავლენას ახდენდა საქართველოს ისტორიკოსების შემდგომ თაობებზე.

ლეონტის თეორიით, ქართველები შთამომავლობით ბიბლიის მამამთავრებს ენათესავებიან. კავკასიის ხალხების, მათ შორის ქართველების, მამამთავარი იყო თარგამოსი, შვილი თარშისა, ხოლო უკანასკნელი — შვილიშვილი იაფეტისა. იაფეტი, სემი და ქამი ნოეს შვილები იყვნენ[1].

თარგამოსს ჰყავდა შვილები: ჰაოს, ქართლოს, ბარდოს, მოვაკან, ლეკოს, ჰეროს, კავკას, ეგროს; თარგამოსის თითოეული შვილი კავკასიის სხვადასხვა ხალხის ეთნარქი იყო.

ქართლოს დაემკვიდრა საქართველოში, მას ჰყავდა ხუთი შვილი: მცხეთოს, გარდაბოს, კახოს, კუხოს და გაჩიოს[2].

ლეონტის თხრობის მიხედვით, ქართლოსის უფროსი შვილი მცხეთოსი დაემკვიდრა არმაზს და ააშენა ქალაქი, რომელსაც თავისივე სახელი უწოდა[3]. მცხეთოსი იყო „გამგე და უფალ მათ ოთხთავე ძმათა ზედა. და ეს ოთხივენი იყვნენ მორჩილ მისა“.

მცხეთოსის შვილები იყვნენ: უფლოს, ოძრხოს და ჯავახოს.

---

[1]ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1955, გვ. 3.

[2]იქვე, გვ. 8.

[3]იქვე, გვ. 9.

მცხეთოსის სიკვდილის შემდეგ „შთავარდა შური შვილთა ქართლოსისთა“.

ლეონტის გადმოცემით, მცხეთოსის შთამომავლებს შორის არავინ იყო — „უწარჩინებულეს და უსახელოვანეს“, მაგრამ ის, ვინც „იყვის მცხეთას, რაცა თავადი იგი იყვის მათ სხუათა ზედა“. მაშასადამე, უფროსი ძმა, რომელიც ქართლის განაწილების შემდეგ მცხეთაში იჯდა, განაგებდა სხვებს, მაგრამ ისიც არ იწოდებოდა „მეფედ და, არც ერისთავად“, არამედ მამასახლისი ერქვა. მცხეთის მამასახლისი „იყვის მაზავებელი და ბჭე სხუათა ქართლოსიანთა“, რადგანაც მცხეთა იყო „დედა-ქალაქი“[1].

ქართლის პირველი მეფე, ლეონტის თხრობით იყო „მამულად ქართლელი“, ძმისწული მცხეთის მამასახლისის სამარისა[2]. ფარნავაზის მამა და მისი ძმა, მცხეთის მამასახლისი სამარა თითქოს ალექსანდრე მაკედონელის შემოსევის დროს მოკლეს, დედამ კი სამი წლის ფარნავაზი მთებში გახიზნა. როცა ფარნავაზი დავაჟკაცდა, ის სათავეში ჩაუდგა ქართლის განთავისუფლების საქმეს. თითქოს ამ დროს ქართლში იჯდა ალექსანდრე მაკედონელის მიერ დატოვებული მმართველი, სახელად აზონი.

პირველ ყოვლისა. ფარნავაზი დაუკავშირდა ეგრისის მთავარს ქუჯის, რომელსაც შეუთვალა: „მე ვარ ნათესავი უფლოს მცხეთოსის ძისა, და ძმისწული სამარა მამასახლისისა“, მაქვს დიდი სიმდიდრე, მსურს მოვიდე შენთან, „ვიყვნეთ ჩუენ ძმა“ და გაერთიანებული ძალებით შევებრძოლოთ აზონს; ქუჯი სიხარულით დასთანხმდა და როცა ფარნავაზი ჩავიდა მასთან, უთხრა: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გმართებს უფლობა ჩემი“, გავამრავლოთ ლაშქარი, შევებათ აზონს და თუ გავიმარჯვებთ, „შენ ხარ უფალი ჩუენი და მე ვარ მონა შენი“[3].

ჯერ ერთი, ალექსანდრე მაკედონელი არ ყოფილა საქართველოში. ამასთანავე, საყურადღებოა ის გარემოება, რომ ლეონტი ფარნავაზს ალექსანდრე მაკედონელის უმცროს თანამედროვედ თვლის, ალექსანდრე მაკედონელი კი ცხოვრობდა ძველი წელთაღრიცხვის 356-323 წლებში.

ლეონტის კონცეფციით, მცხეთის მამასახლისს და მის მემკვიდრეებს ხელი დასავლეთ საქართველოზეც მიუწვდებოდათ. დასავლეთ საქართველოს მთავარი თითქოს ქართლის მამასახლისის პრეტენზიას

---

[1]ქართლის ცხოვრება, I, გვ, 10-11.

[2]იქვე, გვ. 20.

[3]იქვე, გვ. 22.

ცნობს კიდეც. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ძმობისა და მეგობრობის, საერთო ძალით მტრის წინააღმდეგ ბრძოლის იდეა, რომელსაც ლეონტი მროველი თავისი კონცეფციით გვთავაზობს, ფრიად საყურადღებოა, პროგრესული და პატრიოტულია. მაგრამ ეს იდეა XI საუკუნის ისტორიკოსის კონცეფცია უფრო არის, ვიდრე ძველი წელთაღრიცხვის III-II საუკუნეების მოღვაწისა.

ლეონტის გადმოცემით, დამპყრობი ბერძნების წინააღმდეგ ფარნავაზმა გაერთიანა ქართლისა და დასავლეთ საქართველოს ლაშქარი, შემოიერთა ოსებისა და სომხების ჯარი და შეერთებული ძალებით სძლია აზონს და ბერძენთა ჯარს[1].

ფარნავაზმა ერთი და მიათხოვა ოსების მთავარს, მეორე — ქუჯის და „მისცა ქუჯის ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვითგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ“[2].

აქ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ლეონტის შეხედულებით, გარეშე მტერს ერთიანი ძალით ებრძვიან ამიერკავკასიის ხალხები, ამასთანავე, ქართლთან ერთად ბრძოლაში ჩაბმულია ეგრისიც. ქუჯი კი ფარნავაზის მიერ განწესებულია ეგრისის ერისთავად, ე.ი. თითქოს ქუჯი ფარნავაზის მოხელეა.

როდესაც ფარნავაზმა ოკუპანტები განდევნა, მაშინ იგი „მეფე იქმნა ყოველთა ქართლსა და ეგურსა ზედა“[3].

ფარნავაზმა განაწესა ერისთავები საქართველოში, ისინი დაუმორჩილა სპასპეტს, რომელიც მცხეთაში იჯდა მეფესთან ერთად. ერისთავებს დაქვემდებარებულ მოხელეებად ფარნავაზმა სპასალარი და ათისთავი განაწესა.

მემატიანე დასძენს: „ესრეთ განაწესა ყოველნი ფარნავაზ მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა“. ე.ი. ლეონტის აზრით, ქართლში ფარნავაზის დროს სპარსთა მიმსგავსებული სახელმწიფოა შექმნილი. სპარსეთში ალექსანდრე მაკედონელის დროს და მის უწინარეს სახელმწიფო წეს-წყობილება რომ არსებობდა, ეს საყოველთაოდ ცნობილია. ამ შემთხვევაში ლეონტი მროველს ფარნავაზის დროს დამყარებული წყობილება მიაჩნია ქართლისათვის სიახლედ, ისეთ მოვლენად, რომელიც მანამდე საქართველში არ იყო. ლეონტი მროველი თითქოს მიგვანიშნებს:

---

[1]ქართლის ცხოვრება, I, გვ. 22.

[2]იქვე, გვ. 23.

[3]იქვე, გვ. 24.

ქართლისათვის ეს სიახლე ისაა, რომ აქ სპარსეთის მიმსგავსებული წყობილება დაარსდა, ე.ი. ქართლში სახელმწიფო წარმოიშვა.

ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ ლეონტის სიტყვები იმის შესახებ, რომ ქართლოსიანების დროს, როცა მცხეთაში მამასახლისობა იყო, ქართლში „უწარჩინებულესი" არავინ იყო, ე.ი. თანასწორნი იყვნენ, ხოლო მცხეთის მამასახლისი სხვა მოხელეებს განაგებდა, ვითარცა „ბჭე და მაზავებელი", ამასთანავე, ლეონტის კონცეფციით, მამასახლისობის პერიოდში თანასწორობა არ დარღვეულა, ხოლო მეფობის დაწესების შემდეგ, ე.ი. ფარნავაზის დროს, თვით ფარნავაზმა ის ათასი ბერძენი მხედარი, რომელიც მას მიეშველა, „განყენა (ფარნავაზმა — ი. ს.) ხევთა ქუეყანათა შინა, იპყრნა იგინი კეთილად, რამეთუ ბრძოლასა მას აზონისსა მხნედ იყვნეს და უწოდა ესენი სახელად აზნაურნი"[1]. „აზნაური" აქ გაგებულია, როგორც ფეოდალი. ფეოდალთა გაბატონებული კლასი და სახელმწიფო ქართლში IV საუკუნიდან არსებობს. რასაკვირველია, ფეოდალები მანამდეც იქნებოდნენ: დიონ კასიოს ცნობა II საუკუნის ქართლის მეფის ამალის შესახებ იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ II საუკუნის ქართლში აზნაურები არიან[2]. რაც შეეხება ლეონტის ცნობას აზნაურობის უცხოური წარმოშობის შესახებ, თავისთავად ეს ცნობა არ არის საკვირველი. ასეთი მოსაზრება მრავალი ხალხის გაბატონებული კლასის შესახებ არის გამოთქმული. მაგრამ ქართლში აზნაურობის წარმოშობა, ლეონტის კონცეფციით, ალექსანდრე მაკედონელის შემოსევასთან არის დაკავშირებული, რომელსაც ისტორიაში ადგილი არ ჰქონია. ლეონტის თხრობა აზნაურობის წარმოშობის შესახებ სრულებით არ არის დასაბუთებული. ლეონტის ეს შეხედულება იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ, ისტორიკოსის აზრით, აზნაურობის, ე.ი. გაბატონებული კლასის და სახელმწიფოს წარმოშობა ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

ლეონტი მროველის შეხედულებით, მამასახლისობის პერიოდში ყველაფერი ხალხს ეკითხებოდა. ლეონტის გადმოცემით, როდესაც მცხეთაში მოვიდნენ უცხოელები (თურქი — სახლი ოცდარვა) და „ეზრახნეს მამასახლისსა მცხეთისასა, აღუთქეს შეწევნა „სპარსელების" წინააღმდეგ ბრძოლაში, და სთხოვეს დასასახლებელი ადგილი, მცხეთის მამასახლისმა ეს თვითონ კი არ გადაწყვიტა, „არამედ აუწყა ყოველთა ქართველთა",

[1] ქართლის ცხოვრება, გვ. 35

[2] იუ. ჯავახიშვილი, ქართლის სამართლის ისტორია, I, გვ. 195; გ. წერეთელი, არმაზის ძილინგვა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, XIII, 1942, გვ. 44.

და გაანაწილა მოსულები ქართლის სხვადასხვა ადგილას. როგორც ჩანს, მცხეთის მამასახლისს სახალხო კრება მოუწვევია ამ საკითხის გადასაწყვეტად. ასეთი კრება კი, ალბათ, გვაროვნული წყობილების არსებობასაც გულისხმობს.

ლეონტი მროველის კონცეფციით, ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება მამასახლისობისა და მეფობის პერიოდი ქართლში[1]. ლეონტი მროველის მიერ აღწერილი მამასახლისობის ხანაში, რომელიც ფარნავაზამდე იყო, ჩვენ ვერ ვხედავთ ისეთ ნიშანდობლივ ელემენტს, რომელიც სახელმწიფოსათვის იყო დამახასიათებელი, ხოლო ფარნავაზის გამეფების შემდეგ ქართლში ჩამოყალიბდა სამოხელეო შტატი, რომელიც სახელმწიფოსათვის არის საერთოდ დამახასიათებელი.

დავით აღმაშენებელი

დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ და სამართლებრივ შეხედულებათა შესასწავლად ძირითად წყაროდ უნდა ჩაითვალოს მისი ნაწარმოები „გალობანი სინანულისანი"[2]. ამ ნაწარმოებში ჩამოყალიბებულია დავითის მსოფლმხედველობა, რომელიც თავისი არსით ქრისტიანულ-რელიგიურია. ძეგლში ქრისტიანული შეხედულების შუქზე შეფასებულია დავითის სამეფო მოღვაწეობის სხვადასხვა სფერო და დახასიათებელია მისი ისეთი მოქმედებანი, რომლებიც ქრისტიანულ მოძღვრებას ეწინააღმდეგება.

დავით აღმაშენებლის შეხედულებათა შესასწავლად საინტერესოა 1123 წლისა[3] და 1125 წლის ანდერძები[4]. შესაძლებელია ეს ანდერძები დავითის დავალებით მწიგნობრის მიერ იყოს შედგენილი. ქართული სამართლის მიხედვით, ანდერძის დამტოვებელი ანდერძის შედგენის დროს სრულ გონებაზე უნდა ყოფილიყო და რაიმე ისეთი ავადმყოფობა არ ჰქონოდა, რომელიც მის ცნობიერებაზე იმოქმედებდა[5], ე.ი. ანდერძის შედგენისათვის სამართალი განსაკუთრებულ წესებს ითვალისწინებდა და დიდ ყურადღებას აქცევდა იმას, რომ ანდერძის დამტოვებელს

---

[1]შოთა მესხია, ლეონტი მროველი საქართველოს ისტორიის ორი პერიოდის შესახებ („კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები"), 1966, გვ. 119-130.

[2]ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, ს. ყუბანეიშვილის რედ. 1946, გვ. 374-376.

[3]ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის რედ., 1965, გვ. 12-18.

[4]იქვე, გვ. 18-20

[5]ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, 1929, გვ. 381.

ყველაფერი ზუსტად გაეთვალისწინებინა და კარგად სცოდნოდა, თუ რა სურვილი, მოტივი ამოძრავებდა მას, როცა ანდერძეს წერდა, რომ ანდერძში რეალურად ასახულიყო, რაც ანდერძის დამტოვებელს სურდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 1123 წლის დავით აღმაშენებლის ანდერძის თავი და ბოლო თვით დავითის ხელით უნდა იყოს დაწერილი[1].

აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ დავით აღმაშენებლის ანდერძი ასახავს დავითის სულისკვეთებას.

რუის-ურბნისი ძეგლისწერა[2] ასახავს დავით აღმაშენებლის შეხედულებებს, რამდენადაც ეს კრება, რომელმაც ძეგლისწერა შეიმუშავა, დავითის ინიციატივით არის მოწვეული და ძეგლისწერაში ასახული მოვლენები შეესაბამება დავით აღმაშენებლის სულისკვეთებას, მის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას.

დავით აღმაშენებლის ცხოვრება აღწერილი აქვს მის ისტორიკოსს[3] და ამ ნაშრომის მიხედვით შესაძლებელია გათვალისწინება დავითის შეხედულებისა სახელმწიფოსა და სამართლის ზოგიერთ საკითხზე.

დავით აღმაშენებლის შეხედულებანი დაკავშირებულია ბუნებითი სამართლის იდეებთან. ბუნებითი სამართლის საკითხს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გაკვრით შეეხო ი. ჯავახიშვილი[4].

დაწვრილებით ბუნებითი სამართლის საკითხებს ქართულ სამართალში შეეხო ვ. აბაშმაძე[5]. ამავე საკითხს მიუძღვნა სპეციალური შრომა პროფ. ე. ხინთიბიძემ[6].

დავით აღმაშენებელმა მრავალი ეკლესია ააშენა[7]. ამ მხრივ ყველაზე

---

[1]ს. კაკაბიძე, ანდერძი დავით აღმაშენებლისა, შიო მღვიმისათვის დაწერილი, თბილისი, 1912; ა. შანიძე, დავით აღმაშენებლის მიერ შიო მღვიმისათვის დაწერილი ანდერძის დასაწყისი სიტყვები, ჟურნ., „ჩვენი მეცნიერება", № 8, 1924.

[2]ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის რედ., 1970, გვ. 105-127.

[3]ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1955, გვ. 318.

[4]ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, 1928, გვ. 130-133. წ. II, ნ. II, 1929, გვ. 251-254.

[5]ვ. აბაშმაძე, ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, 1969; მისივე, „მართალი სამართლის" ცნება ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებაში, თსუ შრომები, № 119; მისივე, „ქმნა მართლისა სამართლისა", ლიტერატურული საქართველო, 1966, 9 სექტემბერი; მისივე, შოთა რუსთაველის იურიდიული შეხედულებანი, ჟურნ., „ნათობი", № 1, 1966.

[6]ე. ხინთიბიძე, „მართალი სამართლის" ცნებისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე", 1969, № 2.

[7]ქართლის ცხოვრება, I, გვ. 353.

მნიშვნელოვანი იყო დავითის მიერ გელათის ტაძრის დაარსება, რომელიც, დავითის მემატიანის გადმოცემით, „აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად მოძღურად სწავლულებისსად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა სამღთოთა შინა წესთა". ეს დიდებული ტაძარი იყო „აღმატებული ყოვლითა წინანდელთა ქმნილთა, რომელი ზეშთა ჰმატს შუენიერებასა ყოვლითასა".

მეფემ გელათში „შემოიკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა არა თვისთა ოდენ სამეფოთა შინაპოვნილნი, არამედ ქვეყანათა კიდეთად, სადაც ესმა ვიეთმე სიწმინდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ხორციელითა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა და კეთილად გამოიძინა, მოიყვანნა და დაამკვიდრნა მას შინა". გელათის მონასტერი როგორც დავითს ქონდა ჩაფიქრებული, ქართული კულტურის ცენტრად იქცა[1]. გელათში თავი მოიყარეს ქართული კულტურის დიდმა მოღვაწეებმა, მეცნიერებმა. ის იყო ქართული აკადემია, რომლის რექტორი მოძღვართმოძღვარი უნდა ყოფილიყო[2]. სწორედ დავითის ინიციატივით უნდა დაბრუნებულიყვნენ საქართველოში თეოფილე ხუცესმონაზონი, არსენ იყალთოელი და მრავალი სხვა მოღვაწე[3].

დავითი მრავალეროვნული სახელმწიფოს მეფე იყო. იგი აღიარებდა ყველა სარწმუნოების თანასწორობას, სარწმუნოებრივ თავისუფლებას. ცნობილია, რომ ტახტის მემკვიდრესთან ერთად იგი შედიოდა თურქულ მიზგითში, რათა პატივისცემა გამოეხატა მუსლიმანური სარწმუნოებისადმი. ასევე პატივისცემით ექცევა დავითი სხვა საწმუნოების აღმსარებელ ხალხებსაც. ამიტომ იყო, რომ დავითმა დიდი პატივისცემა დაიმსახურა და, უცხოური წყაროების ცნობით, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები თავს უკეთ გრძნობდნენ საქართველოში, ვიდრე სამშობლოში[4].

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ დავითი იბრძოდა არა მარტო ქართული კულტურის აყვავებისათვის, არამედ საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხების კულტურის განვითარებისთვისაც. ცნობილია, რომ დავითმა გამოჩენილი მაჰმადიანი პოეტებისა და მეცნიერებისათვის თბილისში საგანგებო თავშესაფარი დაარსა, სადაც უცხოელებს ეროვნული მოღვაწეობისათვის სათანადო პირობები ჰქონდათ შექმნილი.

---

[1]ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 359.

[2]ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის რედ., 1970, გვ. 30-31.

[3]კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 252-253.

[4]ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 360.

როგორც აღვნიშნეთ, დავითი ყოველგვარ ზომებს ღებულობდა სწავლა-განათლების განვითარებისათვის საქართველოში. მან 40 ბავშვი გაგზავნა საბერძნეთში განათლების მისაღებად[1].

დავითი, როგორც სახელმწიფოებრივი მოღვაწე, ხშირად უპირისპირდება თავის პრაქტიკულ საქმიანობაში ქრისტიანობის დოგმატებს. ნაწარმოებში „გალობანი სინანულისანი" დავითი ჩამოთვლის თავის ისეთ პრაქტიკულ საქმიანობას, რომელიც აღნიშნული რელიგიის ნორმებს ეწინააღმდეგება[2].

დავითი აღნიშნავს, რომ მეფობა ღვთისაგან მომდინარეობს, რომ ღმერთმა დაამსგავსა ის თავის სახეს და ღმერთმა მისცა მას „პორფირი თვითმპყრობელობისა თანა მეფობისაცა"[3]. ამიტომაც ვალდებულად თვლის „ქედმოდრეკილად" და „მუხლმოდრეკილად" უთხრას „აღსარება" მას, ე.ი. ანგარიში ჩააბაროს თავისი მოქმედებისა.

დავითი ღმერთს მიმართავს თხოვნით: მოდის ჟამი ჩემი ამ ქვეყნიდან წასვლისა. ჩემს სიცოცხლესთან ერთად ჩემი მეფობაც დამთავრდება. სამეფო გვირგვინს სხვა დადგამს, ჩემი ლაშქარი სხვის განკარგულებაში გადავა, მე წარმოვსდგები შენს წინაშე ღმერთო, „მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო".

დავითი მრავალ მძიმე ბრალდებას უყენებს საკუთარ თავს. ის თავს დანაშაულებს იმაში, რომ სახელმწიფო საზღვრების გაფართოებისათვის თავისი ქვეყნის საზღვრებს სცილდებოდა და მრავალ ადგილს იპყრობდა. ამასთან, მას დანაშაულად მიაჩნდა ისიც, რომ სხვათა დასმენით ორგულებს უსწორდებოდა. დავითი იხსენებს, რომ ქრისტიანული დოგმატების საწინააღმეგოდ ის ცის მნათობებს სწავლობდა.

დავითს ქორწინების საკითხში რაღაც ცდომილება ჰქონია. „გალობანი სინანულისანში" ის წერს: „...ქორწილთა მიერ ხენეშთა ვჰმძლავრე საწოლსა ჩემსა".

თავის 1123 წლის ანდერძში შიო მღვიმის ბერებს დავითი ასეთ ლოცვას აბარებდა: „უფალო ღმერთო, დავითს მიუტევენ ბრალნი მისნი სიყრმისა და ცდომილებისანი"[4]. ი. ჯავახიშვილი ეხება ამ საკითხს და ამბობს, რომ მეფეს პირველად სიმხის ქალი ჰყავდა ცოლად, რომლისგანაც ტახტის მემკვიდრე დემეტრე ეყოლა, შემდეგ, როგორც ჩანს, გაყრია

---

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 71.

[2] ს. ინაოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 600-605.

[3] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, ს. ყუბანეიშვილის რედ., გვ. 374.

[4] ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედ., II, გვ. 15.

მას: იქნება სწორედ ეს საქციელი იყო დავითის „ბრალნი სიყრმისა“ და „სიჭაბუკისანი“. ასეა თუ ისე, „სინამდვილე ჯერ საიდუმლოებით არის მოცული“ — წერს ი. ჯავახიშვილი[1].

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ დავითი დამარხულ უნდა იყოს გელათის მონასტრის შესასვლელში. მისი უკანასკნელი სურვილი იყო, რომ მონასტერში ყოველ შემსვლელსა და გამომსვლელს მის საფლავზე გაევლო და ასეთი თავდამბლობით ცოდვები გამოესყიდა.

დავით აღმაშენებლის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებების განხილვისას სპეციალურად უნდა შევჩერდეთ ბუნებით სამართალზე.

ბუნებითი სამართლის თეორიები სხვადასხვა ეპოქის მიხედვით სხვადასხვა შინაარსისა იყო, მაგრამ საერთო ნიშნებიც ჰქონდა. ბუნებითი სამართლის სხვადასხვა ეპოქის წარმომადგენელთა შეხედულებებში საერთო იყო ის, რომ ბუნებითი სამართალი წარმოადგენს მარადიულ და უცვლელ იდეებს. ეს იდეები გამომდინარეობს თვით ადამიანის ბუნებიდან, ან ღვთის განგებიდან და არ შედის პოზიტიურ სამართალში, რომელიც ისტორიულად ცვალებადია. ბუნებითი სამართალი მაღლა დგას პოზიტიურ სამართალზე. უკანასკნელი პირველის იდეებით უნდა ხელმძღვანელობდეს. პოზიტიურ სამართალს ქმნის ხალხი. ბუნებითი სამართალი, თავის მხრივ, სამართლიანობას წარმოადგენს.

ბუნებითი სამართლის იდეები ცნობილი იყო ანტიკური სამყაროს მოაზროვნეთათვის (სოფისტები, არისტოტელე, რომის იურისტები). რომის იურისტებმა იცოდნენ: ბუნებითი სამართალი, ბუნებიდან გამომდინარე ნორმები, რომლებიც აწესრიგებდა ადამიანთა და ცხოველთა ქცევას; ხალხთა სამართალი, რომელიც ბუნების მიერ ყველა ხალხისათვის არის დაწესებული და საერთოა ადამიანებისათვის; ცივილური სამართალი, რომელიც დაწესებულია ცალკეული ხალხისათვის (რომაელებისათვის).

შუა საუკუნეებში ბუნებითი სამართალი აღიარებული იყო ღვთის სამართლის სახეობად.

ბუნებითი სამართლის იდეები ძლიერ გავრცელდა ფეოდალიზმის რღვევის ხანაში, მისი იდეოლოგები იყვნენ: გროციუსი, სპინოზა (ჰოლანდიაში), ჰობსი და ლოკი (ინგლისში), რუსო (საფრანგეთში), ლაიბნიცი, პუფენდორფი, კანტი, ფიხტე (გერმანიაში).

დავით აღმაშენებელი, როგორც ვთქვით, იცნობდა ბუნებითი სამართლის იდეებს, იზიარებდა მას და მასვე უფარდებდა თავის

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 270.

პროგრესულ ღონისძიებებს სახელმწიფოს მართვაში.

„ვალობანი სინანულისანში“ დავით აღმაშენებელს საუბარი აქვს წიგნის სჯულზე, ე.ი. დაწერილ სამართალზე, ბუნებით სჯულზე, ე.ი. ბუნებით სამართალზე და ხორციელ სამართალზე: „სჯულნი... წიგნისანი და ახალი ბუნებითი და კუალად სხვაი, სჯულისა შენისა მოწამე, სჯული გონებისაი, ცოდვათა და ხორცთა შჯულსა დავამონე“[1]. დაწერილი სჯული საღმრთო წიგნებსა და საერთოდ ღვთაებრივ სჯულს უნდა ნიშნავდეს[2]. ბუნებითი სჯული, როგორც ჩანს, იგივე გონებითი სჯულია. უფრო საეჭვოა გაგების თვალსაზრისით „ხორცთა სჯული“. ქრისტიანული რელიგიის თვალსაზრისით, იგი („ხორცთა“) სულის საწინააღმდეგო უნდა იყოს და შესაძლებელია ნიშნავდეს ადამიანის მიდრეკილებას ხორციელი სიამოვნებისაკენ.

მოყვანილი ციტატის შინაარსის დადგენაში შესაძლებელია დაგვეხმაროს „ძეგლისწერაი რუის-ურბნისის კრებისაი“, რომელშიც „ვალობანი სინანულისანი“ შინაარსით „ძეგლისწერის“ დებულებებს იმეორებს. „ძეგლისწერა“ შედგენილია დავით აღმაშენებლის ინიციატივით მოწვეული საეკლესიო კრების მიერ და მასში გამოთქმული მოსაზრებანი გამოხატავს დავითის შეხედულებებსაც. ამდენად, შეიძლება გამოვიყენოთ მასში გადმოცემული იდეები დავითის პოლიტიკურ და იურიდიულ შეხედულებათა გასარკვევად.

„ძეგლისწერის“ მიხედვით, ღმერთმა ადამიანს მისცა სჯული, მაგრამ ეშმაკის ბირებით პირველმა ადამიანმა დაარღვია ღმერთის მიერ მოცემული სჯული (ადამიანმა ღვთისაგან „ნივთად თვითმფლობელისა მოცემული სჯული“ დაარღვია)[3].

ღმერთმა სასჯელის სახით მრავალი რამ აგემა ადამიანს, რათა ამ უკანასკნელს სწორი გზით ევლო, მაგრამ ამაოდ. მაშინ ღმერთმა მოსეს სჯულის სახით დაწერილი სჯული მისცა ადამიანს[4]. ეს იყო წიგნის სჯული[5]. ღმერთმა კაცის სახე მიიღო, ადამიანთა ცოდვილი მოდგმა რომ

---

[1]ს. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 602; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ს. ყუბანეიშვილის რედ., I, გვ. 374.

[2]ვ. აბაშაძე, ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, გვ. 332.

[3]ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის რედ., 1970, გვ. 106; ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 133; ვ. აბაშაძე, ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, გვ. 329.

[4]ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის რედ., გვ. 107-108.

[5]ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ს. ყუბანეიშვილის რედ., 1946. გვ. 174. ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნაწ. I, გვ. 132; ნაწ. II, გვ. 251-252.

ეხსნა. იესო ქრისტე განკაცებული ღმერთია. პირველად ადამიანმა მიიღო ბუნებითი სამართალი, ხოლო შემდეგ დაწერილი სჯული: „მოგუეცნეს, – აღნიშნულია „ძეგლისწერაში" – პირველად ბუნებითი და მერმე დაწერილი სჯული"[1]. ბუნებითი სამართალი არ არის დაწერილი. ის ღვთის განგებით არსებობს. დაწერილი სამართალი ღვთის სამართლის კონკრეტული გამოვლინებაა, რომელიც შედგენილია ეკლესიის, საეკლესიო კრებების, ეკლესიის ხელისუფალთა მიერ და მიზნად ისახავს კონკრეტულად მიუთითოს ადამიანებს, თუ როგორ მოიქცნენ ერთმანეთთან ურთიერთობაში, როგორ გაიგონ ღვთის ნება ცალკეულ შემთხვევაში: ბუნებითი სამართალი და სამართალი „განკაცებული", ღმერთის ანუ დაწერილი სამართალი, პრინციპში არ შეიძლება განსხვავებული იყოს ერთმანეთისაგან, რამდენადაც ორივეს ღვთის ნება უდევს საფუძვლად. მაგრამ პირველი, ე.ი. ბუნებითი სამართალი ზოგადია (მაგალითად, ბუნებითი სამართლის მიხედვით, ადამიანი ღვთის მიმდევარი და კეთილი უნდა იყოს), დაწერილი სამართალი კი კონკრეტულად მიუთითებს, თუ ცალკეულ შემთხვევაში რას ნიშნავს ეს ზოგადი დებულება. რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ შექმნა დაწერილი სამართალი და დაწესა რიგი ნორმები, რომლებითაც ადამიანი უნდა ხელმძღვანელობდეს თავის მოქმედებაში: მაგალითად, „ძეგლისწერამ" დაწესა, რომ ეპისკოპოსის პატივი, მისი თანამდებობა უნდა ეჭირაოს ადამიანს, ისეთ პიროვნებას, რომელიც საამისოდ მომზადებულია. ეპისკოპოსი ასაკით უნდა იყოს არანაკლებ 36 წლისა, მღვდელი – 30 წლისა, ხოლო საეკლესიო წიგნების წამკითხველი არანაკლებ 8 წლისაო[2]. ხელდასხა უნდა ხდებოდეს იმ წესის მიხედვით, რომელიც გიორგი მთაწმინდელმა შექმნა, და არა ქრთამით[3].

როდესაც აღმაშენებლის პოლიტიკურ თვალსაზრისს ვეხებით, არ შეიძლება გვერდი აუაროთ მის შეხედულებას ტახტის მემკვიდრეობაზე, რომელიც გამოთქმული აქვს თავის 1125 წლის ანდერძში. ამ ანდერძის მიხედვით, მეფე დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ღმერთმა მისცა მას ისეთი შვილი, როგორიც არის უფროსი ვაჟი დიმიტრი. მეფის დახასიათებით, იგი „სიბრძნითა, სიწმიდითა, აზროვნებითა და სიმხნითა" მასზე უკეთესი იყო[4]. დემეტრეს, წერს დავითი, „მივანდვენ შვილნი და დედოფალნიცა, შუამდგომლობითა ღმრთისაითა, რათა ძმაი მისი გაზარდოს.

---

[1]ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის რედ., 1970, გვ. 113.
[2]ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის რედ., გვ. 114-115.
[3]იქვე, გვ. 116.
[4]ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 19.

და თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ-იყოს ცუატა, შემდგომად მისსა მეფე ჰყოს მამულსა ზედა, და დათა მისთა პატივისცეს, ვითარ შვილთა ჩემთა საყუარელთა". აქ გარკვეით არის ნათქვამი, რომ დემეტრეს თავისი მეფობის შემდგომ ტახტზე უნდა აეყვანა მისი ძმა ცუატა. სინამდვილეში დემეტრეს შემდეგ ტახტზე ავიდა მისი უფროსი ვაჟი დავითი. როგორც ჩანს ცუატა ადრე გარდაიცვალა, ან ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ტახტზე მისი ასვლა არ შეიძლებოდა. ყოველ შემთხვევაში, სხვა რაიმე ცნობა ცუატას შესახებ არ არის შემონახული.

დავით აღმაშენებლამდე საქართველოში არსებული წესის მიხედვით, ტახტი გადადიოდა უფროს ვაჟზე[1]. ეს წესი დაარღვია დემეტრე მეფემ, შესაძლებელია დემეტრეს ამ წესის დარღვევა მამის 1125 წლის ანდერძმა გაუადვილა.

უფროს ვაჟზე ტახტის გადასვლის წესი შეიცვალა თამარ მეფისა და რუსუდანის ტახტზე აყვანით, რუსუდანის შემდეგ ტახტზე ავიდა მეფის უფროსი ვაჟი[2].

უფრო გვიან ამ წესის შეცვლა მოინდომა ერეკლე II-მ თავისი „განწესებით" ტახტის მემკვიდრეობის შესახებ, მაგრამ ამ „განწესებას" განხორციელება არ ეწერა: ქართლ-კახეთის სამეფო, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული, მოისპო.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ფართო აზროვნების, თავისი ეპოქისათვის ფრიად განათლებული ადამიანია[3]. მან კარგად იცის მსოფლიო ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები და დავითის დახასიათებისას შედარებისათვის გამოჩენილ ისტორიულ პიროვნებათა მოღვაწეობას ეხება.

ისტორიკოსი აქებს და ადიდებს დავითს. მისი აზრით, დავითი ახალი ალექსანდრე მაკედონელია. დროით, წერს მემატიანე, დავითი ალექსანდრეს შემდეგ იყო, ხოლო საქმით, სიმხნით, ნაკლები კი არა, მასზე მეტიც იყო[4]. ავტორის შეხედულებით, საქართველო პატარა

---

[1]ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, ნ. II, 1929, გვ. 188-192.

[2]ი. სურგულაძე. ტახტის მემკვიდრეობის საკითხი „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით, შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილისადმი მიძღვნილი თსუ კრებული, 1966.

[3]ი. ჯავახიშვილი, ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 208-219.

[4]ქართლის ცხოვრება, I, გვ. 338-339.

ქვეყანა იყო და პატარა ლაშქრის გამოყვანა შეეძლო, ასეთი ლაშქრით ალექსანდრე მაკედონელიც კი ვერაფერს გახდებოდა. დავით აღმაშენებელი რომ სპარსეთის, საბერძნეთის ან რომის მეფე ყოფილიყო, „მაშინღა გენახეს ნაქმარნი მისნი უაღრესნი სხვათა ქებულთანი"[1].

მაშასადამე, ისტორიულ პიროვნებას პირობებიც უნდა უწყობდეს ხელს, რომ შესაძლებლობა ჰქონდეს ფართო გაქანებისა. ამისათვის კი საჭიროა სახელმწიფოს სიდიდე, სიძლიერე და სხვა.

დავითისა და ალექსანდრე მაკედონელის ასეთი შედარება ნიშნავს მსოფლიო ისტორიულ ასპარეზზე ქართველი მეფის გაყვანას და მაჩვენებელია მემატიანის ეპოქის საქართველოში ეროვნული თვითშეგნების განვითარებისა[2].

ისტორიკოსი ყოველმხრივ იწონებს დავითის მოღვაწეობას, განსაკუთრებით კი მის ბრძოლას მსხვილი ფეოდალების წინააღმდეგ მტკიცე ცენტრალიზებული სახელმწიფოს შესაქმნელად. ისტორიკოსი წერს, რომ ფეოდალებს „ორგული ბუნება" აქვთ „თავისთა უფალთა" მიმართ, ისინი „რაჟამს განდიდნენ, განსუქდნენ და დიდება პოონ და განსვენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა" მეფის წინააღმდეგ[3]. დავითმა, თურმე, ეს კარგად იცოდა და „არაოდეს მოაცალა ამისად განზრახვად ანუ განსვენებად, ანუ შეკრებად და ქმნად რასამე ესევითარსა". დავითი მოღალატეებს არ ინდობდა, სჯიდა, ამდაბლებდა და თავის ერთგულებს აწინაურებდა. ამიტომ დავითს, ისტორიკოსის გადმოცემით, „მბრალობელნი" ჰყავდა. ისტორიკოსის აზრით, დავითი მართებულად მოიქცა, როცა, მეფის ხელისუფლების გაძლიერების მიზნით, ბრძოლა დაუწყო მსხვილ ფეოდალებს, რომლებსაც არ მისცა საშუალება „ორგულებისა, ზაკვისა და ღალატისათვის". მეფის მოღალატენი შეშინებულან, ხმის ამოღებას მეფის წინააღმდეგ, ერთმანეთში ლაპარაკს ვერ ბედავდნენ; ეშინოდათ მეფეს არ შეეტყო და სასტიკად არ დაესაჯა[4]. როგორც ჩანს, მეფეს სადაზვერვო ორგანიზაცია ჰქონია, რომლის მეოხებითაც ამგვარ ამბებს დროულად იგებდა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ისტორიკოსი საგანგებოდ ჩერდება მეფის ხელისუფლების საკითხზე და ჩამოთვლის მისი საქმიანობის სხვადასხვა დარგს, რომელიც მეფეს ექვემდებარება.

ისტორიკოსის აზრით, მეფის კომპეტენციას, მის ფუნქციებს, საერთოდ იმას, რაც მეფეს ევალებოდა, ეწოდებოდა „მართებანი", ე.ი. მართებდა,

---

[1]ქართლის ცხოვრება, I, გვ. 358-359.

[2]კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 263.

[3]ქართლის ცხოვრება, I, გვ. 359.

[4]იქვე, I, გვ 355.

მოვალე იყო განეხორციელებინა მმართველობის სხვადასხვა დარგის ხელმძღვანელობა[1]. პირველ ყოვლისა, მეფე უნდა ხელმძღვანელობდეს სამეფოს დაცვას გარეშე მტრებისაგან; სამეფო საზღვრები მტერმა არ უნდა გადმოლახოს, ამისათვის მეფემ კარგად უნდა იცოდეს სამხედრო საქმე, სათანადოდ ჰყავდეს გაწვრთნილი ლაშქარი, რომელიც მზად იქნება მტერზე თავდასხმისათვის, ქვეყნის თავდაცვისათვის[2]. ამასთანავე, მეფე საგარეო ურთიერთობის მთავარი მარეგულირებელი ძალაა. ის ღებულობს უცხო სახელმწიფოების ელჩებს, ისტუმრებს მათ და, თავის მხრივ, საჭიროებისამებრ გზავნის თავის მოციქულებს სხვადასხვა ქვეყნებში.

მეფე ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ თავის სამეფოში წესრიგი და მშვიდობა ჰქონდეს, აქრობს ყოველგვარ შფოთს და სათანადოდ სჯის მზაკვრებსა და მოღალატეებს.

მეფე განაგებს თავის სამეფოს შემოსავალ-გასავალს, ნიშნავს მოხელეებს, განსაზღვრავს მათ კომპეტენციას, საქმიანობას[3].

მეფე უმაღლესი მოსამართლეა თავის სამეფოში. მას ეკალება „მოჩივართა მართალი გამოძიებანი". მეფე მოვალეა „გაჭირვებული და მიმძლავრებული მოჩივარის" საქმე გამოიძიოს და იყოს „განმკითხავი" მათი[4].

ისტორიკოსის აზრით, მეფის კომპეტენცია იმდენად ფართოა, რომ ამომწურავად მისი განსაზღვრა, ჩამოთვლა იმისა, თუ რა ხასიათის საქმეები ექვემდებარება მას, არც შეიძლება, რადგანაც სამეფო საქმეები უთვალავია და სიტყვით მისი ამოწურვა იქნებოდა უფსკრულის ამოვსება[5].

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის შეხედულებით, მეფე უნდა იყოს ბრძენი, წინდახედული, მოწყალე. ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მეფემ დამნაშავენი წყალობით უნდა წვრთნას. ამასთანავე, თუკი წყალობა არ გაჭრის, მეფე მოღალატის მიმართ სასტიკი უნდა იყოს.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ, დავითის ისტორიკოსის გარდა, იმ დროს სხვა პოლიტიკური მოღვაწეებიც გამოთქვამდნენ მოსაზრებას: მეფე იმდენად მწყალობელი უნდა იყოს, რომ მან წყალობით უნდა აღავსოს ერთგულნი და ორგულნი; წყალობა მეფის ხელში ის საშუალება უნდა იყოს, რომლითაც ორგულსაც კი იერთგულებსო, მაგრამ წყალობით

---

[1]ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაწ. II, გვ. 212-235.

[2]ქართლის ცხოვრება, I, გვ. 351.

[3]იქვე, გვ. 351.

[4]იქვე, გვ. 354.

[5]ქართლის ცხოვრება, I, გვ. 351.

ორგულების გაერთგულება ხშირად ვერ აღწევს მიზანს. გარდა ამისა, იმ გარემოებამ, რომ საქართველოში მეფის წყალობა ფეოდალთა გაერთგულების საშუალება იყო, გამოიწვია სამეფო მამულებისა და გლეხების ფეოდალთა ხელში გადასვლა და საბოლოო ჯამში მეფის ხელისუფლების დასუსტება.

რასაკვირველია, სუბიექტურად დავითის ისტორიკოსი სწორედ მეფის ხელისუფლების გაძლიერებისათვის იბრძვის. მისი შეხედულებით, მეფის ძლიერი ხელისუფლება საწინდარია ქვეყნის შინაური და გარეშე მტრების დასთრგუნად. ასეთი შეხედულება კი იმ ეპოქისათვის უსათუოდ პროგრესულია.

დავითის ისტორიკოსი ქრისტიანული მსოფლმხედველობის მქონე პიროვნებაა. მისი აზრით, დავით აღმაშენებელს მეფობა ღმერთმა მიანიჭა, ამიტომ დავითის ყოველი მოქმედება ღვთისაგან მომდინარეობს. დავითს არავინ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, რადგანაც ეს ღვთის გმობა იქნება. სიკვდილის შემდეგ ღმერთმა დავითი თავისთან მიიყვანა. ისტორიკოსის აზრით, დავითს მოუწოდა „ღმერთმან შემყუარებელსა თვისსა და მარადის მოსურნესა სამარადისოდ მეფობად წინაშე მისსა... სადა თვით იგი ბუნებით ღმერთი მეუფებს მადლით ღმერთ-ქმნილთა ზედა, მუნ აღიყვანა მისთანა მეფობად, უხრწნელითა და ბრწყინვალითა გვირგვინითა და პორფირითა შემკული, სადა აწ მკვიდრი არს და იქცევის ნათელსა შინა ღმრთაებისასა"[1].

დავითის ყოველგვარი წარმატება, მისი ისტორიკოსის აზრით, ღვთის განგებას უნდა მიეწეროს[2].

რასაკვირველია, მორწმუნე ისტორიკოსი ხშირად ღვთის სასწაულებს იშველიებს. მაგალითად, ავტორი წერს, რომ დავითს ისარი ესროლეს, მაგრამ იგი მოხვდა ოქროს ხატს, რომელიც მეფეს ყელზე ეკიდა და მეფე უვნებელი გადარჩა. ისტორიკოსი წერს, რომ დავითს ღმერთი ეხმარებოდა ყოველგვარ საქმიანობაში და ამიტომაც იყო დავითის მოღვაწეობა სანაქებო, უმწიკვლო და სასარგებლო.

ყუთლუ-არსლანის დასი

ერთადერთი წყარო ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკურ შეხედულებათა შესასწავლად არის თამარის პირველი ისტორიკოსის შრომა — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი". ამ ძეგლში ჩვენთვის

---

[1]ქართლის ცხოვრება, I, გვ. 362.

[2]იქვე, გვ. 329, 361.

საინტერესო საკითხის შესახებ შეტად მოკლე ცნობაა შემონახული. მემატიანე მოგვითხრობს ჯერ დიდგვაროვან აზნაურთა გამოსვლაზე, რომელთაც „უგვარო“ ყუბასარისა და აფრიდონის გადაყენება მოითხოვეს. მეფემ დააკმაყოფილა დიდგვაროვანთა მოთხოვნა, გადააყენა „უგვარო“ დიდი მოხელეები და დიდებულებმა „ხელისუფლობისა და დიდებისათვის ურთიერთს დაუწყეს ზიდვა“, ე.ი. განთავისუფლებული ადგილებისათვის შეიქნა ბრძოლა. ეს საქმე დამთავრებული არ იყო, განაგრძობს მემატიანე, როცა ასპარეზზე გამოდის ყუთლუ-არსლანის დასი:

„და ესეცა უცხო მოსაგონებელი: ყუთლუ-არსლან, ცხოვარმან ჯორის სახ(ედ) ორ ბუნებისა მყოფელმან, ვითარ მისცემს ბიჭთა გონებისა მზაკუარება, მომღებელმან წესსა რასამე სპარსთა განაგისსა, ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანისასა და სანახებსა საღოდებლისასა და თქუა: „დასხდომილნი მუნ შიგა, განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა, მაშინღა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი“[1].

ამ ბუნდოვანი წინადადებების შინაარსი შემდეგნაირად შეიძლება გავიგოთ: პირველ ყოვლისა, მემატიანე ამზადებს მკითხველს უცნაური, გაუგონარი ამბის მოსასმენად, რომელიც „უცხო მოსაგონებელია“, მისი მსგავსი არაფერი უნახავს, არც გაუგია. ამ „უცხო მოსაგონრის“ ავტორი არის ყუთლუ-არსლანი, წერს მემატიანე და ახასიათებს მას როგორც ორპირს, მზაკვარს და ბიჭს, ე.ი. ბუშს, უკანონო შვილს[2].

მემატიანე მოგვითხრობს, რომ მზაკვარმა და „ორი ბუნების“ მქონე ყუთლუ-არსლანმა თავისი მოთხოვნა სპარსთა წესის მიხედვით მოიგონა[3]. სპარსეთი ამ შემთხვევაში ზოგადად არის ნახსენები, როგორც საქართველოს მტერი. ისტორიკოსი ამით გვეუბნება: მტერთან თუ მოძებნი ასეთ რამეს, თორემ სხვაგან ვერა, მტერს კი რა ეშნება ისეთი, რაც ჩვენთვის მისალები იქნება და მისი შემომღები ქვეყნის მოღალატედაც შეიძლება ჩათვალოსო.

ყუთლუ-არსლანმა მოითხოვა სასახლის ახლოს, ისნის ველზე, საგოდებლის მიდამოებში კარვის დადგმა, იმ კარავში უნდა დამსხდარიყვნენ ქვეყნის, სახელმწიფოს „განმგებელნი“: „განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი“. ეს იმას ნიშნავს, რომ კარავში მსხდომნი იქნებოდნენ ქვეყნის უზენაესი განმგებელნი, ყოველგვარი

---

[1]ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 30-31.

[2]ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. II, გვ. 158-161.

[3]იქვე, გვ. 181-183.

მნიშვნელოვანი საქმეების საბოლოოდ გადამწყვეტნი. ტერმინები „წყალობა“ და „შერისხვა“ — მართლმსაჯულების ფუნქციას გულისხმობს, ხოლო „მიცემა“ და „მოღება“ ფართო მნიშვნელობის სიტყვებია; შეიძლება ამ ტერმინებში მრავალი რამ იგულისმებოდეს: თანამდებობის მიღება და ჩამორთმევა, მამულის წყალობა და ჩამორთმევა და სხვ. „განგება“ კიდევ უფრო ფართო შინაარსის ტერმინია და ნიშნავს სახელმწიფო ან საეკლესიო საქმეების მოწესრიგებას, მართვას.

ყუთლუ-არსლანის მიერ წამოყენებული მოთხოვნის თანახმად, კარავში მსხდომთ ხელში უნდა ჰქონოდათ ქვეყნის უზენაესი გამგებლობა და უზენაესი მართლმსაჯულება.

ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, „კარავი“, მაშინდელი წყაროების მიხედვით, „დარბაზის“ სინონიმი იყო, დარბაზი კი ფეოდალებისაგან შემდგარი სახელმწიფოს უზენაესი ორგანო, რომელიც შედგებოდა საერო და საეკლესიო დიდი მოხელეებისაგან[1]. დარბაზი, რომელსაც მეფის სასახლეში იწვევდნენ, ზღუდავდა მეფის ხელისუფლებას და ხელს უშლიდა ქვეყნის ცენტრალიზაციის საქმეს. ყუთლუ-არსლანმა და მისმა მომხრეებმა კარგად იციან ამ დარბაზის არსებობა. ყუთლუ-არსლანი, როგორც ვეზირი, მისი წევრია, მაგრამ საქმე ისაა, რომ მათ ასეთი დარბაზი როდი სურდათ. ყუთლუ-არსლანის მოთხოვნაში „დარბაზის“ მაგიერ „კარავი“ შემთხვევით არ არის ნახმარი. გარდა ამისა, მოთხოვნაში აღნიშნულია, რომ კარავი უნდა დაიდგას სასახლის ახლოს. ყუთლუ-არსლანის პროგრამის მიხედვით. კარავი საკუთარი ახალი დაწესებულებაა, რომელიც არსებითად განსხვავდება დარბაზისაგან. დარბაზს მეფე იწვევს, მისი სათათბირო ორგანოა, მაშინ როდესაც კარავში მსხდომნი თვით არიან ქვეყნის გამგებელნი და მეფე ამ „გამგებლობაში“, კარავის მუშაობაში არ ღებულობს მონაწილეობას[2]. კარავში მსხდომნი უზენაესი გამგებლობის რომელიმე საკითხის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას აცნობდნენ მეფეს, ამ შემთხვევაში თამარ მეფეს, ეს უკანასკნელი კი სისრულეში მოიყვანდა მას, ე.ი. მეფეს მხოლოდ გადაწყვეტილების შესრულების ფუნქცია რჩებოდა. სხვა მხრივ მართვის საქმე კარვის ხელში გადადიოდა.

---

[1]ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. II, გვ. 237-245; საქართველოს ისტორია, I ნ. ბერძენიშვილის რედ., გვ. 207; ქართულის სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის რედ., გვ. 21-22.

[2]ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 30-31.

როგორ მიიღო ასეთი მოთხოვნა მაშინდელმა სამეფო ხელისუფლებამ? „ესე ვიეთ საწყენელ იყო — დასასრულისა ხელმწიფობისა პატრონისასა მიმცემელი — ესრეთ იწყინა, და გაიკვირვა და გაიგონა უკლებელმან გონებითა და საუნჯემან სიბრძნისამან და მოიღონა ხელით გდება თავისა მის მოქმედთასა და თანამზრახველ მყოფელმან ერთგულთა და საკუთართა მისთამან შეიპყრა ყუთლუ-არსლან, მეჭურჭლეთუხუცესი და აწ თავისა თვისისა ამირსპასალარად და სომხითს სომეხთა მეფისა ადგილსა ლორეს დასაჯდომად განმზადებული“.

ისტორიკოსის გადმოცემით, თამარ მეფემ „გაიკვირვა“ თურმე ყუთლუ-არსლანის მოთხოვნა, „იწყინა“ კიდეც ეს ამბავი და „საწყენელი იყო“, განმარტავს ისტორიკოსი, რადგანაც ყუთლყ-არსლანის წინადადების შესრულება იქნებოდა „დასასრული“ მეფობისაო.

თამარმა მაშინვე შეკრიბა თავისი ერთგულები, თანამზრახველები, მოეთათბირა მათ და გადაწყვიტა სასწრაფოდ დაეპატიმრებინა ამ საქმის მოთავე ყუთლუ-არსლანი იმ იმედით, რომ მეთაურის დაპატიმრება მეფის მოწინააღმდეგე ბანაკს დაშლიდა. ყუთლუ-არსლანი დააპატიმრეს. მემატიანეს ისიც აქვს ნათქვამი, რომ ყუთლუ-არსლანი გამარჯვების შემთხვევაში ამირსპასალარის ვაკანტური ადგილის დაჭერას ვარაუდობდა.

თამარისა და მისი თანამზრახველების მოსაზრება, რომ ყუთლუ-არსლანის დაპატიმრებით აჯანყება ჩაქრებოდა, არ გამართლდა. „და ვითარცა ცნეს ესე ლაშქართა თანაშეფიცულთა და თანაშემწეთა მისისა მის გზად-გამყველობისა და უკეთურებისათა, შეიყარნეს და უკუადგეს თამარს, დაადგინეს ასალი სიმტკიცე ყუთლუ-არსლანის გაშუებულობისა და, არა მიშუებისა ვნებად მისსა მეტყველნი, განემზადნეს ისინისაცა შემობმად“[1]. მაშასადამე, იმწამსვე, როგორც კი ყუთლუ არსლანის დაპატიმრება შეიტყვეს, მისმა „თანაშეფიცულებმა“ და „თანაშემწეებმა“ გადაწყვიტეს თამარისათვის კატეგორიულად მოეთხოვათ ყუთლუ-არსლანის განთავისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ყუთლუ არსლანის თანაშეფიცულთა ლაშქარი იარაღით ბრძოლას იმუქრებოდა.

„ლაშქარი“ ყუთლუ-არსლანის დასის შემადგენლობის გასარკვევად არაფერს გვეუბნება. „ლაშქარი“, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, არის „დიდი ჯარი სამტროდ გამზადებული“. „ლაშქარი“, „ვეფხისტყაოსნითაც“, სამხედრო ჯარს ნიშნავს. ამ შემთხვევაში „ლაშქარი“

---

[1]ქართლის ცხოვრება, II, გვ. 31.

მტრის წინააღმდეგ მიმართული სპა კი არ არის, არამედ მეფის წინააღმდეგ აჯანყებული ყუთლუ-არსლანის დასის მომხრეთა კრებულია, ლაშქარია, რომელიც მეფეს უნდა შეებრძოლოს. „თანაშეფიცულთა“ და „თანაშემწეთა“ ლაშქარი საკმაოდ დიდი ყოფილა: ქადილის ძალაც ჰქონია და მეფეს ვერ მიუჩნეია შესაძლებლად მათ წინააღმდეგ ძალა გამოეყენებინა.

ყუთლუ-არსლანის თანამზრახველთა ვინაობის გასარკვევად საინტერესო იქნებოდა თვით ყუთლუ-არსლანის პიროვნებისა და საქმიანობის შესწავლა. ყუთლუ-არსლანი იყო მეჭურჭლეთუხუცესი. მეჭურჭლეთუხუცესი, ქართული სახელმწიფო სამართლის მიხედვით, მეფის ერთ-ერთი ვეზირი იყო. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, მეჭურჭლეთუხუცესს სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალი ებარა, ე.ი. — ის იყო ფინანსთა მინისტრი. ამავე ძეგლის მიხედვით, მეჭურჭლეთუხუცესს ექვემდებარებოდნენ: ძველი ქალაქები (ე.ი. ისეთი ქალაქები, რომლებიც მეფეს ეკუთვნოდა სამართლის საჯარო საწყისებით, ასეთი ქალაქები იყო თბილისი, ქუთაისი და სხვ.), ვაჭრები და საერთოდ სავაჭრო საქმეები (როგორც საშინაო, ისე საგარეო), სალარო და საჭურჭლე, რომელშიც ინახებოდა ყოველდღიურად ნახმარი ნივთები და განძეულობა. მასვე ექვემდებარებოდნენ ქალაქის მოხელენი — ამირები, საჭურჭლის ნაცვალი, მუქიბი, მუშრიბი, მეჭურჭლენი და სხვანი[1]. მეჭურჭლეთუხუცესის სამოქმედო ასპარეზის ასეთი ხასიათი უეჭველს ხდის იმ გარემოებას, რომ მას უშუალო ურთიერთობა ჰქონდა სწორედ ქალაქის მოსახლეობასთან. და სავარაუდებელიც არის, რომ მისი თანამზრახველნი სწორედ ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა ფენების წარმომადგენელები უნდა ყოფილიყვნენ. ამ ფენებში კი მეჭურჭლეთუხუცესისათვის დასაყრდენი ძირითადად ვაჭართა მაღალი ფენა იყო.

„ქართლის ცხოვრების“ ნუსხაში ყუთლუ-არსლანის პიროვნების შესახებ წერია: „და დაუდგრომელმან წესსა ზედა თავსსა, ვითარ ჩვეულება აქვს ყრმათა ადრე აღზუებად სიდიდისა მიერ და უფროსღა გუარითა უაზნოთა აღამაღლებს სიმდიდრე“[2]. აქვე სავსებით გარკვეულად

---

[1]ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის რედ., 1970, გვ. 39.

[2]ქართლის ცხოვრება, II, გვ. 30-31; ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. II, გვ. 160; ვ. აბაშმაძე, ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, გვ. 386-387.

არის აღნიშნული, რომ ყუთლუ-არსლანი „გვარით უაზნო“ იყო, მაგრამ სიმდიდრემ „აღამაღლა“. ეს განმარტება ფრიად საყურადღებოა ყუთლუ-არსლანის პიროვნების დასახასიათებლად; ამ დახასიათების მიხედვით ირკვევა, რომ ყუთლუ-არსლანი უგვარო იყო, მაგრამ სიმდიდრით განდიდებული. მაშასადამე, ის წარმოშობით ძირძველ ფეოდალებს არ ეკუთვნოდა. ქალაქის ვაჭართა წრეებთან ასეთი პირის დაახლოება უფრო სავარაუდებელია, ამასთან, შეიძლება მისი განსაკუთრებული სიმდიდრე სავაჭრო საქმეებთანაც იყო დაკავშირებული. მაგრამ ეს წყარო გვიანდელია, ის ეკუთვნის „ქართლის ცხორების“ შემდეგდროინდელ შემავსებელს და ძნელია იმის თქმა, რამდენად სანდოა იგი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეჭურჭლეთუხუცესი, „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, ძველი ვაზირია, ამიტომ შეუძლებელია ეს თანამდებობა დიდგვაროვანი ფეოდალის გარდა სხვას ჰქონოდა დაკავებული.

ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ, როცა დიდგვაროვანმა აზნაურებმა თამარს აჯანყება მოუწყვეს და „უგვარო“ დიდი მოხელეების — ყუბასარისა და აფრიდონის გადაყენება მოსთხოვეს, მათ ყუთლუ-არსლანის შესახებ არაფერი უთქვამთ, ე.ი. ყუთლუ-არსლანი არ ჩაუთვლიათ „უგვაროთა“ რიცხვში.

როდესაც ყუთლუ-არსლანის თანამოაზრეებმა თამარს მოსთხოვეს თავიანთი მეთაურის განთავისუფლება, ახალგაზრდა დედოფალი, ალბათ, ერთგულთა რჩევით, დათმობაზე წავიდა და ორი საპატიო მანდილოსანი — ქართლის ერისთავთ-ერისთავის დედა ხუაშაქი და კრავაი ჯაყელი გაუგზავნა გაფიცულებს. მოლაპარაკება მშვიდობიანად დაგვირგვინდა: „მოჰყვეს დიდებულნი ბრძანებასა პატრონისასა და წინაშე მოსრულთა დავრდომილთა თაყუან-ცეს, აღიღეს ფიცი პატრონისაგან და მისცეს მათ პირი ერთგულებისა და ნებისყოფისა მათისა“. გაფიცულებისა და საპატიო მანდილოსნების მოლაპარაკების შედეგად გამოუმუშავებიათ ორივე მხარისათვის მისაღები პირობები. ამის შემდეგ გაფიცულნი საპატიო მანდილოსნებს წამოჰყოლიან სასახლეში მეფესთან. მოსულებს „დავრდომით“ თაყვანი უცია მეფისათვის, აუღიათ მეფისაგან უვნებლობის ფიცი: თავის მხრივ, პატრონისათვის მიუციათ „პირი ერთგულებისა“ და ამით საქმე დამთავრებულა. საინტერესოა იმის გარკვევა, თუ როგორია ეს პირობები.

ყუთლუ-არსლანის მომხრეთა პირვანდელი მოთხოვნის თანახმად, ქვეყნის გამგებლობა გადადიოდა კარავში მსხდომთა ხელში ისე, რომ მეფეს ამ გამგებლობაში არავითარი მონაწილეობა არ უნდა მიეღო, მას

მხოლოდ კარვის გადაწყვეტილების „სრულქმნა", ე.ი. შესრულება ევალებოდა. სასახლეში გამოცხადებულმა ყუთლუ-არსლანის მომხრეებმა ცნეს, ი. ჯავახიშვილის განმარტებით, მეფის „ნებისმყოფლობის უფლება", ე.ი. ცნეს მეფის უფლებები ქვეყნის გამგებლობაში, მხოლოდ არ ჩანს, თუ როგორი იყო ამ „ნებისმყოფლობის ფარგლები".

ი. ჯავახიშვილი არკვევს საკითხს იმის შესახებ, თუ რა შინაარსის იყო შეთანხმება ყუთლუ-არსლანის მომხრეთა და მეფეს შორის და ჩერდება დიდ მოხელეთა არჩევნების საკითხზე, რომელიც მოცემული აქვს თამარის პირველ ისტორიკოსს.

თამარის პირველ ისტორიკოსს ყუთლუ-არსლანის მომხრეთა გამოსვლის აღწერის შემდეგ ნათქვამი აქვს, რომ ღვთისაგან კურთხეული თამარი სამეფო კარზე მართავდა ქვეყანას. ამას უშუალოდ მოსდევს თხრობა დიდი მოხელეების შესახებ.

მემატიანე მოგვითხრობს, რომ კათალიკოსისა და მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელის მიქაელისა და ამირსპასალარ გამრეკელ-თორელის ნაცვლად უნდა დაენიშნათ ახალი პირები (მიქაელი და გამრეკელ-თორელი გარდაიცვალნენ). ჩვენ ზემოთ ვახსენეთ, რომ მიქაელმა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლობა მოსტაცა ანტონ გლონისთავისძეს, რომელიც მეფე გიორგი III-ის დიდად სანდო და ერთგული მოხელე იყო. თამარი საეკლესიო კრების საშუალებით, შეეცადა დიდგვაროვანი მიქაელის გადაყენებას, მაგრამ ვერ შეძლო. მხოლოდ მიქაელის გარდაცვალების შემდეგ დადგა მეფის ერთგული ანტონის მიერ ამ თანამდებობის ხელახლა დაკავების საკითხი. მემატიანე წერს: „და გამორჩევასა შინა ორთა-ვაზირთა და სპასპეტთასა, — თანადგომითა და ერთნებაობით შვიდთავე სამეფოთა დიდებულთათა ბრძანა დამტკიცებად ჭყონდიდლად და მწიგნობართუხუცესად და ვაზირად (ანტონი), გაზრდილივე მამისა მათისა... და განაჩინა ამირსპასალარი სარგის მხარგრძელი, კაცი გუარიანი და აღზრდილი ლაშქრობასა შინა"[1]. მოტანილი ციტატის მიხედვით, გარდაცვლილი ორი მოხელის ნაცვლად, აურჩევიათ („გამორჩევა") ახალი პირები — „შვიდივე" სამეფო დიდებულების თანადგომით.

ი. ჯავახიშვილი განმარტავს, რომ „თანადგომა" მონაწილეობას ნიშნავს, ხოლო „გამორჩევა" — არჩევას, „ერთნებაობა" — ერთ-ხმიანობას, მაშასადამე, ეს ვაზირები საქართველოს ყველა დიდებულის მონაწილეობით ერთხმად ყოფილან არჩეული სახელმწიფო დარბაზის

---

[1]ქართლის ცხოვრება, II, გვ. 32-33.

ძიერ და მეფეს ეს არჩევანი დაუმტკიცებია[1].

ი. ჯავახიშვილი საკუთრივ მართებულად აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში დიდებულების მიერ დიდი მოხელეების არჩევასთან გვაქვს საქმე და ამ არჩევანს მეფე ამტკიცებს, ამას დიდებულების მხრივ „მეფობის თანაზიარობა" ეწოდებოდა. თამარის ისტორიკოსს ერთგან ნათქვამი აქვს დიდებულებისა და დიდი მოხელეების მისამართით, რომ ისინი „თანაზიარ მეფობისა" იყვნენ და თამარს უღალატესო[2].

დარბაზი ის ორგანოა, რომელშიც შედიოდნენ დიდებულები, რომლებიც „თანაზიარნი" იყვნენ მეფის ხელისუფლებისა და მათი, ე.ი. დიდებულების „თანადგომითა და ერთნებაობით" იმართებოდა ქვეყანა; ამის საფუძველზე ი. ჯავახიშვილი დაასკვნის: „...თამარის მეფობის დროს საქართველოში ე.წ. შეზღუდული მონარქია დამყარებულა"[3]. ეს ყველაფერი სწორია, მაგრამ, ი. ჯავახიშვილის აზრით, ასეთი შეზღუდვა იყო შედეგი ყუთლუ-არსლანის მომხრეთა და მეფეს შორის შეთანხმებისა. ყუთლუ-არსლანის მოთხოვნის მიხედვით, მეფეს მხოლოდ აღმასრულებელი ფუნქციები რჩებოდა, მას გადაწყვეტილების „სრულქმნის" უფლება უნდა ჰქონოდა, ხოლო შეთანხმების შედეგად მეფეს „დამტკიცების" უფლება მიენიჭა. ეს გარემოება, წერს ი. ჯავახიშვილი, „სიმდიდრით აღზევებულთა დასის პოლიტიკურ პროგრამას საუცხოოდ უდგება", რადგანაც „დასის გეგმასთან" შედარებით. ეს სწორედ მეფის ხელისუფლების უპირატესობის შენარჩუნების გამომამჟღავნებელია. ამიტომ, ალბათ, ეს უნდა იყოს შეთანხმების ის მთავარი პირობა, რომელიც მეფესა და ყუთლუ-არსლანის თანამზრახველთა შორის დადებულა.

მაგრამ ამ არჩევნებთან დაკავშირებით გარკვევით აქვს შემატიანეს ნათქვამი, რომ დიდი მოხელეების არჩევნების მონაწილენი არიან საქართველოს ყოველი კუთხის მსხვილი ფეოდალები („შვიდთავე სამეფოს დიდებულნი): ამ შემთხვევაში სახელმწიფო დარბაზის სხვა მონაწილენი, გარდა მსხვილი ფეოდალებისა, არ ჩანან. გამოდის, რომ ყუთლუ-არსლანის თანამზრახველნი მხოლოდ მსხვილი ფეოდალები იყვნენ. ე.ი. ყუთლუ-არსლანის გამოსვლა იგივე დიდგვარიანთა აჯანყება იყო. ზოგიერთი მეცნიერი იზიარებს ამ მოსაზრებას[4], მაგრამ, ი. ჯავახიშვილის აზრით,

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაწ. II, გვ. 178.

[2] ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 48-49.

[3] ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნ. II, წ. II, გვ. 178-179.

[4] ს. ჯანაშია. შრომები, II, 1952, გვ. 428; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 197.

დიდგვაროვანთაგან განსხვავებით, ყუთლუ-არსლანის თანამზრახველნი „სიმდიდრით აღზევებულნი", „უაზნონი" იყვნენ[1], რომელთაც უნდოდათ საქართველოში რესპუბლიკური წყობილების შემოღება, მონარქიული წეს-წყობილების შეცვლა რესპუბლიკურით, რაც გაუგონარი იყო მაშინდელი საქართველოსათვის და რაც, რასაკვირველია, უცხო იყო დიდგვაროვანთა გამოსვლისთვისაც.

ყუთლუ-არსლანის მოთხოვნათა ნაწილობრივი განხორციელება კომპრომისის გზით მაშინ იქნებოდა მნიშვნელოვანი, თუკი დარბაზის შემადგენლობა შეიცვლებოდა. როცა ყუთლუ-არსლანმა თავისი პროგრამის განხორციელებისათვის კარვის შემოღება მოითხოვა, დარბაზი უკვე არსებობდა, რომლის წევრიც თვითონ იყო. კარავი კი დარბაზის საპირისპირო დაწესებულება უნდა ყოფილიყო. ყუთლუ-არსლანის პროგ-რამის ნაწილობრივი შესრულება დარბაზის უფლებების გაფართოებაში დაინახა ნ. ბერძენიშვილმა, ამიტომ ყუთლუ-არსლანის გამოსვლა დიდგვაროვან აზნაურთა გამარჯვებად ჩათვალა და დარბაზის უფლებათა გაფართოება სავსებით კანონზომიერად მიაჩნია.

ი. ჯავახიშვილი დიდგვაროვანთაგან სრულიად განსხვავებულად მიიჩნევს ყუთლუ-არსლანის თანამზრახველთა გამოსვლას, მაგრამ ამ გამოსვლის შედეგად კომპრომისულ გადაწყვეტილებას დარბაზის ანუ დიდგვაროვანთა დაწესებულების უფლებათა გაფართოებაში ხედავს.

შ. ნუცუბიძე „ისნის კარავში ხედავს „ქართულ პარლამენტს"; მისი აზრით, ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შემდეგ მეფის ხელისუფლებასა და ყუთლუ-არსლანის დასს შორის შეთანხმება მოხდა. ძველი და ახალი არ..ისტოკრატია, ანუ მსახურეული და შთამომავლობითი არისტოკრატია მეფის ხელისუფლებას დაუკავშირდა ქვეყნის მმართველობაში. საქართველოს მეფის ხელისუფლება „არ იყო დესპოტური ერთმმართველობა აზიის — ანუ ბიზანტიისა", ხოლო „ისნის კარავი" ის ფორმა იყო მმართველობისა, რომელიც „ევროპული წარმომადგენლობითი მართვის" ერთგვარ წინამორბედს წარმოადგენდა[2].

ი. პეტრუშევსკის აზრით, ყუთლუ-არსლანი ვაჭართა კლასს ემყარებოდა და მისი პროგრამით გათვალისწინებული იყო წოდებრივ-წარმომადგენლობითი პალატის დაარსება საკანონმდებლო ხელისუფლებით,

---

[1]ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. II, გვ. 183.
[2]შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, II, 1958, გვ. 9-10.

მაგრამ მოქალაქეთა ეს ცდა მარცხით დამთავრდა[1].

ს. ყაუხჩიშვილის აზრით, ყუთლუ-არსლანის პროგრამის მიხედვით, საქართველოში პარლამენტური წყობილება უნდა დამყარებულიყო, „ისნის კარავი“ საკანონმდებლო ორგანო იქნებოდა, ხოლო მეფეს აღმასრულებელი ხელისუფლება დარჩებოდა. ავტორი ფიქრობს, რომ ეს იყო საქართველოს ისტორიაში ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა[2].

დასკვნის სახით ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკურ შეხედულებათა შესახებ შეიძლება ვთქვათ შემდეგი: 1. ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამაში გათვალისწინებული პოლიტიკური შეხედულებანი დიდგვაროვან „სიმდიდრით აღზევებულთა“ ინტერესების გამომხატველია;

2. სიმდიდრით აღზევებულებში, რომლებიც ყუთლუ-არსლანის დასს შეადგენდნენ, შედიოდნენ: ქალაქის მოსახლეობის ზედაფენები, უგვარო არაძირძველი აზნაურები, მოხელეობით დაწინაურებულნი; ყუთლუ-არსლანის პროგრამას მხარს უჭერდა აგრეთვე მსხვილ ფეოდალთა, ძირძველ აზნაურთა გარკვეული ნაწილი;

3. ყუთლუ-არსლანის პროგრამით გათვალისწინებული იყო პარლამენტის მსგავსი დაწესებულების შექმნა. ამ „პარლამენტს“ („კარავს“) კანონების შემუშავებისა და მიღების ძალა ექნებოდა, მეფის ხელში კი მხოლოდ აღმასრულებელი უფლება რჩებოდა;

4. ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამა არ განხორციელებულა. ამის მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ანტიფეოდალურ ძალებს არ ჰყავდათ ისეთი მეთაური, როგორიც უნდა ყოფილიყო ქალაქის მოსახლეობაში ბურჟუაზია, ე.ი. ამ პერიოდის ფეოდალურ ურთიერთობაში ჩანასახის ფორმითაც კი არ იყო ბურჟუაზიული ურთიერთობის საწყისები.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი თამარ მეფის თანამედროვე უნდა იყოს. მას მოკლედ აქვს აღწერილი გიორგი III-ის ცხოვრება, თამარ მეფისა კი უფრო დაწვრილებით (ისტორიკოსის ნაშრომის მეხუთედზე ცოტა მეტი გიორგი III-ს ეკუთვნის, დანარჩენი — თამარს).

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი მეფის მომხრე

---

[1]ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 15.

დიდგვაროვანი ფეოდალი უნდა იყოს. იგი დიდგვაროვან აზნაურთა აჯანყებას უარყოფს, გმობს. როგორც მართებულად უჩვენა ი. ჯავახიშვილმა, იგი ისეთი პირი ჩანს, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში, მაგალითად, თამარის საქმროს მოწვევის საკითხში[1].

ყოველგვარი მოვლენა, ავტორის აზრით, ღვთის განგებით არის განპირობებული, მაშასადამე, ავტორი მსოფლმხედველობით ქრისტიანული რელიგიის მიმდევარია და ყველა საკითხს ამ თვალსაზრისით აშუქებს.

ფრიად საყურადღებოა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორის პოლიტიკური შეხედულებანი. პირველ ყოვლისა, ის მხარს უჭერს ერთმმართველობას, ძლიერი მეფის ხელისუფლებას. ის ახსენებს ერთმმართველობის საწინააღმდეგო ფრიად საინტერესო ტერმინს — „მრავალმთავრობას" და უარყოფითად ახასიათებს მას; ისტორიკოსის გადმოცემით, სპარსეთის სამეფო ძმებმა გაიყვეს და „ვითარ არს წესი მრავალმთავრობისა, შეიქმნა შური და ხდომა" და ძმები დაერიენენ ერთმანეთს[2]. ისტორიკოსის გადმოცემით, გიორგის ძმისწული დემნა „სახე კეთილი და ყოვლითა ხელითა მარჯუე, ნასწავლი იყო", მაგრამ „ცუდ იქმს ყოველთა სიკეთითა და სწავლულებათა". ყოველივე ეს ამაო აღმოჩნდა, რადგანაც დემნამ, მემატიანეს აზრით, უღალატა ქრისტეს სარწმუნოებას თავისი მამის დავითის მსგავსად, რომელიც განუდგა საკუთარ მამას, დემნამაც განაგრძო მამის საქმე და უღალატა მეფე გიორგი III-ს: „შევიდა ეშმაკი გულსა და გონებასა მისსა და მის მიერ შერისხდა ღმერთი ორბელთა და ყოველთა ტომთა და მიმდგომთა მათთა". მეფემ, „მსჯავრისა და სიმართლის მქონებელმან", დაამარცხა მტერი და მეამბოხენი სასტიკადაც დასაჯა"; მოღალატეები „უქმადვე უკუნ აქცია მართლმსაჯულობან ქრისტესმან"[3]. მემატიანეს შეხედულებით, მეფის მხარეზეა განგება და გვირგვინოსნის წინააღმდეგ ყოველგვარი გამოსვლა ღალატია, დანაშაულია ქვეყნისა და ღვთის წინაშე.

გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ ახალგაზრდა თამარის წინააღმდეგ დიდგვაროვანი ფეოდალები გამოვიდნენ. ისტორიკოსი მათ ნაბიჯს უარყოფითად აფასებს და მიიჩნევს „ძველებრი კაცთა

---

[1]ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 221-225.
[2]ქართლის ცხოვრება, II, გვ. 62-63.
[3]იქვე, გვ. 20.

დაუდგრომელობისა შემსგავსებული საქმედ". შეთქმულებმა თამარს მოსთხოვეს გიორგი III-ს მიერ დაწინაურებული „უგვარო" აზნაურების თანამდებობიდან გადაყენება. ესენი იყვნენ ნაყივჩაღარი ყუბასარი და მსახურთუხუცესი აფრიდონი. დიდგვაროვნებმა, ძირძველმა ფეოდალებმა სწორედ მათი მოხსნა მოითხოვეს.

როდესაც საუბარი გვაქვს „უგვარო ყუბასარსა ან მსახურთუხუცეს აფრიდონზე, „უგვარო" ამ შემთხვევაში პირობითი გამონათქვამია: ერთიც და მეორეც მსხვილი ფეოდალები არიან. ფეოდალთა მხოლოდ მაღალი არისტოკრატიული ფენისათვის არიან ისინი „უგვარო", რადგან არ ეკუთვნიან იმ ძირძველ ფეოდალებს, რომლებიც ფეოდალთა კლასის მემკვიდრეობითი არისტოკრატიის ფენას შეადგენდა.

ძირძველი ფეოდალები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ დიდი სახელოები „უგუაროთა" დაიკავეს, თვითონ კი დამცირებული იყვნენ „უსატოთ" და „უპატიოდ".

თამარ მეფე იძულებული იყო მსხვილი ფეოდალებისათვის დაეთმო და გადაეყენებინა თანამდებობიდან მათთვის მიუღებელი ამირსპასალარი ყუბასარი და მსახურთუხუცესი აფრიდონი.

ამრიგად, ისტორიკოსი წინააღმდეგია მეფის ხელისუფლების შეზღუდვისა. ის ილაშქრებს როგორც მსხვილი ფეოდალების, ისე ყუთლუ-არსლანის დასის წინააღმდეგ. თუ პირველ შემთხვევაში „ისტორიანის და აზმანი შარავანდედთანის" ავტორი ფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ გამოდის, მეორეში ყუთლუ-არსლანის „კარავს" ებრძვის, მას „კარაკი უცხო მოსაგონებლად" მიაჩნია, რადგან მეფის წინააღმდეგ არის მიმართული.

თამარის მეორე ისტორიკოსი

თამარის მეორე ისტორიკოსის ვინაობა, ისევე როგორც პირველისა (ე.ი. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორისა), უცნობია. ი. ჯავახიშვილმა ვარაუდის სახით წამოაყენა დებულება, რომ ეს ნაწარმოები ბასილი ეზოსმოძღვრის მიერ არის დაწერილი. იგი ამ მოსაზრებას შემდეგნაირად ასაბუთებდა: თამარის მეორე ისტორიკოსის მიხედვით, როდესაც იგი ჯარს საომრად ისტუმრებდა, ჯვარი, რომლის საამბოროდ მხედრები მოდიოდნენ, ერთი მხრივ, თამარს ეჭირა ხელთ, ხოლო მეორე მხრივ, „ეზოს მოძღვარსა ბასილის". ამასთან დაკავშირებით

ი. ჯავახიშვილი წერს: „რაკი აქ ასეთი უმნიშვნელო რამის გამო ეზოსმოძღვარი ბასილი არის დასახელებული, ჰიპოთეზის მსგავსად, ან საკითხად შეიძლება წამოყენებული იყოს, ეს გარემოება ბასილი ეზოს მოძღვრის ავტორობის მომასწავებელი ხომ არ არის?"[1].

ჯავახიშვილის ეს მოსაზრება გაიზიარეს სხვა ქართველმა მეცნიერებმაც (ვ. დონდუა, ს. კაკაბაძე...).

ი. აბულაძემ, პირველმა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ანტონ კათალიკოსს თავის „ღრამატიკაში" მოჰყავს ციტატი (ნიმუშად „რჩეულსიტყვაობისა და ტკბილმეტყველებისა") თამარის მეორე ისტორიკოსის ნაშრომიდან და მას შოთა რუსთაველს მიაწერს. ამის მიხედვით ცხადია, რომ ანტონ კათალიკოსი თამარის ცხოვრების ისტორიის ავტორად შოთა რუსთაველს თვლის[2].

ი. ჯავახიშვილის აზრით, ავტორი თამარის თანამედროვეა და ნაშრომი შესრულებულია 1210-1213 წლებში[3]. პ. ინგოროყვას ვარაუდით, შრომა დაწერილია XIII საუკუნის პირველ მეოთხედში[4]. ს. კაკაბაძის აზრით, ნაშრომი შესრულებულია 1222 წლის ახლო დროში[5].

თამარის მეორე ისტორიკოსიც სასულიერო პირი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში ის თავის მსოფლმხედველობით ქრისტიანობის მიმდევარია და ყოველ მოვლენას ღვთისგან გამომდინარედ მიიჩნევს. ავტორი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, თავის ნაწარმოებში დიდ ადგილს უთმობს ლოცვა-ვედრების აღწერილობას[6].

საყურადღებოა ავტორის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართლის სხვადასხვა საკითხებზე, პირველ ყოვლისა, ქორწინების საკითხზე.

მემატიანე გადმოგვცემს, რომ საეკლესიო კრების დამთავრებისას, კრებაზე გამოცხადდენ „სპასალარნი და ერისთავნი სამეფოსანი" და დასვეს საკითხი თამარის საქმროს შესახებ; როგორც ვიცით, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ცნობით, თამარის საქმროდ, აბულასანის წინადადებით,

---

[1]ი. ჯავახიშვილი, ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 398;

[2]ილ. აბულაძე, ცნობა შოთა რუსთაველის ისტორიული თხზულების შესახებ, ენიმკის მოამბე, III, 1938, გვ. 201-207.

[3]ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 398.

[4]„კავკასიონი", № 1-2, გვ. 277.

[5]ს. კაკაბაძე, შოთა რუსთაველის ბიოგრაფიიდან, „საბჭოთა ხელოვნება", 1961, № 1, გვ. 42.

[6]ქართლის ცხოვრება, II, გვ. 15-21.

რუსეთიდან მოიწვიეს გიორგი ანდრიას ძე, ჩამოყვანა კი მიანდვეს დიდვაჭარ ზანქან ზორაბაბელს და მან ეს დავალება შეასრულა კიდეც.

მეფის ოჯახის წევრების ქორწინება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე იყო და პირადი გრძნობები უკანა პლანზე იყო გადაწეული[1].

სწორედ ასეთ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე თამარ მეფის ქორწინების შემთხვევაშიც. საეკლესიო კრებაზე ფეოდალები და ალბათ ქალაქის მაღალი წრის წარმომადგენლები გამოცხადებულან და თამარის გათხოვების საკითხი გადაუწყვეტიათ ისე, რომ თამარის ნებართვაც კი არ ყოფილა ამ საქმეზე.

თამარის მეორე ისტორიკოსი უარყოფითად ეკიდება საქმის ამგვარ წარმართვას. ის წერს, რომ ამგვარი გადაწყვეტილება (თამარის საქმროს ჩამოყვანა) არ არის სწორი, რადგანაც არ იცნობენ სასიძოს, არ იციან ვინ მოყავთო[2]. ისტორიკოსი იმითაც უკმაყოფილოა, რომ სასიძოს ჩამოსაყვანად წარავლინეს ზანქან ზორაბაბელი, „კაცი იგი ღირსი" არ იყო ამ საქმის მონაწილეობისო, წერს ისტორიკოსი. ეს საქმე „ვერა კეთილად განაგეს, რამეთუ არცა კაცი იგი ღირსი საქმისა წარავლინეს და არცა მისსა მეცნიერ იყვნენ, რომელსა იგი მოიყვანებდეს"[3].

ისტორიკოსი მწუხარებას გამოთქვამს, რომ ქორწინების საკითხს ასე ზერელედ მიუდგნენ და „თვინიერ ნების-მისისა (თამარისა— ი.ს.) ყვეს ქორწილი"[4]. ისტორიკოსი წინააღმდეგია ნების გარეშე ქორწინებისა. როგორც შოთა რუსთაველს აღაშფოთებს ნესტანისათვის სრულიად უცნობი უფლისწულის ნესტანის ნების გარეშე საქმროდ მოწვევა, ასეთივე თამარის მეორე ისტორიკოსიც უარყოფითად აფასებს უცხო უფლისწულის თამარის საქმროდ მოწვევას.

თამარის სიტყვები გამართლდა, ნიშნის მოგებით წერს ისტორიკოსი. რუს უფლისწულს გამოაჩნდა მანკიერი თვისებები, დაიწყო „საძაგელი უწესობა", სიმთვრალე და სხვა. დიდხანს ითმინა თამარმა, გადმოგვცემს ისტორიკოსი, მაგრამ ველარ გაუძლო, ველარ აიტანა მისი ცუდი მხარეები.

---

[1]ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ჩვენი „ტახტის მემკვიდრეობის საკითხი „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით (შოთა რუსთაველის 800 წ. იუბილისადმი მიძღვნილი, თსუ კრებული, 1966).

[2]ქართლის ცხოვრება, გვ. 119.

[3]იქვე.

[4]ქართლის ცხოვრება, II, გვ. 120.

თამარი ძლიერ შეწუხდა, რომ ქმართან საერთო ენა ვერ გამონახა, იგი ეუბნება უფლისწულს: „დაღათუ სალმრთოსა სჯულისა მიერ სწავლულ ვარ მე „არა განშორებად პირველსა საწოლსა, არამედ რომელმან არა დაიცვას საწოლი თვისი წმიდად, არა ჯერ არს ისითანა დათმენა, რამეთუ შემაგინებელ არს ტაძრისა ღმრთისა, და [illegible] არა მიძლავს აჩრდილისა მრუდისა ხისასა განმართვად და უ[illegible]ლოდ განვიყრი მტუერსაცა, რომელი აღმეკრა შენ მიერ"[1]. ეს სიტყვები მრავალმხრივ საყურადღებოა. პირველ ყოვლისა, ქრისტიანობა სასტიკად კრძალავდა განქორწინებას. ეს იციან თამარმა და მისმა ისტორიკოსმა, და სწორედ ამიტომ ამბობს: მართალია, ღვთის მიერ განქორწინება აკრძალულია. მაგრამ მე საპატიო მიზეზი მაქვს გაყრისო. გიორგის ის უყენებს ბრალდებას, რომ მან „არ დაიცვა საწოლის" სიწმინდე, ე.ი. ღალატობს მეუღლეს.

თუმცა ფეოდალური კანონმდებლობა დანაშაულად მხოლოდ ცოლის მიერ ქმრის ღალატს თვლიდა (ქმრის ასეთივე მოქმედება სისხლის სამართლის წესით არ იდევნებოდა), მაგრამ ქალს უფლება ჰქონდა ქმრისაგან მოეთხოვა ერთგულება. თამარის მეორე ისტორიკოსიც საკუთარი ამართლებს თამარის მოქმედებას, ე.ი. მისი შეხედულებით, ცოლს აქვს უფლება გარყვნილი და ცოლქმრული ურთიერთობის დამრღვევი ქმრისაგან განქორწინება მოითხოვოს.

საინტერესოა თამარის მეორე ისტორიკოსის შეხედულება მეფის ხელისუფლებაზე. ისტორიკოსი წინააღმდეგია მეფის ხელისუფლების ყოველგვარი შეზღუდვისა, გმობს მსხვილ ფეოდალთა მისწრაფებას სეპარატიზმისაკენ, მათ გამოსვლებს მეფის წინააღმდეგ. ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ „ლიპარიტელთა" მოდგმამ, რომელთათვის დამახასიათებელი იყო მეფეთა წინააღმდეგ ბრძოლა, აგრეთვე „კახაბერთა" შვილებმა შეულლსა და მტრობას მიჰყვეს ხელი, მათ მოკლეს მეფის ერთგული ანტონ ჭყონდიდელის ორი ძმა; ისტორიკოსი აღშფოთებულია მათი მოქმედებით. მათზე, თურმე არ გაჭრა არც მეფის წყალობამ, არც მხილებამ. მაშინ თამარმა ისინი დააპატიმრა და ცალ-ცალკე ჩასვა ციხეში, რომ გაეწრთვნა, გამოესწორებინა, მაგრამ უშედეგოდ. მეფე იძულებული გახდა გაეძევებინა ისინი საქართველოდან. კახაბერთა შვილები ბიზანტიის სამსახურში ჩადგნენ და ყივჩაღებთან ბრძოლაში დაიღუპნენ. ისტორიკოსი სინანულით აღნიშნავს: „მოსწყდეს ყივჩაღთა მიერ კარგნი

---

[1]ქართლის ცხოვრება, გვ. 121.

ჭაბუკნი ბრძოლასა შინა, ვითარცა გუესმაო"[1]. აქ საინტერესო ის არის, რომ ისტორიკოსი მათ „კარგ ჭაბუკებად", კარგ მეომრებად, რაინდებად ახასიათებს და სინანული ამ შემთხვევაში იმითაა გამოწვეული, რომ ასეთმა ჭაბუკებმა ასე უაზროდ დაამთავრეს ცხოვრება. მაშინ, როდესაც, სამშობლოში რომ „გაწვრთილიყვნენ", ე.ი. თამარის მხარეზე ებრძოლათ, მამულის საკეთილდღეოდ შეეძლოთ თავიანთი ძალ-ღონის მოხმარებაო. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ისტორიკოსს კახაბერთა შვილების ეპიზოდის წინ საუბარი აქვს „სიმდიდრით ალაღებულებზე", რომლებიც „სხუათა განზრახვათა დამოეკიდნენ". ამ შემთხვევაში ისტორიკოსს ყუთლუ-არსლანის დასი უნდა ჰქონდეს მხედველობაში. შესაძლებელია, შემთხვევითი არ იყოს ის გარემოება, რომ „სიმდიდრით ალაღებულების" შესახებ თხრობას მან მოაყოლა კახაბერის შვილების გამოსვლა. თუ ისტორიკოსი სიმდიდრით „ალაღებულებში" ყუთლუ-არსლანის დასს გულისხმობს, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ იგი ყუთლუ-არსლანისა და მსხვილი ფეოდალების ბრძოლას მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ერთი რიგის მოვლენებად განიხილავს. შესაძლებელია მას ყუთლუ-არსლანის გამოსვლა დიდგვაროვანთა გამოსვლად მიაჩნდეს. როგორც თანამედროვეს, მას კარგად ეცოდინებოდა, თუ ვინ იყო ყუთლუ-არსლანი და მისი დასი. ამიტომ სავარაუდებელია, რომ მეფის მომხრე ისტორიკოსი ყველაფერს, რაც მეფის ხელისუფლების შეზღუდვას ითვალისწინებს, უარყოფითად აფასებს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორი, ყუთლუ-არსლანის გამოსვლას „უცხო მოსაგონებელს" უწოდებს, ე.ი. ხელისუფლების დანაწილების იდეა მისთვის უცხოა, ეს არც არის გასაკვირი: ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მანამდე ასეთი იდეები არ არის ცნობილი არც ერთ ქვეყანაში და ის მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეებში წარმოიშვა ევროპაში.

ისტორიკოსი სინანულით აღნიშნავს, რომ თამარის მიერ მოწვეულმა საეკლესიო კრებამ მთლიანად ვერ განახორციელა ის პროგრამა, რომელიც შემუშავებული ჰქონდათ თამარის მომხრეებს. მაგალითად, მათ ვერ გადააყენეს მაშინდელი კათალიკოსი მიქაელი, რომელმაც მწიგნობართუხუცესობა „მოიევრაგა", ე.ი. უკანონოდ მიითვისა[2]. როგორც ჩანს, დიდგვაროვან კათალიკოსს ძლიერი მომხრეები გამოსჩენია. სამაგიეროდ, საეკლესიო კრებამ მრავალი ეპისკოპოსი გადააყენა და მათ ადგილზე „სალმრთონი კაცნი დასხნეს", ე.ი. მეფის ხელისუფლებისათვის მისაღები პირები განაწესეს.

---

[1]ქართლის ცხოვრება, II, გვ. 131.

[2]იქვე, გვ. 116.

გარდა ამისა, საეკლესიო კრებამ დარღვეული საეკლესიო წესები გამოასწორა. ის, რაც საეკლესიო კრებამ გააკეთა, იყო თამარისა და მის მომხრეთა დამსახურება. იგი ემსახურებოდა ფეოდალური თვითნებობის აღკვეთას, მეფის ხელისუფლების გაძლიერებასა და სახელმწიფო მმართველობის ცენტრალიზაციას. მიქაელის სიკვდილის შემდეგ თამარმა თავისი ერთგული ანტონ გლონისთავისძე დანიშნა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელად. ისტორიკოსის დახასიათებით, ანტონი იყო „კაცი ღირსი ქებისა, ჭეშმარიტი ქრისტიანე, მართალი, წრფელი, უმანკო, სახიერი, მოწყალე ყოველთა, ტკბილი, მდაბალი, პატრონისა ერთგული უზომოდ“[1].

თამარის მეორე ისტორიკოსის შეხედულებით, მეფის განსაგებელი მისი „წარმართებანი“ მრავალგვარია. თამარის მეფობასთან დაკავშირებით ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ როგორც თავზე თმა არ დაითვლება, ისე თამარის საქმიანობა არ „აღირიცხება“, არ „აიწერება“, ისტორიკოსი განმარტავს, რომ ლომი ბრჭყალებით იცნობა, ხოლო თამარი — საქმეებით; თუ მომავალი თაობა საეჭვოდ მიიჩნევს ჩვენს ნათქვამს თამარის შესახებ, მან ნახოს ქალაქები, ციხეები და სოფლები, რომელიც თამარს საქართველოსათვის შემოუმატებია, ნახოს, თუ როგორ გაუფართოებია თამარს თავისი სამეფოს საზღვრები[2].

ისტორიკოსს საუბარი აქვს მეფის საგარეო ფუნქციებზე: მეფე ებრძვის გარეშე მტრებს და ცდილობს სამეფო საზღვრების გაფართოებას. ისტორიკოსი უფრო დაწვრილებითაც მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ ახორციელებს მეფე საგარეო ფუნქციებს, თავის დამოკიდებულებას მეზობელ ქვეყნებთან.

თამარის დროს საქართველო დაყოფილი იყო საერისთავოებად. განაპირა საერისთავოებს სანაპიროები ეწოდებოდა. სამეფოს საზღვრებზე მეფეს ჰყავდა ერთგული მონაპირეები, რომელთაც საკმარისი სამხედრო ძალა გააჩნდათ იმისათვის, რომ გამკლავებოდნენ თავდამსხმელებს. თუ მტრის ძალები დიდი იყო, ამის შესახებ აცნობებდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას, მეფეს, რომელიც შეკრებდა ლაშქარს მტერთან შესაბრძოლებლად[3]. გარდა ამისა, მონაპირეები ზვერავდნენ, სწავლობდნენ

---

[1]ქართლის ცხოვრება, II, გვ. 123.

[2]იქვე, გვ. 124-125.

[3]იქვე, გვ. 129-130.

თურქთა საქმეებს. „მონაპირეთა მონახიან საქმე, ანუ ციხე ასაღებელი, ანუ თურქმანი შემოდგომილი, ანუ ქალაქი განსატეხელი, ანუ ქვეყანა მოსარბეველი, მოახსენიან თამარს“. უკანასკნელი გასინჯავდა საქმეს, გამოიკითხავდა ვითარებას, და თუ საჭირო იქნებოდა, შეყრიდა ლაშქარს, ხოლო „უკეთუ უმცირეს რამე იყვეს“, ე.ი. თუ დიდი ლაშქარი არ იყოს საჭირო, მაშინ მტრის წინააღმდეგ სასწრაფოდ გაიგზავნებოდნენ სახელდახელოდ შეკრებილი მეომრები[1].

ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს: „ნუ ვინ ესრეთ ჰგონებთ, თუმცა თვინიერ თამარისსა რამე ქმნილ იყო ვისგანცა, არამედ ესრეთ განიგონე“[2], ე.ი. ყველაფერი, რასაც მონაპირეები აკეთებდნენ, თამართან იყო შეთანხმებული.

ისტორიკოსის შეხედულებით, სახელმწიფოში დამყარებული უნდა იყოს ერთმმართველობა და ყველაფერი კეთდებოდეს მეფის განკარგულებით. თამარის მეორე ისტორიკოსი აქებს თამარს იმის გამო, რომ ის მწყალობელი იყო, არ იყო სიმდიდრის მაძიებელი; მაგალითად, როდესაც ქართველი ლაშქარი მტრის ქალაქებსა და ციხეებს აიღებდა, თამარი აღებულ ციხეებსა და ქალაქებს მონაპირეებს, ან ლაშქრის სხვა ხელმძღვანელებს უწყალობებდა და არასოდეს თავისთვის, ე.ი. სამეფოდ არ დასდებდაო[3].

ისტორიკოსის გადმოცემით, თამარმა მხოლოდ ერთხელ, კარის აღების დროს დაუშვა გამონაკლისი. „ციხოვანთა“ თხოვნით, მან კარი სამეფოდ დაიჭირა. ისტორიკოსის აზრით, მეფე უნდა შეებრძოლოს მოწინააღმდეგეებს და სასტიკად დასაჯოს ისინი, მაგრამ ამ დასჯას გაწვრთნის ხასიათი უნდა ჰქონდეს. ხოლო თუ დამნაშავე არ გამოსწორდება, მაშინ საჭიროა მის მიმართ უკიდურესი ზომების მიღება — „ექსორია“[4], ან სხვა სასტიკი სასჯელი. ასეთი სასჯელი, ისტორიკოსის გადმოცემით, ავაზაკისათვის „ძუელის სჯულის“ გათვალისწინებული „ძელსაზედა ჩამორჩობა“ იყო, უფრო მცირე დანაშაულისათვის — „ასოთ-მოკუეთა“[5].

ისტორიკოსის აზრით, მეფეს უნდა ემორჩილებოდნენ „შიშითა და სიყვარულით“, მეფის შიში ყველას უნდა ჰქონდეს. ისტორიკოსს მოსწონს,

---

[1]ქართლის ცხოვრება, II, გვ. 130.

[2]იქვე.

[3]იქვე, გვ. 130-131.

[4]იქვე, გვ. 131.

[5]იქვე, გვ. 141.

რომ „საზარელ იყო თამარ მტერთა ზედა“[1]. მისი აზრთ, მეფე სასჯელით უნდა წვრთნიდეს ქვეშევრდომთ[2]. ბრძნული მართვა-გამგეობით მეფემ უნდა შეძლოს წესრიგის დამყარება. თამარის დროს „მღვდელთმოძღვართა შეიმოსეს შიში“, ყველამ ისწავლა „წესის დაცვა“, „მთავარნი განისწავლნეს სიწმინდით ცხოვრებად და სიმართლის სვლად“. ხალხში განმტკიცებული იყო ღვთის შიში და „ერთგულება უფალთა თვისთა“[3].

ფეოდალური სახელმწიფოს მეფისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი უნდა იყოს წყალობის უხვად გაცემა. ისტორიკოსი აქებს და ადიდებს თამარს, რომელიც ქვრივ-ობოლთა საოხოვნელად გამოშვერილ ხელს არასოდეს წყალობის გარეშე არ დატოვებდა. თამარის დროს „ნაათალი გლახაკთა მიეცემოდა დაუკლებლად“[4] („ნაათალი“ ანუ სახელმწიფო შემოსავლის მეათედი თამარის დროს „გლახაკებისათვის“ იყო განკუთვნილი).

ისტორიკოსი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მეფის კარგ დამოკიდებულებას მეზობელ სახელმწიფოებთან. ამ მხრივ თამარი მას სამაგალითო მეფედ მიაჩნდა, რადგანაც იგი მეზობელს არაფერს ართმევდა, პირიქით, ეხმარებოდა. ისტორიკოსი თამარის შესახებ წერს: თამარმა მრავალი „დაგლახავებულნი მეფენი განამდიდრნა, რაოდენთა მიმძლავრებულთა უკუნ სცა სამეფო თვისი, რაოდენნი განდევნილნი სამეფოდვე თვისად დააბრუნა“.

ისტორიკოსი აქებს თამარს, რომელიც დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა ქართულ ეკლესიას როგორც სახელმწიფოს შიგნით, ისევე საზღვარგარეთ[5], რომელმაც მოსპო სიკვდილით დასჯა, აგრეთვე დამასახიჩრებელი სასჯელის სახეები და ა.შ.

---

[1]ქართლის ცხოვრება, II, გვ. 143.
[2]იქვე, გვ. 131.
[3]იქვე, გვ. 149.
[4]იქვე, გვ. 147.
[5]იქვე, გვ. 142.

შოთა რუსთაველი

§1. სახელმწიფოს ფორმის საკითხი

„ვეფხისტყაოსანში“ რამდენიმე სახელმწიფოს მმართველობაა წარმოდგენილი. ეს სახელმწიფოები თავიანთი წეს-წყობილებით მონარქიულია: სახელმწიფოს სათავეში დგას მეფე, რომელიც ერთპიროვნულად განაგებს სამეფოს. სამეფო კართან არის სავაზირო. მეფე მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრისას ეთათბირება ვაზირებს, დიდ მოხელეებს და მათი დახმარებით მართავს სახელმწიფოს. „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, მეფეს გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს, მაგრამ მას შეუძლია ყოველგვარი საკითხი გადაწყვიტოს ერთპიროვნულად. მაგალითად, ინდოეთის მეფე იწვევს თათბირს, სავაზიროს, ნესტანის საქმროს საკითხის შესახებ. როგორც ვეზირი (ამირსპასალარი) ამ თათბირს ესწრებოდა ტარიელიც. თათბირმა დაადგინა სასიძოდ ხვარამზასა უფლისწულის მოწვევა. მეფე-დედოფალს ეს საკითხი თათბირამდე ჰქონდა გადაწყვეტილი: „რომე პირველვე დაესკვნა, მათ ესე შეეტყვებოდა“[1].

ნესტანი განრისხებულია ტარიელზე, რომელმაც სავაზირო სხდომაზე არაფერი თქვა ხვარამზასა ძის სიძეობის საწინააღმდეგოდ. ტარიელი თავს იმართლებს ნესტანის წინაშე იმით, რომ მის გამოსვლას სავაზიროში არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა, რადგან ეს საკითხი მეფესა და დედოფალს წინასწარ ჰქონდათ გადაწყვეტილი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თათბირს დედოფალიც ესწრებოდა. საერთოდ, დედოფალი სავაზიროს სხდომაში არ მონაწილეობს. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, ვეზირობის დაწყების წინ დარბაზიდან გადიან მეფის ოჯახის წევრები და სასახლის კარისკაცები[2]. ამ შემთხვევაში კი დედოფალი თათბირს იმიტომ ესწრება, რომ მისი შვილის, ნესტანის ბედის საკითხი წყდება. თუმცა ქორწინება საოჯახო საქმეა, მაგრამ რადგანაც ნესტანი სამეფო ოჯახის წევრია და მის ქორწინებაზე არის დამოკიდებული ტახტის საკითხიც, ამდენად ნესტანის გათხოვება უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხია.

---

[1]შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 1951, გვ. 133, სტრ. 512.

[2]ქართული სამართლის ძეგლები, ივ. სურგულაძის რედ., 1979, § 36, გვ. 49

საინტერესოა, სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმის მხრივ, როგორი სახელმწიფოა მოცემული „ვეფხისტყაოსანში“? ჩვენ ვიცით ფეოდალური სახელმწიფო წყობილების რამდენიმე ფორმა: ადრეფეოდალური, დაქუცმაცებული ფეოდალური, წოდებრივ-წარმომადგენლობითი და აბსოლუტური მონარქია. გარდა ამისა, ფეოდალიზმის დროს იყო აგრეთვე ფეოდალური ქალაქ-რესპუბლიკა.

„ვეფხისტყაოსანში“ ასახულია XII საუკნის ქართული სინამდვილე. საქართველოში ამ პერიოდისთვის ადრინდელი და დაქუცმაცებული ფეოდალური მონარქია უკვე წარსულს ეკუთვნის. მაშასადამე, საუბარი შეიძლება მხოლოდ წოდებრივ-წარმომადგენლობითი სახელმწიფოს ან აბსოლუტიზმის შესახებ, — მაგრამ არც ერთი აღნიშნული სახელმწიფო ფორმა მაშინდელ საქართველოში არ იყო. ერთპიროვნული მმართველობა კი აბსოლუტიზმისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ აბსოლუტური მონარქია წარმოიშობა და არსებობს იქ, სადაც კაპიტალისტური საწყისები, სადაც კაპიტალიზმის ჩანასახები განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზეა ასული.

აბსოლუტიზმის დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებს მესამე წოდება. ასეთი ვითარება XII საუკუნის საქართველოში არ შეინიშნება. არც წოდებრივ-წარმომადგენლობით ორგანოებს ვხედავთ ამ პერიოდის საქართველოში, რომ წოდებრივ-წარმომადგენლობით სახელმწიფოზე გვქონდეს საუბარი.

ჩვენ ვთქვით, რომ კაპიტალიზმის ნიშნები ამ დროს საქართველოში არ შეინიშნება. აქვე უნდა დავუმატოთ, რომ ამ საკითხზე სხვა მოსაზრებებიც არის გამოთქმული, რომელთა მიხედვით XII საუკუნის საქართველოში ეკონომიკის მხრივ მომზადებული იყო ნიადაგი მესამე წოდების არსებობისათვის, აბსოლუტიზმისათვის[1]. მკვლევარები იმ გარემოებასაც აქცევენ ყურადღებას, რომ XIII საუკუნის ძეგლების მიხედვით, საქართველოში სავაჭრო ამხანაგობანიც (ურტაღები) არსებობდა[2].

ჯერჯერობით XI-XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: ამ პერიოდში საქართველოში ძლიერი ფეოდალური მონარქიაა, რომელიც არც წოდებრივ-წარმომადგენლობითია და არც აბსოლუტური, ქართულ სა-

---

[1]შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, 1962.

[2]თ. ჟორდანია, ქრონიკები, გვ. 134.

ხელმწიფოებრივ წყობილებას აქვს განვითარების საკუთარი, თავისებური გზები, რომლებიც განსხვავდება ევროპის ქვეყნების სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმებისაგან.

შესაძლებელია შოთა რუსთაველს აბსოლუტიზმის იდეები თავის ნაწარმოებში მაშინაც შეეტანა, როცა ამისათვის საჭირო ეკონომიკური ვითარება არ იყო დამდგარი. ყოველ შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გეზი ახალი ეკონომიკური ფორმაციის დადგომის მომზადებაზე იყო აღებული.

ჩვენ საუბარი გვქონდა ერთპიროვნულ მმართველობაზე. ყოველ შემთხვევაში ეს იდეა აქვს წამოყენებული პოეტს „ვეფხისტყაოსანში", მაგრამ ერთპიროვნული მმართველობა საქართველოში მხოლოდ პირობითი იყო. არც „ვეფხისტყაოსნის" თანამედროვე საქართველოში და არც „ვეფხისტყაოსანის" სამეფოებში მეფე სინამდვილეში არ არის ერთპიროვნული მმართველი. ამ შემთხვევაში „ვეფხისტყაოსანში" ასახული სამეფოები საკუთარი შეესაბამებიან ერთმანეთს.

„ვეფხისტყაოსნის" მეფეები, ისე როგორც საქართველოს იმდროინდელი მეფეები, ფორმალურად არ არიან შეზღუდულნი, მაგრამ ფაქტობრივად მათი უფლებამოსილება არ არის განუსაზღვრელი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოში მეფის ფორმალური შეუზღუდველობა გრძელდება თამარ მეფის წინააღმდეგ ფეოდალთა აჯანყებამდე, რის შემდეგაც მეფე განაგებდა სამეფოს დიდებულებთან ერთად[1].

საქართველოს სინამდვილეში მსხვილი ფეოდალები ინარჩუნებენ ძლიერ პოლიტიკურ უფლებებს თავიანთ საფეოდალოებში და ურჩობას უწევენ მეფეებს. ბაგრატ IV მთელი მეფობის განმავლობაში ებრძოდა ბაღვაშებს. დავით აღმაშენებლის მეფობაშიც გრძელდებოდა ფეოდალთა ბრძოლა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ. გიორგი III-მ დიდი ბრძოლა გადაიხადა აჯანყებული ფეოდალების დასამორჩილებლად, ასევე იყო თამარის დროს. „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების" მიხედვით, საქართველოში იყვნენ „სიმდიდრესა ზედა მკლავისა თვისისა მოქადულნი და სიმრავლესა ზედა ერისასა აღზეებულნი"[2]. „სიმდიდრით გალა-

---

[1]ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, II, გვ. 161.

[2]ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, 1967, გვ. 160; ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, II, გვ. 136.

ღებულთა“ შესახებ საუბარი აქვს თამარის მეორე ისტორიკოსს[1].

ჩვეულებრივ, მსხვილი ფეოდალი სასახლის დიდი მოხელეც იყო; თუ მსხვილი ფეოდალი ცენტრალური მმართველობის მოხელე არაა, მაშინ ის ადგილზე ერისთავთ-ერისთავი, ან ერისთავია. საკუთარ სამფლობელოში ერისთავთ-ერისთავს, ან ერისთავს თავისი რეზიდენცია, ქალაქები, მამულები, ვასალები და საკუთარი სამოხელეო აპარატი ჰქონდა.

მემატიანის გადმოცემით, როდესაც თამარ მეფე გეგუთში იმყოფებოდა თავისი ვეზირებით, ამ დროს არდაველის სულთანი თავს დაესხა ქალაქ ანისს. ანისი მხარგრძელების სამფლობელო იყო. ზაქარია (ამირსპასალარი) და ივანე (მსახურთუხუცესი) მხარგრძელები მეფესთან იყვნენ გეგუთში. მემატიანე გადმოგვცემს, რომ თავდასხმისათვის მტერმა ისეთი დრო შეარჩია, როდესაც მხარგრძელები „შინ“[2], თავიანთ სახლში არ იყვნენო. ჩვენს ყურადღებას ის გარემება იქცევს, რომ, მემატიანის თვალსაზრისითაც, მხარგრძელის „შინ“ ანისია, ე.ი. მსხვილი ფეოდალებისათვის გადამწყვეტია თავისი სამფლობელო და არა მეფის მოხელეობა.

იმის მიხედვით, თუ როგორია მეფის ხელისუფლება, რამდენად ჰყავს მას დამორჩილებული ფეოდალები, ფეოდალისათვის წინ წამოწეულია მოხელეობა, ან მისი საკუთარი საფეოდალო. საქართველოში გიორგი III-ის შემდეგ მსხვილი ფეოდალები იმარჯვებენ მეფის ხელისუფლებაზე და ამდენად მეფის მოხელეობას თანდათანობით სძლევს საფეოდალოს კერძო საწყისები. სამართლის საჯარო საწყისები ადგილს უთმობს კერძო საწყისებს.

XI-XII საუკუნეთა საქართველოში მსხვილი ფეოდალები ძლიერდებიან, მეფე ცდილობს მათ მომხრობას წყალობით, ბოძებით, მაგრამ რაც მეტ მამულებსა და ყმებს უბოძებს ფეოდალებს, მით უფრო სუსტდება სამეფო ხელისუფლება და ძლიერდებიან ფეოდალები, როგორც საქართველოს სინამდვილეში იყო.

„ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი ინდოეთის სახელმწიფო, ისევე როგორც საქართველო, სამეფოებისაგან შედგება. არაბეთისა და ინდოეთის სამეფოების ვეზირები კი მსხვილი ფეოდალები არიან, რომელთაც აქვთ საკუთარი სამფლობელო, თავიანთი ქალაქები, სამოხელეო შტატი და

---

[1]ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი, 1944, გვ. 24.

[2]ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ს. კაკელიძის რედ., 1941, გვ. 129; ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს და სამართლის ისტორიიდან, გვ. 137-138.

ისევე ეურჩებიან მეფეებს, როგორც საქართველოში.

შოთა რუსთაველს თავის ნაწარმოებში ის აზრი აქვს გატარებული, რომ მეფეს ქვეშევრდომები უნდა ემორჩილებოდნენ, მაგრამ, რუსთაველის აზრით, მეფე, თავის მხრივ, უნდა იყოს სამართლიანი, კეთილი, ქვეშევრდომობისადმი მზრუნველი. მეფისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს წყალობა, გულუხვობა, კეთილშობილება, სამართლიანობა.

თუ მეფე არ არის სამართლიანი, რუსთაველის აზრით, იგი არც არის მეფობის ღირსი და მას ქვეშევრდომნი არც უნდა ემორჩილებოდნენ. რუსთაველის აზრით, მეფის ყოველი სამართლიანი განკარგულება უსიტყვოდ უნდა სრულდებოდეს.

ავთანდილი მიდის ტარიელის საძებრად, მოძებნის მას და ბრუნდება არაბეთში, რომ ინახულოს თინათინი, არაბეთის მეფე როსტევანი და სთხოვოს უკანასკნელს, ნება მისცეს კვლავ წავიდეს ტარიელთან ნესტანის მოსაძებნად, მეგობრის დასახმარებლად. როსტევანი ავთანდილს უარს ეუბნება ხელმეორედ გამგზავრებაზე. ავთანდილი არ ემორჩილება მეფეს და მიდის მეგობრის დასახმარებლად. ამასთანავე, წერილს სწერს როსტევანს, რომელშიც უხსნის, რომ მას არ შეუძლია მეფის ბრძანების შესრულება, რადგანაც მეგობრის დახმარება ადამიანის უმაღლეს მოვალეობად მიაჩნია: „კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა". ავთანდილმა საკუთარი საფეოდალო ჩააბარა თავის ვასალს შერმანდინს და გაემგზავრა ნესტანის მოსაძებნად.

„ვეფხისტყაოსანის" მიხედვით ინდოეთის მეფე ფარსადანს არ ემორჩილება თავისი ვეზირი ტარიელი, რომელიც კლავს ინდოეთში სასიძოდ მოპატიჟებულ ხვარაზმშას შვილს. ტარიელი ამ მკვლელობის შემდეგ მიაშურებს თავის სამფლობელოს და იქ იწყებს ჯარების შეგროვებას ფარსადანის წინააღმდეგ (თუ უკანასკნელი ტარიელს თავს დაესხმის). ინდოეთის მეფე ფარსადანს არ შეუძლია, რომ ურჩი ვეზირი დასაჯოს, მოციქულს უგზავნის და მასთან მოლაპარაკებას მართავს.

იდეა იმის შესახებ, რომ მეფეს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ემორჩილებოდნენ, როცა მისი განკარგულება სამართლიანი, ფრიად მნიშვნელოვანია და ამ იდეიდან გამომდინარეობს საბოლოო ჯამში ხალხის აჯანყების უფლება, როცა ის თავისი მთავრობის უკმაყოფილოა.

შოთა რუსთაველის აზრით, მეფის ხელისუფლება უნდა იყოს ძლიერი. მეფეს უნდა ემორჩილებოდნენ ქვეშევრდომნი. შოთა კატეგორიულად უარყოფს ფეოდალურ სეპარატიზმს და მეფე მიაჩნია წესრიგის

ერთადერთ წარმომადგენლად. პოეტი პატრონყმურ ერთგულებაზე დამყარებულ ფეოდალურ მონარქიას მიიჩნევს სასურველ სახელმწიფოებრივ ფორმად.

„პატრონისა სამსახური არასოდეს არ წახდების“ — წერს პოეტი. შოთას აზრით, „სჯობან ყოველთ მოყვარულთა პატრონ-ყმანი მოყვარულნი“. მეფისათვის თავის დადება სასახელოა: „ვინცა მოკვდეს მეფისათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან“.

სიყვარულის გარდა ყმებს უნდა ახასიათებდეთ მეფისადმი მოკ-რძალება: „ასრე ხამს რიდი მეფეთა, ყმათაგან მოკრძალულობა“, ამავე დროს მეფე სამართლიანი უნდა იყოს. სხვა საკითხია, თუ როგორ ესმის შოთას სამართლიანობა. რასაკვირველია, ეს სამართლიანობა მეფესა და ყმებს შორის პოემაში წარმოდგენილია მეფისა და დიდებულების ურთიერთობაში. როგორც ზემოთ აღენიშნეთ, „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, დიდებულებს აქვთ უფლება მეფის წინააღმდეგ აჯანყებისა, თუ მეფე, მათი თვალსაზრისით, უსამართლოდ მოქმედებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აჯანყების უფლება ხალხსაც აქვს.

§ 2. მართალი სამართლის საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით

„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, ინდოეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, ნესტანის საქმროდ მიპატიჟებული იქნა ხვარაზმშას უფლისწული. ნესტანის მითითებით, ტარიელი კლავს მას. როდესაც ნესტანი ტარიელს ურჩევს სასიძოს მოკვლას, დასძენს: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“. პოზიტიური სამართლის მიხედვით, აქ მკვლელობასთან გვაქვს საქმე. ხვარზმშას შვილი უდანაშაულოა. კიდევ მეტი: ის მოპატიჟებულია სასიძოდ. მისი სპეციალური შეხვედრა ინდოეთის მთავრობასთან ტარიელს აქვს დავალებული. ტარიელმა ეს შეხვედრა მაღალ დონეზე მოაწყო: საგანგებო პალატები და კარვები გაუშალა სასიძოსა და მის ამალას, შეხვედრა აღდგომის დღესასწაულის შესაფერისი იყოო — ამბობს ტარიელი. ღამით კი ტარიელი პარვით თავს ესხმის სასიძოს და კლავს. სისხლის სამართლის დანაშაული აშკარაა. ეს არ იწვევს ეჭვს. ეს დანაშაული იმითაცაა დამძიმებული, რომ, შესაძლებელია, ამას მოჰყვეს სახელმწიფოთა შორის ომი და ხალხების ხოცვა-ჟლეტა. რასაკვირველია, ეს ყველაფერი იციან ნესტანმა და ტარიელმა. მაგრამ ნესტანს უნდა შეარბილოს ეს დანაშაული, მას სურს მოუნახოს ტარიელის მოქმედებას

გამართლება. რასაკვირველია, პოზიტიურ სამართალში ის ვერ მოძებნის გამართლებას. საყურადღებო სწორედ ის არის, რომ, ნესტანის სიტყვების მიხედვით, პოზიტიური სამართლის გარდა, არის სხვა სამართალი, რომელიც უპირისპირდება პოზიტიურ სამართალს.

ისმის საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის „მართალი სამართალი", რომლის მიხედვითაც ნესტანი ცდილობს ხვარაზმშას უფლისწულის მოკვლის გამართლებას. „მართალი სამართალი" შესაძლებელია გავიგოთ როგორც საერთოდ სამართლიანი, კანონიერი სამართალი, მაგრამ შესაძლებელია ეს სიტყვები („მართალი სამართალი") სპეციალური შინაარსის გამოთქმად ჩავთვალოთ.

ჩვენს ლიტერატურაში დამაჯერებლად იყო დასაბუთებული, რომ „მართალი სამართალი" სპეციფიკური გამოთქმაა და ის უპირისპირდება პოზიტიურ სამართალს[1]. ამასთან, ეს სპეციფიკური შინაარსის გამოთქმა ცნობილია უძველესი პერიოდიდან XVIII საუკუნემდე.

ახლა გასარკვევია საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი შინაარსი აქვს „მართალ სამართალს".

ჩვენი აზრით, გამოთქმაში „მართალი სამართალი" ბუნებითი სამართალი იგულისხმება. ბუნებითი სამართლის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ შეხედულებათა შესწავლის დროს. აქ კი აღვნიშნავთ, რომ ბუნებითი სამართლის თეორიით, სხვადასხვა ეპოქის წარმომადგენლებისათვის ის იყო საერთო, რომ ბუნებითი სამართალი მათ მიაჩნდათ მარადიულ იდეებად, რომელიც ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს.

ისმება კითხვა: შეიძლება თუ არა ნესტანის ნათქვამი ხვარაზმშას უფლისწულის მოკვლის შესახებ გამართლდეს ბუნებითი სამართლის იდეებით? რა სამართლიანობა იქნებოდა უდანაშაულო ადამიანის მოკვლა? პოზიტიური სამართლით ამის გამართლება შეუძლებელია[1]. მაშასადამე,

---

[1]ვ. აბაშმაძე, „მართალი სამართლის" ცნება ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებაში, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, № 119; მისივე, „ქმნა მართლისა სამართლისა", „ლიტერატურული საქართველო", 1966, 9 სექტემბერი; მისივე, შოთა რუსთაველის იურიდიული შეხედულებები, „მნათობი", № 1, 1966; მისივე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან (XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები); თბილისი, 1968, გვ. 354-361; ე. ხინთიბიძე, მართალი სამართლის ცნებისათვის, „მაცნე", 1969, № 2.

თუ გამართლების საკითხი საერთოდ შეიძლება დაისვას, ეს უნდა ვეძიოთ პოზიტიური სამართლის გარეთ. ამიტომ გამართლების ერთადერთი გზა ბუნებითი სამართალია.

შოთა რუსთაველს აღაშფოთებს ანგარიშიანობაზე დამყარებული ქორწინება. თავისუფალ ნებაზე დამყარებული ქორწინება უაღრესად გაბედული და თანაც პროგრესული იდეა იყო ფეოდალურ ეპოქაში. გენიოსმა პოეტმა ხმა აღიმაღლა ამ უწმინდესი იდეის დასაცავად. რუსთაველს აღაშფოთებს სიყვარულზე დადებული ბორკილი. პოეტი უმღერის თავისუფალ სიყვარულს, რომელიც სიკეთის განსახიერებაა. მან გვიჩვენა ის დიდი დაბრკოლება, რომელიც სიყვარულის განთავისუფლების იდეას ხვდებოდა წინ მის ეპოქაში. მიუხედავად ამ წინააღმდეგობისა, პოეტმა სიყვარულის იდეას გაამარჯვებინა. სიყვარული, შოთას აზრით, უკვდავებაა და ყველაფერი, რაც მას წინ ეღობება, უნდა დაინგრეს. ნესტანი და ტარიელი ერთმანეთს უნდა შეხვდნენ, ასეთია ბუნების კარნახი, ამას კი ხელს უშლის ფეოდალური კანონმდებლობა, რომელიც ათასგვარ უმსგავსობას იცავს. ნესტანისა და ტარიელისათვის აუცილებელი იყო ხვარაზმშას უფლისწულის მოკვლა, რომ მათი შეუღლება შესაძლებელი გამხდარიყო. მაგრამ ყველა შემთხვევაში ეს იყო უდანაშაულო ადამიანის მკვლელობა. სასწორის ერთ მხარეზე იყო ორი ადამიანის ბედი, მათი სიყვარული, მეორე მხარეზე კი — უდანაშაულო ადამიანის მკვლელობა, რომელსაც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გართულება და ხალხების ხოცვა-ჟლეტა შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

§ 3. ტახტის მემკვიდრეობის საკითხი „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით

საყურადღებო იდეებია გატარებული „ვეფხისტყაოსანში" ტახტის მემკვიდრეობასთან დაკავშირებით.

არაბეთის მეფეს როსტევანს ჰყავს ერთადერთი ასული თინათინი, როსტევანი ხანშიშესულია. მის წინაშე დგას ტახტის მემკვიდრის საკითხი. როსტევანს ეუბნებიან ვეზირები: „ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს,

---

[1]ამ საკითხის შესახებ დაწერილებით იხ. ივ. სურგულაძე, ტახტის მემკვიდრეობის საკითხი „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით, შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილისადმი თსუ კრებული, 1966.

თუნდა ხვადია". ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ ყოფილა აღნიშნული, რომ რადგან ლომის ლეკვებზეა საუბარი, ხოლო ლომი ტყის მეფედ ითვლება, მოყვანილ სიტყვებში ძუსა და ხვადის თანასწორობა, ე.ი. ქალისა და მამაკაცის თანასწორობა ნაგულისხმევია მხოლოდ მეფის ოჯახის წევრების მიმართ. ამასთან, სხვადახვა წოდებებს შორის უთანასწორობას „ვეფხისტყაოსანი" არ უარყოფდა.

ნაწარმოებში საერთოდ ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე კი არ არის საუბარი, არამედ მაღალი წრის ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე. აქედან შეიძლება იმ დასკვნის გამოტანაც, რომ, შოთა რუსთაველის შეხედულებით, ერთი და იმავე კლასის ქალი და მამაკაცი თანასწორი უნდა იყოს.

იმ დროისათვის ასეთი იდეა უაღრესად პროგრესული იყო და საბოლოო ჯამში ქალისა და მამაკაცის გათანასწორების საქმეს ემსახურებოდა. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ საქართველოს ისტორიაში მხოლოდ ორი შემთხვევა იყო, როცა სამეფო ტახტზე ქალი ავიდა: თამარი და რუსუდანი. თამარის მამამ გიორგი III-მ თავისი უფროსი ძმის ტახტი დაიჭირა. ამ უკანასკნელს კი მემკვიდრედ ჰყავდა უფლისწული დემნა. გიორგიმ პირობა დადო, რომ მის შემდეგ ტახტზე კანონიერი მემკვიდრე დემნა ავიდოდა. მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა, როცა გიორგის თამარი შეეძინა (მანამდის მას შვილი არ ჰყავდა). გიორგი III-მ უარი უთხრა მის ძმისშვილს მემკვიდრეობაზე და თამარი თავისივე სიცოცხლეში ტახტზე აიყვანა. ანალოგიური შემთხვევა არის „ვეფხი-ტყაოსანშიც". ინდოეთის მეფე ფარსადანს შვილი არ ჰყავს. ინდოეთის ერთ-ერთ სამეფოს ფარსადანი შემოიერთებს, ხოლო შემოერთებული ყოფილი სამეფოს მეფის სარიდანის შვილს ტარიელს მემკვიდრედ გამოაცხადებს. ამიერიდან პატარა ტარიელი სასახლეში იზრდება როგორც მომავალში მეფე, მაგრამ ფარსადანს შვილი ეყოლა (ნესტანი) და გადაწყვიტა თავისი ასულის გამეფება. მან უარი უთხრა ტარიელს მემკვიდრეობაზე და დაუბრუნა იგი მშობლებს. ტარიელი და ნესტანი გაიზარდნენ, ერთმანეთი შეუყვარდათ, ტარიელი ვეზირი გახდა. ნესტანის მშობლებმა გადაწყვიტეს ხვარაზმშას შვილის ჩამოსიძება. ალბათ, ტარიელი სიძედ მათ იმიტომ არ უნდოდათ, რომ ტარიელი ერთ დროს ტახტის მემკვიდრედ იყო გამოცხადებული და, მისი სიძეობის შემთხვევაში, ტახტის მემკვიდრის პრეტენზია ექნებოდა. ეს კიდევ იმას ნიშნავდა, რომ ტახტი ფარსადანის მემკვიდრეს, მის შვილს კი არ ექნებოდა.

არამედ ტარიელს, ე.ი. ტახტი ფარსადანის ოჯახიდან, მისი გვარეულობიდან ტარიელის გვარეულობაზე გადავიდოდა. ეს კი ფარსადანს, რასაკვირველია, არ უნდოდა. ხვარზმშას უფლისწულის ჩამოსიძების შემთხვევაში მეფე ნესტანი იქნებოდა და მემკვიდრეობასაც ის გააგრძელებდა და არა მისი ქმარი. თამარის მეულლე დავით სოსლანი მეფის ტიტულს კი ატარებდა, მაგრამ ნამდვილი მეფე თამარი იყო და მისი მემკვიდრე გიორგი-ლაშა თამარის ძედ იხსენიებოდა, ისე, როგორც დავით ნარინი — რუსუდანის ძედ.

არც არაბეთის მეფე როსტევანს ჰყავდა მემკვიდრე ვაჟი. მან თავისი ერთადერთი ქალი თინათინი აიყვანა ტახტზე. აქ განსხვავებული სიტუაციაა: 1) მამამ თინათინი აიყვანა ტახტზე, მისი შეყვარებული ავთანდილია, მაგრამ ჯერჯერობით ის არ არის სიძე. 2) ავთანდილს ტახტის მემკვიდრეობის არავითარი პრეტენზია არა აქვს.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ თამარ მეფის ტახტზე ასვლა უჩვეულო მოვლენა იყო იმ დროს, ამიტომ საჭირო შეიქნა იმის მტკიცება, რომ ქალის მეფობა შესაძლებელია. ამ პეიოდში დაიწერა ნაშრომი, რომელშიც გადმოცემულია სიზმარში ღმერთისა და წმინდა ნინოს საუბარი. ნინო ეუბნება ღმერთს, რომ ის ქალია, სუსტი არსება და მას არ შეუძლია ქართველობის გაქრისტიანების მძიმე ტვირთი იდოს თავს. ღმერთი უპასუხებს: „არცა მამაკაცები არს, არცა დედაკაცება, არამედ თქუენ ყოველნი ერთი ხართ“[1]. ე.ი. მამაკაცები და ქალები თანასწორნი ხართო.

ნიკოლოზ გულაბერისძემ თამარის ტახტისა და ავტორიტეტის განსამტკიცებლად დაწერა შრომა, რომელშიც საგანგებოდ გაუსვა ხაზი ნინოს მოღვაწეობას. „აქედან ბუნებრივი იქნებოდა შემდეგი დასკვნა: რა გასაკვირველია დედაკაცი მეფედ გვყავდეს, როდესაც განგებამ დედაკაცის ღვთისმშობლის წილხვდომილი გვყო და დედაკაცივე, ნინო აირჩია ჩვენდა მოსაქცევად და გასაქრისტიანებლად“[2].

„ხელმწიფის კარის გარიგების“ აკტორი

„ხელმწიფის კარის გარიგება“ ქართული სამართლის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ძეგლია. ნაშრომი პოლიტიკურ ტრაქტატს წარმოადგენს და XIV საუკუნეში უნდა იყოს შედგენილი. ჩვენამდე კი მოაღწია

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 86.

[2] კ. კეკელიძე, ძველი ქართულის მწერლობის ისტორია, I, გვ. 300.

XVIII საუკუნის ხელნაწერმა, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა აღმოაჩინა. „ხელმწიფის კარის გარიგება“ ქართული ოურიდიული აზროვნების მაღალი დონის მაჩვენებელია. ძეგლს არა აქვს ოფიციალური ხასიათი. ის დაწერილია სასახლის დიდი მოხელის მიერ, რომელსაც აღწერილი აქვს გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილება და გამოთქმული აქვს თავისი შეხედულება სახელმწიფო წყობილების ფორმისა და სხვა საკითხების შესახებ. ექ. თაყაიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ „ხელმწიფოს კარის გარიგებაში“ აღწერილ ეტიკეტს, ცერემონიებს ისეთი ნიშნები ახლავს, რომელიც დამახასიათებელი იყო აბსოლუტური მონარქიისათვის საფრანგეთში ლუდოვიკო XIV-ის დროს.

ექ. თაყაიშვილს საფრანგეთის მონარქია შემთხვევით არ დაუსახელებია. აბსოლუტური მონარქია ყველაზე უფრო ტიპიურად საფრანგეთშია წარმოდგენილი, ხოლო ლუდოვიკო XIV საფრანგეთის ისტორიაში ის მეფეა, რომლის დროს აბსოლუტიზმმა ყველაზე უფრო დასრულებული სახე მიიღო[1].

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ დაწვრილებით არის აღწერილი საქართველოს სამეფოს მეთაურის აუდიენციები. ძეგლის ავტორს საუბარი აქვს იმის შესახებ, თუ როგორ იწყებს მეფე მიღებას. ამისათვის წინასწარ სათანადოდ ამზადებენ საუდიენციო დარბაზს: დაალაგებენ, ასუფთავებენ ტახტს, რომელზედაც მეფე უნდა დაჯდეს, განლაგდებიან მოხელეები და იწყება მიღება[2].

მეფე დარბაზობას მართავს ორი წესით (დიდი და მცირე წესით).

დარბაზობის დროს ცერემონიებს ხელმძღვანელობს მანდატურთუხუცესი, რომელსაც ეხმარება მისი მოადგილე ამირეჯიბი. მეფის განკარგულების შემდეგ მანდატურთუხუცესი იწყებს სტუმრების მიწვევას სამოხელეო იერარქიის მიხედვით. ყველაზე დიდი პატივით იწვევენ მოძღვართ-მოძღვარს, სწავლულს (ამ შემთხვევაში მოძღვართ-მოძღვარი გელათის აკადემიის რექტორი უნდა იყოს). მეფე მას მიეგებება და თავდახრით მიესალმება. ამის შემდეგ მეფე მიიღებს კათალიკოსს, შემდეგ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს. კათალიკოსი ეკლესიის მეთაური იყო, ხოლო მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი — მთავრობის

---

[1]ექ. თაყაიშვილი, ხელმწიფის კარის გარიგება, 1920, გვ. XXXV.
[2]ქართული სამართლის ძეგლები, ივ. სურგულაძის რედ., გვ. 38.

თავმჯდომარე. მაშასადამე, მეფე მოძღვართ-მოძღვარს, ე.ი. სწავლულს. უფრო მეტი პატივისცემით ეპყრობა, ვიდრე კათალიკოსსა და მთავრობის თავმჯდომარეს. თავისთავად ეს ფაქტი იმის მაუწყებელია, რომ სწავლას, სწავლულს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოში. მოძღვართ-მოძღვარი ან მოძღვარი არ არის მოხელე. მოძღვართ-მოძღვრობა სწავლულის ხარისხი უნდა იყოს.

მოძღვართ-მოძღვრის, კათალიკოსისა და მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის მიღების შემდეგ მეფე იწვევს სხვა დიდ მოხელეებს. ზოგის წინაშე მეფე ნაბიჯს დგამს, ზოგის წინაშე კი ხელს ასწევს მაღლა, ან უფრო დაბლა, მისაღები პირის პატივის მიხედვით.

დარბაზობისას და საერთოდ სხდომაზე ადგილები წინასწარ იყო განსაზღვრული. საპატიო ადგილი განისაზღვრებოდა მეფესთან სიახლოვით.

დაახლოებით ამგვარი წესი იყო მიღებული იმ ქვეყნებში, სადაც აბსოლუტური მონარქია არსებობდა.

„ხელმწიფის კარის გარიგების" ავტორის მიხედვით, მეფე ეკლესიის მეთაურიც არის: საეკლესიო დღესასწაულების დროს მეფე მიუძღვება ხალხს ეკლესიაში, მეფის წინ დროშა მიაქვთ, რომელსაც ეკლესიის შესასვლელთან დებენ. წირვის დამთავრების შემდეგ მეფეს წინ დროშა მიუძღვება, უკან კი ხალხი მიჰყვება. ცერემონია ეკლესიიდან მიემართება მეფის სასახლეში, სადაც იმართება დარბაზობა. ძეგლში მეფე ერთგვარ კულტად არის გამოცხადებული: თითოეული მისი ნაბიჯი, ცხოვრების ყოველგვარი წვრილმანიც კი, განსაკუთრებული ყურადღების საგანია: მეფეს ტანი აცმევს მსახურთუხუცესი, ღილს მესაწოლეთუხუცესი უკრავს, ქუდს მოლარეთუხუცესი ახურავს. ახალ წელს მეფის მორთვის განსაკუთრებული წესია შემოღებული. ღამით მეფესთან მცველებია მიჩენილი. ერთ-ერთი მცველი უშუალოდ დასაძინებელი ოთახის კართან დგას („წინმწოლი"). თუ მეფეს ღამით მოსწყურდება, ყინულიანი წყალი, ან ღვინო არის მომარაგებული და მეფეს სურვილის მიხედვით მიართმევენ. ღამით მეფესთან არავინ დაიშვება, გარდა ამირეჯიბისა ამირეჯიბი მანდატურთუხუცესის მოადგილე იყო, მანდატუროუხუცესის საქმიანობა კი დაახლოებით შინაგან საქმეთა მინისტრის საქმიანობას ეთანასწორებოდა. ისტორიაში არაერთხელ ყოფილა შემთხვევა მეფის წინააღმდეგ შეთქმულებისა, თავდასხმისა და ასეთი ვითარების დროს საჭირო იქნებოდა მეფის ინფორმირება, ამიტომ გათვალის-

წინებული იყო მეფესთან ამირეჯიბის დაუბრკოლებელი შესვლა.

ამ დახასიათების მიხედვით, საქართველოს მეფე აბსოლუტურ მონარქად წარმოგვიდგება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეფის გაღმერთების იდეა აღმოსავლეთის ქვეყნებში იყო მიღებული, აქედან კი ბიზანტიაში გადავიდა. შესაძლებელია უშუალოდ აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, ან ბიზანტიიდან ამ იდეებმა ნაწილობრივ საქართველოშიც შემოაღწია. მაგრამ „ხელმწიფის კარის გარიგებაში" მოცემული იდეები მეფობის შესახებ ძირითადად, ქართულ ნიადაგზე უნდა იყოს წარმოშობილი. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ეკონომიკური პირობები აბსოლუტიზმისათვის საქართველოში არ იყო შექმნილი, მაგრამ ასეთი პირობებისათვის, როგორც ზემოთ ვთქვით, შესაძლებელია ფეოდალური საქართველოს გაერთიანების ხანაში მზადდებოდა ნიადაგი, ამდენად, ავტორს შეეძლო მომავალი სახელმწიფოებრივი წყობილების იდეები გაეთვალისწინებინა. ერთი რამ აშკარაა: „ხელმწიფის კარის გარიგების" ავტორი ძლიერი, ცენტრალიზებული ფეოდალური მონარქიის მომხრეა და ამას ქადაგებს კიდეც თავის ნაშრომში. („ხელმწიფის კარის გარიგების" შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ივ. სურგულაძის ნაშრომი „ქართული სამართლის ისტორიის წყაროები", თბ. 1983).

თავი III. ერთიანი სახელმწიფოს დაშლის პერიოდის პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებები (XVI-XVIII სს.)

ერთიანი სახემწიფოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ საქაროველოში განსაკუთრებული სიმწვავით დადგა საგარეო ორიენტაციის საკითხი. ისლამური ქვეყნებით გარემოცული საქართველოს მეფეები ქრისტიანულ სახელმწიფოებთან ცდილობდნენ კავშირის დამყარებას და ამით მუსლიმური გარემოცვის გარღვევას. ამ მხრივ განსაკუთრებულად აქტიურ მოღვაწეობას ეწევიან თეიმურაზ I, ვახტანგ VI, თეიმურაზ II და ერეკლე II, რომელთა პოლიტიკურ შეხედულებებში ერთ-ერთი მთავარი ადგილი სწორედ საგარეო ორიენტაციის საკითხს უჭირავს. ამავე პერიოდში ამიერკავკასიას ჩრდილოეთიდან რუსეთი მიადგა და XVI ს-ში კახეთის მეფეებმა სწორედ რუსეთს თხოვეს მფარველობა. მაგრამ, როგორც ჩანს, საქართველოს მესვეურებს უფრო სასურველ მოკავშირეებად დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები მიაჩნდათ. ამას ადასტურებს ის, რომ მუსლიმური

სახელმწიფოების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების სათხოვნელად დასავლეთ ევროპაში საქართველოდან რამდენჯერმე ელჩები იქნა გაგზავნილი: თეიმურაზ I-ის დროს – ნიკიფორე ჩოლოყაშვილი (ირბახი), ვახტანგის დროს კი – სულხან-საბა ორბელიანი, რომელმაც მანამდე კათალიკოსობაც მიიღო. საინტერესოა, რომ კათალიკოსობის მიღებას რომის პაპს ქართველი მეფეებიც პირდებიან (თეიმურაზ I, გიორგი XI), მას სამეფო ტახტზე დამტკიცებასაც კი სთხოვენ, და ევროპელ ვაჭრებსა და კათოლიკე მისიონერებისათვის საქართველოში ხელსაყრელი პირობების შექმნას თავაზობენ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველო დასავლეთ ევროპიდან საჭირო დახმარებას ვერ იღებდა, ქართველი მეფეები (თეიმურაზ I, ვახტანგ VI, ერეკლე II), დახმარებისათვის რუსეთს მიმართავდნენ. მართალია, თეიმურაზ II და ერეკლე II თავდაპირველად ირანული ორიენტაცია აირჩიეს, და ირანის მესვეურებთან მოხერხებული პოლიტიკისა და დიპლომატიური ურთიერთობის შედეგად მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწიეს (მათ აღადგინეს აღმოსავლეთ საქართველოში ქართული მმართველობა, ფაქტობრივად გააერთიანეს ქართლ-კახეთი, რომელიც ამიერკავკასიაში ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ იქცა...), მაგრამ საბოლოოდ ერეკლე II მოკავშირედ, მფარველად მაინც რუსეთი აირჩია. რუსეთი XVIII საუკუნეში ორჯერ აქტიურად ჩაერია ამიერკავკასიისათვის პოლიტიკურ ბრძოლაში და საქართველოს მეფეებს დახმარებასაც დაპირდა, მაგრამ ორივე შემთხვევაში რუსეთის „დახმარება“ საქართველოსათვის სავალალო აღმოჩნდა. პირველ შემთხვევაში, ვახტანგ VI-ისა და პეტრე I-ის შეთანხმებისა და ირანში ერთობლივი ლაშქრობის გეგმის ჩაშლის შედეგად, ქართლის მეფე მისი პოლიტიკით უკმაყოფილო ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მარტო დარჩა და მას ქართლის თითქმის მთელ პოლიტიკურ ელიტასთან ერთად სამშობლოს დატოვება და რუსეთში გადასახლება მოუხდა, ხოლო ქართლში კი დაახლოებით ორი ათეული წლის მანძილზე უცხოური მმართველობა („ოსმალობა“ და „ყიზილბაშობა“) დამყარდა. საქართველოსთვის უფრო ტრაგიკული შედეგი მოჰყვა რუსეთის „დახმარებას“ ერეკლე II-ის დროს. 1783 წლის ტრაქტატით ერეკლე II-მ მეზობელი მუსლიმური სახელმწიფოები გადაიმტერა, საჭირო დროს რუსეთისგან დაპირებული დახმარება ვერ მიიღო და კრწანისის ბრძოლაში დამარცხდა. ხოლო ამის შედეგად უკვე დასუსტებული აღმოსავლეთ საქართველო რუსეთმა ადვილად შეიერთა და თითქმის ორი საუკუნით საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის

ქონე სახელმწიფოებრიობა დააკარგვინა.

ქართველი მეფეების ევროპული ორიენტაცია მხოლოდ მოკავშირისა და მფარველის ძებნით არ გამოიხატებოდა. XVIII საუკუნეში საქართველოში უკვე თანდათანობით ვრცელდება იმ დროისათვის მოწინავე ევროპული იდეები და ქართველ მეფეებსა და საზოგადო მოღვაწეებშიც შეინიშნება სურვილი ქართული პოლიტიკურ-სამართლებრივი სისტემის მოწინავე ევროპული იდეების მიხედვით გარდაქმნისა. რუსეთის მოხელე ბურნაშევი ერეკლეს შესახებ წერდა: „მეფე ერეკლე არაფრისადმი ისე არ ისწრაფვის, ვიდრე გარდაქმნას თავის ხალხი ევროპულად". ევროპელ განმანათლებელთა გავლენა ეტყობა XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში შექმნილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პოლიტიკური და სამართლებრივი ხასიათის ნაშრომებს (ალექსანდრე ამილახვარი, დავით ბაგრატიონი...).

არჩილი (1647-1713)

არჩილი იყო ვახტანგის უფროსი შვილი. მან საკმაოდ კარგი განათლება მიიღო. იგი ხან იმერეთში მეფობდა, ხან კახეთში, მაგრამ ინტრიგების გამო ვერსად ფეხი ვერ მოიკიდა, ამიტომ იძულებული შეიქნა რუსეთში გამგზავრებულიყო.

არჩილი დასახლდა მოსკოვის ახლოს ცსეხსვიატსკოეში და შეუდგა კულტურულ-ლიტერატურულ მოღვაწეობას; დაარსა ქართული სტამბა და იწყო ქართული წიგნების ბეჭდვა. 1713 წელს არჩილი გარდაიცვალა. იგი დასაფლავებულია მოსკოვში დონის მონასტერში.

არჩილს მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დარჩა. გარდა ნათარგმნი თხზულებებისა, მას აქვს ორიგინალური ისტორიული პოემა „თეიმურაზიანი". მის კალამს ეკუთვნის „გაბაასება კაცისა და სოფლისა", „საქართველოს ზნეობანი" და სხვ. არჩილზე დიდი გავლენა იქონია თეიმურაზის შემოქმედებამ. როგორც თეიმურაზის, ისე არჩილის ნაწერებში მთავარია ეროვნული მოტივი. ორივეს შემოქმედებას გადაჰკრავს რელიგიურ-მორალური, ასკეტურ-მისტიკური და პესიმისტური ელფერი[1], მაგრამ თეიმურაზისაგან განსხვავებით, არჩილის პოეზიაში, უფრო ძლიერად არის მოცემული ეროვნული მოტივი. არჩილი გაურბის

---

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1952, გვ. 481.

ფანტასტიკას და მქადაგებელია „მართლის თქმისა“.

არჩილი „ქართველ განმანათლებელთა მამამთავარია“[1]. მისი პოლიტიკური შეხედულებანი, ერთი მხრივ, დამყარებულია განმანათლებლურ იდეებზე, მეორე მხრივ, რელიგიაზე. არჩილი თავის შრომაში ხშირად საუბრობს მეფეზე, სახელმწიფოს მეთაურზე. მისი შეხედულებით, სახელმწიფო ფორმის მხრივ მონარქიას უნდა წარმოადგენდეს. მისთვის მიწიერ ცხოვრებაში ყველაზე მთავარი მეფეა და, არჩილის აზრით, სწორედ მეფე უნდა ვახსენოთ ყველაზე უწინ[2]. ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს მეფეთა შიში, რადგანაც მეფე „არის მეუფე მაღალ-მდაბლისა ყოვლისა. იგია ყველგან მხედველი დასავალ-აღმოსავლისა“. მეფე არა მარტო „ყოვლის მხედველი“ უნდა იყოს, არამედ სჯულის მტკიცე დამცველი, სამართლის ფრთხილად მომქმედი, დამნაშავის ზომიერად. მოქმედების შესაფერისად შემრისხველი, ერთგულთა მწყალობელი. მეფისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს სიბრძნე, გონიერება, მომავლის განჭვრეტის უნარი, ქვრივთა და ობოლთა წყალობა, გლეხთა ძალადობისაგან დაცვა. მეფე უნდა იყოს მართალი, ადამიანის გამგონე, საჩივრის მომსმენი. მეფემ მიმძლავრებული ქვრივი ისე უნდა დაიცვას, როგორც შეწუხებული დედა, ობოლს ისე უნდა უყურებდეს, როგორც შვილს, ქვრივ-ობოლი სამართლიანობით უნდა დაატკბოს და დააღუმოს. მეფე სხვას არ უნდა აყენებდეს იძულებას და არც არავის ანებებდეს მძლავრობას[3].

არჩილის შრომებში გამახვილებულია ყურადღება მეფის ღვთიურ წარმოშობაზე („მეფე სიმართლის მსაჯული ღვთისგან დაიბადება“-ო)[4] მონარქიის მომხრე იდეოლოგიისათვის საერთოდ, დამახასიათებელია მეფობის ღვთისაგან მომდინარეობის მტკიცება, ამ გარემოებას იმ მხრივ ჰქონდა მნიშვნელობა, რომ თუკი მეფობა ღვთისაგან მომდინარეობდა, მის წინააღმდეგ გამოსვლა ღვთის წინააღმდეგ გამოსვლასაც ნიშნავდა.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ არჩილს მოხსენიებული აქვს მეფის მსაჯულობა. მეფე სახელმწიფოში უმაღლეს მსაჯულად ითვლებოდა, ამასთან, არჩილის შეხედულებით, მეფე უნდა იყოს

---

[1]ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 396, 399.

[2]ჩვენი საუნჯე, IV, 1960, გვ. 277, სტრ. 256.

[3]ჩვენი საუნჯე, 177-178.

[4]ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული მწერლობის ისტორიიდან, II, 1940, გვ. 264.

„სიმართლით მსაჯული“, ე.ი. მეფე სამართლიანად უნდა სჯიდეს ყოველგვარ საქმეს.

მეფეს ბრძნული სიტყვის თქმა შეშვენის. მეფე უნდა ემსგავსებოდეს ბრძენ მკურნალს, რომელსაც კარგად ესმის ავადმყოფისა და ჯანმრთელის მაჯისცემა, ამასთანავე, როგორც ბრძენმა მკურნალმა, იცის, რომ „ყოველს სნეულს სხვადასხვა წამალი“ რგებს, ისე მეფე ყოველ ადამიანს თავისებურად უნდა მიუდგეს[1]. მეფემ უნდა იცოდეს ჟამი წყალობისა, ჟამი წყრომისა. მეფე ბრძენი უნდა იყოს და სიბრძნე იმაშიც უნდა გამოიხატოს, რომ ქვეშევრდომის წყალობის თუ შერისხვის დროს, ყველა ერთი საზომით არ გაზომოს. მეფემ დამნაშავე იმის მიხედვით უნდა დასაჯოს, თუ რამდენად მავნეა მის მიერ ჩადენილი დანაშაული საზოგადოებისათვის, ამასთანავე, რას წარმოადგენს დამნაშავის პიროვნება და ა.შ. არჩილს საუბარი აქვს „წვრთნაზე“, „რისხვაზე“. ვინც „შფოთავს“ და „ბორგავს“, ე.ი. არ არის დაწყნარებული, ჩადის დანაშაულს, მეფე საწვრთნელად ზოგს მისცემს სასჯელს, ზოგს შეუნდობს, ზოგს კი არ დაინდობს, რისხვით დაატყდება თავს.

არჩილის მიხედვით, ადამიანს ორგვარი მკურნალი ესაჭიროება: სულისა და ხორცის. სულის მკურნალი არის მოძღვარი, სასულიერო პირი, ხოლო ხორცისა — ექიმი. მეფეს კი, არჩილის აზრით, ორივე სახის მკურნალობა უნდა შეეძლოს[2].

არჩილის შეხედულებით, მეფე მოვალეა, თუ ვინმეს შეინდობს, მიინდობს, ის აღარ დასაჯოს. არჩილი ამის შესახებ წერს: „სამართალი მეფეთ ეს არს, შენახვეწს კაცს“ შეიწყალებს.

არჩილის აზრით, მეფე იმდენად მაღალ საფეხურზე დგას, რომ მას არავინ შეედრება. თეიმურაზთან პაექრობის დროს რუსთაველსაც კი ათქმევინებს არჩილი: „მე რა ღირს ვარ თქვენს დარებას, ამხანაგი შემადარონ... თქვენ ბატონობა შეგშვენის, მე ყმა ვარ შესაფერიო“, „ასე მმართებს ფერხთა გბანდე“[3], ე.ი. არ შეიძლება მეფისა და ყმის შედარება, რადგანაც მეფე განსაკუთრებული პიროვნებაა, მისი შესადარი არავინ არის. მიუხედავად ამისა, მეფეს თავდამბლობა მართებს, მაგალითად, არჩილი აღწერს გლეხის მიერ მეფის მიპატიჟებას, მეფე

---

[1]ჩვენი საუნჯე, ტ. 4, გვ. 178, სტ. 263.
[2]ჩვენი საუნჯე, ტ. 4, გვ. 264.
[1]იქვე, გვ. 64, 141, 156.

ღებულობს გლეხის მიწვევას და შედის მის ოჯახში. ამ ფაქტს არჩილი დადებითად აფასებს.

ფრიად საყურადღებოა ის გარემოება, რომ არჩილი უგუნურ მეფეს ბრძენ მონას ამჯობინებს. მაშასადამე, სიბრძნე მეფისათვის სავალდებულოა; თუ ის უგუნურია, მას არ შველის შთამომავლობა.

არჩილი საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლებისაგან მოითხოვს მეფისადმი სრულ მორჩილებას.

ფეოდალური აშლილობა, არჩილის მართებული მოსაზრებით, ქვეყნის დამღუპველია. სახელმწიფო მორჩილების გარეშე არ არსებობს.

არჩილის აზრით, მეომარი უნდა იყოს მეფის ერთგული[1]. მაშინ იქნება ის ქვეყნისა და სჯულისათვის მებრძოლი.

არჩილი აქებს დავით აღმაშენებელს, გიორგი ბრწყინვალეს და თამარს. იგი დადებითად აფასებს ისეთ მეფეს, რომელსაც მმართველობის „აღვირი ძლიერად უპყრია"[2], შესწევს ძალა, ურჩი დაიპყრას, ერთგული აამაღლოს, ქვეყანა გააერთიანოს და სახელმწიფო საზღვრები გააფართოოს.

თეიმურაზისა და რუსთაველის „გაბაასებაში" არჩილი გადმოგვცემს გვიანფეოდალური საქართველოს მდგომარეობას; არჩილი ცდილობს თეიმურაზ I-ის ეპოქა რეალისტურად წარმოგვიდგინოს. ერთგან ის წერს: „რაც მესმოდა, ან მენახა, ამბავი ვთქვი მე მართლები"[3]. არჩილი მართლაც აგვიწერს ისტორიული სინამდვილესთან საკსებით შესატყვის სურათს მაშინდელი ვითარებისა.

არჩილი გულისტკივილით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ფეოდალთა აშლილობა ქვეყნის დამღუპველია, რომ მეფე-მთავრებისა და ფეოდალების ბრძოლა, საერთოდ, დამახასიათებელია გვიანფეოდალური საქართველოსათვის. ასეთი ვითარება კი „საქართველოს დაასუსტებს"

შეგნება იმისა, რომ საქართველოს საერთო საქმისათვის ბრძოლა აუცილებელია, დამახასიათებელი იყო მაშინდელი საქართველოს პროგრესული ნაწილის წარმომადგენელთათვის. არჩილი ამას საგანგებოდ აღნიშნავს, როგორც მოსაწონ, მისასალმებელ გარემოებას. არჩილი მოგვითხრობს, თუ როგორ კარგად ღებულობდნენ თეიმურაზ I-ს დასაკლეთ საქართველოს მეფე და დასავლეთ საქართველოს მესვეურები.

---

[1]არჩილიანი, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., I, 1936, გვ. 52.
[2]ჩვენი საუნჯე, ტ. 4, გვ. 145.
[3]იქვე, გვ. 269.

როდესაც შაჰ-აბასმა იმერეთის მეფეს მოსთხოვა თეიმურაზისა და ლუარსაბის გაცემა, იმერეთის მეფემ სასტიკი უარი განუცხადა შაჰს. არჩილი შემდეგ სიტყვებს ათქმევინებს იმერეთის მეფეს: „ვით მოჰხდება ეგე აგრე, ძმა და შვილი ადგილ გავსცე, ლიხს იქითი საქართველო ავიღო და პირქვე დავსცე?“[1].

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არჩილის მსოფლმხედველობა ქრისტიანულ-აღმსარებლობითია. არჩილის აზრით, ადამიანის უმთავრესი საზრუნავი სულია, ამქვეყნიური ცხოვრება წამიერია, ის გაქრება. ადამიანი მიწიერს. ხორციელს არ უნდა აჰყვეს, მან თავისი სულისათვის უნდა იზრუნოს, ეს არის მთავარი.

„ქუეყნისა და სჯულისათვის“ ბრძოლას, მტერთან შებმას და სიკვდილსაც კი „ლხინურ“ უნდა შევხვდეთ, რადგანაც სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის სიკვდილი უდიდესი ბედნიერებაა — გვასწავლის არჩილი[2]. პატრონის, ე.ი. მეფისა და სჯულისათვის ერთგულება, ბრძოლა, სისხლის დაღვრა ადამიანისათვის ბედნიერებაა, ცხონებაა.

როგორც ვთქვით, არჩილი მორწმუნეა; მისი აზრით, ყველაფერი ღმერთზეა დამოკიდებული, დედამიწა და ადამიანი ღმერთმა შექმნა[3]. ამასთან დაკავშირებით ისმება საკითხი ადამიანის პასუხისმგებლობის შესახებ მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობისათვის. ეს საკითხი ფრიად საყურადღებოა სისხლის სამართლის მეცნიერების თვალსაზრისით. თუკი ყველაფრის საფუძველი ღმერთია, მაშინ როგორი უნდა იყოს პასუხისმგებლობის საფუძველი? შეიძლება თუ არა ადამიანს მოეთხოვოს დანაშაულისათვის პასუხი? ამ საინტერესო საკითხზე არჩილს პასუხი აქვს გაცემული.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ქრისტიანული რელიგია ყველაფრის მიზეზად ღმერთს თვლის, მაგრამ ამავე დროს ადამიანს პასუხისმგებლობას აკისრებს თავის მოქმედებაში. სწორედ ამ საკითხს არჩევს არჩილი თავის შრომაში — „გაბაასება კაცისა და სოფლისა“. თუკი ღმერთი ყოვლისშემძლეა, თუკი ღმერთმა შექმნა ყველაფერი, მან იმთავითვე გააჩინა დანაშაულის ჩამდენი ადამიანი, ღვთის მიერ ყველაფერი წინასწარ არის გათვალისწინებული და ამდენად მას არ რჩება თავისუფალი ნება,

---

[1]ჩვენი საუნჯე, ტ. 4, გვ. 198.

[2]არჩილიანი, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., I, 1936, გვ. 52.

[3]ჩვენი საუნჯე, ტ. 4, გვ. 176.

და თუ თავისუფალი ნებით არ შეუძლია მოქმედება, ის არც შეიძლება პასუხისმგებელი იყოს დანაშაულზე. განა ყოვლისშემძლე ღმერთს არ შეეძლო საქმე ისე წარემართა, რომ დანაშაული, ბოროტება არ ყოფილიყო?

არჩილი აკამათებს ერთმანეთს შორის ადამიანსა და სოფელს და გზადაგზა გამოთქვამს თავის შეხედულებას სხვადასხვა საკითხზე. ადამი უჩივის სოფელს, რომ მტერს შეშურდა მისი სამოთხეში ყოფნა, მას ეშმაკი გველის სახით გამოეცხადა ევას შესაცდენად, გადაიყვანა ღვთის ცნებისგან, შეაჭამა აკრძალული ხილი, ამით ღვთის რისხვა და სამოთხიდან გაძევება დაიმსახურა. სოფელს რომ გველისათვის ადგილი არ მიეცა, მაშინ ადამი და ევა გადარჩებოდნენ.

სოფელი ეუბნება ადამს რომ ღმერთმა ის გონიერი შეჰქმნა, „სრული სიკეთით შეამკო, არ მისცა „ავის მცნობელობა", ადამიანი თავის უფალი იყო და რატომ შეცდა, რატომ ჩაიდინა ბოროტება? ძალა არავის დაუტანებია და მან თავისი „ნებით გააკეთა ყველაფერი. ამ შემთხვევაში არჩილი სოფლის პასუხის მიხედვით, ადამიანის ნებელობისა და დანაშაულის პასუხისმგებლობის შესახებ ქრისტიანულ შეხედულებას ავითარებს, იზიარებს ამ შეხედულებას.

არჩილის აზრით, ადამინის გარდა არც ერთ საგანს, სულიერსა და უსულოს, არ გააჩნია თავისი ნება, ზამთარს შესცვლის გაზაფხული, გაზაფხულს — ზაფხული, ხოლო ზაფხულს — შემოდგომა: ეს სოფელზე არ არის დამოკიდებული; ადამიანს აქვს „ხელმწიფობა" თავის თავზე, მხოლოდ მას შეუძლია „თავისი ნებით" მოქმედება[1].

არჩილის ჰუმანიზმი გლეხობის მიმართ იმაში გამოიხატება, რომ, მისი აზრით, გლეხს ძალა არ უნდა დაატანონ, რაც, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ გლეხს არ დაადონ ისეთი გადასახადი, რაც არაა ჩვეულებითი სამართლითა და დაწერილი კანონით გათვალისწინებული. „გლეხს ძალი მოაშორეთ", — ქადაგებს არჩილი[2].

ამ შემთხვევაში არჩილი იქიდან გამოდის, რომ აუტანელი გადასახადებით დაბეგრილი გლეხობა გადაშენების გზას დაადგება და მწარმოებელი კლასის განადგურება დაღუპავს საზოგადოებას („თუ ამოწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდა").

არჩილი ღარიბების და ქვრივ-ობლების შეწყალებას და საერთოდ

---

[1]ჩვენი საუნჯე, ტ.4. გვ. 274.

[2]არჩილიანი, I, გვ. 50.

ქველმოქმედებას ადამიანის საუკეთესო ზნეობრივ თვისებად თვლის. ამასთან იგი კიცხავს სიძუნწესა და სიხარბეს[1].

არჩილს გლეხკაცის მუშაობა — ბარვა, ხვნა, თესვა და სხვა, საქებარ საქმედ მიაჩნია, მაგრამ პოეტი კიდევაც კიცხავს ისეთ პირს, რომელსაც მუშა ჰყავს და „თვითონ" კი შრომობს. „შრომის შეფასებაში არჩილი თავადაზნაურობის კლასის თვალსაზრისიდან გამოდის"[2].

მაგრამ, ამასთან, არჩილის აზრით, გლეხი თავისი ბატონის ერთგული უნდა იყოს, ხოლო ურჩი გლეხი სასტიკად უნდა დაისაჯოს: „ულელი და აპეური კარგად მოსდევს მაღალ ქედსა". ურჩ მონას მოუხდება გვემა, დასჯა, წყალობა კი „კარგ" მონას ესაჭიროება[3]. არჩილის აზრით, არ არის დასაზოგავი ის ყმა, რომელიც თავისი პატრონის წინაშე კადნიერებას გამოამჟღავნებს.

ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ არჩილი ფეოდალთა კლასის ინტერესებს იცავს, მაგრამ ამასთანავე ამ კლასის პროგრესული ნაწილის წარმომადგენელია. არჩილის ასეთმა შეხედულებამ დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის ლიტერატურაზე, არჩილის თვალსაზრისი გაიზიარა სულხან-საბა ორბელიანმა. ამ გარემოებამ გამოხატულება პოვა ვახტანგის კანონმდებლობაში, კერძოდ, „დასტურლამალში"[4].

ჩვენი მიზანი არ არის არჩილის შეფასება, როგორც პოეტისა, მაგრამ როგორც მოაზროვნემ, მან დიდი ამაგი დასდო მომავალ თაობას და მისმა ჰუმანიზმით გამთბარმა პროგრესულმა შეხედულებებმა დიდი გავლენა მოახდინა ქართული პოლიტიკური აზროვნების განვითარებაზე.

სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725)

სულხან-საბა ორბელიანის მსოფლმხედველობისათვის დამახასიათებელია ადამიანის სიყვარული, ჰუმანიზმი.

სულხანს არა მარტო უყვარდა ადამიანი, არამედ სჯეროდა ადამიანის გონებისა. ამიტომ სულხანი ავითარებდა იმ შეხედულებას, რომ ტახტის

---

[1]ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, გვ. 197.
[2]იქვე, გვ. 196.
[3]არჩილიანი, I, გვ. 88.
[4]ქართული სამართლის ძეგლები, ივ. სურგულაძის რედ., 1970, §, 123, გვ. 617.

მემკვიდრემ უნდა მიიღოს სათანადო აღზრდა, რათა გონივრულად წარმართოს სახელმწიფო და ბედნიერება მოუტანოს ხალხს[1].

სულხანის შეხედულებით, როგორც მწყემსი მოვალეა ცხვრის ფარისათვის იზრუნოს; კარგ ბალახზე მიიყვანოს, მტაცებლისაგან დაიცვას, ასევე მეფე ვალდებულია იზრუნოს გლახაკის, მონის, გლეხის, მსახურის, აზნაურის, თავადისა და დიდებულებისათვის.

მეფემ „წესი, რიგი, შრომა, ჭირი, მუშაკობა, საქმე, ვაჭრობა, სმაჭამა და მიცემა უნდა იცოდეს"[2].

სულხანის შეხედულებით, მემკვიდრე, მომავალი მეფე, ისე უნდა იზრდებოდეს, რომ პრაქტიკულად შეცნობილი ჰქონდეს საზოგადოების ყველა ფენის მდგომარეობა. ამისათვის საჭიროა მემკვიდრის სპარტანული წესით აღზრდა. მემკვიდრის აღზრდაში ჩაქსოვილი უნდა იყოს ის საწყისები, რომლებიც მომავალში გაუადვილებს ქვეყნის მართვას, მას ეცოდინება თავისი სამეფოს სატკივარი, ადვილად გაუგებს საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს. ასეთი მეფე არ მოსწყდება ხალხს და შეეძლება ქვეყნის ჩინებულად მართვა[3].

მეფე, სულხანის შეხედულებით, უნდა იყოს განათლებული, დინჯი. მას გულდასმით უნდა შეეძლოს თავისი ვეზირების მოსმენა. ვეზირები კი, თავის მხრივ, მცოდნენი და განათლებულნი უნდა იყვნენ. თუ ასეთ ვითრებაში წარიმართება საქმე, მაშინ სახელმწიფო ურყევი იქნება. სულხანის აზრით, მეფემ საქმე არ უნდა მიიყვანოს აჯანყებამდე, უნდა მოერიდოს უმიზნო, უაზრო სისასტიკეს.

სულხანის შეხედულებით, საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილება განმანათლებლური იდეების მიხედვით უნდა გარდაქმნილიყო. მაგრამ მისი პირველი და მთავარი მიზანი იყო სამშობლოს განთავისუფლება. სულხანი და მისი დროის მოწინავე ქართველები კარგად ხედავდნენ, რომ საკუთარი ძალებით ქართველ ხალხს ეს არ შეეძლო. ამიტომ დაისვა საგარეო ორიენტაციის საკითხი.

გიორგი XI-მ და სულხანმა პოლიტიკური მიზნით თითქმის

---

[1]ივ. სურგულაძე, სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, გვ. 77.

[2]სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე-სიცრუისა, 1938, გვ. 30.

[3]ივ. სურგულაძე, სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, 1959, გვ. 97.

ერთდროულად მიიღეს კათოლიკური სარწმუნოება. მათ სურდათ რომის პაპის დახმარებით ევროპის კათოლიკური სახელმწიფოები ჩაებათ „ურწმუნოების", ე.ი. ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც ამ დროს საქართველოში ბატონობდნენ. ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში მოექცა. სწორედ ამ პერიოდში სამშობლოს განთავისუფლების იდეალების გაცრუება და პოლიტიკური ბრძოლის უიმედობა იყო მიზეზი სულხან-საბას ბერად შედგომისა[1]. სულხანის ბერად შედგომიდან 5 წლის შემდეგ გიორგი XI შეურიგდა ირანს და ქართლის სამეფო დაიბრუნა, თვითონ გიორგი XI ირანის მთავრობამ სპარსეთში დაიტოვა, ხოლო ქართლის გამგებლად ჯერ გიორგი XI-ის ძმა ლევანი, ხოლო 1704 წლიდან ლევანის შვილი ვახტანგ VI დანიშნა. გიორგი XI-ის დაღუპვის და ვახტანგის უფროსი ძმის ქაიხოსროს სპარსეთში მოკვლის შემდეგ, ქართლის გამგებლის ვახტანგის ტახტზე ასვლის საკითხი დადგა. ვახტანგი სულხანის გაზრდილი იყო და ორივეს ერთი მიზანი ჰქონდა — სამშობლოს განთავისუფლება. სულხანმა მიატოვა მონასტერი და ისევ აქტიურ პოლიტიკურ ბრძოლას დაუბრუნდა. ვახტანგს სპარსეთში წინადადება მისცეს გამაჰმადიანებულიყო, მან უარი განაცხადა, რისთვისაც იგი დააპატიმრეს.

1713 წელს სულხანი ევროპაში გაემგზავრა დიპლომატიური მისიით. სულხანი კარგად მიიღო რომის პაპმა. რომიდან იგი საფრანგეთს გაემგზავრა. სულხანმა საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV-სთან რომის პაპის სარეკომენდაციო წერილი მიიტანა. რომის პაპი ენერგიულად სთხოვდა საფრანგეთის მეფეს საქართველოსათვის დახმარების გაწევას.

სულხანს ჩამოყალიბებული ჰქონდა კონკრეტული სათხოვარი. იგი საფრანგეთის მთავრობას სთხოვდა ფულს, რომელიც დასჭირდებოდა ვახტანგს სპარსეთის ტყვეობიდან გამოხსნისათვის. ამასთანავე, სულხანი თხოულობდა დიპლომატიურ ჩარევას ირანისა და ქართლის ურთიერთობის მოსაწესრიგებლად (ეს ჩარევა ვახტანგის სასარგებლოდ უნდა ყოფილიყო მიმართული).

სულხანი საფრანგეთის მთავრობას უხსნიდა, თუ რა შედეგი ექნებოდა საქართველოსათვის საფრანგეთის დახმარებას. პირველ ყოვლისა, საქართველოზე გადიოდა სავაჭრო გზა ევროპიდან სპარსეთსა და აღმო-

---

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, გვ. 250; ა. ცარამიძე, ნარკვევები, ტ. II, გვ. 250.

საფრანგეთის სხვა ქვეყნებში. ქართველი მეფე-მთავრები დახმარებას გაუწევდნენ ვაჭრებს, უზრუნველყოფდნენ გზებზე უშიშრობას. გარდა ამისა, ვახტანგი ჰპირდებოდა საფრანგეთის მთავრობას, რომ ის დაეხმარებოდა საფრანგეთის საგაჭრო კომპანიებს სპარსეთში. სულხანი უხსნის საფრანგეთის მთავრობას, რომ ვახტანგის გამოხსნა სპარსეთის ტყვეობიდან ხელს შეუწყობდა კათოლიკ მისიონერთა მოღვაწეობას ამერიკაკავკასიაში, კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებას.

საფრანგეთის მთავრობა სულხანს დაჰპირდა ფულად დახმარებას ვახტანგის გამოსახსნელად, მაგრამ სულხანის დიპლომატიური მისია უშედეგოდ დამთავრდა. ლუდოვიკო იმ ხანებში გარდაიცვალა (1715 წ.) და სულხანი ხელცარიელი დაბრუნდა საქართველოში.

ვახტანგი დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან დახმარების მიღების უშედეგო ცდის შემდეგ რუსეთზე იღებს ორიენტაციას. იგი თავისი მრავალრიცხოვანი ამალით, რომელშიც იყო სულხანიც, რუსეთს აყარებს თავს. სულხანი მოსკოვში გარდაიცვალა.

სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკური შეხედულებებიდან ყურადღებას იპყრობს მისი თვალსაზრისი მეფისა და მისი ხელისუფლების შესახებ.

სულხანი ჩამოთვლის მეფისათვის აუცილებელ თვისებებს და იმ ფუნქციებს, რასაც უნდა ახორციელებდეს იგი. სულხანის აზრით, მეფე უნდა იყოს მშვიდი, აუჩქარებელი, კარგად უნდა აწონოს ავი და კარგი; მეფე უნდა იყოს თავმდაბალი; აპპარტავნობა, გულზვიადობა და სულმოკლეობა არ უნდა ახასიათებდეს. მეფისათვის, როგორც სახელმწიფოს მეთაურისათვის, დამახასიათებელი უნდა იყოს „უქრთამო სამართალი" და „სიმართლე უზაკველი". როგორც ჩანს, ქრთამი მაშინდელი სახელმწიფოებრივი წყობილებისათვის დამახასიათებელი, ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა და სულხანი ებრძვის ამ მოძველებულ სენს; „სიმართლე უზაკველი" ნიშნავს გულწრფელობაზე დამყარებულ სიმართლეს. მეფემ, სულხანის აზრით, უმარიებულოდ არ უნდა დააშინოს ქვეშევრდომნი, მისი მოქმედება უნდა იყოს პირდაპირი და აშკარა. დაშინება, საერთოდ, სულხანის აზრით, არ არის უარსაყოფი, მაგრამ მეფემ ის მიზანშეწონილად უნდა გამოიყენოს. დაშინება, როგორც გამფრთხილებელი ზომა, გონიერ ფარგლებში უნდა იქნეს მეფის მიერ მომარჯვებული.

სულხანის შეხედულებით, მეფისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს გულუხვობა და მოწყალება. „სიბრძნე-სიცრუისას" ერთ-ერთ იგავში მეფე ამბობს: ერთგული ყმა ისედაც ერთგულია და არასოდეს მიღალატებს.

მხოლოდ ორგული არის საშიში, ამიტომ „ორგულს ეგოდენ წყალობას ვუზამ, გავიერთგულოო“[1].

სულხანის შეხედულებით, მეფისაგან ფეოდალები მოითხოვენ ჭირისა და ლხინის გარჩევას. მეფემ კარგად უნდა შეინახოს კარისკაცნი, არ მოაკლოს მათ ჯამაგირი, სუფრა, ამასთანავე, მეფემ დასმენის და დაბეზღების საქმე გულდასმით, აუჩქარებლად უნდა განიხილოს, რომ კარისკაცი უბრალოდ არ იქნეს დასჯილი[2].

ევროპაში მოგზაურობის დროს სულხანი გაეცნო, ერთი მხრივ, საფრანგეთის აბსოლუტურ მონარქიას და, მეორე მხრივ, ჟენევის მმართველობის ოლიგარქიულ წესს. სულხანი თავის „მოგზაურობაში“ ასახელებს რესპუბლიკას, რესპუბლიკურ წესწყობილებას[3]. სულხანი განათლებული და დაკვირვებული ადამინი იყო. მისი აზრით, საქართველოსათვის იმ პერიოდში მისაღები იყო ძლიერი სამეფო ხელისუფლება.

სულხან-საბა ორბელიანს თავის შრომებში გატარებული აქვს ჰუმანიზმის იდეები, იგი მაშინდელი ფეოდალური საზოგადოების მოწინავე ნაწილის წარმომადგენელია. ის იგავარაკული ჟანრის ნაწარმოებით აკრიტიკებს მისი დროის საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებას, საზოგადოების ყველა ფენას, ამხელს მათ ნაკლს. სულხანს უყვარს ადამიანი, სჯერა იმისა, რომ სიკეთე საბოლოო ჯამ'ში გაიმარჯვებს ბოროტებაზე.

სულხანის აზრით, ღმერთი კი არის ყველაფრის საწყისი, მაგრამ ღმერთმა ადამიანს მისცა თვითმფლობელობა, ე.ი. თავისუფალი ნება, რომლის საშუალებითაც ადამიანი ამოირჩევს კეთილს ან ბოროტს; ეს მის სურვილზე, ნებაზეა დამოკიდებული. ეშმაკიც კეთილად იყო ღვთის მიერ შექმნილი, მაგრამ მან ბოროტი ამოირჩია და დაწყევლილ იქნა. სულხანის განმარტებით, მფლობელი ეწოდება ადამიანს, რომელსაც შეუძლია „წინააღრჩევით“ მოქმედება. ეს იმას ნიშნავს, რომ მას თავისი ნებით შეუძლია აირჩიოს კეთილი ან ბოროტი. სულხანის აზრით, ასეთი არჩევის შესაძლებლობა, უნარი მხოლოდ ადამიანს აქვს.

თვითმფლობელობა ნიშნავს ადამიანის მიერ თავისი ნებით მოქმედებას.

---

[1]სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე-სიცრუისა, გვ. 136.

[2]იხ. სურგულაძე, სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკური და იუდიული შეხედულებანი. გვ. 110-115.

[3]სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, 1940, გვ. 8.

აქედან გამომდინარეობს სულხანის მიერ „ნებსითის“ განმარტება. ნებსითი, სულხანის აზრით, არის განზრახვითი. ნებსითი მოქმედება სწორედ ისეთი მოქმედებაა, რომელსაც ადამიანი განზრახ ჩადის. თუ ვინმე ქრისტიანობას ღალატობს და მუსლიმანობაში გადადის ქონებრივი გამორჩენის, ან მეზობლის შურისთვის, ასეთ მოქმედებას სულხანი უწოდებს „ნებსითს“, ე.ი. „განზრახ“ მოქმედებას, „განზრახ“ მოქმედება კი, სულხანის აზრით, ადამიანს პასუხისმგებლობას უმძიმებს, ამ შემთხვევაში ადამიანი მძიმე სასჯელის ღირსია[1]. სულხანის განსაზღვრებით არსებობს: 1) ადამიანის ნებაზე დამოკიდებული მოქმედება, 2) უნებლიე, უნებური მოქმედება, რომელიც ადამიანის ნებაზე არ არის დამოკიდებული. თუ ადამიანის ნებაზეა დამოკიდებული მოქმედება, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანმა „გამოარჩია“ ეს მოქმედება. ამ შემთხვევაში განზრახვასთან, ანუ პირდაპირ განზრახვასთან გვაქვს საქმე. თვითმფლობელობის შინაარსი ისაა, რომ ადამიანს განსაზღვრულ ფარგლებში შეუძლია იმოქმედოს და ამ ფარგლებში პასუხს აგებს თავის მოქმედებაზე.

სულხანის აზრით, განზრახ მოქმედება ადამიანის ისეთი მოქმედებაა, რომელიც ჩადენილია საკუთარი ნებით, საკუთარი არჩევით. სულხანი ახდენს განზრახვის დიფერენცირებას; არის ბოროტებით გამოწვეული განზრახვა, რომელიც ამძიმებს პასუხისმგებლობას, და ჩვეულებრივი განზრახვა. ასეთ შემთხვევაში დანაშაულებრივი მოქმედება არ არის დამძიმებული. სულხანის აზრით, ყოველგვარი განზრახ მოქმედება არის შედეგი გონიერებისა.

განზრახვა უპირისპირდება უნებლიე მოქმედებას სულხანი ცდილობს, ერთი მხრივ, განზრახვის დიფერენცირებას და, მეორე მხრივ, უნებლიე მოქმედების დახარისხებას, დახასიათებას.

რასაკვირველია, სულხანს სპეციალური ნაშრომი არ დაუწერია ინდივიდუალური პასუხისმგებლობის შესახებ, მაგრამ ამ საკითხზე დასკვნები გამოგვაქვს მისი შრომების ანალიზის საფუძველზე. სულხანის განმარტებით, ადამიანის თვითმფლობელობა არის მისი განზრახ მოქმედების საფუძველი[2]. როგორც ვახტანგის სამართლის წიგნიდან, ისე სულხანის

---

[1]ივ. სურგულაძე, სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, გვ. 199.

[2]ივ. სურგულაძე, სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, გვ. 280-310.

შრომებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ უნებლიე მოქმედებაში არ არის მოცემული გაუფრთხილებლობისა და შემთხვევის ერთიმეორისაგან განსხვავება.

სულხან-საბა ორბელიანი იყო მაშინდელი საზოგადოების პროგრესული ნაწილის იდეური ხელმძღვანელი. მას საქართველოს „მამას" უწოდებდნენ. ქართული ლექსიკონის და „სიბრძნე-სიცრუის" ავტორი, ქართული კულტურის მებაირახტრე, სამშობლოსათვის თავდადებული პატრიოტი, დიდი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მოღვაწე იყო, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის განვითარების საქმეში.

ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1757)

ვახუშტი ბაგრატიონი „უდიდებულესი ქართველი მეცნიერი"[1], „სწორუპოვარი მკვლევარი", სახელოვანი მოღვაწე XVIII საუკუნის ქართული მწერლობის ბერმუხა იყო.

ჩვენი მიზანია შევისწავლოთ ვახუშტი ბაგრატიონის პოლიტიკური მოძღვრება, მისი შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტებზე.

ვახუშტი, ვახტანგ VI-ის დახასიათებასთან დაკავშირებით, აღნიშნავს იმ დადებით თვისებებს, რომლებიც უნდა ჰქონდეს მეფეს. მისი აზრით, მეფე უნდა იყოს „ღუთის მოშიში და მოყვარე და ფრიად მოღვაწე, საძღუდელოთა პატივის-მცემელი, ქვრივ-ობოლთა, გლახაკთა მიმცემელი. შემბრალე, ეკლესიათა მაშენებელი, ხატთა ჯუართა მამკობელი, მოწყალე, ცოდნის-მოყვარე, ბრძენი, მხნე და ახოვანი, შვენიერ-ჰაეროვანი, მუშაკი, უხვი და მშვიდი"[2]. მეფისათვის დამახასიათებელ თვისებებზე მსჯელობისას ვახუშტი იშველიებს მამის, ვახტანგ VI-ის ღვაწლს.

ვახუშტის აზრით, საქართველოს ერთიანობის საფუძველი არის ის, რომ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეების — ქართლის, კახეთის, მესხეთის, იმერეთის და სხვა ნაწილების მოსახლეობა ქართველები არიან, მათი ენაც

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორო მწერლობა, 1945, გვ. 328.

[2] ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი. დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1973.

ქართულია, მათ ერთი მეფე ჰყავდათ და ეკლესიებსა და სხვა ნივთიერ ძეგლებზე წარწერებში საქართველოს მეფეები არიან მოხსენიებულნი.

თავისი შეხედულებანი ქართული სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებზე ვახუშტი ბაგრატიონს გამოთქმული აქვს თავის საქართველოს ისტორიის შესავალში, რომლის სათაურია „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი".

ვახუშტის „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანში" არის ასეთი დასათაურება: „სამართლისათვის"[1]. ამ ნაწილში მას საუბარი აქვს უმთავრესად ორდალებზე.

ვახუშტი შედარებით უფრო ვრცლად გამოთქვამს თავის შეხედულებას სახელმწიფოებრივი წყობილების, კერძოდ, სამოხელეო ინსტიტუტებზე. ვახუშტი იწყებს კარის, მმართველობის ცენტრალური აპარატის მოხელეებიდან. მისი აზრით, პირველი მოხელე კარზე იყო სპასალარი ანუ სპასპეტი. სპასპეტი მართლაც იყო მეფის შემდეგ პირველი პირი. რაც შეეხება სპასალარებს, ლეონტი მროველის ცნობით, ისინი ერისთავებს ემორჩილებიან.

ვახუშტის შეხედულებით, ქართულ სახელმწიფო სამართლის ინსტიტუტებში დროთა განმავლობაში ხდებოდა ცვლილებანი, ამას ვახუშტი „შეძინებულ წესს" ეძახდა. „შეძინებული წესის" მიხედვით, საქართველოში დაწესდა მწიგნობართ-ჭყონდიდელობა, ათაბაგობა. არ არის ვახუშტი მართალი იმაში, თითქოს ათაბაგობა სპასალარის ნაცვლად შემოვიდა. ათაბაგობა საქართველოში შემოვიდა როგორც სრულიად ახალი თანამდებობა, მემკვიდრის აღზრდის ფუნქციებით. ამის შესახებ დაწვრილებით სხვა შრომაში გვაქვს საუბარი[2].

საქართველოს პოლიტიკური დანაწილების შემდეგ, ვახუშტის აზრით, მეფეებს „როქით სპანი" აღარ ჰყავდა, მას მცველებად ახლდნენ სახასო აზნაურები და „მსახურნი გლეხნი", მის დაცვაში „უმეტესად" შედიოდნენ „მოხევე-მთიულნი"[3].

XVIII საუკუნეში, როსტომის დროს, ვახუშტის აზრით, მოხდა ცვლილებები სამოხელეო წყობილებაში: მსახურთუხუცესს ეწოდა ყორ-

---

[1]ქართლის ცხოვრება", IV, გვ. 19-20.

[2]ი. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1965.

[3]ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 31.

ჩიბაში, მონათუხუცესს –ყულარ-აღასი, სპასპეტს – სარდარი, მეჭურ-ჭლეთუხუცესს – მოლარეუხუცესი, ჩუნჩერახს – სუფრაჩი, ჩაჩნაგირს – სუფრაქეში, მანდატურთუხუცესს – ეშიკაღასი, მანდატურს – სოპ-ბათიასაული, ბოქაულს – ელიაღაჯი, მსაჯულთუხუცესს – მდივანბეგი, ეზოსმოძღვარს – ნაზირი, მესტუმრეთუხუცესს – მეკმანდარი, მწერალს – მუშრიბი, ხუროთმოძღვარს – სარაიდარი. ეჯიბის მსაგავსი სახელო დაწესდა მეითარის სახელწოდებით, „სხვანი ხელისუფალნი იყვნენ აგრეთვე", ხოლო „ყიზილბაშთა რიგის" სახელოები იყო ვეზირის, მუსტოფისა და შუნშის. მეკარეს ეწოდა – ყაფიჩი, ასისთავს – უზბაში.

საინტერესოა იმ გარემოების აღნიშვნა, რომ ვახუშტი სამართლის ინსტიტუტებს განიხილავს ცვალებადობასა და განვითარებაში. ამასთანავე, ვახუშტი არა მხოლოდ აღწერს მოვლენას, ინსტიტუტს, არამედ იკვლევს საბუთების მიხედვით ამ მოვლენას, ანალიზს უკეთებს ცალკეულ ფაქტებს და ახდენს განზოგადებას. მისი მსჯელობა, მეცნიერული დასკვნები ფრიად საინტერესოა.

დავით გურამიშვილი

დავით გურამიშვილი ცნობილი ქართველი პოეტი და მოაზროვნეა. 1724 წელს დავითი ტყვედ ჩაიგდეს ლეკებმა, მაგრამ მან მოახერხა გაქცევა და ჩრდილო კავკასიაში თავის შეფარება. დაახლოებით 1730 წელს პოეტი მოსკოვში ჩავიდა, სადაც იმყოფებოდა ვახტანგ VI თავის ამალით[1]. ვახტანგმა პოეტი კარგად მიიღო. ვახტანგის სიკვდილის შემდეგ (1737 წელს) დავითმა მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა, ჩაირიცხა ქართულ ჰუსართა პოლკში და მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ომებში. შვიდწლიანი ომის დროს ის ტყვედ ჩავარდა და რამდენიმე წლის განმავლობაში იმყოფებოდა მაგდერბურგის ციხეში.

სამოცდაათიან წლებში პორუჩიკის ჩინით ის თავს ანებებს სამხედრო სამსახურს და საბოლოოდ სახლდება უკრაინაში, მირგოროდში, სადაც ენერგიულად ეწევა ლიტერატურულ მოღვაწეობას.

როგორც ჩანს, დავით გურამიშვილი მწერლობას სამშობლოშიც მისდევდა, მაგრამ მისი იმდროინდელი ლექსები თითქმის არ შემონახულა.

---

[1]ალ. ბარამიძე. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1940, გვ. 283.

1774 წელს მან შეადგინა ნაწარმოებთა კრებული, რომელსაც უწოდა „დავითიანი“. კრებული პირველად 1870 წელს გამოიცა. მასში არის პოემები (ორი) და ლირიკული ლექსები, რომლებშიც აღწერილია დავითის სამშობლოს მაშინდელი ვითარება. დავით გურამიშვილის შემოქმედებას მის თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე არ მოუხდენია გავლენა. პოეტი არასოდეს სამშობლოში არ დაბრუნებულა. ღრმა მოხუცებულობის ჟამს მან თავისი ნაწარმოები „დავითიანი“, რომელსაც პოეტი თავის შვილს უწოდებს, გადასცა მირიან ბატონიშვილს, ერეკლეს ძეს, რომელიც რუსეთში იმყოფებოდა. „დავითიანი“ შთამომავლობას მირიან ბატონიშვილმა შემოუნახა.

ჩვენ შევეხებით დიდი მოაზროვნის შემოქმედების მხოლოდ ერთ მხარეს, სახელდობრ, დავითის პოლიტიკურ შეხედულებებს. პირველ ყოვლისა, განვიხილოთ ისი მოსაზრებანი მეფის ხელისუფლებაზე.

დავით გურამიშვილის შეხედულებით, მეფე უნდა იყოს ბრძენი, უსჯი, მოწყალე, ზომიერად მრისხველი. ის მტკიცედ უნდა იცავდეს სარწმუნოებას და იცოდეს სწორი სამართალი. ამასთან, მეფე უნდა იყოს „გლასაკთა ნუგეშის მცემელი“[1], დაჩაგრულის დამცველი, მოძალადეობის აღმკვეთი.

დავითის შეხედულებით, მეფეს საქეფოს ქვეშევრდომნი ერთგულად უნდა ემორჩილებოდნენ. ამასთანავე, ქვეშევრდომთ მეფის სიყვარული და პატივისცემა უნდა ჰქონდეთ.

მეფისადმი მორჩილება, საერთოდ ყმის მოვალეობას შეადგენს. ყმა ერთგული უნდა იყოს ბატონის, მეფის. თავის მხრივ ბატონი ყმის სამართლიანად უნდა ექცეოდეს.

დავით გურამიშვილი, როგორც ფეოდალთა კლასის მოწინავე, პროგრესული ნაწილის წარმომადგენელი, ებრძვის ბატონყმობის მახინჯ მხარეებს. ის მოითხოვს როგორც ყმის ერთგულებას ბატონის მიმართ, ისე ბატონის სამართლიანობას.

დავითის შეხედულებით, მეფისადმი მორჩილება ყველასათვის სავალდებულოა და ამ მორჩილების გარეშე არ შეიძლება მტკიცე ხელისუფლების არსებობა.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ მეფე თავის სამეფოში უმაღლესი

---

[1]დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, დავითიანი, 1955, 47, სტრ. 144.

მოსამართლეა, მოსამართლემ კი საქმე უნდა გაარჩიოს მართებულად, მიუკერძოებლად, ობიექტური მონაცემების მიხედვით[1].

დავით გურამიშვილის ნაწარმოების მიხედვით, კახეთის მეფემ კონსტანტინემ მოიწვია დარბაზი, ანუ სახელმწიფო საბჭო, რომელზეც დაისვა ქართლისა და კახეთის ურთიერთობის საკითხი. მან ასე მიმართა დარბაზს: ქართლი გადმომცა სპარსეთის მბრძანებელმა, რომელიც ქართლის მეფით ვახტანგ VI-ით უკმაყოფილოა. შაჰის ბრძანების შესრულება მტრობას და შუღლს გამოიწვევს ქართლსა და კახეთს შორის. ამიტომ, ჩემი აზრით, სჯობს შაჰის ბრძანება არ შევასრულო, რომ იმათა შორის სისხლისღვრა არ მოხდესო. ეს საკითხი „სიბრძნით" უნდა გავარჩიოთო. მეფის წინადადებას დარბაზის წევრები არ დაეთანხმნენ: „ღვთის წყალობა კარს მოსულა, რატომ უნდა დაკარგოთ. სპარსეთის შაჰს ურჩობა არ უნდა გაუწიო, მან მოგცა ქართლი და ეს შაჰის სერვილი შენ უნდა აღასრულოო[2].

მეფემ კახელებს უპასუხა: ირანის შაჰს ჩვენთვის კარგი არაფერი სურს, ქართლი მან მომცა „ძმათა საჩხუბრად", ჩვენი ქვეყნის გაერთიანება მას არ უნდა, მას სურს ჩვენი აშლა, ჩხუბი: ქართლსა და კახეთს გარშემო მტრები ჰყავს („გარს გვარტყია ვით სარტყელი"). ჩვენ რომ ქართლს წავეკიდოთ, ეს საზიანო იქნება როგორც ქართლის, ისე კახეთისათვის. ამიტომ ჩემი გადაწყვეტილებაა: არ ავასრულო შაჰის ბრძანება, არ გადავიკიდო ქართლის მეფე, პირიქით, ქართლის მეფეს „ძმად მოვიკიდებ". მე ძას „ვეშვილებიო"[3]. მეფემ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება და კიდეც გაუგზავნა ქართლის მეფეს სათანადო წერილი.

როგორც ვხედავთ, მეფემ დარბაზი შეყარა, მაგრამ გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიიღო. შეიძლება მეფეს დარბაზში ჰყავდა მომხრეები, მაგრამ დავითი ამის შესახებ არაფერს ამბობს. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ დარბაზი სათათბირო ხმის უფლების მქონეა.

როდესაც ვახტანგ VI-მ პეტრე I-ის წერილი მიიღო შეერთებული ძალებით სპარსეთის წინააღმდეგ გამოსვლის შესახებ, შეკრიბა „ბატონ-ყმანი" სათათბიროდ, როგორც ჩანს, ვახტანგმა მოიწვია სახელმწიფო

---

[1]დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, დავითიანი, 1955, გვ. 58, სტრ. 228.

[2]იქვე, გვ. 59.

[3]დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, დავითიანი, 1955, გვ. 60.

საბჭო ანუ დარბაზი, რომ განეხილა სპარსეთის წინააღმდეგ გამოსვლის შესახებ პეტრე I-ის წინადადება. თანაც მეფემ განუმარტა მოწვეულთ, რომ რუსეთთან ერთად გამოსვლა ჩვენთვის ფრიად სასარგებლო იქნებაო.

შეკრებილებმა მეფეს უპასუხეს: რუსეთის საწინააღმდეგო ჩვენ არაფერი გვაქვს, მაგრამ მეზობელი სახელწიფოები გაღიზიანდებიან და სანამ რუსეთი გვიშველიდეს, „მანამ ჩვენი გარდაგვხდებისო"[1]. მაგრამ მეფეს რუსეთის მეფის სურვილის აღსრულება, მასთან შეხვედრა სურდა. მაშინ შეკრებილებმა მეფეს უთხრეს, ჯარს ნუ შეყრი, „თან ცოტა ყმანი იახლე" და ისე წადიო". მეფემ ამაზე უპასუხა, რომ ქურდულად წასვლა არ მეკადრებაო.

ვახტანგ VI-მ გადაწყვეტილება მიიღო, რომ ჯარით შეხვედროდა პეტრეს.

ვახტანგს ამ გადაწყვეტილების მიღებისათვის „სძრახავდნენ", გმობდნენ, ახსენებდნენ, რომ რუსეთის მოკავშირეობა ქართლს ოსმალეთისა და სპარსეთს გადაამტერებს, რომ ჩვენი შვილები „გინებით" მოგვიხსენიებენ, რადგანაც მეზობელი სახელმწიფოების გადაკიდება უბედურებას მოგვიტანსო[2]. მაგრამ ვახტანგი ამას ყურს არ უგდებდა: „მეფე იყო და ბრძანებდა, იქმოდა, რასაც ინებდა". ამ შემთხვევაშიც დარბაზი მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით არის, მეფე იმას აკეთებს, რაც მას სურს. როგორც ვთქვით, კახეთისა და ქართლის მეფეებმა მოიწვიეს დარბაზი, ანუ სახელმწიფო საბჭო. კახეთის მეფის მიერ მოწვეული კრების შესახებ დავითი წერს:

„გაბრძანდა კახი-ბატონი, განიდგა კარავ-სევანი,
მიიხმო მდივან-ვეზირნი, ბრძანა დიდებულთ წვევანი"[3].

სათაურად კი ამ თავს აქვს: რჩევა კახისა ბატონისა.

არ უნდა იყოს საეჭვო, რომ ამ შემთხვევაში მეფეს დარბაზი მოუწვევია.

ვახტანგ VI-ის მიერ მოწვეული კრების შესახებ თხრობას ასეთი სათაური აქვს: „რჩევა ქართველის ბატონისა". ხოლო ამ რჩევის დასაწყისი ასეთია: „შეკრბენ ქართველთა ბატონ-ყმანი, ერთად თავი მოიყარეს, დასხდენ რიგით ივეზირეს, წინ წიგნები დაიყარეს".

---

[1]დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, დავითიანი, 1955, გვ. 5
[2]იქვე, გვ. 56.
[3]დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, დავითიანი, 1955, გვ. 58.

როდესაც მეფე ვახტანგმა კახეთის მეფის წერილი მიიღო, „ბრძანა დიდებულთ მოყმეთა ერთბაშად თავ-მოყრილობა". სამივე შემთხვევაში სახელმწიფო საბჭო ანუ დარბაზია საგულვებელი, თუმცა ასეთი სახელი დავითის ნაშრომში არ გვხვდება. დავით გურამიშვილის შეხედულებით, მეფე თვითონვე წყვეტს ყოველგვარ საკითხს, რჩევა უნდა მოისმინოს, ხოლო გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მისი საქმეა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ დავით გურამიშვილი მეფის ყოველგვარი გადაწყვეტილების მომხრეა. მისი აზრით, მეფე უნდა იყოს ბრძენი, რჩევა უნდა მოისმინოს და საკითხები ბრძნულად გადაჭრას, „დავითიანის" მიხედვით, ვახტანგ VI-ის პოლიტიკა საკმაოდ მკაცრად არის გაკრიტიკებული.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ, დავითის აზრით, მეფემ მართებულად უნდა განსაჯოს საქმე. დავითი თავის შრომის სხვა ადგილსაც იმეორებს, რომ მეფეს არ შეეფერება ზერელედ განსჯა, „ავი სამართალი", ე.ი. უმართებულოდ განსჯა, უმართებულოდ განაჩენ-გადაწყვეტილების მიღება. მეფური ზნე და ზრდილობა იმას მოითხოვს, რომ მეფე სამართლიანი იყოს, რომ ადვილად არ მიუსაჯოს ადამიანს სიკვდილით დასჯა.

დავით გურამიშვილი უებრო პატრიოტია. ის წუხს იმაზე, რომ საქართველო მტრულ გარემოცვაშია, მაგრამ გარეშე მტრების გარდა, ქვეყანას შინაური მტრებიც ახუკვია. ამის გამო საქართველო პოლიტიკურად დაქუცმაცებულია. საშეფო-სამთავროების გაერთიანება არ ხერხდება. ცალკეულ საშეფო-სამთავროებში ცენტრალური ხელისუფლება სუსტია.

დავით გურამიშვილის სიტყვებით, „ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის"[1] ისეთ გაჭირვებაშია ქართლი, რომ აღწერაც არ შეიძლებაო. ქართლი ოსმალეთმა დაიჭირა, კახეთი ლეკებმა ააოხრეს, შეიქნა ქართლიდან და კახეთიდან ტყვეების დატაცება. თვითონ აკტორი, მსხვილი ფეოდალური გვარის წარმომადგენელი, ვერ გადაურჩა ლეკიანობას[2]. შინაურმა შუღლმა, ფეოდალურმა აშლილობამ დალუპვის კარამდე მიიყვანა ქვეყანა. ასეთ ვითარებაში შეუძლებელი იყო ფეოდალური სახელმწიფოს ცენტრალიზმის პრინციპებით მართვა. ამიტომაც საქართველო დაქუცმაცდა, თითოეული საშეფო თუ სამთავრო საფეოდალოებად დაიყო. მსხვილი ფეოდალები არ ემორჩილებოდნენ მეფის ხელისუფლებას.

---

[1]დ. გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, დავითიანი, 1955, გვ. 70.
[2]იქვე, გვ. 71-72.

დავით გურამიშვილს გამოთქმული აქვს საინტერესო მოსაზრებანი ქორწინებისა და ოჯახის შესახებ. პირველ ყოვლისა, დავითის აზრით, ქორწინებისათვის აუცილებელია ქრისტიანული წესით ჯვრისწერა, აძის გარეშე ქორწინება, ცოლ-ქმრული ურთიერთობა „ცოდვა არს ძნელი" და ღვთისათვის საწყენი საქმე.

ამის გარდა, ქალი, დავითის შეხედულებით, ქმრის ერთგული უნდა იყოს. „სჯობს ქალი მოკვდეს და დაიმარხოს. ურიგო საქმე" რომ ჩაიდინოსო. ქალის სახელის გატეხა „არს თავთ მეხის დაჭეხა ყმობელთა თვისთა... ნამუსიანად მქცეველი ქალი არს ძარგალიტი, ძვირფასი თვალი", „უნამუსო ქალი" კი „ქმრის საფლავს ლოდიაო"[1].

თუ ქალი გაუთხოვარია, ის თავს უნდა ინახავდეს უმწიკვლოდ. კარგი ქალობა იმაში მდგომარეობს, რომ ქალმა მოითმინოს მანამ, სანამ კანონიერ ქორწინებაში არ შევა, ამის საწინააღმდეგო მოქმედება ქალის მხრივ ღვთის ბრძანებისადმი ურჩობას ნიშნავს[2].

ავტორის აზრით, ევა ცოდვის გამო ღმერთმა დასაჯა და აქედან მოდის ქალის ქმრისადმი მორჩილება, ქმრის მიერ ქალის დამონება.

ოჯახში ქალის ქმრისადმი „მონება", რომელიც, ავტორის აზრით, პირველი ადამიანის ცოდვისაგან მომდინარეობს, არ იწვევს ავტორის პროტესტს, რადგანაც ღმერთს ასე დაუწესებია. ავტორი მოითხოვს ქალისაგან ქმრის ერთგულებას, საწოლის სიწმინდეს. ეს, ავტორის შეხედულებით, სავალდებულოა მხოლოდ ქალისათვის. რაც შეეხება მამაკაცს, მასზე ავტორს არა აქვს საუბარი.

ავტორის ასეთი შეხედულება ქალზე მაშინდელი ფეოდალური კლასის წარმომადგენლის შეხედულების შესაბამისია.

ალექსანდრე ამილახვარი (1750-1802)

ალექსანდრე ამილახვარი ქართლის მსხვილი ფეოდალის დიმიტრი ამილახვარის შვილი იყო. 1765 წელს ერეკლე II-ის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დიმიტრი ამილახვარი და მისი 15 წლის ვაჟი ალექსანდრე გაასამართლეს. დიმიტრისათვის პატიმრობა

---

[1]დ. გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, დავითიანი, 1955. გვ. 192, სტრ. 83, 84.

[2]იქვე, გვ. 251, სტრ. 506, 507.

მიუსჯიათ, ხოლო ალექსანდრეს განსაკუთრებული ურჩობა გამოუჩენია მეფის ხელისუფლების წარმომადგენლებისა და თვით მეფისადმი შეთქმულთა საქმის ძიების დროს. ის დაუსჯიათ მარცხენა ფეხის დიდი ძარღვის გადაჭრითა და ცხვირის მოკვეთით.

1770 წელს შავი ჭირის გაჩენის გამო თბილისიდან ხალხი დაძრულა სხვადასხვა მიმართულებით, ალ. ამილახვარს უსარგებლია ამით და გაპარულა თავის სოფელში. იქედან წაუყვანია ორი ძმა, ცხინვალთან შეხვედრია სოლომონ I-ს, რომელიც იმ ხანებში ერეკლეს ემტერებოდა (ქართლში კი ამ დროს სოლომონი შემთხვევით ყოფილა). ძმებს, ამილახვრებს, სოლომონისათვის დახმარება უთხოვიათ. სოლომონს ისინი კარგად მიუღია, გადაუყვანია იმერეთში. წინადადება მიუცია ძმებისათვის, თუ ისინი იმერეთში დარჩებოდნენ, მამულებს უბოძებდა, მაგრამ ალ. ამილახვარს და მის ძმებს რუსეთსა და სპარსეთს წასვლა გადაუწყვეტიათ ერეკლეს წინააღმდეგ დახმარების მისაღებად. იმერეთის მეფესაც ძმები სათანადო რეკომენდაციით ჩრდილოეთ კავკასიაში გაუსტუმრებია. 1771 წელს ძმები ასტრახანში ჩასულან, ალექსანდრე და ერთი ძმა ასტრახანიდან მოსკოვს გამგზავრებულან, ხოლო ალექსანდრეს მეორე ძმა, იოანე, სპარსეთს წასულა.

ალ. ამილახვარი 1779 თუ 1780 წელს იმერეთში ბრუნდება სოლომონ I-თან. სწორედ ამ პერიოდში ბესიკმა იმერეთში ჩამოიყვანა ალექსანდრე ბაქარის ძე, ქართლ-კახეთის ტახტის პრეტენდენტი. ალექსანდრე ბაქარის ძისა და ალ. ამილახვარის ცდა ერეკლეს ტახტიდან ჩამოგდებისა უშედეგოდ დამთავრდა. ისინი იმერეთიდან ჩრდილოეთ კავკასიაში მიემგზავრებიან და იქ ცდილობენ ლეკთა შემწეობით ქართლ-კახეთის დაჭერას.

ერეკლეს მოთხოვნით ორივე დააპატიმრეს. ამილახვარი ვიბორგის ციხეში იმყოფებოდა 1801 წლამდე. როდესაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, ის გაათავისუფლეს. ალ. ამილახვარი წამოვიდა კიდეც საქართველოში, მაგრამ 1802 წელს ასტრახანში გარდაიცვალა.

ალექსანდრე ამილახვარის ლიტერატურულ-მეცნიერული მემკვიდრეობა რაოდენობით მცირეა, მას ეკუთვნის ავტობიოგრაფიული ნაწარმოები — „გეორგიანული ისტორია", პოლიტიკური შინაარსის ტრაქტატი — „ბრძენი აღმოსავლეთისა", დრამატული ნაწარმოები — „მოქმედება ასტრახანში" და სხვადასხვა პირებისადმი მიწერილი ექვსი წერილი, მის მიერ დაწერილი ეპიტაფია. ყველა ეს შრომა, გარდა „ბრძენი აღმოსავლეთისა", დაწერილია რუსულ ენაზე.

„გეორგიანულ ისტორიაში“ მეფის წინააღმდეგ მებრძოლი მსხვილი ფეოდალის შეხედულებაა გატარებული. როგორც ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, მეფის წინააღმდეგ მებრძოლი თავადები სპარსეთს და ოსმალეთს მიმართავდნენ დახმარებისათვის. მაგრამ ავტორს ამავე „გეორგიანულ ისტორიაში“ ნათქვამი აქვს, რომ ერეკლემ ისარგებლა სპარსეთის არეულობით, აღარ ემორჩილება სპარსეთს და ქართველ თავადებს ავიწროებსო[1]. ეს მართლაც ასე იყო. მაგრამ ალ. ამილახვარი ამას არ თვლის ნორმალურ მოვლენად, ამაში ის ხედავს ერეკლეს ძალადობას. „გეორგიანულ ისტორიის“ მიხედვით, ალ. ამილახვარს იმედი აქვს, რომ სპარსეთში „ნამდვილი შაჰი“ დაჯდება ტახტზე და მაშინ დახმარებას გაუწევს ქართველ თავადებს[2]. აი, ვისი იმედი აქვს მოღალატე თავადს.

ალ. ამილახვარს საუბარი აქვს მეფის ხელისუფლებაზე, ამ ხელისუფლების კანონიერსა თუ უკანონო მოქმედებაზე, მაგრამ როგორც ვთქვით, ყველაფერი ის, რაც ერეკლეს ეხება, ტენდენციურია და ამდენად არ ასახავს XVIII საუკუნის ქართლ-კახეთის სინამდვილეს. ქართული სამართლისა და ქართული პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის შესასწავლად ეს ნაშრომი გამოსადეგია მხოლოდ ამ ტენდენციურობის მხედველობაში მიღებით.

ალ. ამილახვარის მეორე ნაშრომი, რომელიც არსებითად განსხვავდება „გეორგიანული ისტორიისაგან“, არის „ბრძენი აღმოსავლეთისა“. ქართულად დაწერილი ეს ნაწარმოები ასახავს XVIII საუკუნის განმანათლებელთა იდეებს. ავტორი გამსჭვალულია საფრანგეთის ენციკლოპედისტებისა და განმანათლებელთა მოწინავე იდეებით. ნაშრომი დაწერილია მძიმე ქართული ენით.

„ბრძენი აღმოსავლეთისა“, „გეორგიანული ისტორიისაგან“ განსხვავებით, უაღრესად პროგრესული შინაარსის ნაწარმოებია, გამსჭვალულია XVIII საუკუნის საფრანგეთის განმანათლებელთა იდეებით. ამ ნაშრომით ავტორმა გამოავლინა, რომ ის დაუფლებულია კულტურული კაცობრიობის მოწინავე იდეებს. „ბრძენი აღმოსავლეთისა“ წარმოადგენს პოლიტიკური შინაარსის ტრაქტატს, რომელშიც ორიგინალურად არის გადამუშავებული და გააზრებული ქართული სინამდვილის გათვალისწინებით ევროპის

---

[1]გეორგიანული ისტორია, ჟურნ., „მნათობი“, 1936, № 8, გვ. 120.
[2]იქვე, გვ. 154.

განმანათლებელთა და საფრანგეთის ენციკლოპედისტების პოლიტიკური იდეები. „ბრძენი აღმოსავლეთისა" არის ქართულ პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის შესანიშნავი ძეგლი, რომელიც თავისი მნიშვნელობით სცილდება საქართველოს ფარგლებს. ალ. ამილახვარი თავის ეპოქის ერთ-ერთი გამოჩენილი მოაზროვნეა, ნიჭიერი მკვლევარი და განათლებული ადამიანი. ამილახვარმა შეძლო განათლებული ევროპის მოწინავე იდეებს დაუფლებოდა და თავისი პოლიტიკური ტრაქტატით, მასში გატარებული პროგრესული იდეებით, გვერდში ამოსდგომოდა მაშინდელი ეპოქის მოწინავე ადამიანებს.

საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოს მიხედვით: ალექსანდრე ამილახვარი თითქოს კვალ'ში მისდევს შედარებით მოწინავე ბურჟუაზიულ განმანათლებლებს. მეფის უფლება იყოფა „მრავალუფლებად", მაგრამ ამილახვრის პროგრამით მეფის უფლებას ინაწილებენ არა წოდებანი (აზნაურობა, სამღვდელოება და ბურჟუაზია), არამედ მხოლოდ თავადები, „რჩეულნი კაცნი. ამილახვრის პროექტით უნდა შეზღუდულიყო აბსოლუტური მონარქია ფეოდალების სასარგებლოდ'.

სინამდვილეში ალ. ამილახვარი მისდევს „შედარებით მოწინავე ბურჟუაზიულ განმანათლებლებს", და ზოგჯერ კიდევაც უსწრებს მათ პროგრესულობის მხრივ. ამ შემთხვევაში ალ. ამილახვრის შეხედულება შეიძლება დავახასიათოთ როგორც უტოპიური, მაგრამ ჩამორჩენილობას ვერ დავწამებთ.

ამასთანავე, სახელმძღვანელოში მინიშნებულია იმაზე, თითქოს ალ. ამილახვარს საუბარი ჰქონდეს ხელისუფლების დაყოფაზე. სახელმძღვანელოში საუბარია მონტესკიეზე, რომელსაც ალ. ამილახვარი რამდენადმე მისდევდა. დასავლეთ ევროპის ვითარებაში ეს ნიშნავდა ბურჟუაზიასა და ფეოდალებს შორის ხელისუფლების დანაწილებას. საქართველოში არ იყო ბურჟუაზია და არც შეიძლებოდა მისთვის ხელისუფლების მიცემა. ამ შემთხვევაში ალ. ამილახვარი მართებულ ნიადაგზე დგას.

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს მიხედვით საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს ალ. ამილახვარს ხელისუფლების დანაწილების იდეა კი აქვს წამოყენებული, მაგრამ ამით მას სურს შეზღუდოს მეფის ხელისუფლება თავადებზე უფლებების გადაცემით, ეს კი თავადური, რეაქციული იდეოლოგიააო.

---

[1]საქართველოს ისტორია, I, ნ. ბერძენიშვილის რედ., 1958. გვ. 389.

ალ. ამილახვარს კი ხელისუფლების დაყოფაზე სრულებით არ აქვს საუბარი, მას საუბარი აქვს მეფის „მრავალ უფლებებზე"[1], სხვაგვარად რომ ვთქვათ, მმართველობის მრავალ დარგზე. რასაკვირველია, მეფეს, ე.ი. ერთ ადამიანს არ შეუძლია მმართველობის ყველა დარგის საქმიანობა აწარმოოს, ფიზიკურად ეს შეუძლებელია, ამისათვის მას ჰყავს მოხელეები და აი, ამ მოხელეებზე არის საუბარი ალ. ამილახვრის შრომაში. მეფეს „ხამს რჩეულთა კაცთა ყოფა, გამგეთა კარისა სამეფოთასა", ე.ი. მეფემ უნდა შეარჩიოს შესაფერისი პირები მოხელეებად, ეს მოხელეებიო, განაგრძობს ალ. ამილახვარი, იმიტომ უნდა იყვნენ „გამორჩეულნი", რომ ისინი „გამოაჩენს მეფეს", ე.ი. ისინი არიან მეფის წარმომადგენლები. ეს მოხელეები არიან უშუალოდ ხალხთან დაკავშირებულნი, ისინი არ უნდა იყვნენ უსამართლო, მოღალატე, ან ბოროტნი. თუ მოხელე, რომელიმე დარგის უფროსი და მისდამი დაქვემდებარებული სხვა მოხელე, იქნება ბოროტი, შეუფერებელია თავის მოვალეობის, ეს იმას ნიშნავს, რომ თვითონ მმართველობაც და მის სათავეში მყოფი მეფე უარყოფითია, დასნეულებულია, რადგანაც მისი ნაწილი, ე.ი. მმართველობის ნაწილი, სნეულია[2]. აი, ამაზე, ე.ი. მმართველობის სხვადასხვა დარგზე და ამ დარგების მოხელეების შერჩევაზეა საუბარი ამ შემთხვევაში და არა ხელისუფლების დაყოფის თეორიაზე, რომელიც მოცემულია მონტესკიეს შრომაში „კანონების სულისათვის".

ალ. ამილახვარი თავის შრომას უძღვნის სოლომონ მეფეს, რათა გამოიყენოს ის თავის სახელმწიფოში.

ნაშრომი შედგება ათი თავისაგან: 1) მეფეთა მმართველობისა; 2) თავადთა და მთავართა; 3) მხედრობისა; 4) სამღვდელოებისა; 5) ვაჭრებისა; 6) გლეხებისა; 7) კანონებისა; 8) სწავლა-განათლებისა; 9) საჭურვილისა და მშვიდობის შესახებ; 10) დასკვნები.

პირველ თავში ავტორი გადმოგვცემს მეფის ხელისუფლების დახასიათებას. ავტორს სანიმუშოდ მიაჩნია, რომ მეფე არის ბრძენი და ქვეშვრდომნი — მისი მორჩილი, ამ ორი პირობის გარეშე, ავტორის აზრით, არ არსებობს არც ერთი მათგანის ბედნიერება[3].

---

[1] ს. გელეიშვილი, ალექსანდრე ამილახვარი, გვ. 26.

[2] იქვე. გვ. 127.

[3] ს. გელეიშვილის, ალექსანდრე ამილახვარი. გვ. 121.

ავტორის აზრით, სანატრელია ისეთი მეფე, რომელსაც შეგნებული აქვს ის დიდი მოვალეობა, რომელიც მას აწევს. მეფეს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ სამეფოს მართვის მძიმე უღელი მეფეს ავალებს დიდის პასუხისმგებლობით მოეკიდოს თავის მოვალეობის შესრულებას.

მეფის მოვალეობაა: 1) დაიცვას ქვეყანაში სიმშვიდე, დაამყაროს წესრიგი, 2) დაიცვას სამეფო გარეშე მტრებისაგან.

მეფემ, ალ. ამილახვარის ამ შრომის მიხედვით, არ უნდა გამოიყენოს თავისი უფლება ბოროტად, სასტიკად („უსაზღვროდ"), მას უნდა ახსოვდეს, რომ ის არის თავისი ქვეშევრდომების თანასწორი, რომლებმაც მისცეს მეფეს თავის თავზე უფლება: ადამიანებს მეფე ისე უნდა ექცეოდეს, როგორც უფროსი ძმა, მეფემ არ უნდა დაიშუროს სიცოცხლე მშვიდობისათვის, თავისი ქვეშევრდომების ბედნიერებისათვის და სულ იმის ცდაში უნდა იყოს, რომ არგოს რაიმე თავის „კაცებს", ე.ი. ქვეშევრდომებს. ასეთი მეფისაგან საკვლებით განსხვავებულია და უპირისპირდება მას ისეთი მეფე, რომელიც ერს, ხალხს, ქვეშევრდომთ უცქერის როგორც საშუალებას თავისი დიდებისათვის... ვაი იმ ერს, რომელსაც ასეთი მეფე ჰყავს. ნაცვლად იმისა, რომ თავის ქვეშევრდომთა კეთილდღეობისათვის იზრუნოს, ის მხოლოდ იმაზე ოცნებობს, თუ როგორი განცხრომით იცხოვრობს, ხოლო ერის ინტერესებს არარად აგდებს. ასეთ მეფეზე არ მოქმედებს ქვრივთა და ობოლთა მოთქმა, ასეთ მეფეს დავიწყებული აქვს თავისი ფიცი და მოვალეობა, რომ სიცოცხლეც არ უნდა დაიშუროს ერისათვის, მისი მშვიდობისათვის. ასეთი მეფე არც გარეშე მტრების მოგერიებისათვის გამოდგება და ვერც შინაურ შფოთს დააწყნარებს.

შინაგანი შფოთი კი, ალ. ამილახვარის აზრით, გარეშე მტერზე უფრო „საზარელ არს". შესაბრალისია ადამიანები, რომელთაც ასე მცირე დღეები აქვთ მიზომილი ღვთისაგან ამ ქვეყნად და ასე ბრმად მიანდვეს თავიანთი ბედი ასეთ მეფეს, „გამოუძიებლად ზნისა და მიდრეკილებისა მისისა" და მხოლოდ იმისათვის დაემორჩილნენ მას, რომ მეფე ჩინებული გვარის წარმომადგენელია[1].

ამ შემთხვევაში ალ. ამილახვარის მიერ ის აზრია გატარებული, რომ მეფე ხალხის („ერის") მიერ არის არჩეული და მისი მოვალეობაა ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა. ერმა ბრმად, განურჩევლად არ

---

[1]ჯ. გელეიშვილი, ალექსანდრე ამილახვარი, გვ. 124.

უნდა მიანდოს მეფეს თავისი ბედი და შთამომავლობა არ უნდა იყოს გადამწყვეტი: მთავარი უნდა იყოს მეფის პიროვნული თვისებები, მის მიერ თავისი მოვალეობის შეგნება და სხვა.

თუ მეფე არ დგას მოწოდების სიმაღლეზე, მაშინ ერი არ არის მოვალე დაემორჩილოს მას. საყურადღებოა აქ ის, რომ ჟან ჟაკ რუსო თავის დროს იმას ქადაგებდა, რომ უზურპატორ მეფეს, კერძ. ისეთ მეფეს, რომელიც კანონიერების დაცვით არ განაგებს სახელმწიფოს, მოქალაქეები, ქვეშევრდომნი არ არიან ვალდებულნი დაემორჩილონ. ეს არის ხალხის აჯანყების უფლება. რუსოს ეს მოძღვრება დამყარებულია სახელმწიფოს ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულებიდან სახელმწიფოს წარმოშობის დებულებებს ვხვდებით სოფისტებთან, ეპიკურთან. უფრო გვიან ამ დებულებას აკითარებენ გ. გროციუსი, ბ. სპინოზა, ჯ. ლოკი, თ. ჰობსი და ჟ. რუსო. ისინი ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო ადამიანის მიერ არის შექმნილი (და არა ღმერთის მიერ) ხელშეკრულების საფუძველზე, მათი ინტერესების შესაბამისად. ამასთან, ხელშეკრულების დადება არ ნიშნავდა უარის თქმას ადამიანთა ბუნებით უფლებებზე.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ხალხის უფლებას — არ დაემორჩილოს ხალხისათვის მიუღებელ მეფეს, აღიარებს ძოსტეს კიეც. თუ მეფე, წერს ის, იმის ნაცვლად, რომ უზრუნველყოს ქვეშევრდომთა ბედნიერი ცხოვრება, — დაიწყებს მათ დაჩაგვრასა და განადგურებას, — ამით იხსნება ის საბაბი, რომლითაც ხალხი მეფეს ემორჩილება, — ამიერიდან ქვეშევრდომებს აღარაფერი აერთიანებს მეფესთან და უბრუნდებიან თავიანთ ბუნებით თავისუფლებას.

XVIII საუკუნის განმანათლებელთა ეს იდეები შეთვისებული აქვს ალ. ამილახვარს. სიტყვასიტყვით ის არც ერთ ავტორს არ ციტირებს, მაგრამ საერთოდ ევროპის ენციკლოპედისტებისა და განმანათლებლების შრომების ცოდნას ამჟღავნებს და თავისებურად აქვს ეს იდეები გადამუშავებული და გადმოცემული. ალ. ამილახვარი წერს, რომ მეფეებისა და თავადების წინაპრებმა სახელოვანი საქმით მოიპოვეს სახელი, მამულის ერთგული სამსახური იყო საფუძველი მათი განდიდებისა და „მსახურება მამულისა" უანდერძეს მათ შთამომავლობას. ძვილებმა უნდა იცოდნენ, რომ გვარის პატივი მომდინარეობს მამათა მამულის თავდადებული სამსახურისაგან, და თუ შვილები გადაუხვევენ ღირსეული წინაპრების გზას, თავიანთი „ბოროტ ქცევულებითა თვისთ მამულსა

შინა თავისსა". ე.ი. მამულის სამსახურის ნაცვლად, ბოროტების გზას დაადგებიან. მაშინ მათ არა აქვთ უფლება მამულისათვის თავდადებული წინაპრების პატივი ჰქონდეთ[1].

ალ. ამილახვარის აზრით, ერს, ე.ი. ხალხს დატოვებული აქვს უფლება კეთილი კეთილად შეაფასოს და ბოროტი – ბოროტად. ხალხის სიბრძნე ამას აკეთებს. ხალხი გვარტომობას იმიტომ სცემს პატივს, რომ საწყისი გვარისა კეთილი იყო. ხოლო შემდეგში თუ გვარში გამოერევა ბოროტი წევრი, ეს უნდა გამოაკლდეს ამ გვარს, რასაკვირველია, ეს იქნება უმჯობესი თვით გვარისათვის.

„მე, წერს ალ. ამილახვარი, – პატივს ვცემ გვარსა, მივიჩნევ ნამსახურსა, გარნა თაყვანვცემ კეთილმოქმედებას ვითარ ღვთაებასა რასამე", კეთილმოქმედებაა აუცილებელი ადამიანის შესაფასებლად, „ურიმლისოდ ყოველი" არა რა არის.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სათავადოთა გვარის საკითხში ალ. ამილახვარს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ შრომაშიც ეტყობა თავადური იდეოლოგიის გავლენა. ავტორი მოითხოვს, რომ დაისაჯოს გვარის დამნაშავე წევრი, ხოლო თვით გვარი ხელუხლებელი იყოს. გვარის დამნაშავე წევრის გამოკლების შემდეგ, უფრო ღირსეულს ჩავაბაროთ მისი ქონება და უფლებები, ხოლო გვარი არ „აღიხოცოს", ე.ი. გვარი მისი საგვარეულო მამულებით ხელუხლებელი იყოს. მაშასადამე, სათავადოების გაუქმება, რისთვისაც მეფის ხელისუფლება იბრძოდა და რაც უსათუოდ პროგრესული ღონისძიება იყო მეფის მხრივ, ალ. ამილახვარისათვის მიუღებელია. მიუხედავად იმისა, რომ „ბრძენი აღმოსავლეთისაში" საუბარია „კეთილმოქმედებაზე", ე.ი. იმაზე, რომ ავტორი პატივს სცემს ადამიანის კეთილ მოქმედებას, გვარები, ამ შემთხვევაში სათავადოები, მას მიაჩნია სასურველ მოვლენად და მათი მოსპობის წინააღმდეგია.

ალ. ამილახვარს თავისთავად მეფის საწინააღმდეგო არაფერი აქვს. მეფეს ხარისხი აქვს და მისი შესაფერისი დიდებაც, მაგრამ თუ „მძლავრობს". ე.ი. ძალადობას ეწევა, უკანონოდ მოქმედებს, ასეთი მეფე არ არის მეფობის ღირსი.

ალ. ამილახვარის აზრით, მეფეს უნდა ახასიათებდეს: 1) კეთილმოქმედება, 2) მოწყალება და 3) მიუდგომელი მართლმსაჯულება,

---

[1]. გელეიშვილი, ალექსანდრე ამილახვარი, გვ. 124.

ავტორის აზრით, მეფე უნდა იყოს ნამდვილი მამა თავის სამეფოსი[1].

თუ ეს თვისებები მეფეს არ გააჩნია, ის არა თუ მეფედ, არამედ პირუტყვთა მწყემსადაც კი შესაზარია. მაშასადამე, ალ. ამილახვარი მომხრეა მონარქიის, მაგრამ მეფე კეთილგონიერი უნდა იყოს, ძალადობას არ უნდა მიმართავდეს, ბოროტებას უნდა სდევნიდეს და კანონიერებას და მშვიდობას ემსახურებოდეს, თავისი ხალხის მამა უნდა იყოს.

დაახლოებით ამდაგვარივე აზრი აქვს გატარებული მონტესკიეს, მონტესკიე წინააღმდეგია დესპოტიზმისა, რომელიც ძალადობასა და შიშზეა დამყარებული. ის მომხრეა კონსტიტუციური მონარქიისა, რომელიც, მონტესკიეს აზრით, პატიოსნებას ემსახურება[2].

განმანათლებელთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ მეფის ხელისუფლება არ არის ღვთისაგან წარმოშობილი, რომ ის ხალხზეა დამოკიდებული და სხვა, თავის დროს უაღრესად პროგრესული იყო, რამდენადაც ხელშეკრულებით სახელმწიფოს წარმოშობის მომხრენი ამით ჩამორჩენილი ფეოდალური წყობილების წინააღმდეგნი იყვნენ და ახალ, ფეოდალურთან შედარებით, უფრო პროგრესულ წყობილებას — ბურჟუაზიულს უკაფავდნენ გზას. ალ. ამოლახვარის შეხედულება თავისი ეპოქის მიხედვით უაღრესად პროგრესულია.

ალ. ამილახვარის მოსაზრება ხალხის მიერ მეფის არჩევის შესახებ ფაქტობრივად იმავე ხელშეკრულების თეორიის მსგავსი მოსაზრებაა.

„ბრძენი აღმოსავლეთისას“ მეორე თავის სათაურია: „თავადთა და მთავართათვის სამეფოთასა“. ამ თავში საუბარია სამეფოს მმართველობაზე.

სახელმწიფოს მმართველის სახელი ერთია, ამბობს ალ. ამილახვარი, ეს სახელია მეფე, ხელმწიფე. ამავე დროს სამეფოს მმართველობა, მეფის მმართველობა განიყოფება სხვადასხვა უწყებად, დარგად, თითოეული უწყების სათავეში დგას „კარის მოწესე“, ე.ი. ცენტრალური მმართველობის ამა თუ იმ დარგის უფროსი[3]. სამეფოსათვის, თვით მეფისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ იმართება სახელმწიფო. ამ მმართველობის შედეგად თუ ის ცუდად არის მოწყობილი, შესაძლებელია „მეფე ბრძენი და კეთილმოქმედი, ერითურთ მორჩილით“ კიდეც შეიცვალოს და „ნაცვლად თვისისა

---

[1]ბ. გელეიშვილი, ალექსანდრე ამილახვარი, გვ. 124-125.

[1]ბ. გელეიშვილი, ალექსანდრე ამილახვარი, გვ. 126.

ღღეკეთილობისა“ სამეფოში დაწყებულ „აღმფოთებასა“ და არეულობაში გაეხვიოს. ამიტომაც ერის, ხალხს მართებს დიდი „სიფრთხილე“, რომ „შეუცდომლობა“ გამოიჩინოს მეფის „გამორჩევაში“: მეფეს უნდა ჰქონდეს მსგავსება ღვთის მიერ გაჩენილი პირველი ადამიანისა. ღმერთმა, როდესაც გააჩინა პირველი ადამიანი, „საერო გვამი“, ამ „საერო გვამს“, პირველ ადამიანს, მან განუწესა ორგანოები — ხელი, ფეხი, თვალი, ყური და სხვა, „შესაწევნელად და დამცველად სიცოცხლისა მისისა“. ამ დამხმარე ორგანოების გარეშე ადამიანი უსიცოცხლოა. მეფე, როგორც სახელმწიფოს მეთაური, ემსგავსება პირველ ადამიანს, ღვთის მიერ გაჩენილ „საერო გვამს“ და ეს „საერო გვამი“ ანუ მეფე სიცოცხლეს მოკლებულია ერისა და დიდებულების გარეშე.

ამისათვის საჭიროა მეფემ გამოარჩიოს შესაფერისი, რჩეული ადამიანები, რომლებიც ჩაუდგებიან სათავეში მმართველობის ამა თუ იმ დარგს, არ მიაყენებენ მეფეს ჩრდილს, არ შელახავენ მეფის ავტორიტეტს, რადგანაც თითოეული მათგანი სამეფოს მართავს როგორც მეფის, „საერო გვამის“ ასო, ნაწილი, ე.ი. მოქმედებს მეფის სახელით, როგორც მისი ხელი, თვალი, ყური და სხვა. მეფე ფასდება იმის მიხედვით, თუ როგორ მოქმედებენ მისი სახელით მისი მოხელენი. ალ. ამილახვარს მოჰყავს მაგალითებიც: თუ სასამართლოების უფროსი მოხელე არის ბოროტი, ცუდად განაგებს თავის საქმეებს, კაცთა მოძულეა, თვითნებურად და მძლავრობით არჩევს საქმეებს, ასეთი მოხელე წარმოადგენს მეფეს ხალხის წინაშე ისეთ მეფედ, რომელიც ვერ ხედავს ხალხის გაჭირვებას, ვერ ისმენს მათ გასაჭირს, ამახინჯებს მართლმსაჯულებას და სხვა. ასეთი მოხელე, ანუ „საერო გვამის“, სამეფოს ასო, რომელიც „ბოროტის აგებულების“ არის, აავადმყოფებს თვით სამეფოს, წარმოადგენს უკანასკნელისათვის მოშაკედინებელ სენს და საჭიროა მისი, ე.ი. ამ ასოსგან განკურნება, ან კიდევ მოკვეთა.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამილახვარი სახელმწიფოს მმართველობას ადამიანის ორგანიზმს აღარებს. ჯერ კიდევ პროტაგორი, ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსი — სოფისტი, სახელმწიფოს აღარებდა „დიდ ადამიანს“. შეიძლება პროტაგორის ამ შეხედულებაში ვეძიოთ XIX საუკუნეში წარმოშობილი სახელმწიფოს შესახებ ორგანული თეორიის (სპენსერი,) ჩანასახები. ბიოლოგიური ან ორგანული თეორიების მიხედვით, სახელმწიფო შედარებულია ცოცხალ ორგანიზმთან, რომელზეც მოქმედებს ბიოლოგიური კანონები. სახელმწიფოს

შესახებ ორგანული შეხედულება ალ. ამილახვრის შემდეგ ჩამოყალიბდა, XIX საუკუნეში, ხოლო პროტეგორის შეხედულება, რასაკვირველია, მანამდისაც იყო ცნობილი. საერთოდ, საზოგადოებისა და სახელმწიფოს შედარებას ცოცხალ ორგანიზმთან, საშუალო საუკუნეებშიც ვხვდებით, მაგრამ აქედან არ გამოჰქონდათ დასკვნები საზოგადოებასა და სახელმწიფოზე ბიოლოგიური კანონების გავრცელების შესახებ.

ალ. ამილახვარსაც ასეთი შედარება, როგორც მსჯელობის მეთოდი, მოტანილი აქვს თვალსაჩინოებისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ალ. ამილახვარს სავსებით გარკვეულად, საუბარი აქვს „ერის", ე.ი. ხალხის (ალ. ამილახვარი „ერს" „ხალხის" მაგიერ ხმარობს) მიერ მეფის არჩევის შესახებ. ალ. ამილახვრის აზრით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მეფის ხელისუფლება ერზე, ხალხზეა დამოკიდებული, ხალხის მიერ არის შექმნილი და ხალხსავე შეუძლია მისი გადაყენება. ამიტომაც მეფის ვალდებულებას შეადგენს ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა.

ალ. ამილახვრის ხსენებული ნაშრომის მესამე თავის სათაურია: „მხედართა და მთავართა მათთათვის". „მმართველობაში სამხედრო დარგი, ალ. ამილახვრის აზრით, „ურჩეულესია", ამის გარეშე არ შეიძლება მტრების მოგერიება, მეზობლებთან ურთიერთობა, მათი დახმარება. სამხედროს დარგის გარეშე, სახელმწიფო მიაგავს უხელო ადამიანს[1]. მხედართმთავარს უნდა ახასიათებდეს სიბრძნე და მხნეობა. მხედრები უნდა იყვნენ მხნენი და დისციპლინირებულნი, თავიანთი უფროსის ბრძანების შემსრულებელნი. უფროსის მორჩილება დამყარებული უნდა იყოს არა შიშზე, არამედ სიყვარულზე, ალ. ამილახვრის აზრით, შიშსა და რისხვაზე დამყარებული დისციპლინა არ არის მყარი, მტკიცე, ხოლო სიყვარულზე დამყარებული წესრიგი მტკიცეა. ყოველ მხედარს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ ისინი მამულს ემსახურებიან და ერთიმეორეს შემწენი არიან, ამიტომ უფროსმა არ უნდა აგრძნობინოს უმცროსს, რომ მას მეტი ხარისხი აქვს, ამით არ უნდა შეურაცხყოს უმცროსი, რადგან ისინი სამშობლოს ემსახურებიან[2].

მეფეს სიფრთხილე მართებს მხედართმთავრების შერჩევის დროს. მხედართმთავარი უნდა იყოს მებრძოლი, ამავე დროს სიმართლისათვის

---

[1]Ი. გელეიშვილი, ალექსანდრე ამილახვარი, გვ. 127.

[2]იქვე. გვ. 128.

ია ვადადებული. ისეთივე უნდა იყვნენ საერთოდ მხედართმთავრისადმი დაქვემდებარებულნი უფროსნი და მხედარნი. ჯარის სიმრავლე და სისრულე დამოკიდებულია სამეფოს შემოსავალზე, ძალიან დიდი ჯარის შენახვა დაასუსტებს სამეფოს. ამასთანავე, არც ჯარის გარეშე შეუძლია სახელმწიფოს არსებობა, რადგანაც „ვითარება სოფლისა" ისეთია, რომ უფრო შურისა და ომისაკენ აქვთ მიდრეკილება, ვიდრე მშვიდობისა და სიყვარულისაკენ.

ალ. ამილახვრის პერიოდის ფეოდალური საქართველოსათვის დამახასიათებელი იყო დაუსრულებელი ფეოდალური ბრძოლა, ქიშპობა, ერთმანეთზე თავდასხმები, ტყვეების ყიდვა-გაყიდვა, გარეშე მტრების თავდასხმები. ამიტომაც წერს ავტორი, რომ მაშინდელი ადამიანის „ბუნება... მიმსგავსებულ არს მხეცთა".

ალ. ამილახვარმა სპეციალური თავი (მე-4) უძღვნა სამღვდელოებას, რომელსაც ავტორი შავი ფერებით გვიხატავს. ავტორის აზრით, სამღვდელოება მოწოდებულია ბოროტების წინააღმდეგ იბრძოლოს მშვიდობისათვის, ის კი სწორედ ამის საწინააღმდეგოდ მოქმედებს ზოგჯერ და მშვიდობის ნაცვლად ქვეყნის აშლის საქმეს ემსახურება[1].

ქრისტე ხმლითა და მაკრატლით არ მოქმედებდა, სამღვდელოება სწორედ ამ იარაღებით მოქმედებს, ქრისტე თავმდაბლობასა და სიგლახაკეს ქადაგებდა, ეკლესია და მისი მსახურნი ძეფობისაკენ მიილტვიან. ქრისტე ლოცავდა ადამიანს, ეკლესია კი წყევლის მას.

ალ. ამილახვარი მოითხოვს სარწმუნოების თავისუფლებას, არავინ არ უნდა შეავიწროვონ სარწმუნოების თვალსაზრისით, არავის არა აქვს უფლება ეუფლოს სხვის სულს, ყველა ვალდებულია მხოლოდ პირადად, თავისი საკუთარი მოქმედების ფარგლებში პასუხი აგოს ღვთის წინაშე, და ამიტომაც საჭიროა არსებობდეს სარწმუნოებათა შემწყნარებლობა, ვისაც რა უნდა, ის უნდა სწამდეს.

ალ. ამილახვარი წერს, რომ საერთოდ ის პატივს სცემს სამღვდელოებას, რომელიც მოწოდებულია ამქვეყნად კეთილი საქმისა და მშვიდობისათვის, მაგრამ სამღვდელოება არ უნდა ერეოდეს მისთვის „შეუფერებელ" საქმეებში, რომ ადამიანს საშუალება ჰქონდეს მისცეს „კეისრისა კეისარს და ღვთისა ღმერთს".

---

[1]ს. გელეიშვილი, ალექსანდრე ამილახვარი, გვ. 123.

განმანათლებელთა იდეებით გამსჭვალულია ალ. ამილახვრის ნაშრომის ეს ნაწილიც. ალ. ამილახვარი სამღვდელოების საკითხს მოკლედ ეხება, მაგრამ საკმაოდ უარყოფითად ჰყავს ის დახასიათებული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთოდ, ალ. ამილახვარი სარწმუნოების წინააღმდეგი არ არის, ის მხოლოდ ეკლესიის მსახურთა უარყოფით მხარეებს აკრიტიკებს.

ალ. ამილახვარს ოავის შრომაში ცალკე თავი აქვს ასეთი სათაურით: „თავი 6. გლეხოათვის გინა მიწის მოქმედთა კაცთა".

გლეხების ხარისხი, ე.ი. მათი მდგომარეობა ფეოდალიზმის სოციალურ კიბურის მიხედვით, ამილახვარის სიტყვებით, „უკანასკნელია", მაგრამ გლეხების მოქმედება, მაოი საქმიანობა წარმოადგენს მათ პირველობას. ავტორის აზრით, ადამიანს შეუძლია ყოველგვარი ნაკლოვანების ატანა, მაგრამ მას არ ძალუძს „უსაზრდოების" მოთმენა. ადამიანის ბუნება, განმარტავს ავტორი, პირველ ყოვლისა, იმას ითხოვს, რომ საზრდო მიიღოს მისმა „აგებულებამ", და მხოლოდ საზრდოს მიღების შემდეგ ასპარეზზე გამოდის ადამიანის გონება, „მრავალგვარი განსრახვანი" მაშასადამე, ყველაფრის საფუძველი გლეხის შრომაა, ამიტომაც „ნივთთა მომპოვებელთა და მუშაკთა მისთა", ე.ი. გლეხთა გამხნევება გვმართებს. გლეხები უნდა დავიცვათ და შევეწიოთ მათ[1].

ალ. ამილახვრის აზრით, გლეხებს შეურაცხყოფა არ უნდა ვიგულისხმოთ. ამასთანავე, არ არსებობს გლეხის უკანასკნელობა და საზოგადოების რომელიმე ფენის პირველობა. ასეთი დაყოფა იმიტომ არ არის. რომ ერთი მეორეზე დამოკიდებულია, ერთი მეორესათვის საჭიროა, „სახმარი", ე.ი. სასარგებლოა, ერთი მეორის მასაზრდოებელია და „ყოველნი ერთად და თანასწორად გარდავშესდებით უცნაურსა მას ჩვენგან საუკუნესა"[2]. კარგად თუ დავაკვირდებით, განაგრძობს ავტორი, „თანასწორად მოიბილვართ და არავინ არს უმჯობეს ერთსა, არცა ვინ უარეს მეორისა", ყველანი ერთნი ვართ, ყველანი თანასწორნი და „ნეტარ არს ერი და უმეტეს ბედნიერ", რომელ ერშიდაც ასეთი „ბუნებითი გასინჯულობა", ასეთი შეხედულება თანასწორობაზე დაიმკვიდრებს.

იდეა, რომ ადამიანი იბადება თავისუფალი, ცნობილი იყო უძველეს პერიოდში, მაგალითად, რომის სამართალში. ამ იდეას ხშირად ძალადობენ

---

[1] ა. გელეიშვილი, ალექსანდრე ამილახვარი, გვ. 131

[2] იქვე, გვ. 132.

საშუალო საუკუნეებში, აგრეთვე XVIII საუკუნის განმანათლებლებიც. ალ. ამილახვარს, როგორც ვნახეთ, ამ საკითხის შესახებ საყურადღებო მოსაზრება აქვს წამოყენებული და დასაბუთებული. ავტორის მოსაზრება, რასაკვირველია, უაღრესად ჰუმანურია და პროგრესული.

„ბრძენი აღმოსავლეთისას“ მე-7 თავის სათაურია: „სამოქალაქო სჯულთა დადებისათვის“.

კანონების დასადგენად, ავტორის აზრით, საჭიროა სამი მოვლენის გათვალისწინება: 1) ბუნებრივი პირობები იმ ხალხისა, რომლისთვისაც ვადგენთ კანონს, კონკრეტულად, გათვალსწინება ქვეყნის კლიმატისა, 2) გათვალისწინება ხალხის ჩვეულებისა და ზნისა, 3) „ბუნებითი გასინჯულობა“[1]. ავტორის აზრით, როგორც ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სახით, შეხედულებით, ასევე განირჩევიან ხალხები ერთმანეთისაგან ზნითა და ჩვეულებით, აგრეთვე კლიმატით, ამიტომ არ შეიძლება ერთი რომელიმე ქვეყნის კანონი მეორე ქვეყნისთვისაც შემოვიღოთ. ეს გამოიწვევს ერის ურჩობასა და აღშფოთებას. კანონი შემოღებული უნდა იქნეს ერის ანუ ხალხის ბუნების მიხედვით დიდის „სიფრთხილითა“ და „გულისხმიერებით“, რომ არ იყოს საჭირო „ერთხელ დადებული სჯულის ხშირად ცვალება“.

დამნაშავეებს. ავტორის აზრით, მათი დანაშაულებრივი ქმედობის შესაფერისი სასჯელი უნდა მიესაჯოს. ავტორს მხედველობაში უნდა ჰქონდეს სისხლის ზღვევინება, რომელიც მიღებული იყო მაშინდელ საქართველოში.

ავტორის აზრით, დანაშაულისათვის დამნაშავეს უნდა შეეფარდოს „სიმრავლითა სჯულისაია“ შესატყვისი ზღვევინება.

ავტორი დანაშაულის შესაბამისი ზღვევინებას გამოთქვამს სიტყვებით: „სისხლის წილ სისხლი“[2].

ავტორი წინააღმდეგია სიკვდილით სასჯელისა.

სიკვდილით სასჯელი დაუშვებელია იმიტომ, რომ ადამიანს ვართმევთ ისეთ რაზეს — სიცოცხლეს, რომლის აღდგენა აღარ შეგვიძლია, ამიტომ, ავტორის აზრით, მართალია, საჭიროა დანაშაულს სასჯელი შეესაბამებოდეს, მაგრამ ეს შემთხვევაში უნდა დავუშვათ გამონაკლისი. სიკვდილით სასჯელის ნაცვლად, დაწესებული უნდა იქნეს სამშობლოდან გაძევება („ექსორია“).

---

[1] ს. ალექსიშვილი, ალექსანდრე ამილახვარი, გვ. 132.

[2] იქვე

შრომის მე-8 თავის სათაურია: „სწავლისათვის მეცნიერებისა და ხელოვნებისა“. ავტორს ამ თავში საუბარი აქვს სწავლა-განათლების საჭიროებასა და სარგებლობაზე.

მე-9 თავის სათაურია: „საჭურველთა უმეტეს ისახელების მეფე ანუ მშვიდობით“.

ამ თავში ავტორს საუბარი აქვს საჭურველზე, იარაღზე, ისეთ იარაღზე, რომელიც ომის შემთხვევაში ადამიანთა დიდ რაოდენობას ანადგურებს. ავტორი წინააღმდეგია ასეთი იარაღისა. შეიძლება ეს იარაღი ახალი გამოგონებული იყოს, მაგრამ ის უარსაყოფია, რამდენადაც ბოროტებას, ადამიანის განადგურებას ემსახურება და ასეთი იარაღის მხმარებელი არ შეიძლება იყოს ბედნიერების მომგონი იარაღი მაშინ არის კარგი, თუ სიცოცხლის დამცველია, ხოლო თუ სიცოცხლეს ებრძვის როგორც საწამლავი, დარიშხანი, მაშინ ის უვარგისია.

საყურადღებოა ალ. ამილახვარის შეხედულება მშვიდობაზე. ადამიანის მთავარი საზრუნავი, ავტორის აზრით, არის ფიქრი ადამიანთა კეთილგანწყობილებაზე. ადამიანი იმით კი არ არის დასაფასებელი, თუ რამდენ ადამიანს მოკლავს იარაღით, არამედ იმით, თუ რა მიღწევები ეჭნება მას ადამიანთა შორის მშვიდობის დასამყარებლად.

შრომის უკანასკნელი მე-10 თავის სათაურია: „საყოველთაოდ გასინჯულობა“.

ამ თავში საუბარია ზოგად საკითხებზე. ავტორის აზრით, ყოველი ადამიანი ვალდებულია ჩაიხედოს სარკეში, გონების თვალით განჭვრიტოს და განსაჯოს, თუ რას წარმოადგენს იგი, რისთვის დაბადებულა ამქვეყნად და რაზე არის დაფუძნებული მისი ცხოვრება, ე.ი. რა მიზანი აქვს მას ცხოვრებაში[1].

ნაშრომი მთავრდება ჰატარა ლექსით, რომელშიც ავტორი მოგვითხრობს, რომ ეს თავისი მცირე შრომა მან დაწერა მამულის „შესაწევნელად“, ე.ი. სამშობლოს საკეთილდღეოდ[2].

---

[1]ვ. გელეიშვილი, ალექსანდრე ამილახვარი, გვ. 136.

[2]იქვე, გვ. 136-137

იოანე ბაგრატიონი

იოანე ბაგრატიონი იყო შვილიშვილი ერეკლე II-სა, გიორგი XII-ეს შვილი, დაბადებული 1772 წელს. იოანემ მიიღო ისეთი განათლება, რომელიც მისი დროის მეფის შვილს შეფერებოდა. მშობლიური ენის გარდა იოანემ იცოდა რუსული და სპარსული.

იოანე, გარდა სპარსეთის სახელმწიფოებრივი წყობილებისა, იცნობდა აგრეთვე რუსეთის სახელმწიფოებრივ წყობილებას. არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ერეკლე II დაინტერესებული იყო ევროპის სახელმწიფოების წესწყობილებით და მისი შეკვეთით გადმოთარგმნილი იქნა ქართულ ენაზე ზონენფელსის პოლიციური სამართლის კურსი (ავსტრიელი მეცნიერი ზონენფელსი ცნობილი სპეციალისტი იყო პოლიციური სამართლისა). რასაკვირველია, ეს შრომა იოანე ბაგრატიონისათვის ცნობილი იქნებოდა.

გარდა ამისა, თვითონ იოანე მეტისმეტად დაკვირვებული, გონებამახვილი, განათლებული და, რაც მთავარია ამ შემთხვევაში, ქართული სამართლის ღრმა მცოდნე იყო. ჩვენამდის მოღწეული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ იოანეს თანამედროვენი ქართული სამართლის დიდ სპეციალისტად თელიდნენ და მიმართავდნენ კიდეც სხვადასხვა კაზუსების გადასაჭრელად. ძეგლებში ვხვდებით აგრეთვე იოანეს მიერ გამოტანილ განაჩენსა და გადაწყვეტილებას[1].

იოანე ახალგაზრდობიდანვე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. 1789 წელს იოანე ჭარელთა წინააღმდეგ იბრძვის. 1790 წელს მას ჩვენ იმერეთში ვხედავთ, ერეკლე II-ის დავალებით, იმერეთის მეფე — სოლომონ II-ის დასახმარებლად. 1795 წელს, აღა-მაჰმადხანის შემოსევის დროს იოანე ქართველთა ჯარის ერთ-ერთი მეთაურია. 1800 წელს იოანე და მისი ძმა ბაგრატი ხელმძღვანელობდნენ ქართველთა ჯარს, რომელიც რუსეთის მხედრობასთან ერთად ამარცხებს საქართველოზე თავდასხმელებს. ამ ბრძოლაში გამოჩენილ მამაცობისათვის იოანე და ბაგრატი რუსეთის მთავრობამ დააჯილდოვა.

---

[1]საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტ. II, გვ. 466.

იოანე დიდის ნდობით სარგებლობდა სამეფო კარზე. ის გიორგი XII-ის პირველი მრჩეველი იყო. ამავე დროს იოანე მეფის მიერ არტილერიის უფროსად იყო დანიშნული.

იოანეს კალამს ეკუთვნის ენციკლოპედიური ხასიათის შრომა — „კალმასობა", რომელშიაც, სხვათა შორის, მრავლად არის მოცემული ქართული სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტების ახსნა-განმარტება. რუსეთში გადასახლების შემდეგ, იოანე მთლიანად ლიტერატურულ მოღვაწეობას მისდევს: სწერს ორიგინალურ შრომებს და ეწევა აგრეთვე მთარგმნელობით მუშაობასაც. მაგრამ ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს იოანე ბაგრატიონის „სჯულდება", რომელიც წარმოადგენს პროექტს ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი წყობილების რეფორმებისა.

იოანე ბაგრატიონი ქართული ფეოდალური საზოგადოების იმ პროგრესულ ნაწილს ეკუთვნოდა, რომელიც საქართველოში განმანათლებელთა იდეებით გამოდიოდა. ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად იცნობდა იოანე ბაგრატიონი XVII-XVIII საუკუნეების ევროპელ განმანათლებელთა შრომებს (საერთოდ კი საქართველოში ევროპულ განმანათლებელთა იდეებს გაცნობილი იყვნენ), მაგრამ იმისი თქმა კი გარკვევით შეიძლება, რომ იოანე ბაგრატიონის პროექტში წამოყენებული მრავალი პროგრესული დებულება, თავისი არსით ფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ მიმართული, ნაყოფი იყო თვით ქართული პროგრესულ-პოლიტიკური აზროვნების განვითარებისა. მაგალითისათვის ავიღოთ გლეხთა საკითხი. პროექტის მიხედვით გლეხებისათვის სკოლა უნდა გაეხსნათ. რასაკვირველია, ეს პროგრესული აზრია, რომელსაც საქართველოშივე თავისი განვითარების ისტორია აქვს.

გლეხთა საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ უნდა გავიხსენოთ არჩილ მეფის შემდეგი სიტყვები: „თუ ამოსწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდა"[1]. როგორიც არ უნდა იყოს ის მიზეზები, რომელმაც ეს ათქმევინა არჩილს, და რომ მივიღოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ არჩილი ამას ამბობდა ფეოდალთა ინტერესების დაცვის მიზნით, ყოველ შემთხვევაში, თავისთავად ეს იდეა, ე.ი. გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებისა, პროგრესულია.

მაშასადამე, გლეხთა საკითხში იოანე ბაგრატიონს წინამორბედად ჰყავს არჩილი, რომელიც სრულიად გარკვევით აყალიბებს თავის

---

[1] „არჩილიანი", ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., ტ. II, 1937, სტროფი 627.

შეხედულებას გლეხობაზე. არჩილის აზრით, გლეხობა არის ფეოდალური საქართველოს საფუძველი, თუ გლეხობა ამოწყდება, გადაშენდება, საქართველოსაც ასეთივე ბედი მოელისო. გარდა არჩილისა, გლეხობის საკითხი მრავალ მოაზროვნეს, სახელმწიფო მოღვაწეს დაუსვამს და თავისი შეხედულება გამოუთქვამს ამ საკითხზე იოანე ბაგრატიონამდე. ამგვარად, იოანეს პროგრესული შეხედულება გლეხობის საკითხში, შედეგია ქართული ფეოდალური პროგრესული აზროვნების განვითარებისა.

იოანე, საერთოდ სწავლა-განათლების მოტრფიალეა. თავის „კალმასობაშიც" ის სწორედ სწავლა-განათლებას ქადაგებს.

იოანეს ასეთი მოთხოვნა გამოწვეულია იმითაც, რომ სამეფოს სათანადოდ მომზადებული კადრები ესაჭიროება. იოანეს პროექტის მიხედვით სკოლა სახელმწიფომ უნდა შეინახოს, ხოლო როცა ამის შესაძლებლობა ექნება სახელმწიფოს, უკანასკნელმა უნდა შეინახოს მოწაფეებიც.

იოანე ბაგრატიონის პროექტი ითვალისწინებს ქარხნების გახსნას საქართველოში და ხელოსნობის განვითარებას. ამისათვის კი საჭიროა კადრები, სათანადოდ მომზადებული მუშები, ხელოსნები. ამასთანავე, პროექტში გათვალისწინებულია ვაჭრობის განვითარება; ვაჭრობის განვითარებას, იოანე ბაგრატიონი უდიდეს ნაციონალურ საქმედ თვლის; პროექტის აუტორი მოითხოვს ვაჭრობის დანერგვას ქართველებში.

ამასთანავე, იოანე აღნიშნავს, რომ ვაჭრები ამჟამად უცხოელები არიან, მაგრამ ქართველებში ვაჭრობის დანერგვამ არ უნდა შეაფერხოს სხვა ეროვნების წარმომადგენლების ვაჭრობა საქართველოში.

თავისთავად, იოანეს მიერ გათვალისწინებული ეს ღონისძიებანი ფეოდალური, ჩამორჩენილი საწარმოო ურთიერთობების წინააღმდეგ არის მიმართული და ამზადებს პირობებს უფრო მაღალი, პროგრესული საზოგადოებრივი ურთიერთობების დასამყარებლად საქართველოში.

იოანე ბაგრატიონის პროგრესული იდეები ფრიად მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ პროექტის მიხედვით მეზობელ ხალხებთან დამოკიდებულებას საფუძვლად უნდა დაედვას მეგობრობა. საქართველომ არ უნდა ისარგებლოს მეზობლის სისუსტით, პირიქით, სუსტ მეზობელს ის ყოველმხრივ უნდა დაეხმაროს.

იოანე ბაგრატიონს, სახელმწიფოებრივი წყობილების რეფორმების მიმართ, თავისი დროის მიხედვით მეტად მნიშვნელოვანი და პროგრესული იდეები აქვს წამოყენებული. იოანე ბაგრატიონი მოითხოვს ცენტრალიზებული

ფეოდალური სახელმწიფოს შექმნას. თავისთავად, ფეოდალურად დაქუცმაცებული სახელმწიფოს ნაცვლად მტკიცე ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბება პროგრესული მოვლენაა; ფორმის მხრივ სახელმწიფო, პროექტის მიხედვით, უნდა იყოს ფეოდალური მონარქია.

პროექტის მიხედვით, საერისთავოები, ე.ი. ყველაზე ძლიერი საფეოდალოები უნდა გაუქმდნენ; ამასთან დაკავშირებით, ფრიად საყურადღებოა იმ გარემოების აღნიშვნა, რომ პროექტით მსხვილ საფეოდალოებში უნდა იყოს „სამეფო მოხელე მიჩენილი", ეს გარემოება იმის მაჩვენებელია, რომ პროექტით ცენტრალური ხელისუფლება ძლიერდება და ის ხელში იღებს უშუალოდ საფეოდალოების მმართველობას. ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება ნიშნავს ფეოდალების ალაგმვას. იოანეს სწორედ აქვს ეს მიზნად დასახული და სათანადო ღონისძიებასაც ითვალისწინებს.

ამასთანავე პროექტი, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მიზნით, ითვალისწინებს მუდმივი ჯარის შექმნას. გარდა ამისა, იოანე ითვალისწინებს ცენტრალური ხელისუფლებისადმი ფეოდალური ლაშქრის დამორჩილებას, ჯარში მტკიცე დისციპლინის დაწესებას, მმართველობის მტკიცე ცენტრალიზაციის პრინციპს ემსახურება აგრეთვე მმართველობის დარგებად დაყოფა და ამის მიხედვით სამინისტროების მსგავს დაწესებულებათა შექმნა. ამ მიმართულებით ავტორი ითვალისწინებს: საგარეო საქმეების ცალკე დარგად გამოყოფას და ამ საქმეების ერთი მოხელესადმი დაქვემდებარებას. ჯანმრთელობის საქმეები უნდა დაუქვემდებარდეს ექიმთა უფროსს, საფინანსო უწყება უნდა დაუქვემდებარდეს სამეფო ხაზინადარს. განათლების უწყების ხელმძღვანელი იქნება განათლების მოხელე. პროექტით გათვალისწინებულია ჯარების იარაღით მომარაგების უწყების დაწესება; ამასთანავე, შემოღებული უნდა იქნეს ახალი სახელო, რომლის კომპეტენცია იქნება მეფისათვის არზების გადაცემა; ქალაქებში მეფეს უნდა ჰყავდეს განსაკუთრებული მოხელე, მეფის მოადგილე, რომელიც ქალაქის მმართველობის საქმეებს მოუვლის. სასულიერო უწყებისათვის ყალიბდება დიკასტერია, რომლის წევრები იქნებიან — კათალიკოსი, მღვდელთმთავარნი და მეფის მოხელე — ე.წ. „სასულიერო" ან, „სულიერი მთავარი"; უკანასკნელი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სასულიერო საქმეების გადაწყვეტაში, ამ ღონისძიებით, პროექტის ავტორს განზრახული აქვს სასულიერო საქმეები მეფის ხელისუფლებას დაუქვემდებაროს, რისთვისაც (ისე როგორც

დავით აღმაშენებელმა ამავე მიზნისათვის ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელი დააწესა) იოანე ითვალისწინებს „სულიერი მთავრის“ თანამდებობის შემოღებას.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ მეფესთან იქმნება ქვეყნის მართვის ისეთი ორგანო, როგორიც არის სამეფო საბჭო. საბჭო სათათბირო ხასიათის ორგანოა.

სადედოფლო ქონება, პროექტის მიხედვით, მეფეს უნდა დაექვემდებაროს, ამასთანავე, მეფე, დედოფალი და მათი მსახურნი გადაყვანილ უნდა იქნენ ჯამაგირზე.

სამეფო ტახტის მემკვიდრეობის საკითხთან დაკავშირებით, პროექტი ითვალისწინებს საქართველოს გაერთიანებას.

პროექტის მიხედვით სამშობლოს ღალატი ყველაზე მძიმე დანაშაულია; ასეთი დამნაშავე სასტიკად უნდა დაისაჯოს, ვინც არ უნდა იყოს ის, მაგრამ ამასთანავე, პროექტი ძირითადად დგას ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპზე.

როგორც ვხედავთ, პროექტი ფრიად მნიშვნელოვან პროგრესულ დებულებებს შეიცავს სახელმწიფოებრივი წყობილების ხაზით, მაგრამ, რასაკვირველია, პროექტის ავტორი, საზოგადოების რეაქციული ნაწილის წინააღმდეგ ბრძოლისას ფეოდალიზმის წინააღმდეგ კი არ ილაშქრებს საერთოდ, ის ამ საზოგადოების განსაკუთრებით უარყოფით მხარეებს ებრძვის. პროექტის ავტორისათვის ყმის ექსპლოატაციის საფუძველზე აშენებული საზოგადოება სრულიად ნორმალურია, ეს ასეც უნდა იყოს, გაბატონებული კლასი ყმის ექსპლოატაციით უნდა ცხოვრობდეს, მაგრამ ეს ექსპლოატაცია რაციონალურ საფუძველზე უნდა აიგოს იმ მხრივ, რომ ფეოდალების თვითნებობა ყმების მიმართ, რის შედეგადაც ნადგურდება მწარმოებელი კლასი, სახელმწიფომ უნდა შეზღუდოს, შეაჩეროს, შეცვალოს, რომ ამით თვითონ საზოგადოება გადარჩეს დაღუპვას.

გარდა ზემოთქმულისა, პროექტის ავტორი მოითხოვს მრავალ ღონისძიებათა გატარებას, ახალ დაწესებულებათა შექმნას. პროექტი ითვალისწინებს: სასნეულო სახლის დაარსებას, აფთიაქის მოწყობას, ბიბლიოთეკის დაარსებას, გაზეთის გამოცემას, ფოსტის დაარსებას, არქივისა და მუზეუმის შექმნას და სხვა.

ყველაფერი ეს მაჩვენებელია იმისა, რომ პროექტი ეპოქის მიხედვით მოწინავე, პროგრესულ იდეებზეა დაფუძნებული.

თავი IV. XIX საუკუნის მოღვაწეთა პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებანი

1801 წელს გაუქმდა ქართლ-კახეთის სამეფო და აღმოსავლეთ საქართველო რუსეთს შეუერთდა, როგორც პროვინცია. 1810 წელს იმერეთის სამეფოც მოისპო და იქაც რუსული მმართველობა დამყარდა.

XIX საუკუნის დასაწყისიდან ქართული პოლიტიკური აზრის ძირითადი პრობლემა და საკითხი დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენაა. ქართველი ხალხი და მოწინავე ქართული საზოგადოება არ შეურიგდა დამოუკიდებლობის (სახელმწიფოებრიობის) დაკარგვას. ამაზე მიუთითებს ის მრავალრიცხოვანი აჯანყებები, რომლებიც XIX საუკუნის I ნახევარში საქართველოში თითქმის განუწყვეტლივ ხდებოდა და 1832 წლის შეთქმულება, რომელშიც თითქმის მთელი იმდროინდელი (ქართული) პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა მონაწილეობდა. შეთქმულებს ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეა აერთიანებდათ, თუმცა მომავალი საქართველოს პოლიტიკური მოწყობის შესახებ მათი შეხედულებები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. ნაწილი 1783 წლის ტრაქტატის პირობების აღდგენას მოითხოვდა, ნაწილი კი ევროპული იდეების გავლენით საქართველოში სახელმწიფოს წარმომადგენლობითი ხელისუფლების პრინციპზე შექმნის, ე.ი. კონსტიტუციური მონარქიის მომხრე იყო. შეთქმულთა შორის რესპუბლიკური მმართველობის იდეაც არსებობდა (სოლომონ დოდაშვილი).

1832 წლის შეთქმულების მარცხით დამთავრების შემდეგ ქართული ერ ოვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა რამდენიმე ხნით შეფერხდა. ქართული საზოგადოება თითქოს ბედს შეეგუა და თავადაზნაურობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის შეთქმულებაში მონაწილენიც, ცარიზმის სამსახურში ჩადგა. ეროვნული მოძრაობის ახალი აღმავლობა 60-იან წლებში დაიწყო და იგი ილია ჭავჭავაძისა და „თერგდალეულთა“ სახელთან არის დაკავშირებული.

ვახტანგ ირაკლის ძე ბაგრატიონი (1762-1814)

ვახტანგ ირაკლის ძე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ქართლ-კახეთის სამეფოს მართვა-გამგეობაში. ლევან ირაკლის ძის გარდაცვალების შემდეგ ერეკლე II-მ მას ჩააბარა არაგვის საერისთავო, რომელსაც იგი მართავდა რუსეთში გადასახლებამდე. ვახტანგი გადაასახლეს რუსეთში სხვა ბატონიშვილებთან ერთად. ამის შემდეგ ის სამშობლოში აღარ დაბრუნებულა და გარდაიცვალა პეტერბურგში 1814 წელს.

ვახტანგის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები გადმოცემულია მის შემდეგ ნაშრომებში: „განჩინება ბარისა და მთიელთა ადგილთა“, „ებისტოლენი საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგისა“, „ისტორიერი ერივი აღწერა ღირსთა ხსომისა შემთხვე-ულებათა საქარ-თველოსა შ~ა აღწერითა ზნეობათა და ჩვეულებათა მახლობელთათა მის ქვეყნისა, თხზული საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგის მიერ“ და ა.შ.

ვახტანგ ბატონიშვილს მრავალი საყურადღებო შეხედულება აქვს გამოთქმული ზემოაღნიშნულ ნაშრომებში.

ვახტანგ ბაგრატიონის შეხედულებით, ყოველი ქართველი პატრიოტის მიზანი უნდა იყოს საქართველოს გაერთიანება. ქართველი ხალხი პოლიტიკურად დანაწილებამ დაასუსტა და ხელი შეუშალა მას გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვახტანგის აზრით, სამეფო უნდა იყოს ცენტრალიზებული, სამეფოს სათავეში უნდა იდგეს განათლებული და გონიერი მეფე, რომელსაც უნდა ჰყავდეს სათანადოდ შერჩეული მოხელეები და მათი საშუალებით მართოს ქვეყანა. მეფესთან უნდა იყოს მრჩეველთა საბჭო, რომელიც დახმარებას გაუწევს მეფეს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. ეს საბჭო არ ზღუდავს მეფის ხელისუფლებას. მაშასადამე, ვახტანგის შეხედულებით, სახელმწიფოს ფორმა მონარქიული უნდა იყოს, მონარქი შეუზღუდველი უფლებებით უნდა სარგებლობდეს. მეფე კანონს მტკიცედ უნდა იცავდეს. ამასთანავე უნდა იყოს სამართლიანი, მოწყალე, ქვრივ-ობოლთა დამხმარე,

---

[1]საქარ“ველოს სიძველენი, ექ. თაყაიშვილის რედ., II, გვ. 203-208; ი. ფუტკარაძე. ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის, თბილისი, 1964.

ქვეყნისათვის თავდადებული. საჭიროების შემთხვევაში მეფემ ქვეყნისათვის თავი უნდა გასწიროს, როგორც მოიქცა დიმიტრი თავდადებული. ყოველი მოქალაქე ვალდებულია იყოს თავისი მეფისა და მამულის მოტრფიალე, თავდადებული პატრიოტი, თავგანწირული მეფისათვის, როგორიც იყო იოთამ ზედგინიძე.

მეფე უნდა იბრძოდეს თავისი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის, ქვეშევრდომთა კეთილდღეობისათვის, სამეფოში ქალაქებისა და ვაჭრობის განვითარებისათვის. მეფე თვითონაც განათლებული უნდა იყოს და სათანადო ღონისძიებას ღებულობდეს თავის სამეფოში განათლების გასავრცელებლად, რისთვისაც უნდა გახსნას სკოლები. თუ მეფე დააწინაურებს ადამიანებს არა გვაროვნული წარმოშობის, არამედ პირადი ნიჭისა და დამსახურების მიხედვით, სახელმწიფო განმტკიცდება.

ვახტანგის შეხედულებები წინააღმდეგობასაც შეიცავს. ერთი მხრივ, ის ძლიერი, მტკიცე, ცენტრალიზებული სახელმწიფოს იდეას იცავს, გმობს საუფლისწულო სეპარატიზმს და, მეორე მხრივ, დასაშვებად მიიჩნევს, რომ საუფლისწულოს მფლობელ ბატონიშვილთა წყალობის სიგელს მეფის სიგელის ძალა ჰქონდეს.

ვახტანგის შეხედულებანი განათლების, მეფის ძლიერი ხელისუფლებისა და მეფის ვალდებულებათა შესახებ თავის დროისათვის პროგრესულია.

ვახტანგის მეორე შრომა „ებისტოლენი საქართუელოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგისა"[1] წარმოადგენს პოლიტიკური შინაარსის ტრაქტატს. ეს ნაშრომი რუსულადაც არსებობს (იაგორ ჭილაშვილის თარგმანი).

ვახტანგის ეს ნაშრომი წერილებისგან შედგება, წერილები მიმართულია მეგობრისადმი.

პირველი წერილის ქართულ ტექსტში, სხვა საკითხთა შორის, განხილულია საკითხი მეფის ერთგულების შესახებ. ნაშრომთა ქართული ტექსტის მესამე წერილი ასევე მიძღვნილია მეფისადმი: ამასთანავე, ნაშრომის ქართული ტექსტის მე-7 თავში ყმების მოვალეობად გამოცხადებულია ბატონებისადმი მორჩილება. მეფისადმი ქვეშევრდომთა მორჩილებისა და ერთგულების ნიმუშად მოყვანილია იოთამ ზედგინიძე-ამილახვრის მაგალითი.

მე-7 წერილში ვახტანგი ეხება ბატონისადმი მონათა და ყმათა

---

[1]საქართველოს სსსრ მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S-1113.

ვალდებულებებს. მონები და ყმები ვალდებულნი არიან თავიანთი ბატონების სრულ მორჩილებაში იმყოფებოდნენ და ერთგულად ემსახურებოდნენ მათ.

თუ ყმები ვალდებულნი არიან ემსახურონ თავიანთ ბატონებს, მით უფრო ყველას ვალდებულებას შეადგენს მეფის სამსახური. ნაშრომში ვახტანგი ეხება აგრეთვე საოჯახო ურთიერთობის საკითხებს. იგი აღნიშნავს, რომ ბედნიერია ადამიანი, რომელსაც აქვს სიყვარული მეუღლისა და ერთგულია მისი[1]. ვახტანგის აზრით, დიდად მნიშვნელოვანია სიყვარული შვილებისა და მათი „სწავლულებაში" აღზრდა, მათთვის ზრუნვა. კარგად აღზრდილი შვილები საზოგადოებისათვის სასარგებლონი არიან[2]. ვახტანგის აზრით, საჭიროა „მორჩილება და პატივისცემა მშობელთა" შვილთაგან, ასეთი შვილები პატივისმცემელნი იქნებიან მეფეთა, ბატონთა, მოხუცებულთა და ბრძენთა: ამ შემთხვევაში შვილები და მათი მშობლები საერთო სიყვარულს დაიმსახურებენ და ამიტომ იქნებიან ბედნიერნი. სიყვარული ძმათა, ვახტანგის აზრით, აგრეთვე მნიშვნელოვანია. ძმებს ერთმანეთის პატივისცემა, სიყვარული უნდა ჰქონდეთ, ხოლო ძმების ურთიერთსიყვარული მათ ბედნიერს გახდის.

ვალდებულებანი ადამიანისა, რომლებიც ჩვენ ჩამოვთვალეთ — მოყვასის სიყვარული, ერთგულება მამულისა და მეფისა, სიყვარული მეუღლისა და შვილებისა, პატივისცემა მშობლებისა, სიყვარული ძმათა — არის ზოგადი, ე.ი. ისეთი, რომლებიც ყველა ადამიანს უნდა ახასიათებდეს.

ვახტანგის აზრით, ამ „საზოგადო" თვისებების ანუ ვალდებულებების გარდა არის ვალდებულებანი „სხუათა და სხუთათვს სხუა"[3]. მეორე წერილში განმარტებულია, თუ რა არის ეს სხვადასხვა ვალდებულებანი. ეს ვალდებულებანი განიყოფებიან: მეფის, მინისტრების, მხედართმთავრების, მხედრების, უფალთა, მონათა, „ყმათა, მდიდართა, ვაჭართა" და მხვნელ-მთესველთა მიხედვით. თუ პირველ შემთხვევაში ისეთ ვალდებულებებზე იყო საუბარი, რომელიც ყოველი ადამიანისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი და ამ მხრივ არის ის ზოგადი, საერთო, მეორეში ეს ვალდებულებანი განსხვავებულია თანამდებობისა თუ სოციალური ფენის შესაბამისად: მეფის ვალდებულებანი და მისი ფუნქციები განსხვავებულია

---

[1]ხელნაწერთა ინსტიტუტი, S–1113, გვ. 6.
[2]ხელნაწერთა ინსტიტუტი, S–1113, გვ. 6.
[3]იქვე, გვ. 5.

მინისტრის ვალდებულებებისა და ფუნქციებისაგან, ასევე ვაჭრის ვალდებულება და ფუნქცია განსხვავებულია გლეხის ვალდებულებებისა და ფუნქციებისაგან და ა.შ.

რუსული ტექსტის მესამე წერილის მიხედვით, ბუხება უკარნახებს ადამიანს მრავალ კანონს და მათ შორის ისეთ კანონებსაც, რომელთა მიზანია ზნეობის, მორალის ამაღლება.

ზნეობის ნორმები თხოულობენ: არავის მივაყენოთ შეურაცხყოფა, არავის მივაყენოთ ვნება, ხელი შევუწყოთ მოყვასთა კეთილდღეობას, პატივი ვცეთ მშობლებს, გვიყვარდეს ცოლი, შვილები, ძმები, დაუქვემდებაროთ ჩვენი მოქმედებანი სინდისს.

ხელისუფლების საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებებზე საუბარია რუსული ტექსტის მეოთხე წერილში. ავტორი წერს, რომ თავისი მიზნით საკანონმდებლო ხელისუფლება ყველაზე უფრო მაამებელია ადამიანებისა; საკანონმდებლო ხელისუფლება მოგვიწოდებს და გვაიძულებს შევასრულოთ სარწმუნოებისა და ბუნების კანონები. ხელისუფლება არის ამ კანონების ამხსნელ-განმმარტებელი და მათი სიმტკიცე, საკანონმდებლო ხელისუფლება ემსახურება როგორც ცალკეული ადამიანის, ისე მთელი საზოგადოების კეთილდღეობას. საკანონმდებლო ხელისუფლება ყოფს მოქალაქეებს ღირსების მიხედვით და ანაწილებს ჯილდოსა და სასჯელს სრული სამართლიანობით.

საკანონმდებლო ხელისუფლება ცდილობს დააყაროს წესრიგი ხალხში, მოითხოვს მისი კანონებისადმი ზუსტ მორჩილებას: ეს კანონები კი შეესაბამება ქვეყნის ზნე-ჩვეულებასა და სულს. კანონების გარეშე არავითარ საზოგადოებას არ ძალუძს არსებობა.

რუსული ტექსტის მეხუთე წერილში საუბარია ჩვეულებაზე. ავტორის აზრით, ჩვეულებას არა აქვს ისეთი მნიშვნელობა, როგორც სარწმუნოებას, ბუნებას, საკანონმდებლო ხელისუფლებას, მაგრამ გარკვეული წვლილი მასაც შეაქვს ადამიანთა ურთიერთობებში. ხშირად ჩვეულებათა დარღვევა იწვევს მრავალ უსიამოვნებას, ხოლო მათდამი პატივისცემას დადებითი შედეგი მოაქვს. ჩვეულება გვავალებს, რომ ჩვენი მოქმედებანი შევუფარდოთ მას.

მე-3 წერილის მიხედვით, მეფე ვალდებულია კანონი ყველას ერთნაირად მიუყენოს, არ გამოიჩინოს მიკერძოება, თუნდაც შვილის მიმართ: მაშინ მეფისადმი დაქვემდებარებული მსაჯულნიც იქნებიან სამართლიანნი, არ გამოიჩენენ პირმოთნეობას, არ იკისრებენ „უჯეროთა სასყიდელის მიღებას“. მეფის სამართლიანობის შესახებ ყველგან გაიგებენ,

მრავალი ერთგული და პატივისმცემელი გამოუჩნდება მეფეს და ამიი იქნება ის ბედნიერი[1].

მე-4 წიგნში ვახტანგი ეხება მინისტრის მოვალეობას. ვახტანგის აზრით, მინისტრის ვალდებულებაა სინდისიერად ემსახუროს მეფეს და ყოველნაირად შეეცადოს, რომ სახელმწიფო სწორად, მართებულად მართოს. მეფისადმი სამსახური ამავე დროს საზოგადოების სამსახურიცაა.

რუსული ტექსტის VII წერილის მიხედვით, მეფეც ადამიანია და არ შეუძლია ყველაფერი თავისი თვალებით დაინახოს, ყველაფერი საკუთრივ გააკეთოს. მას ესაჭიროება ადამიანები, რომლებიც ერთგვარი საშუალება იქნება მეფის ხელისუფლებისა და ქვეშევრდომთა დაახლოებისა. ამ საქმეს ემსახურებიან მინისტრები, რომლებიც შეადგენენ მეფის საბჭოს. მეფესთან შეთანხმებით, მის მოსაზრებათა შესაბამისად, მინისტრები ეხმარებიან მეფეს მართვა-გამგეობაში, ქვეშევრდომთა მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მშვიდობიანობის დამყარებაში.

მეფის შეცდომისათვის მინისტრებიც არიან პასუხისმგებელნი, ისინიც იზიარებენ ამ შეცდომას და ვალდებულნი არიან გონივრული რჩევით გამოასწორონ მეფის ეს შეცდომები. მინისტრებს უნდა ახასიათებდეს ერთგულება და თავდადება.

ქართული ტექსტის მეხუთე წერილის მიხედვით, მხედართმთავარს „ქებისა და დიდების მოყვარეობა“ კი არ უნდა ახასიათებდეს, არამედ განუსაზღვრელი ერთგულება მეფისა და მამულის, გონიერი განსჯის უნარი, მამაცობა მტერთან ბრძოლაში. მხედრები ვალდებულნი არიან დაემორჩილონ უფროსის ბრძანებას და აღასრულონ მისი განკარგულება. ასეთ ვითარებაში დაიმსახურებენ ისინი „მრავალთა“ სიყვარულს და ამით იქნებიან ბედნიერნი“[2].

მხედრების მოვალეობა შეესაბამება მხედართმთავრის საქმიანობას, მხოლოდ მხედრები დაქვემდებარებულნი არიან მხედართმთავრებისადმი. ისინი მოწოდებულნი არიან დაიცვან სამშობლო და გაუთქვან სახელი მბრძანებელს, მეფეს. მხედრების მოვალეობაა უფროსებისადმი მორჩილება და მათი ბრძანების უსიტყვოდ შესრულება. როგორც მხედართმთავრებს, ისე მხედრებს ევალებათ გამოიჩინონ ჭეშმარიტი ვაჟკაცობა და იყვნენ ზნეკეთილნი, წესიერნი. უბრალო მხედრებს არ მოეთხოვებათ დიდი

---

[1]ხელნაწერთა ინსტიტუტი, S–1113, გვ. 7.
[2]ხელნაწერთა ინსტიტუტი, S–1113, გვ. 7-8.

განათლება, არც კეთილგონიერება, რადგანაც. ისინი არაფრუ სხვის. საკუთარი თავის განმკარგულებელნიც კი არ არიან. მათი მოვალეობა იმით ამოიწურება, რომ უნდა იყვნენ მორჩილნი უფროსებისადმი.

ვახტანგის შეხედულებით, ბატონი კაცთმოყვარე უნდა იყოს. ამავე დროს, თუ ყმა თავის მოვალეობას არ ასრულებს პირნათლად, ე.ი. არ არის მორჩილი, ასეთი ყმის მიმართ ბატონი მკაცრი უნდა იყოს.

მე-9 წერილში საუბარია ვაჭრებზე. ვაჭრები სასარგებლო საქმეს ეწევიან, ვახტანგის აზრით, ისინი თავიანთი საქმიანობით, სხვადასხვა ქვეყნებში, ზღვებზე და ხმელეთზე მოგზაურობით ხშირად განსაცდელში იგდებენ თავს. ვაჭრები ვალდებულნი არიან არ გადააქციონ თავიანთი შრომა ვერცხლისმოყვარეობად, ბოროტებად. მათ არ უნდა მოატყუონ მყიდველნი. თუ პატიოსნად ივაჭრებენ, ისინი „ჩრავალთაგან" სიყვარულს დაიმსახურებენ და იქნებიან ბედნიერნი".

მე-10 წერილი გლეხებს ეხება.

ვახტანგის აზრით, გლეხი ვალდებულია მიწა ამუშავოს. ეს არის გლეხების დანიშნულება, მათი მოწოდება. ასეთი მოვალეობა მხოლოდ გლეხობას აქვს. თუ მხედარი იარაღით იბრძვის, ვაჭარი ქვეყანას ნავაჭრით ამდიდრებს, გლეხი ქვეყანას მიწის დამუშავებით აძარაგებს. აქ არის წარმოადგენილი გუთნის და ხმლის კავშირის თეორია.

ვახტანგს მიაჩნია, რომ გლეხის შრომა არის ფეოდალური საზოგადოების საფუძველი. ამ შემთხვევაში ვახტანგი არჩილ მეფისა და ვახტანგ VI-ის თვალსაზრისზე დგას, რომლებიც საჭიროდ ცნობდნენ გლეხთა გადამეტებული გადასახადებისაგან დაცვას, რომ გლეხების გადაშენებით არ შექმნილიყო ნიადაგი ფეოდალური საზოგადოების მოსპობისათვის. ამავე თვალსაზრისზე იდგა ერეკლე II, რომელიც ცდილობდა გლეხები დაეცვა ფეოდალების თვითნებობისაგან.

ვახტანგ ირეკლეს ძეც ამავე თვალსაზრისს ავითარებს. მისი აზრით, გლეხი საზოგადოებისაგან დიდი პატივისცემის ღირსია, რადგანაც ამ საზოგადოებას არ შეუძლია გლეხის შრომის გარეშე არსებობა.

უკანასკნელი მე-14 წერილიც ზოგადი შინაარსისაა და მოყვასის სიყვარულს ეხება.

ავტორის აზრით, მოყვასის სიყვარული იფარავს ადამიანს ყოველგვარი ბოროტებისაგან.

ადამიანს თუ მოყვასი უყვარს, როგორც თავისი თავი, მაშინ ის არ განიზრახავს: 1) მკვლელობას, 2) მოყვასის დამამცირებელ საქმეს, 3)

მისი ქონების მოპარვას და მოტაცებას, 4) ცილისწამებას, 5) არ გაიხარებს მოყვასის მწუხარებით, 6) შეეცლება მოყვასს საფრთხე თავიდან ააცილოს, 7) იქნება მოწყალე მოყვასისადმი, 8) მოერიდება შეგოთსა და არეულობას, 9) არ იტყვის მოყვასზე ბოროტ სიტყვას და სხვ.

ერთი სიტყვით, მოყვასის სიყვარული აკეთილშობილებს ადამიანს, მოუპოვებს მას „მრავალთაგან" სიყვარულს და ამით ეწევა ბედნიერებას[1].

დასკვნა: ვახტანგის შეხედულებით, იმისათვის, რომ ადამიანი ბედნიერი იყოს, უნდა ხელმძღვანელობდეს მოყვასის სიყვარულით. მოყვასის სიყვარული ადამიანს მთელ რიგ ვალდებულებებს აკისრებს. შეიძლება ამ ვალდებულებათა დაყოფა ჯგუფებად. მოვალეობანი, რომელსაც ადამიანს აკისრებს სარწმუნოება, ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ მას სხვა ადამიანი ისევე უყვარდეს, როგორც თავისი თავი.

ფრიად მნიშვნელოვანია ის მოვალეობანი, რომელსაც ავალდებულებს ბუნება ადამიანს. მაგრამ ამ მოვალეობათაგან განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ზნეობრივი ნორმები: სამართლიანობა, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა, მშობლების, ცოლის, შვილების, დებისა და ძმების სიყვარული და სხვა.

ვახტანგის აზრით, ბუნებამ ყველა ადამიანს ერთნაირი უფლება მისცა კეთილდღეობისათვის. ამ მხრივ ადამიანებს შორის არ უნდა იყოს არავითარი განსხვავება.

ვახტანგის შეხედულებით, ფრიად მნიშვნელოვანია ვალდებულებანი, რომლებსაც ხელისუფლება აკისრებს მოქალაქეს საზოგადოების ინტერესებისათვის. მაგრამ, ამასთანავე, ვახტანგის აზრით, ხელისუფლება იმთავითვე ვარაუდობს, რომ მოქალაქეებს შორის ხარისხის მიხედვით არსებობს განსხვავება.

ვახტანგის შეხედულებანი ადამიანის იდეალების შესახებ, მათი თანასწორობის, პატრიოტიზმის, მეფის დანიშნულებისა და მოხელეების მოვალეობის შესახებ, მისი შეხედულებანი ზნეობაზე, ჩვეულებაზე და სხვა, ეალრესად პროგრესულია და ასახავს XVIII საუკუნის განმანათლებელთა იდეებს; ვახტანგი თავისი მსოფლგაგებით განმანათლებელთა პროგრესულ შეხედულებათა სიმაღლეზე დგას.

---

[1]ხელნაწერთა ინსტიტუტი, S–1113, გვ. 13-15.

დავით ბაგრატიონი (1767-1819)

დავით ბაგრატიონი იყო ქართლ-კახეთის სამეფოს უკანასკნელი მეფის – გიორგი XII-ის შვილი. ის დაიბადა 1767 წელს.

უფლისწულმა თავისი ეპოქის მიხედვით საუკეთესო განათლება მიიღო. ერეკლე II-ს ძლიერ უყვარდა თავისი შვილიშვილი და არაფერს იშურებდა, რათა მისთვის სათანადო სწავლა-განათლება მიეცა.

1787-1789 წლებში ერეკლემ დავითი რუსეთში გაგზავნა სამეფო კარის გასაცნობად და სწავლა-განათლების გასარღმავებლად[1].

1797-1798 წლებში დავითი მეორედ იყო რუსეთში. თანამედროვეთა დახასიათებით, დავითი იყო გონებამახვილი, განათლებული, მაგრამ ფიცხი ადამიანი[2].

დავითი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სახელმწიფო ცხოვრებაში, კერძოდ, იმ ომებში, რომელთაც ქართლ-კახეთის სამეფო აწარმოებდა.

ერეკლეს ანდერძის მიხედვით, ტახტი გიორგი XII-ის შემდეგ მომდევნო ძმაზე უნდა გადასულიყო, მაგრამ გიორგი XII-მ, ამ ანდერძის საწინააღმდეგოდ ტახტის მემკვიდრედ დავითი გამოაცხადა. პავლე I-მა დავითი ცნო ტახტის მემკვიდრედ.

გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტისათვის ბატონიშვილებს შორის ბრძოლა გაჩაღდა, რუსეთის მთავრობამ კი გადაწყვიტა სამეფოს მოსპობა. 1800 წლის 15 იანვარს დავით ბაგრატიონი ქართლ-კახეთის სამეფოს მმართველი გახდა. მაგრამ რუსეთში 18 იანვარს ახალი მანიფესტი გამოცხადდა, რომლითაც დავითი არც მემკვიდრე იყო, არც გამგებელი და საერთოდ სამეფოც აღარ არსებობდა[3]. ამავე წლის 16-17 თებერვალს თბილისსა და ქართლ-კახეთში გამოცხადდა მანიფესტი, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოს სპობდა.

---

[1]დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა, აპ. როგავას რედაქციითა და გამოკვლევით, 1959, გვ. 8.

[2]სამართალი ბატონიშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ, 1964, გვ. 026.

[3]ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოს და სამართლის ისტორიიდან, გვ. 298.

1803 წელს დავით ბატონიშვილი გადასახლეს რუსეთში, ცხოვრობდა პეტერბურგში. აქვე გარდაიცვალა 1819 წელს.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ ტახტის მაძიებელი ბატონიშვილი, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა რუსეთის მთავრობის კმაყოფილი ყოფილიყო. დავითი ადრეეე დარწმუნდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მთავრობა აღარ აღადგენდა და იქ, რუსეთში, ტახტი (რომელიც აღარ არსებობდა) იულონს დაუთმო.

მიუხედავად ამისა, დავითი საქართველოს მართვა-გამგეობას ფხიზლად ადევნებდა თვალ-ყურს და ამის შესახებ ალექსანდრე I-ს წერილებსაც სწერდა. იმპერატორისადმი თავის წერილში დავით ბაგრატიონი აღნიშნავდა საქართველოდან ბატონიშვილების გადასახლების უკანონობას და წინადადებას აძლევდა მეფის მთავრობას, გამოეყენებინა ბატონიშვილები მმართველობის საქმეში. პაულიჩი, საქართველოს ყოფილი მთავარმართებელი, დავითის ამ წერილის შესახებ აღნიშნავს: დავითს ფართო გეგმა აქვს საქართველოს მმართველობის შესახებ, მაგრამ ამ გეგმის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოში მეფობა აღადგინოსო[1].

დავითს მეორე წერილიც წარუდგენია ალექსანდრე I-სთვის; ამ წერილში დავითი მეფეს ახსენებს 1783 წლის ტრაქტატს და სამეფოს აღდგენას მოითხოვს. ამ წერილს მოჰყოლია მუქარა: თუ დავითი არ დაწყნარდება და ასეთ უსაფუძვლო მოთხოვნებს კიდევ წამოაყენებს, მაშინ მას საძსახურიდანაც გადავაყენებთ და პეტერბურგიდანაც გადავასახლებთო[2].

დავითი რუსეთის მთავრობამ სენატორი გახადა, მატერიალურად უზრუნველყო, როგორც მისი წერილებიდანაც ჩანს. მაგრამ საშშობლოს მონატრებული ვერ პოულობდა მოსვენებას, მუდამ საქართველოზე ფიქრობდა, ოცნებობდა. სამშობლოსთან დაკავშირებული ყოველი წვრილმანიც კი საოცრად აღელვებდა. მაგალითად, ერთ თავის წერილში დავითი სთხოვს გამზრდელს, საქართველოდან გაუგზავნოს რუსეთში კუნელის ბუჩქი.

---

[1]საძარ'თალი ბატონიშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ, 1964, გვ. 041-042

[2]К. Николоппов. Две записки царевича Давида. (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942, ნაკ. I).

დავით ბაგრატიონმა ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას, გიორგი XII-ის მეფობაში, შეადგინა ქართული სამართლის წიგნის პროექტი[1], რომელიც რუსეთში გადასახლების შემდეგ შეავსო და გააფართოვა. შემდგომში მან რუსულად შექმნა ქართული სამართლის წიგნის პროექტი. აი, ამ ორი ნაშრომის მიხედვით, რომელიც ძირითადად ერთ საფუძველზეა აგებული, განზრახული გვაქვს შევისწავლოთ დავით ბაგრატიონის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი.

დავით ბაგრატიონი და განმანათლებლობა. როდესაც დავით ბაგრატიონის პოლიტიკურ და იურიდიულ შეხედულებებს ვსწავლობთ, მხედველობაში უნდა გექონდეს ის გარემოება, რომ დავითი განათლებული, ნიჭიერი ადამიანი იყო. დავითი იცნობდა თავისი დროის ევროპის განმანათლებელთა შრომებს.

მან თარგმნა რუსულიდან მონტესკიეს „კანონთა სულისათვის", რომელსაც იგი ერთ-ერთ საუკეთესო შრომად თვლიდა. მანვე თარგმნა ვოლტერის „შობისათვის" და ანსილიონის შრომა ესთეტიკის შესახებ. დავითი ფრანგულ ლიტერატურას დედანშიც კითხულობდა. უფლისწულს საქართველში, მამის სასახლეში, ვოლტერიანელად თვლიდნენ. დავითის სამართლის წიგნის პროექტში განმანათლებელთა იდეების გავლენა შეინიშნება. საერთოდ კი დავითი თავისუფალი მოაზროვნე იყო. მან ქართული სამართლის ისტორიასა და პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა[2].

---

[1]სამართალი ბატონიშვილის დავითისა, დ. ფურცელაძის რედ., 1964, გვ. 040-041.

[2]სამართალი დავით ბატონიშვილისა, დ. ფურცელაძის რედ., 1964, გვ. 040-044; დავით ბაგრატიონი. საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა, ა. როგავას რედაქციით და გამოკვლევით, 1959; ლ. ასათიანი, ვოლტერიანობა საქართველოში, 1933; გ. ლეონიძე, დავით ბატონიშვილი, 1769-1819, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1938, 10 სექტემბერი; ტრ. რუხაძე, დავით ბატონიშვილი და მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა, „ლიტერატურული ძიებანი", I, 1943; პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას რედაქციით და შენიშვნებით, 1936; მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა, 1744-1840 წწ., გამოცემა მ. ჯანაშვილისა, 1905; დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მოთხრობა, გამოცემა თ. ლომოურისა, 1941, 1941; ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 8-15;

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ დავითის ნაშრომები, ისე როგორც, იოანე ბაგრატიონის „სჯულდება“, წარმოადგენს ცდას ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივ წყობილებაში რეფორმების გატარების. დავითი თვითონვე, თავისი პროექტის შესავალში, აღნიშნავს, რომ იმ ცვლილებების გამო, რასაც ადგილი ჰქონდა XVIII საუკუნის საქართველოში, საჭირო შეიქნა ახალი სამართლის წიგნის შედგენა დ. მეფე გიორგი XII-ის ბრძანებით ეს საქმე შეასრულეო[1].

კანონის შესახებ. დავითის „სამართლის“ მიხედვით, ყოველი ქართველი ან უცხოელი საქართველოში მცხოვრები, სამხედრო იქნება ის, სასულიერო თუ საერო პირი, ვალდებულია დაემორჩილოს კანონს, წინააღმდეგ შემთხვევაში დაისჯებიან. რუსულ „მიმოხილვაში“ კანონ[illegible] უფრო ვრცლად არის საუბარი. ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობ[illegible] კანონების მოთხოვნილება. კანონები იცავენ ადამიანის კეთილდღეობა[illegible] მშვიდობას, საკუთრებას. კანონს გამოსცემს ან სათანადო ხელისუფლება, ანდა იგი გამოიცემა საზოგადოებრივი შეთანხმების საფუძველზე. კანონის დაცვას სახელმწიფო მეთვალყურეობს და მას (კანონს) ემორჩილება ქვეყნის ყველა მცხოვრები. სამეფოს მცხოვრებნი ვალდებულნი არიან მტკიცედ დაიცვან კანონები[2].

ბუნებითი სამართლის შესახებ. დავითს თავის შრომაში ხშირად აქვს საუბარი „ბუნებითი სჯულის“, ანუ ბუნებითი სამართლის შესახებ[3].

ბუნებითი სამართლის შესახებ საუბარი გვქონდა დავით აღმაშენებლის შეხედულებათა განხილვასთან დაკავშირებით. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ბუნებითი სამართალი ცნობილი იყო ანტიკურ ხანაში, შუა საუკუნეებსა და კაპიტალისტურ ეპოქაშიც.

დავით ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ მან გადაწყვიტა შეექმნა

მისივე, საქართველოს ისტორიის იშვიათი ძეგლის აღმოჩენა, ჟურნ. „დროშა“, 1955 წ. № 11; მისივე, დავით ბაგრატიონის ბრალის შესახებ, ჟურნ., „საბჭოთა სამართალი“, 1962, № 6; მისივე, ქართული სამართლის ისტორიის შესანიშნავი ძეგლი, ჟურნ.. „საბჭოთა სამართალი“, 1966, №1; მისივე, დავით ბაგრატიონის „მიმოხილვის“ შესახებ, ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1960 წ., № 2.

[1]სამართალი ბატონიშვილის დავითისა, დ. ფურცელაძის რედ., 1964, გვ. 13, მუხ. 144.

[2]დავით ბაგრატიონი. სამართლის და კანონმცოდნეობის მიმოხილვა, ა.ბ. რიგავას რედ., 1959, გვ. 242, მუხ. 120.

[3]სამართალი ბატონიშვილის დავითისა, დ. ფურცელაძის რედ., 1964, გვ. 079-08[illegible]

სამართლის წიგნი და ეს მეფესთან შეთანხმებით კიდეც გააკეთა, ე.ი. შეადგინა სამართლის წიგნის პროექტი, სამოქმედო კანონი, რომლის შედგენისას დავითს მიზნად ჰქონდა, რომ ეს სამართლის წიგნი ბუნებითი სჯულის „მახლობლად" მდგარიყო, რომ მის მიერ შედგენილ წიგნს ბუნებითი სამართლისაკენ ჰქონოდა მიდრეკილება. მაშასადამე, დავითის შეხედულებით, კანონმდებელი, პოზიტიური სამართალი უნდა მი-ისწრაფოდეს ბუნებითი სამართლისაკენ, ბუნებითი სამართლით უნდა ხელმძღვანელობდეს.

როგორც ვთქვით, დავითი ხშირად ხმარობს გამოთქმას — „ბუნებითი სამართალი". მაგალითები: ნაპოვნ ნივთს თუ პატრონი არ აღმოუჩნდება, მაშინ ის ბუნებითი სამართლით მპოვნელისა არის[1];

მამისა და პაპის ვალის გადახდას არა მხოლოდ „სამოქალაქო ჰსჯული ბრძანებს, არამედ ბუნებითიც"[2];

უშვილო მემკვიდრეს თავისი წილი ერგება როგორც სამოქალაქო, ისე ბუნებითი სჯულით[3].

ფრიად საყურადღებოა ის გარემოება, რომ, დავითის აზრით, განათლება ხელს უწყობს, აახლოვებს კანონმდებლობას ბუნებით სამართალთან; დავითს ქართულ სამართალში გაყოფის იმ წესის არსებობა, რომელიც საუფროსოს და საუმცროსოს არათანაბარ წესს გულისხმობს, კულტურული ჩამორჩენილობის შედეგად მიაჩნია. მისი აზრით, „ოდესცა იწყებს ყვავილი მეცნიერებისა აღყვავებად, მაშინ თავით თავისით იქმნებიან მსაჯულ ბუნებისამებრ, გმნა ბუნებითისა ჰსჯულისა", ე.ი. განათლება მოსპობს ამ ჩამორჩენილობას (გაყოფის ასეთ წესს) და ბუნებითი სამართლის მიხედვით შემოღებული ახალი წესი აღარ წარმოშობს სი-ძულვილსა და შფოთს ქონების გამყოფთა შორის, რაც (სიძულვილი და შფოთი) არ ეგუება ბუნებით სამართალს, მის მიღმა დგას.

ბუნებითი სამართლის შესახებ დავითს ხშირად აქვს საუბარი და იგი ყოველთვის წარმოდგენილია პოზიტიური სამართლისათვის მისაბაძად, სანიმუშოდ.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ დავითი განმანათლებელთა შრომებს კარგად იცნობდა, მაგრამ განმანათლებელთა იდეების გავლენა უფრო

---

[1]სამართალი ბატონიშვილის დავითისა, დ. ფურცელაძის რედ., 1969, გვ. 079, მუხ. 121.
[2]სამართალი ბატონიშვილის დავითისა, დ. ფურცელაძის რედ., 1969, გვ. 079, 40, მუხ. 61.
[3]იქვე, გვ. 079, 98, მუხ. 151.

თვალსაჩინო ჩანს „მიმოხილვაში", რომელიც 1812-1813 წლებშია შექმნილი და შეიძლება იმ განზრახვითაც არის შედგენილი, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის ნაცვლად ის ყოფილიყო გამოყენებული საქართველოში. მეტიც: შესაძლებელია დავითი იმასაც ვარაუდობდა, რომ საქართველოში სამეფო აღდგებოდა და მის მიერ შედგენილი სამართლის წიგნი შეცვლიდა რუსულ კანონმდებლობას. სწორედ ამ ხანაში 1812-1813 წლებში, მუშაობდა კომისია ვახტანგის სამართლის წიგნის რუსულ ენაზე სათარგმნელად, რათა მისით ეხელმძღვანელა საქართველოში რუსულ მმართველობას. დავითი თავის წერილში ალექსანდრე I-სადმი 1817 წელს, როგორც ზემოთაც ვთქვით, 1783 წლის ტრაქტატს იხსენიებდა და ამ ტრაქტატის მიხედვით ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენას მოითხოვდა. თუ ის მოსაზრება მართებულია, რომ დავითს სურდა, მის მიერ შედგენილი სამართლის წიგნი გამოყენებული ყოფილიყო ქართლ-კახეთის სამეფოში, რომელიც რუსეთის ვასალი იქნებოდა, მაშინ დავით ბაგრატიონი იმასაც შეეცდებოდა, რომ მისი სამართლის წიგნი განმანათლებელთა იდეების საფუძველზე ყოფილიყო შედგენილი. საქმე ისაა, რომ პეტრე I-დან მოკიდებული, რუსეთის მთავრობა ცდილობდა რუსული კანონმდებლობა ევროპული ქვეყნების კანონმდებლობისათვის დაეახლოებინა, ევროპული კანონმდებლობის იდეები დაედო საფუძვლად რუსული კანონმდებლობისათვის.

ცნობილია, რომ ეკატერინე II-მ თავის „დანაწესებში" განმანათლებელთა მრავალი იდეა შეიტანა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მონტესკიე და ბეკარია, რომელთა შესახებ თვითონ ეკატერინე წერდა, რომ მან მრავალი დებულება გადმოიღო მათი შრომებიდან. ეკატერინე II მთელი თავისი სახელმწიფოებრივი საქმიანობით რეაქციონერი იყო, მაგრამ ევროპის წინაშე სურდა თავი პროგრესულ მეფედ გაესაღებინა. ამ მოჩვენებითობას ემსახურებოდა მისი „დანაწესები". ამიტომ XVIII საუკუნის რუსული კანონმდებლობა ერთგვარად მაინც განიცდიდა განმანათლებელთა იდეების გავლენას. საინტერესოა ამ მხრივ პეტრე I-ის დებულება, რომლის მეხუთე თავში წერია: სჯობს 10 დამნაშავის განთავისუფლება, ვიდრე ერთი უდანაშაულოს დასჯაო. ან კიდევ იმავე წესდების მეხუთე თავის მეათე პუნქტი, რომლის მიხედვით, ეჭვით არ შეიძლება ბრალდებულის დასჯა. დ. ფურცელაძე უდარებს პეტრე I-ის კანონებს დავით ბაგრატიონის სამართლის წიგნის 187-ე მუხლს და მართებულად ასკვნის მათ იდენტურობას[1]. ეს მუხლი „სამართლისა"

არ ჩანს „მიმოხილვაში". ეს გარემოება შეიძლება იმით აიხსნას, რომ „მიმოხილვაში" ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს მოსამართლის განსაკუთრებულ სიფრთხილეს საქმის გამოძიების დროს. თუ საკმარისი არ არის, მოსამართლემ არ უნდა მიმართოს ბრალდებულის წამებას და სხვა[2]. ამ მუხლებს „მიმოხილვაში" სათაურად აქვთ — „ტანჯვა" (წამება ბრალდებულის გამოსატეხად). საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ამ სათაურის ქვეშ მოთავსებულ 132-ე მუხლში საუბარია მოწმეზე: ერთი მოწმე არ არის საკმარისი; ამასთანავე, მოწმე ისეთი უნდა იყოს, რომელიც დანაშაულის თვითმხილველია. მოწმე თუ აჩვენებს, რომ მას უშუალოდ არ უნახავს დანაშაული და მხოლოდ გაიგონა ამის შესახებ, ასეთი ჩვენება არ მიიღება.

მონტესკიე: ბრალდების დასამტკიცებლად საკმარისია ორი მოწმე, კანონი მათ უჯერებს ისე, თითქოს ჭეშმარიტება ლაპარაკობდეს. ბეკარია: ბრალდების დასამტკიცებლად აუცილებელია მოწმეები. თუ ერთი მოწმე იმას ამტკიცებს, რასაც მეორე უარყოფს, მაშინ იბადება ეჭვი, ეჭვი კი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა წარიმართოს. დაახლოებით ასეთივე აზრია გატარებული ეკატერინეს „დანაწესში".

წამებით ბრალდებულის დაკითხვა უნდა წარმოებდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და ის არ უნდა იყოს ადამიანისათვის დამამცირებელი[3]. წამებით დაკითხვის ასეთი შეზღუდვა, რასაკვირველია, პროგრესული მოვლენაა და იგი განმანათლებელთა იდეების გამოძახილია.

სამღვდელოების შესახებ. დავითის შეხედულებით, ეკლესიის მსახურნი სამოქალაქო საქმის გარჩევაში არ უნდა ერეოდნენ.

დავითს თავის „მიმოხილვაში" გაკვრით, მაგრამ მაინც აქვს მოცემული ეკლესიის კრიტიკა. დავითის გადმოცემით, საქართველოში ყოფილა მაგალითები იმისა, რომ სამღვდელოება, სარწმუნოებისათვის მოჩვენებითი თავგამოდებითი ერთგულებით, ანუ თავისი პირადი შეხედულებით, არაერთხელ ყოფილა ხალხის დაჩაგვრის მიზეზი და სახარების სიტყვის უწყინარობის ნაცვლად, ბუნების საწინააღმდეგო შემაძრწუნებელი სისასტიკით მოქმედი. დავითი აღნიშნავს: იმერეთი ყოფილა იმის მოწმე,

---

[1]სამართალი ბატონიშვილი დავითისა, დ. ფურცელაძის რედ., 1964, გვ. 028-029.

[2]დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა, ა. როგავას რედ., 1959, გვ. 144, მუხ. 129, 130, 131.

[3]იქვე, გვ. 171-172.

რომ იქაურ სამღვდელოებას ცეცხლში დაუწვავს დამნაშავე, თავისი შეხედულებით დაუწყევლია საპატიო პიროვნებები და მთელი ოჯახებიც კი, დაუმარხავი დაუტოვებია მიცვალებული და განქორწინება მოუხდენია იმ მიზეზთა გარეშე, რაც კანონით არის გათვალიწინებული. ასეთი მოქმედებანი კი შორს არის ქრისტიანული სარწმუნოებისაგან. დავითის შეხედულებით, „სისასტიკე წარმოშობს შიშს, სისასტიკე არის საფუძველი ცდომილებისა, ცრუმორწმუნოებისა და უვიცობისა".

ფრიად საყურადღებოა აგრეთვე დავითის მოსაზრება სიმკაცრის შესახებ. მისი აზრით, სიმკაცრე მხოლოდ შიშს ბადებს, ის არის საფუძველი უვიცობისა. ამ საკითხს დავითი თავისი შრომის სხვა ადგილასაც ეხება: კანონის ზუსტი შესრულება, სასჯელის სისრულეში მოყვანა აუცილებელია, წერს, ის, მაგრამ სისასტიკეს ყოველთვის არ მოაქვს შედეგი. სისასტიკე კი არ ასწორებს დამნაშავეს, არამედ „ხშირად იწვევს გამძვინვარებას", ამიტომ კანონი შეფარდებული უნდა იქნეს უდიდესი სიფრთხილით, ისე რომ კანონის შესრულების მნიშვნელობაც იქნეს გათვალსწინებული და დასასჯელის მდგომარეობაც[1].

სისასტიკეზე ასეთ შეხედულებას განმანათლებელთა შრომებშიც ვხვდებით. განმანათლებელთა იდეები, მათი გავლენა დავითის მიერ თავისებურად არის განცდილი, გადამუშავებული. ეს მოჩანს, როგორც ზემოთ ვთქვით, უფრო ზოგად საკითხებში; სიტყვა-სიტყვით დამთხვევას ადგილი არა აქვს[2].

სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა, როგორც დავითის სამართლით (მუხ. 84), ისე „მიმოხილვით" (მუხ. 571, 572, 573), ისჯება ენის მოკვეთით, მაგრამ „მიმოხილვაში" ეს საკითხი უფრო ვრცლად არის მოცემული. „მიმოხილვის მიხედვით, სახელმწიფო საიდუმლოება ემსახურება სამშობლოს ინტერესებს. ის, ვინც იცის საიდუმლოება, ვინც იყო მეფის საიდუმლო თათბირზე, ან სამხედრო და სამოქალაქო სასამართლოში, ვერ გაამხელს საიდუმლოებას, ვერ გამოთქვამს თავის შეხედულებებს ამ საიდუმლო საკითხებზე საჯაროდ. დამნაშავე დაისჯება ენის მოკვეთით. მაგრამ გარემოებათა გამო შეიძლება სასჯელის შემსუბუქება. ეს სასჯელი მთელი სიმკაცრით მაშინ უნდა შესრულდეს,

---

[1]დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა, ა. როგავას რედ., 1959, გვ. 320, მუხ. 601.

[2]იქვე, გვ. 167-189.

თუ დანაშაულებრივ ქმედებას მოსდევს სახელმწიფოს ან ხალხის ზიანი, ბოროტება. თუ დანაშაულს ასეთი შედეგი არ მოსდევს, მაშინ საიდუმლოების გამცემი მოხელე იდევნება სამსახურიდან როგორც ყბედი, ლაზღანდარა.

პირველი, რაც ჩვენს ყურადღებას იქცევს, ის არის, რომ ასეთი დანაშაულის ჩადენა შეუძლია მხოლოდ მოხელეს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ სასჯელის ზომა დამოკიდებულია დანაშაულებრივი ქმედობის მავნელობლობაზე სახელმწიფოს ან ხალხისათვის. დავითის აზრით, სასჯელის საზომი უნდა იყოს დანაშაულებრივი მოქმედების შედეგი.

დავითის შეხედულებით, საქართველოში (ქართლ-კახეთში) სახელმწიფოს ფორმა არის თვითმპყრობელური და მემკვიდრეობითი; საკანონმდებლო ხელისუფლება მეფის პრეროგატივას წარმოადგენს[1]. სიტყვა „თვითმპყრობელური" გადმოცემულია რუსულად სიტყვით „Самодержавное". ეს ტერმინი შეესიტყვება ძეგლის ეპოქის რუსულ სახელმწიფოებრივ წეს-წყობილების ფორმას. სწორედ იქ იყო თვითმპყრობელური, აბსოლუტური მონარქია.

როგორც ზემოთაც ვთქვით, დავითი იხსენიებს 1783 წლის ტრაქტატს, რომლის მიხედვითაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის ვასალი უნდა ყოფილიყო[2]. ეს გახსენება იმის მაჩვენებელიც არის, რომ დავითს უნდოდა ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენა. ამ მიზნით დავითმა სამართლის ზოგიერთი ინსტიტუტი თავის შრომებში „შელამაზებულად" წარმოგვიდგინა. ზოგიერთი ინსტიტუტი კი იმგვარად დაახასიათა, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივ წყობილებასთან ყოფილიყო მისადაგებული[3].

წოდებების შესახებ. დავითის შეხედულებით, თავისუფლება აქვს თავადაზნაურობას: „კეთილშობილნი არიან თავისუფალნი". თავადსა და აზნაურს აქვს სამსახურის პრივილეგიები ჯარში და სასახლეში, მათ შეუძლიათ თავისი ნებით დატოვონ სამსახური, თავისუფლად იმოგზაურონ საზღვარგარეთ, გაყიდონ გლეხები, მამულები და სხვა უძრავი თუ მოძრავი ქონება; მათ შეუძლიათ ქალაქებში იქონიონ სახლები, მაღაზიები, ქარვასლები, ივაჭრონ, მაგრამ ამისათვის ბაჟს იხდიან. მათ შეუძლიათ

---

[1]დავით ბაგრატიონი, საქაროველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა, 1959, გვ. 222, მუხლი 10.

[2]იქვე, გვ. 223, მუხ. 11.

[3]ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, 1952, გვ. 8-15.

თავის მამულში გააშენონ სკოლა, სამხედრო ჰოსპიტალი, საავადმყოფო და სხვა[1].

დავითის აზრით, სასტიკად უნდა აიკრძალოს ყოველგვარი თვითნებობა. თუ ვინმეს ვინმესთან სადავო აქვს, ამისათვის უნდა მიმართოს სახელმწიფო დაწესებულებებს, მოსამართლეებს, სათანადო მოხელეებს და მათ უნდა გაარჩიონ სადავო საქმე[2].

ამასთანავე, ცენტრალურმა ხელისუფლებამ, მეფემ და მის მიერ გამოცემულმა კანონებმა უნდა დაიცვან გლეხობა ფეოდალთა თვითნებობისაგან, ფეოდალს არ უნდა ჰქონდეს უფლება ბრალის გარეშე შეეხოს გლეხსა და მის ქონებას[3]. დავითის აზრით, სოფლის მოხელეებს, კერძოდ მოურავს, სასტიკად უნდა აეკრძალოს გლეხებისათვის კანონით გაუთვალსწინებელი ბეგარის დადება. დებულებით გაუთვალისწინებელი სამუშაოსათვის მოურავმა გლეხს უნდა გადაუხადოს ფასი, ხოლო „ხშირად შეწუხებისათვის" მოურავი გადაყენებულ უნდა იქნეს თანამდებობიდან[4].

საყურადღებოა ის გარემოება, რომ, დავითის აზრით, გლეხი არ არის თავისუფალი და, ამდენად, არც შეიძლება მას საკუთრების უფლება ჰქონდეს, განსაკუთრებით მიწაზე; მიუხედავად ამისა, დავითი ცდილობს ამ მხრივ გლეხების მდგომარეობა გაუმჯობესოს. დავითის „სამართლის" მიხედვით, „გლეხთა აქვსთ ნება ქონებად მამულისა, და უმეტეს მაშინ, ოდესცა უანდერძოს". საყურადღებო აქ ის არის, რომ საუბარია გლეხის მიწის საკუთრებაზე; ალბათ, დავითს გლეხის საკარმიდამო ნაკვეთი აქვს მხედველობაში. რასაკვირველია, როგორც აღვნიშნეთ, გლეხის საკუთრება ბატონის უფლებით განისაზღვრება, მაგრამ დავითის ეს მოსაზრება მაინც იმის მომასწავებელია, რომ გლეხი საკარმიდამო მამულზე გარკვეული უფლების მატარებელი უნდა იყოს. ამასთანავე,

---

[1]დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა, 1959, გვ. 261, მუხ. 227, 236.

[2]იქვე, გვ. 319, მუხ. 598, 599, სამართალი ბატონიშვილის დავითისა, დ. ფურცელაძის რედ., 1964, გვ. 66, მუხ. 236.

[3]დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა..., აპ. როგავას რედ., გვ. 281, მუხ. 358; სამართალი ბატონიშვილის დავითისა, დ. ფურცელაძის რედ., 1964, გვ. 27, მუხ. 35.

[4]სამართალი ბატონიშვილის დავითისა, დ. ფურცელაძის რედ., 1964, მუხ. 85, დ. ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა..., აპ. როგავას რედ., 1959.

გლეხს შეუძლია მამულის გასხვისება ბატონის ნებართვით, ასდერძის დატოვება და სხვა. მაშასადამე, საკუთრების უფლების საკითხი დავითის მოსაზრება გლეხის მიმართ პროგრესულია.

საკუთრების შესახებ. დავითის შეხედულებით, საკუთრების სათავისო ფორმა განსაკუთრებული დაცვის ღირსია. დავითი აღნიშნავს, რომ „უკეთუ მოიყიდოს საკუთრითა ნივთითა და არა მამულის.. ნივთითა“ ვინმემ რაიმე, ეს შეძენილი იქნება საკუთრივ მისი და ვერავინ შეედავებაო[1].

დავითის მიერ აქ ორი საკითხია დასმული: 1) ნასყიდობის საფუძველზე წარმოშობილი საკუთრება მტკიცეა და თავისუფალი საკუთრების სხვა სახეესთან შედარებით. ნასყიდობის საფუძველზე წარმოშობილი საკუთრების უფლების თავისებური რეჟიმი ცნობილია ფეოდალური საქართველოს სამართლისათვის. უძველესი პერიოდიდანვე ჯერ კიდევ წყისეს (VIII საუკუნე) წარწერაში აღნიშნულია, რომ ნასყიდობის საფუძველზე წარმოშობილი საკუთრება უდავოა, მტკიცეა. ეს გარემოება დადასტურებულია გაერთიანებისა და შემდეგი პერიოდის ძეგლებში.

2) საქართველოს ფეოდალიზმის ისტორიაში საკუთრების მრავალ ფორმას შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ორი: ა) ფეოდალურ საქართველოში გაბატონებული იყო საერთო, საგვარეულო საკუთრება, რომელიც შეზღუდული იყო, კერძოდ მისი გასხვისება შესაძლებელი იყო მხოლოდ გვარის წევრების, ძმების თანხმობით. საკუთრების ასეთი შეზღუდული ფორმა ხელს უშლიდა ინტენსიური მეურნეობის განვითარებას, რამდენადაც თვით მეურნეობის დამუშავება მრავალია ნეაზე იყო დამოკიდებული. ბ) სათავისო საკუთრება ეწოდებოდა ისეთ საკუთრებას, რომელიც ინდივიდუალურია, რომელზეც გვარის, ძმების უფლებები არ ვრცელდება. სწორედ ასეთი იყო ნასყიდობის საფუძველზე წარმოშობილი საკუთრების უფლება, რომელიც არ იყო შეზღუდული სხვისი უფლებებით. საკუთრების ასეთი სახე ხელშემწყობი იყო ინტენსიური მეურნეობის განვითარებისათვის. ამდენად ის უფრო პროგრესული იყო ფეოდალიზმის ეპოქაში.

დავით ბატონიშვილი სათავისო საკუთრების დაცვით პროგრესულ შეხედულებას გამოთქვამს ფეოდალური საკუთრების განვითარების ვ'ხებ'ზე.

---

[1]სამართალი ბატონიშვილისა დავითისა, დ. ფურცელაძის რედ., გვ. 39, მუხ. 49

ბრალის საკითხი. დავითის შრომაში ახალ, უფრო მაღალ საფეხურზეა აყვანილი ბრალის პრობლემის დამუშავება. დაწყებული ექვთიმე მთაწმინდელიდან, ქართულ იურიდიულ აზროვნებას არ შეუწყვეტია ამ საკითხზე მუშაობა. ჩვენი აზრით, დავით ბაგრატიონი ამ მხრივ ქართული იურიდიული აზროვნების უმაღლეს საფეხურზე იმყოფება. შევეხოთ ამ საკითხს უფრო დაწვრილებით.

კაცობრიობის ისტორიაში ბრალის საკითხს ხანგრძლივი ისტორია აქვს. დიდი დრო დასჭირდა ადამიანს იმისათვის, რომ მისულიყო დასკვნამდე: დასჯადობის საფუძველი უნდა იყოს ბრალი, რომ ბრალი არის დანაშაულის არსებითი ნიშანი. განვითარების დაბალ საფეხურზე ბრალი უცნობი იყო. ადამიანთა საზოგადოებაში მაშინ ბატონობდა ობიექტური შერაცხვის პრინციპი. პასუხისმგებლობისათვის საკმარისი იყო ადამიანის მოქმედების გარეგანი შედეგი. მოქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი სავსებით საკმარისი იყო პასუხისმგებლობისათვის, იმის მიუხედავად, თუ რა ხასიათის იყო ეს კავშირი, იმის მიუხედავად, თუ როგორი სუბიექტური განწყობილება ჰქონდა თავისი მოქმედებისადმი მოქმედს. ობიექტური შერაცხვისათვის დანაშაულის სუბიექტურ მხარეს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ბრალი, როგორც ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საფუძველი, თანდათანობით იკვლევს გზას და ცვლის ობიექტურ შერაცხვას.

ბრალის ფორმებისა და სახეების შესახებ სწავლება XVIII-XIX საუკუნეებში ჩამოყალიბდა, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, უფრო ადრე ზოგადად ბრალზე შეხედულებები გამოთქვა ექვთიმე მთაწმინდელმა.

ექვთიმე მთაწმინდელი ერთმანეთისაგან განასხვავებს განზრახ და უნებლიე, ე.ი. არაგანზრახ დანაშაულს. ექვთიმე ახდენს აგრეთვე განზრახ მოქმედებათა კლასიფიკაციას.

ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, მოქმედება იყოფა „ნდობით", ე.ი. განზრახ და „უნდობლად", ე.ი. უნებლიედ ჩადენილად (მუხ. 24).

ვახტანგის სამართლის წიგნისათვის ცნობილია აგრეთვე „ფათერაკის" (მუხ. 92) ცნება. ექვთიმე მთაწმინდელისა და ვახტანგის მიხედვით, განზრახ და არაგანზრახ მოქმედება შეიძლება ბრალის ფორმებად მივიჩნიოთ, მაგრამ გაუფრთხილებლობასა და შემთხვევას შორის განსხვავება არც ექვთიმესა და არც ვახტანგის სამართლის წიგნში მოცემული არ არის.

დავით ბატონიშვილმა თავისი შეხედულება ბრალის საკითხზე

შეიმუშავა ქარიული იურიდიული აზროვნების ქონაპოვართა საფუძველზე, სახელდობრ, ექვთიმე მთაწმინდელის, სულხანის, ვახტანგის სამართლის წიგნისა თუ სხვა შრომებისა და ძეგლების მიხედვით. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დავითი, ბრალის ფორმების საკითხის განხილვისას ისეთ მაგალითებზე მიუთითებს, რომლებიც მოყვანილი აქვს ექვთიმეს. ასე რომ, ექვთიმეს შრომებს დავითი კარგად იცნობს და ამ ძრომებით ხელმძღვანელობს კიდეც. რაც შეეხება ვახტანგის სამართლის წიგნს, ამაზე პირდაპირი მითითებაა დავითის შრომებში.

დავითი მკვლელობის დანაშაულთან დაკავშირებით ბრალის ორ ფორმას განარჩევს: განზრახ და განუზრახველ მკვლელობას. განზრახ მკვლელობა არის ჩხუბის, სიძულვილის, შურის, პირადი უკმაყოფილების ნიადაგზე მომხდარი მკვლელობა.

განზრახ მკვლელი ისჯება სიკვდილით[1].

განუზრახველი ეწოდება უცაბედ, შემთხვევით მკვლელობას, რომელიც ხდება ყოველგვარი განზრახვის გარეშე. ამ შემთხვევაში სასჯელი უფრო მსუბუქია, მაგრამ სინდისის გაწმენდისათვის საჭიროა საეკლესიო მონანიება[2]. დავითის „მიმოხილვაში" ეს საკითხი უფრო გარკვევით და ვრცლად არის მოცემული, თანაც ორ მუხლში, ხოლო მისივე „სამართალში" ეს საკითხები მოკლედ, ერთ მუხლშია გაერთიანებული[3]. „მიმოხილვაში" ამ დანაშაულს ასეთი განმარტებაც ახლავს: მკვლელობა ეწინააღმდეგება ბუნებით სამართალს, ხოლო პოზიტიური სამართლით, ყველგან, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, დამსაშავე სიკვდილს იმსახურებს. მაგრამ რადგანაც ადამიანის ცხოვრება ცვალებადია, განიცდის გარემოებათა დამოხვევებს, ამიტომ როგორც დანაშაული, ისე სასჯელიც მრავალსახოვანია[4].

მაშასადამე, ადამიანის მოქმედება მრავალი ფაქტორის შედეგია. სასჯელის მიყენების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ის გა-

---

[1]დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა..., ა. როგავას რედ., 1959, გვ. 304, მუხ. 499.

[2]იქვე, მუხ. 500.

[3]სამართალი ბატონიშვილის დავითისა, დ. ფურცელაძის რედ., 1964, გვ. 48, მუხ. 77.

[4]დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა..., ა. როგავას რედ., 1959, გვ. 304, გვ. 49-498.

რემოებანი, რომელშიც ჩადენილია დანაშაული. მკვლელობა, ისე როგორც მრავალი სხვა დანაშაული, შეიძლება ჩადენილ იქნეს განზრახ და განუზრახველად. მაგრამ აქვე საჭიროა იმის გათვალისწინებაც, თუ ეს განზრახ მოქმედება რა ვითარებაში, რა პირობებში მოხდა. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ, დავითის შეხედულებით, არ არის საკმარისი მარტო განზრახვისა და განუზრახველობის დადგენა. საჭიროა თითოეული მათგანის კონკრეტულ ვითარებაში შესწავლა, განზრახული და არა-განზრახული მოქმედების დიფერენცირება.

დავითი სპეციალურად ჩერდება ფათერაკის საკითხზე. მისი შეხედულებით, ფათერაკი „განიყოფება ორად“:

1) „რომელსაცა აქუნდეს მსგავსება ნეფსითისა, გარნა არა იყოს“.

2) „მეორე უნებლიეთი“.

დავითის აზრით, ორივე „უნებლიეთობის“ სახეებს წარმოადგენს, უნებლიეთობას კი, თავის მხრივ, მრავალი სახე აქვს[1].

მსჯელობა ლოგიკურად არ არის გამართული: ფათერაკი იყოფა ორად — ნებსითად და უნებლიეთად, ორივე უნებლიეთობაა, ხოლო უნებლიეთობა იყოფა მრავალ სახედ. ამ გაუმართავ წინადადებას შეიძლება ასეთი განმარტება მივცეთ: ფათერაკი ანუ უნებლიე მოქმედება ზოგჯერ ისეთია, რომ უახლოვდება განზრახვას. უნებლიეთობას თუ გავიგებთ როგორც გაუფრთხილებლობას, ამ შემთხვევაში საქმე გვექნება გაუფრთხილებლობის მძიმე ფორმასთან, რომელიც უახლოვდება განზრახვას, მაგრამ განზრახვა არ არის. გაუფრთხილებლობის მძიმე ფორმის გარდა, უნებლიეთობას აქვს კიდევ მრავალი სახე: მძიმე ფორმაზე უფრო მსუბუქი, ამაზე უფრო მსუბუქი და ასე შემდეგ. როგორც ეთქვით, უნებლიეთობის ანუ გაუფრთხილებლობის სახეები იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ როგორი იქნება დანაშაულის ჩადენის კონკრეტული ვითარება.

რუსულ ტექსტში, ე.ი. დავითის „მიმოხილვაში“ ფათერაკი რუსულად გადმოლებულია სიტყვით „несчастный случай“[2].

დავითი ჩამოთვლის ფათერაკის მაგალითებს: ხეს სჭრიდეს ვინმე,

---

[1]საქართველოს ბატონიშვილის დავითისა, დ. ფურცელაძის რედ., 1969, გვ. 105, მუხ. 189.

[2]დაავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა, ა. როგავას რედ., 1959, გვ. 368, მუხ. 878.

იგი დაეცეს ვინძეს და მოკლას; ხეს ჯოხს ესროდე ხილის ჩამოსაგდებად და ვინმეს მოხვდეს, შემთხვევით დაჭრას ან მოკლას ადამიანი; ცხენი ვერ შეაკავოს მხედარმა და ვინძეს დაეტაკოს; ოსტატმა, მასწავლებელმა სცემოს მოწაფეს და შემოაკვდეს; ვინძემ ვინმეს დაარტყას სიკვდილის განუზრახველად, დარტყმული კი მოკვდეს და სხვა[1].

დავითის შეხედულებით, ზოგიერთი ამ მაგალითიდან უფრო მძიმეა, ზოგიერთი — მსუბუქი და ასე შემდეგ. მაგალითად, ხეს ხილის ჩამოსაგდებად ჯოხი ესროლო, კაცს მოხვდეს და მოკვდეს ან ეხუმრებოდე ვინმეს, დაარტყა და მოკვდეს — ეს შემთხვევები უფრო მსუბუქია, ვიდრე ისეთი მაგალითები, როგორიც არის: ოსტატმა ჯოხით სცემოს მოწაფეს და შემოაკვდეს, ან ვინძემ ცხენი დააძგეროს ვინძეს და სხვა[2].

დავითის შეხედულებით, ძოსამართლე ცალკეულ შემთხვევაში ვალდებულია გაითვალისწინოს კონკრეტული ვითარება, კარგად აწონ-დაწონოს დანაშაულის სიმძიმე და სიმსუბუქე და ამის მიხედვით მიუსაჯოს ბრალდებულს — „სისხლის მესამედი, მეოთხედი, მეხუთედი, მეექვსედი ანუ საქიმო და სამარხი“.

შესაძლებელია დანაშაული გარეგნულად ჰგავდეს ყაჩაღობას, მაგრამ სინამდვილეში „განგებ“ ჩადენილია, „შურითა და მტრობით“. ასეთ შემთხვევაში მოსამართლე ვალდებულია „განგებ მკვლელს“ სათანადო სასჯელი შეუფარდოს, ე.ი. ისეთი, როგორიც შეეფერება კაცის მკვლელს.

ყრმა უწლოვანი („უასაკო“) თუ ჩაიდენს მკვლელობას, მის მშობელს „სამარხი“ უნდა გადახდეს, რადგანაც უასაკოს, ბავშვს მოაკლეო ძოვლა და ამის გამო მოხდა მკვლელობა.

მაშასადამე, „უასაკოს“ ძალ ჩადენილი მოქმედებისათვის თვითონ უასაკო არ აგებს პასუხს, მხოლოდ მშობლებს ეკალებათ „სამარხის“ გადახდა.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი შემთხვევა, ჯოხის შეტყორცნა ხილის ჩამოსაგდებად, მოწაფის წერილია — დავითს ექვთიმე თაყაიშვილის შრომებიდან აქვს ამოღებული, ზოგიერთი კი — მაგალითად, ცხენის შეჯახება, ხუმრობაში მომხდარი მარცხი — ვახტანგის სამართლის წიგნიდან არის აღებული. ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ დავითმა, როგორც ზემოთაც ვთქვით, იცის, გათვალისწინებული აქვს ბრალის

---

[1]დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა., მუს. 880, 881; სამართალი ბატონიშვილის დავითისა, დ. ფურცელაძის რედ., 1964, გვ. 105, მუხ. 189.

[2]სამართალი ბატონიშვილის დავითისა, გვ. 105, მუხ. 189.

შესახებ წინამორბედი ავტორების შრომები. ამ მასალის კრიტიკული ათვისების საფუძველზე ახდენს ერთგვარ განზოგადებას.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ფათერაკის შესახებ მუხლში დავითი ხმარობს ტერმინს „უფრთხილო“, „უფრთხილოდ ცხენის დაკარება“[1].

მოსამართლემ, დავითის აზრით, საქმე კარგად ენდა გამოიძიოს, რომ „უფრთხილობისა გამო“ არ დასაჯოს უდანაშაული ადამიანი“.

ყარაულობის შემთხვევაში „უფრთხილობელობითა და უგულსმოდგინეობით“ არაფერი უნდა დაშავდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ყარაული პასუხისმგებლობას კისრულობს[2]. ამაკე მნიშვნელობით, ე.ი. გაუფრთხილებლობის მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე „უკრძალველობა“.

თუ სახლია დაგირავებული და დამგირავებლის „უფრთხილებლობისა გამო“ დაიწვა, მაშინ დამგირავებელმა მესაკუთრეს სახლი უნდა აუშენოს[3].

თუ ხელოსანს თავისი პატრონის. სახელოსნოს მესაკუთრის ნივთი დაეწვა „უფრთხილებისა“ გამო, მაშინ მას ნახევარი გადახდება, მაგრამ თუ „კრძალულებას“, ე.ი. გაფრთხილებას არ აკლებდა და მაინც დაეწვა ნივთი. მაშინ არაფერი გადახდება.

რიგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დაკავშირებულია გაფრთხილებლობასთან; თუ ფრთხილად მოქცეულა, მაგრამ მაინც დაეწვა ნივთი, მაშინ ის პასუხს არ აგებს; ეს მაგალითი გათანაბრებულია შემთხვევასთან (casus). აქვე. ამავე მუხლში, საუბარია იმის შესახებ, რომ თუ ხელოსანს წაართვეს ან მოპარეს ნივთი, ის პასუხისმგებელია დანაკარგისათვის, მაგრამ თუ გამოირკვა. რომ ხელოსანს სხვის ნივთთან ერთად საკუთარიც მოპარეს, მაშინ ის პასუხს აღარ აგებს.

თუ ვინმეს სხვისი ნივთი ქურდმა მოპარაოს, ნახევარი უნდა ზღოს; „ბუნებითი სამართლის“ მიხედვით, „დაიყენების ზღვევა“, რადგანაც ქურდმა მოპარა, მაგრამ ნახევარი იმიტომ უნდა გადაიხადოს, რომ „ვულგმოდგინეო“ გამოვინა „კრძალვა“, ე.ი. ფრთხილად უნდა ყოფილიყო[4].

ოავითი ბაგრატიონის შრომებში. წინა პერიოდთან შედარებით, აგრეთვე ეახტანგის სამართლის წიგნისაგან განსხვავებით, ბრალის დიფერენცირება

---

[1]სამართალი ბაგრატიონთა დავითისა, ე. ფურცელაძის რედ., 1964, გვ. 105, მუხ. 189.
[2]სამართალი ბაგრატიონთა დავითისა, ე. ფურცელაძის რედ., 1964, გვ 144, მუხ. 243.
[3]იქვე. გვ. 112, მუხ. 198.
[4]იქვე. გვ. 133, მუხ. 235.

უფრო ღრმად არის მოცემული. დავითის შეხედულებით, ფათერაკს მრავალი სახე აქვს. მოქმედებანი, რომლებიც ნებსითს უახლოვდება, პასუხისმგებლობით უფრო მძიმეა, ვიდრე ისეთი დანაშაული, რომელიც არ არის ნებსითი, განზრახ ჩადენილი; საკითხი მხოლოდ ისაა, რომ დავითის მიერ მოქმედებათა დიფერენციაცია, ერთი მხრივ, გაუფრთხილებლობის სხვადასხვა სახეებს შეიცავს, მაგრამ იმავე დროს ზოგიერთი მაგალითი შეიძლება შემთხვევაც (casus) იყოს. დავითს საერთოდ აღნიშნული აქვს, რომ ნებითის გარეშე ჩადენილი ყოველგვარი დანაშაული ფათერაკია, გაუფრთხილებლობა, მაგრამ ამ ფათერაკის ყველა სახისათვის მან პასუხისმგებლობა დააწესა, ე.ი. გაუფრთხილებობად ჩათვალა. ამასთანავე, ფათერაკის სახეებიდან ისეთი მაგალითებიც მოიყვანა, რომლებიც არ იწვევს პასუხისმგებლობას, ე.ი. არის შემთხვევა. მაშასადამე, ისეთ შემთხვევებში, როდესაც დავითი არ აწესებს პასუხისმგებლობას, უნდა ვიგულისხმოთ შემთხვევა (casus).

უნდა აღვნიშნოთ, რომ დავითის შრომების მიხედვით, ფათერაკი ფართო ცნებაა და შეიცავს იმას, რაც განზრახვა არ არის, მაშასადამე, ფათერაკი შეიცავს გაუფრთხილებლობის ყველა სახეს და შემთხვევას. უმთავრესად „ფათერაკში", რასაკვირველია, გაუფრთხილებლობა იგულისხმება. საყურადღებოა აღნიშნოს, რომ დავითი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ხმარობს კიდეც ტერმინს „უფრთხილოს", „უფრთხილობას" და სხვა.

ქართული იურიდიული აზროვნების ისტორიაში გაუფრთხილებლობის ცნებასთან ასე ახლოს არავინ მოსულა, მაგრამ გაუფრთხილებლობისა და შემთხვევითობის ცნებები მის შრომებში არ არის განსხვავებული, არ არის დიფერენცირებული.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ დავითის შეხედულება სუბიექტური ბრალეულობის შესახებ ქართული ფეოდალური იურიდიული აზროვნების განვითარების მაღალ დონეს ასახავს.

იაგორ ჭილაშვილის პოლიტიკური შეხედულებანი

იაგორ გაბრიელის ძე ჭილაშვილი დაიბადა 1792 წელს დუშეთში. 1803 წელს იაგორის მამა გაბრიელი თავისი ოჯახის წევრებით (მათ შორის იყო იაგორიც) გაჰყვა ვახტანგ ირაკლის ძე ბაგრატიონს რუსეთში, სადაც ეს უკანასკნელი გადაასახლეს. ვახტანგის მზრუნველობით იაგორმა საუკეთესო განათლება მიიღო პეტერბურგში. იაგორი ნიჭიერი, განათლებული და ენერგიული ადამიანი დადგა.

1812 წელს, როდესაც ი. ჭილაშვილი 20 წლისა იყო, მან გამოსცა ბუნებითი სამართლის შესახებ შესანიშნავი ნაშრომი, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. ამავე წელს ი. ჭილაშვილმა ქართულიდან რუსულად გადათარგმნა ვახტანგ ერეკლეს ძე ბაგრატიონის ნაშრომი „Письма грузинского царевича Вахтанга Ираклиевича" (ქართული დედანი ჯერ კიდევ არ არის გამოცემული).

ი. ჭილაშვილს მრავალი შრომა აქვს შესრულებული. მან თარგმნა ფრანგულიდან რუსულად მონტესკიეს ნაშრომი: „Арзас и Исмения", 1807[1]. ფრანგულიდანვე თარგმნა მან მაბლის „Об изучении истории, в трех частях"[2].

ი. ჭილაშვილი ადრე იწყებს სამსახურს. პირველად ის მთარგმნელია. 1807 წლიდან კი საგუბერნიო მდივნის თანამდებობას ასრულებს. 1808-1813 წლებში ი. ჭილაშვილი მუშაობს ვახტანგ ირაკლის-ძე ბაგრატიონთან მდივნად და მთარგმნელად. 1813 წლიდან მუშაობას იწყებს საგადასახადო დეპარტამენტში, 1815 წლიდან კი მსახურობს სახალხო განათლების დეპარტამენტში. 1820 წელს ი. ჭილაშვილი მისივე თხოვნით გაგზავნილ იქნა სამუშაოდ საშობლოში. 1821 წლიდან ის მუშაობს საქართველოში

---

[1]Воспоминания Анны Евдокимовны Лабзиной, 1903, стр. 131, И. К. Ениколопов, Пушкин в Грузии. 1950, стр. 78; Вано Шадури, Декабристкая литература и грузинская общественность. 1958, стр. 552; Ш. Монтескье, Избранные произведения, 1955, стр. 771.

[2]„Воспоминания Анны Евдокимовны Лабзиной", 1903, стр. 131; Г. Мабли, Избранные произведени-я. 1950, стр. 335; И. К. Ениколопов, Пушкин в Грузии. 1950, стр. 78; Вано Шадури, Декабристкая литература и грузинская общественность, 1958, стр. 552.

პროკურორის თანამდებობაზე. 1822 წლიდან წევრია იმ კომისიისა, რომელსაც ევალებოდა ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის ქართულიდან რუსულ ენაზე გადათარგმნა[1].

1826 წელს ი. ჭილაშვილი ისევ რუსეთშია — იუსტიციის სამინისტროში — ექსპედიტორის თანამდებობაზე, ხოლო 1827 წელს ინიშნება ფინანსთა სამინისტროში ამიერკავკასიაში გასაგზავნად საგანგებო დავალებებით[2]. ის ჩამოდის საქართველოში და ინიშნება სამხედრო გუბერნატოროან განსაკუთრებულ დავალებათა შემსრულებლად.

1830 წელს სენატორებთან — მეჩნიკოვთან და კუტაისოვთან ერთად რევიზიას აწარმოებს ამიერკავკასიაში.

1832 წლის შეთქმულებაში ი. ჭილაშვილი უშუალო მონაწილეობას არ ღებულობდა, მაგრამ შეთქმულებთან იდეური კავშირი ჰქონდა და შეთქმულების გამარჯვების შემთხვევაში ის განათლებისა და შინაგან საქმეთა მინისტრად იყო გათვალისწინებული.

მეფის მთავრობა შეთქმულების შემდეგ ი. ჭილაშვილს უნდობლად უყურებდა. ი. ჭილაშვილის თხოვნა, რომ მისთვის შესაფერი სამსახური მიეცათ, იმპერატორმა არ დააკმაყოფილა. 1838 წელს მთავარმართებელმა გოლოვინმა ის ლენქორანში გაგზავნა სპეციალური დავალებით. ი. ჭილაშვილი იქ გარდაიცვალა 1838 წელს. ი. ჭილაშვილი ჟანდარმერიის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. მისი გარდაცვალებისთანავე ჟანდარმერიის აგენტმა აღწერა ი. ჭილაშვილის მიწერ-მოწერა, აგრეთვე სხვა ქაღალდები და წამოიღო თბილისში[3].

დიმიტრი ყიფიანი, რომლის მეუღლე იყო ი. ჭილაშვილის ქალი, ამგვარად ახასიათებს ი. ჭილაშვილს: „იაგორ ჭილაშვილი იყო ერთი იმ პირველ ქართველთაგანი, რომელმაც მიიღო რუსულ-ევროპული აღზრდა და განათლება, მან ჩინებულად იცოდა ქართველი ხალხის ისტორია"[4].

ი. ჭილაშვილის შეხედულებანი ჰუმანურია და პროგრესული. ის გარემოება, რომ ი. ჭილაშვილი გატაცებული იყო მონტესკიეთი და

---

[1]აკ. მათიაშვილი, კვლავ გიორგი ჭილაშვილის შესახებ, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი", 1965, № 4.

[2]აკ. მათიაშვილი, კვლავ გიორგი ჭილაშვილის შესახებ, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი", 1965, № 4.

[3]И. К. Ениколопов, Пушкин в Грузии. стр. 82.

[4]И. К. Ениколопов, Пушкин в Грузии. 1950, стр. 77.

მაბლით, თარგმნიდა მათ შრომებს, მაჩვენებელია ი. ჭილაშვილის მსოფლმხედველობის პროგრესულობისა.

საყურადღებოა, თუ როგორ ასაბუთებდა ი. ჭილაშვილი საქართველოში საპროკურორო ზედამხედველობის მოწესრიგების საჭიროებას. თავის 1822 წლის 6 თებერვლის მოხსენებაში ერმოლოვისადმი ი. ჭილაშვილი წერდა: „საპროკურორო ზედამხედველობის საქმე მძიმე მდგომარეობაშია, პროკურორს მაზრებში არა ჰყავს სათანადო მოხელე, რომ უწესრიგობის შესახებ აცნობოს მას საჭირო ზომების მისაღებად. ბოროტმოქმედებანი მაზრებში დაუსჯელი რჩება. ამის გამო „უცოდინარ და ღარიბ მოსარჩლეს ან მოპასუხეს სასამართლოში დაკეტილი აქვს გზა გამართლების", პროკურორს არა აქვს საშუალება აკრძალოს უკანონო და თვითნებური გადასახდელები, ვერ ღებულობს სათანადო ზომებს მექრთამეობის წინააღმდეგ და სხვა. ყველაფერი ეს, ი. ჭილაშვილის დასკვნით, „დამღუპავად მოქმედებს დაჩაგრულ ხალხზე"[1].

ფრიად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ი. ჭილაშვილი ერთ-ერთ თავის მოხსენებაში ერმოლოვისადმი გამოთქვამს თავის შეხედულებას დანაშაულსა და სასჯელზე: სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს დანაშაულს, ხოლო დამნაშავეში უნდა ვხედავდეთ ადამიანს და მის უკან მის ოჯახს[2]. ი. ჭილაშვილი თავის მოხსენებაში რუსეთის მთავრობისადმი ასაბუთებდა, რომ გლეხების (ყმების) მემამულეთა მიერ ვალში საჯაროდ გაყიდვის შემთხვევაში გასაყიდ გლეხს უნდა მიეცეს უფლება მონაწილეობა მიიღოს აუქციონში. ამასთანავე ასეთ გლეხს მთავრობისაგან უნდა მიეცეს სუბსიდია.

საინტერესოა ის გარემოება, რომ თავის მოხსენებაში ი. ჭილაშვილი მთავრობას იმასაც უმტკიცებდა, თითქოს გლეხების ასეთი მონაწილეობა ხაზინისათვის უფრო სასარგებლო იქნებოდა. ასეთი მტკიცება ი. ჭილაშვილს იმისათვის ჭირდებოდა, რომ მთავრობა დაინტერესებული ყოფილიყო ეკონომიურად საკითხის ასეთი გადაწყვეტით. სინამდვილეში კი ეს ღონისძიება გლეხებისათვის სასარგებლო იყო:

1. გლეხებს (ყმებს) უფლებას აძლევდა სამოქალაქო ბრუნვაში მიეღო მონაწილეობა როგორც ადამიანს. ეს იყო ყმაში ადამიანის უფლების ცნობა;

---

[1]АКАК, VI № 71, стр. 48.

[2]АКАК, VI ч. I, № 83, стр. 55.

2. ამ ღონისძიებით ყმები თავისუფლებას ღებულობდნენ (თავისთავის გამოსყიდვის შედეგად). ი. ჭილაშვილის ენერგიული ზომების შედეგად ასეთი კანონი მართლაც გამოვიდა[1].

ი. ჭილაშვილი თავის 1828 წლის 13 ივნისის მოხსენებაში მთავრობის ყურადღებას აქცევდა იმ გარემოებას, რომ გლეხთა გადასახადები მოუწესრიგებელია, ე.ი. ფეოდალები თვითნებურად აწესებდნენ გადასახადებს და საჭირო იყო ამ თვითნებობის აღკვეთა, ფეოდალების შეზღუდვა გადასახადების გაწერის საქმეში.

ი. ჭილაშვილი თავის მოხსენებაში ეხება იმ გლეხების გადასახადებს, რომლებიც თავისუფლებას ეძებენ სასამართლოს საშუალებით. ი. ჭილაშვილის წერდა: მეძაძულები იმის შიშით, რომ შეიძლება ყმები დაკარგონ, სასამართლოს გადაწყვეტილებით, თვით-ნებურად აურაცხელ გადასახადებს აწერენ თავისუფლების მაძიებელ გლეხებს, ხოლო უკანასკნელნი კი, ფეოდალთა თვითნებური გადასა-ხადების საპასუხოდ, ზომიერ გადასახადებსაც კი გაურბიანო[2].

ასეთი განმარტება გლესების შესასებ ი. ჭილაშვილს დაჭირდა იმისათვის, რომ მთავრობისა და თავადაზნაურობისათვის მისი მოხსენება მისაღები ყოფილიყო.

ამ მოხსენების საფუძველზე დაიწყო გლეხთა გადასახადების შესწავლა და გამოირკვა, რომ ფეოდალები საოცარ თვითნებობას იჩენდნენ გადასახადების საკითხში არა მარტო თავისუფლების მაძიებელი გლეხების მიმართ, არამედ საერთოდ: ამ შესწავლის შედეგად ფეოდალების თვითნებობა რამდენადმე შეიზღუდა[3]. ასეთი პროგრესული ღონისძიება გატარდა ი. ჭილაშვილის მოხსენების შედეგად.

ახლა ჩვენ განვიხილავთ ი. ჭილაშვილის ორიგინალურ ნაშრომს, რომელიც მას გამოქვეყნებული აქვს რუსულ ენაზე და რომელშიც მოცემულია ავტორის პოლიტიკური შეხედულებანი[4].

---

[1]Полное собрание законов Российской империи. XXXIX, 1830, № 2980, стр. 158-159.

[2]АКАК, VI, ч. I, № 132, стр. 82.

[3]იქვე, გვ. 82-91.

[4]ქვემოთ, ი. ჭილაშვილის ამ ნაშრომის მთლიანი სათაური „Начертание прав природного“ ნაკლლად, მოკვანილი იქნება სათაურის პირველი სიტყვა („Начертание...). სქოლიოების მითითებებში ჯერ მოცემულია ი. ჭილაშვილის ხსენებული შრომის რუსული დედნის გვერდის მაჩვენებელი ციფრი, შემდეგ კი ქართული თარგმანისა.

ნაშრომის პირველი თავი იწყება ბუნებითი სამართლის საკითხების განხილვით. ადამიანი, წერს ავტორი, იბადება შეგრძნების უნარით. მისი შეგრძნებანი დაკავშირებულია სიამოვნებასა ან მწუხარებასთან. ადამიანი აკვირდება ამ შეგრძნებათა მიზეზებს, ამ დაკვირვების შედეგად შეიცნობს სიკეთესა და ბოროტებას, მიისწრაფვის პირველისაკენ და ერიდება მეორეს, საერთოდ კი სწავლობს თავისი სიცოცხლის დაცვას, მის შენარჩუნებას. ამაში ის ხელძღვანელობს ბუნების კანონებით[1].

ადამიანის ბუნება ეწოდება იმ თვისებების გამოხატულებას, რომლებითაც არის ადამიანი დაჯილდოებული და რომელთა საშუალებით გამოავლენს ის თავის ურთიერთობას გარემოსადმი — მოქმედებით ან უმოქმედობით. ბუნების კანონები ქმნიან იმ წესს, რომელშიაც გამოვლინდება ადამიანის მიმართება გარემოსადმი.

ეს კანონები შეადგენენ იმას, რასაც ეწოდება ბუნებითი სამართალი.

ბუნებითი კანონების შესაცნობად უნდა გამოვიკვლიოთ და შევისწავლოთ, თუ რას წარმოადგენენ ეს კანონები ადამიანისათვის და რას მოითხოვენ ისინი უკანასკნელისაგან. ამისათვის საჭიროა შევისწავლოთ, ერთის მხრივ, ადამიანის მოთხოვნილებანი და, მეორეს მხრივ, ადამიანის უნარი, რომლითაც მას შეუძლია ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ყველა ამის გათვალისწინება საშუალებას მოგვცემს შევიცნოთ ბუნებითი კანონები[2]. თუ ადამიანს აკლია რაიმე ნივთი, მატერიალური დოკლათი, რომელიც საჭიროა მისი კეთილმდგომარეობისათვის, ის წუხს, მეტად თუ ნაკლებად იტანჯება.

როგორია ის საჭიროებანი, მოთხოვნილებანი, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე ადამიანი წუხს, იტანჯება?

ავტორი ასახელებს ადამიანის შემდეგ მოთხოვნილებებს:

1. ადამიანის ორგანიზმი ისეა მოწყობილი, რომ მას არ შეუძლია გადაიტანოს შიმშილი და წყურვილი, ამიტომ ადამიანს აუცილებლად ესაჭიროება საჭმელი და სასმელი. ეს ორი საგანი არის ადამიანის სიცოცხლის მთავარი მამოძრავებელი ძალა, მთავარი ღერძი, რომლის გარეშე ის ვერ იარსებებს;

2. ადამიანი მუდმივი მოქმედებისაგან იღლება და დაკარგული ენერგიის აღსადგენად აუცილებლად ესაჭიროება მოსვენება და ძილი;

---

[1] „Начертание...", стр. 67; 52.

[2] „Начертание...", стр. 67; 52.

3. სიცივისა და სიცხისაგან თავის დასაფარავად ადამიანს ესაჭიროება ბინა და ტანსაცმელი;

4. მხეცებისაგან თავის დასაცავად ადამიანს ესაჭიროება სათანადო იარაღები;

5. განსაზღვრული ასაკის შემდეგ ადამიანს ებადება ბუნებრივი მიდრეკილება ქალისადმი, რაც იწვევს ცოლ-ქმრობის საჭიროებას.

ბუნებამ გაუჩინა ადამიანს საჭიროებანი და იმავე დროს მისცა მას უნარი დაიკმაყოფილოს ეს მოთხოვნილებანი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანი ბუნების მიერ დაჯილდოებულია ნიჭით, უნარით, დაიკმაყოფილოს თავისი საჭიროებანი. ავტორის აზრით, ადამიანის ეს უნარი ორგვარია: სხეულებრივი და სულიერი.

სხეულებრივი ანუ ფიზიკური უნარი გამოიხატება:

1. ადამიანის სხეულის ნაწილების მოძრაობაში; 2. მხედველობაში; 3. სმენაში; 4. ყნოსვაში; 5. შეხებაში (осязание), და 6. გემოში. ადამიანის ეს ხუთი გრძნობა არის საყუძველი სულიერი უნარის[1].

სხეულებრივი უნარის გარდა ადამიანს აქვს სულიერი უნარი: 1. ყურადღება; 2. ფიქრი (размышление); 3. გახსნა (умствование); 4. გაგება (понятие); 5. სურვილი და 6. ნება.

ავტორის აზრით, სხეულებრივ ანუ ფიზიკურ უნარსა და სულიერ უნარს შორის ის განსხვავებაა, რომ სხეულებრივი უნარი ადამიანის ორგანიზმთან ერთად არსებობს. მაშინ, როდესაც სულიერი უნარი თანდათანობით წარმოიშობა: ადამიანი სულიერ უნარს იძენს პრაქტიკაში. შემთხვევით, ფიზიკური უნარი, რომელიც საყუძველია სულიერისა, აძლევს ბიძგს ადამიანის სულიერ ცხოვრებას. შემთხვევიდან შემთხვევამდე ადამიანს თანდათანობით ეკითარდება სულიერი თვისებები, სულიერი უნარი, ნიჭი. ავტორის აზრით, ადამიანი წარმოშვა ბუნებამ იმისათვის, რომ იცხოვროს. ბუნებამ გაუჩინა ადამიანს მოთხოვნილებანი და ამავე დროს მისცა მას ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უნარი. „ბუნებამ განუწესა ადამიანს დატკბეს სიცოცხლით[2]

აქედან ავტორი ასკვნის, რომ ადამიანი ბუნებით მოწოდებულია:

1. შეინახოს თავისი თავი; 2. დაიკმაყოფილოს მოთხოვნილებანი; 3. ისარგებლოს საგნებით, რომლებიც მეტ-ნაკლებად არიან დაკავშირებული

---

[1] „Начертание...", стр. 68; 53.

[2] „Начертание ...", стр. 69; 55.

მის საჭიროებასთან

ადამიანი ვალდებულია:

1. გამოიყენოს თავის უნარი სიცოცხლის შესანარჩუნებლად;
2. გაერიდოს ტანჯვასა და სიკვდილს;
3. ძალით დაიცვას თავი ყოველგვარი თავდასხმისაგან, რომელიც მიმართულია მისი სიცოცხლის ან კეთილდღეობის წინააღმდეგ;
4. დაიცვას ზომიერება თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დროს.

ავტორის აზრით, ჩამოთვლილი მოთხოვნილებანი არის საფუძველი ადამიანთა ურთიერთობისა.

ნაშრომის მეორე თავი ეხება შრომას, განათლებასა და თანაცხოვრებას.

არსებობისათვის ბრძოლის პროცესში ადამიანს უჩნდება ახალი საჭიროებანი, ახალი მოთხოვნილებანი, რომელთა დაკმაყოფილებაზე არის დამყარებული ადამიანის ბედნიერება და ამდენად ის საჭიროებანი აუცილებელია და წმიდათაწმიდა[1]. ასეთი საჭიროებანია: შრომა, განათლება და თანაცხოვრება.

ადამიანის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭიროა ნივთებზე ადამიანმა აწარმოოს რიგი მოქმედებანი, რაც შეადგენს ადამიანის შრომას. ამ შრომის გარეშე ადამიანს არ შეუძლია მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, არსებობა. „შრომის საჭიროება, მისი მნიშვნელობა საგრძნობლად მატულობს, როდესაც ადამიანები თანაარსებობაში შედიან", როდესაც თანდათანობით მრავლდება ადამიანთა მოთხოვნილებანი და მათი დაკმაყოფილების საშუალებანი, როდესაც რთულდება ადამიანთა ურთიერთობანი. ასეთ ვითარებაში წარმოიშვება ახალი საჭიროება შრომაზე დამყარებული საკუთრებისა. ამ შემთხვევაში შრომა გამოყენებულია ადამიანის კეთილდღეობისათვის საჭირო ნივთების მხოლოდ თავისთვის შექმნაში.

„დრო, ან უმჯობესია ვთქვათ, თვითონ ბუნება უკარნახებს ადამიანს იმ საგნების საჭიროებას, რომლებიც მანამდე უცნობი იყო მისთვის; ეს საჭიროებანი, ისე როგორც თავდაპირველად, განსაზღვრავენ ადამიანის ბედს", მაშასადამე, ეს საჭიროებანი ბუნებიდან კი გამომდინარეობენ, მაგრამ სავსებით უცნობია ის ადამიანისათვის, რამდენადაც მას, მანამდე,

---

[1] „Начертание...", стр. 70; 56.

[2] იქვე.

ეი. უწინ, არ განუცდია ეს საჭიროებანი[1]. მაგრამ ამ ახალი საჭიროების დასაკმაყოფილებლად ადამიანს არ შეუძლია უნარი შეიძინოს ისე, როგორც ბუნების საგანი. ამიტომ ახალი საჭიროების დასაკმაყოფილებლად ახალი ვითარების შესაბამისად, ადამიანმა ამ საჭიროების მიხედვით უნდა გაწაფოს, გააუმჯობესოს, სრულყოს თავისი უნარი და შესაძლებლობა.

ამისათვის ადამიანი უნდა ჩაწვდეს ნივთების იმ ურთიერთკავშირს, რომელთაც ის ხედავს, შეიცნოს მათი ბუნება და ის მიმართება, რომელიც მათ აქვთ ადამიანის ყოფიერებასთან, გაიგოს მოვლენების მიზეზები და შედეგები. ყველაფერ ამას ეწოდება განათლება.

ავტორი გადადის თანაცხოვრების საკითხის განხილვაზე. ჩვენ შეგვიძლია, წერს ის, ჩვენს წარმოდგენაში ამოვაგდოთ ადამიანი მის ძსგავსთა წრიდან, ჩვენს წარმოდგენაში განვიხილოთ ის განცალკევებულად, მაგრამ მას არ შეუძლია ასეთ მდგომარეობაში ყოფნა, არ შეუძლია განაგრძოს თავისი სიცოხლე სხვების დაუხმარებლად, რადგანაც ადამიანის სხეულებრივი და სულიერი უნარი დასუსტებასა და დაშლას ექვემდებარება, ავადმყოფსა და მოხუცებულ ადამიანს არ შეუძლია სხვისი დახმარების გარეშე დაიცვას თავი, ამიტომ ესაჭიროება ადამიანს თანაცხოვრება, ასეთი საჭიროება ბუნებიდან გამომდინარეობს[2].

გარდა ამისა, განაგრძობს ავტორი, ადამიანს აქვს ქორწინებისადმი მიდრეკილება, ხოლო ოჯახის შექმნის შედეგად იბადებიან ბავშვები, რომელთაც ზრდიან მშობლები. ბავშვები იზრდებიან და თავის მხრივ ქმნიან ოჯახებს. კვლავ იბადებიან ბავშვები, რომლებიც საჭიროებენ შშობლების მზრუნველობას და ა.შ. ოჯახი არის თანაცხოვრების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც აერთიანებს ადამიანებს. ეს გაერთიანება, ეს თანაცხოვრება ადამიანის არსებობის საჭიროებიდან გამომდინარეობს. ყველაფერი ეს, ავტორის აზრით, ამტკიცებს, რომ თანაცხოვრება თვით ბუნების მიერ არის დაწესებული.

შრომის მესამე თავი ეხება სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტებს (საკუთრების უფლებას, ხელშეკრულებას)[3].

განცალკევებული ადამიანი ზრუნავს მხოლოდ თავის თავზე, მან იცის მხოლოდ თავის საჭიროებანი და მთელ თავის უნარს, შესაძლებლობას

---

[1] „Начертание...", стр. 71-72; 57.

„Начертание...", стр. 72; 58.

[3] იქვე. გვ. 73-76; 59-61.

იყენებს ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მაგრამ, როცა ადამიანი შედის ადამიანთა გაერთიანებაში, საზოგადოებაში, თანაცხოვრებაში, მაშინ ის იზიარებს გაერთიანების სხვა წევრის საჭიროებას და მის დაკმაყოფილებას ახმარს თავის უნარს, შესაძლებლობას.

ადამიანთა გაერთიანებაში წარმოიშობა ადამიანთა ურთიერთმიმართება, რომელიც იმის შეცნობაზეა დაფუძნებული, თუ ბუნებით თითოეულ მათგანს რა ეკუთვნის, რას მოითხოვს ერთი მეორისაგან და რა ვალდებულება აქვს ერთს მეორისა.

ავტორი წერს: შეეცდები ვაჩვენო ეს იმ ახსნა-განმარტებით, რომელსაც ვიძლევი პირადი, მოძრავი და მიწის საკუთრების, აგრეთვე ხელშეკრულების საკითხების განხილვისას[1].

ამის შემდეგ ავტორი განიხილავს პირადი საკუთრების საკითხს.

ბუნებამ ადამიანი გააჩინა, ისე, რომ მას განცალკევებულად ეცხოვრა, ბუნებამ ადამიანს მისცა მოთხოვნილებანი, რომლებიც მას ეხებოდა, მხოლოდ მასში იბადებოდა და მთავრდებოდა ისე, რომ სხვაზე არ ვრცელდებოდა. ბუნებამ მისცა ადამიანს ნიჭი, უნარი, რომელიც მხოლოდ მასში იყო და რომლის დანიშნულებას შეადგენდა დაეკმაყოფილებინა მხოლოდ და მხოლოდ მისი, ამ ერთი ადამიანის მოთხოვნილებანი, ამასთანავე, დაეცვა ის ყოველგვარი ტანჯვისაგან. ეს უნარი არის იმ ადამიანის პირადი საკუთრება, რადგანაც ის მხოლოდ და მხოლოდ მას ეკუთვნის.

ავტორის აზრით, ადამიანს, რომელიც ხელმძღვანელობს ბუნებით, შეუძლია თავისი სურვილით და თავისი ნებით ისარგებლოს, როგორც თავისი საკუთრებით, თავისი სხეულებრივი და სულიერი ნიჭით, უნარით და ამას ეწოდება ბუნებრივი თავისუფლება.

„არ არსებობს თავისუფლება პირადი საკუთრების გარეშე, არ არსებობს პირადი საკუთრება თავისუფლების გარეშე, და არ არსებობს ადამიანის კეთილდღეობა მათ გარეშე“[2].

ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო გაერთიანდნენ საზოგადოებაში, ძირითად მიზნად ისახავდნენ პირადი საკუთრების დაცვას.

ავტორი ასკვნის:

1. პირადი საკუთრება და თავისუფლება თითოეული ადამიანისა

---

[1] „Начертание...“, стр. 73; 59.

[2] იქვე.

არის ხელშეუკარი და წმიდათაწმიდა;

2. მხოლოდ პირად მესაკურეს აქვს უფლება განაგოს თავისი სებით პირადი საკუთრება;

3. მან ძალით უნდა მოიგერიოს ყოველგვარი თავდასხმა, რომელიც ეშეკრება პირად საკუთრებასა და თავისუფლებას[1].

პირადი საკუთრების შემდეგ ავტორი განიხილავს მოძრავი საკუთრების საკითხს.

ადამიანი, წერს ავტორი, თავის მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს მიწის ნაყოფის მოხმარებით. მაგრამ ადამიანს ყოველთვის არ შეუძლია ბუნების ამ საგნებით სარგებლობა: წელიწადის ყველა დრო არ უწყობს ხელს ბუნების საგნების მოპოვებას. იმისათვის, რომ ადამიანმა უზრუნველყოს თავისი თავი ამ საგნებით, ის მოიმარაგებს საგნებს, მიწის ნაყოფს, თუ ეს ნაყოფი ბლომად არის. ასეთი მომარაგება მას შეუძლია, თუ ის შეიძენს ამ ნივთებს, ე.ი. „მოაქცევს ამ ნივთებს თავის უფლებაში", ეს კი ადამიანს შეუძლია მხოლოდ შრომის საშუალებით, რომელიც წარმოადგენს ადამიანის ძიერ ენერგიის დახარჯვის შედეგს, ანუ რომელიც არის ადამიანის უნარის, მისი ნიჭის დაძაბვის შედეგი. რამდენადაც ეს შენაძენი არის ადამიანის შრომის შედეგი, ამიტომაც ის არის მისი საკუთრება. რამდენადაც შრომა და უნარი არის ადამიანის, ამდენად მისივეა საკუთრება. ამ შრომის საფუძველზე მოპოვებული ნივთები ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაიტანება[2]

მოძრავი საკუთრება ღებულობს სათავეს პირადი საკუთრებისაგან და პირადი საკუთრება აძლევს მოძრავ საკუთრებას თავის თვისებებს.

ავტორი ეხება მიწის საკუთრების საკითხს.

ადამიანები დიდ უხერხულობას, გაჭირვებას განიცდიდნენ, როცა თავიანთ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ბუნების მზამზარეული ნაყოფის მოგროვებითა და ნადირობის საშუალებით ცდილობდნენ. ასეთ საშუალებას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. ამან აიძულა ადამიანი მიწათმოქმედებაზე გადასულიყო. თითოეულმა ადამიანმა დაიკავა თავისუფალი მიწის ნაკვეთი და თავის მოთხოვნილებათა და ცოდნის გამოყენების მიხედვით დაიწყო მიწის დამუშავება; მიწაზე პროდუქტების მოყვანას სისტემატური ხასიათი მიეცა და ადამიანი ტკბებოდა შემოსავლის

---

[1] „Начертание...", стр. 73; 60.

[2] იქვე.

მუდმივობით, ის შეუდგა ბინადარ ცხოვრებას. მკვდარი მინდორი ადამიანმა გააცოცხლა, მას მოახმარა ადამიანმა თავისი ნიჭი, უნარი, ენერგია, შესწირა მას მოძრავი საკუთრება. მიწის ნაკვეთი ამიერიდან გახდა მისი კუთვნილება ბუნების კანონით. ამას ეწოდება მიწის საკუთრება[1].

მიწის საკუთრება წარმოიშობა პირადი და მოძრავი საკუთრებისაგან და სხვადასხვა მიმართებაში არიან ადამიანებისადმი. დასკვნის სახით ავტორი აღნიშნავს, რომ მოძრავი და მიწის საკუთრება წარმოიშობიან საჭიროებისა და პირადი საკუთრებისაგან და ამიტომაც ჩაითვლებიან ისინი ბუნებიდან მომდინარედ[2].

ავტორი განიხილავს ხელშეკრულების საკითხს. ყველა ადამიანი თავისუფალია, ისინი თანასწორნი არიან ერთმანეთს შორის პირადი საკუთრებისა და თავისუფლების მხრივ, აქედან დასკვნა: არც ერთ მათგანს არავისი ვალი არა აქვს, ანუ რაც ერთს მართებს მეორესი, ასევე არ მართებს მეორეს პირველის.

ხელშეკრულების საფუძველი, ავტორის აზრით, უნდა იყოს თავისუფლება, თავისუფალი ნება.

ადამიანები საზოგადოებაში შესვლისას დებენ ხელშეკრულებას. ხელშეკრულება შეიძლება იყოს ცხადი და ფარული.

ხელშეკრულება საერთოდ ნიშნავს ორი ან რამდენიმე პირის ნების შეთანხმებას რაიმე საკითხზე, რომელიც მას ეხება.

ადამიანები ურთიერთის დახმარების აღმოსაჩენად შეთანხმდებიან და დებენ ამის შესახებ ხელშეკრულებას[3].

ხელშეკრულებები უნდა ემყარებოდეს ადამიანის ნება-სურვილსა და თავისუფლებას; ამიტომ ხელშეკრულება უნდა შეესაბამებოდეს საჭიროებასა და შესაძლებლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკ-რულებას არ უნდა ჰქონდეს ძალა.

1. ხელშეკრულება უნდა ემსახურებოდეს ხელშეკრულების დამდები მხარეების ინტერესებს;

2. ხელშეკრულება უნდა იყოს შედეგი თავისუფალი ნების გამოცხადებისა.

ხელშეკრულების ძალა დაკარგულია:

---

[1] „Начертание...", стр. 72; 59.

[2] იქვე, გვ. 75; 61.

[3] იქვე.

1. როცა ხელშეკრულება არღვევს ანუ ავნებს ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის პირად საკუთრებას.

ასეთი ხელშეკრულება არის ძალადობის შედეგი, თორემ თავისუფლების მქონე ადამიანი თავისთვის საზიანო ხელშეკრულებას არ დადებდა;

2. როცა ხელშეკრულება დადებულია გონებრივად არანორმალური ადამიანის მიერ.

ხელშეკრულება შეწყვეტს მოქმედებას:

1. როცა შესრულდა ის პირობა, რასაც ხელშეკრულება ითვალისწინებდა;

2. როცა მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების გაუქმებაში;

3. როცა ერთ-ერთმა მხარემ დაარღვია ის;

4. როცა პირობები, რამაც გამოიწვია ხელშეკრულების დადება, აღარ არის.

ხელშეკრულება წარმოიშობა თვითონ ბუნებიდან. ის ბუნებრივად ზღუდავს თავისუფლებას ან საკუთრების რომელიმე სახეს; ამავე დროს, ხელშეკრულება ანაზღაურებს ამას ან კიდევ მეტი სარგებლობას მოუტანს ხელშეკრულების დამდებ მხარეებს, ვიდრე ეს შეზღუდვა ან ზიანი იყო.

ამიტომ მხარეები ბუნებრივად ვალდებულნი არიან დაიცვან ხელშეკრულების პირობები, და თუ ერთ-ერთი მხარე არ ასრულებს ამ პირობებს, მეორე მხარეს შეუძლია აიძულოს მაინ შესრულება, თუკი თვითონ ზუსტად ასრულებს ხელშეკრულებას.

დაბოლოს, ავტორი ჩერდება გაცვლის საკითხზე: როდესაც ადამიანს აქვს საჭიროება რომელიმე საგნისა და ამავე დროს მას აქვს საჭიროზე მეტი სხვა საგანი, ის იძენს საჭირო საგანს და სამაგიეროდ აძლევს თავისას, რაც მას ჭარბად აქვს. ამას ეწოდება გაცვლა-გამოცვლა[1].

საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ი. ჭილაშვილის შეხედულებანი თავის დროისათვის უაღრესად პროგრესულია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ნაშრომი გამოცემულია 1812 წელს: ეს ის პერიოდია, როდესაც რუსეთში რეაქციულ-პოლიციურმა დესპოტიზმმა ყველაზე უფრო უხეში და შიშველი სახე მიიღო, როდესაც ალექსანდრე I-ს სამხედრო დასახლებათა გზით რუსეთი უზარმაზარ კაზარმად უნდოდა გადაექცია. ამ დროს ი. ჭილაშვილი, როგორც ზემოთ ვთქვით, თავის შრომაში წერს: „ადამიანი ხელმძღვანელობს რა ბუნების კანონით,

---

[1] „Начертание...", стр. 76; 63.

შეუძლია თავისი ნება-სურვილის მისაბაძვით გამოიყენოს თავისი ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობანი, ე.ი. მას შეუძლია თავისუფლად იმოქმედოს, რომ ადამიანი ბუნებითი სამართლის მიხედვით თავისუფალია.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

6. ბარათაშვილის მაღალმხატვრულ შემოქმედებაში აისახა სინამდვილით გულნატკენი ადამიანის განცდები და ეპოქის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი იდეები.

1832 წლის შეთქმულების დროს ნ. ბარათაშვილი 15 წლისა იყო. შეთქმულების დამარცხების შედეგად ქართველ საზოგადოებას შეთქმულთა სახით თავისი საუკეთესო ნაწილი გამოაკლდა. წლების განმავლობაში რეაქციის მეუღლეობებას სალი, მებრძოლი აზრი აღარ არღვევდა. სწორედ ამ მოდუნების ხანაში ვენიოსმა პოეტმა მტკიცედ აიღო ხელთ შეთქმულთა სანუკვარი ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის დროშა, ღირსეულად ატარა და ასევე ღირსეულად გადასცა იგი თერგდალეულებს.

ჩვენი მიზანია, შევისწავლოთ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოლიტიკური შეხედულებები, რისთვისაც შევეხებით XIX ს-ის საქართველოში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის იმ მხარეს, რომელიც ასახავს სახელმწიფოებრივი წყობილებისა და საგარეო ორიენტაციის საკითხებს.

ნ. ბარათაშვილს პოლიტიკური შინაარსის ტრაქტატი არ დაუწერია, პოეტის შეხედულებები მისსავე მხატვრულ შემოქმედებასა და პირად წერილებშია ასახული. ამიტომ, როდესაც პოეტის პოლიტიკურ შეხედულებათა შესწავლას ვისახავთ მიზნად, უნდა ვავითვალისწინოთ პოეტის პირადი და საზოგადოებრივი ტკივილები. მათი გამომწვევი მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს პოეტის შემოქმედების საერთო ხასიათი და მიმართულება.

პოეტი მტკივნეულად განიცდიდა საშობლოს სვედრს. კ. მამაცაშვილსა და ჭაბუკ პოეტს შორის ერთ-ერთი საუბრის დროს ნიკოლოზი მხიარულ გუნებაზე ყოფილა, მაგრამ როცა სიტყვა ჩამოვარ-დნილა საქართველოს ისტორიაზე, მისი სახელმწიფოს დასასრულზე, კრწანისის ტრაგედიაზე, ნ. ბარათაშვილს ცრემლები წასკდომია და უთქვამს: „ჩვენმა უხეირობამ დაგვლუპა, ვაი ჩვენი ქართლის ბედიო“[1].

---

[1]კონსტანტინე მამაცოვი, ნ. ბარათაშვილი. 1893, გვ. 5.

პოემაში „ბედი ქართლისა“ დახასიათებულია საქართველოს უკანასკნელი პერიოდის მდგომარეობა. პოემა კრწანისის ბრძოლის აღწერით იწყება.

ერეკლე II უფალს შეავედრებს თავის სამეფოს შემდეგი სიტყვებით: დადგა სქართველოს განკითხვის ჟამი, მტერნი მოადგნენ საქართველოს, რომ „წარიტაცნონ შენნი ცხოვარნი“, დაგვეხმარე და გადაარჩინე საქართველო („და აღადგინე დღეს საქართველო“)[1], ერეკლე მიმართავს თავის ჯარს, რომელიც აღამაჰმად-ხანს უნდა შეებას: კადნიერი მტერი კარს მოგვდგომია: „საქართველოს დღეს გადაუწყდება თავისი ბედი და უბედობა, დღეს ეჭირება მამულს მხნეობა“, მე თქვენთან ვიბრძოლებ, როგორც ერთ-ერთი მებრძოლი[2].

დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. „მრავალთ ყმაწვილთ — კაცთ, ნუგეშთა ქართლის, დასდვეს აქ თავი მამულისათვის.

პოეტი აქებს და ადიდებს იმ გმირებს, რომელთაც სამშობლოსათვის თავის დასდეს. მათი გმირობა დაუვიწყარია, ის საშვილიშვილოდ გადაეცემა მომავალ თაობას, როგორც ლეგენდა. ვიდრე საქართველო იქნება, მანამდე მათ არ დაივიწყებენ.

პოემის მიხედვით, დამარცხებული სპარსეთის ჯარი უკან გასაბრუნებლად ემზადებოდა, რომ ქართველები იუდამ გასცა. მოღალატეებმა „აჰყარეს მამულს სიმტკიცის ბჭენი“[3] და აღამაჰმად-ხანმა თბილისი აიღო. ერეკლე II იძულებული იყო ბრძოლის ველს გასცლოდა. მან არაგვის ხეობას შეაფარა თავი და აქ იმართება საუბარი ერეკლესა და სოლომონ ლიონიძეს შორის საქართველოს მომავლის შესახებ.

ერეკლე ეუბნება სოლომონს: გავაერთიანე ქართლი და კახეთი, გავიერთგულე ქართველები, მეგონა რომ „ჩემს ხელმწიფობას განუმზადებდი ჟამკეთილობას“, ამის ნაცვლად კი „რაი მომაპყრეს მე ჩემთა ძეთა და ვინ ახარეს“. ერეკლე აქ იმას გულისხმობს, რომ ფეოდალურმა პატრიკულარიზმმა, დაქუცმაცებულობამ მიიყვანა საქართველო დაღუპვის კარამდე. საქართველო გვიანფეოდალურ ხანაში სათავადოებად იყო დაყოფილი. სათავადოები მეფის ხელისუფლებას არ ემორჩილებოდნენ. ერეკლე შეეცადა მათს ალაგმვას, ზოგი მათგანი გააუქმა, ზოგი კიდევ, ასე თუ ისე, დაიმორჩილა. გაუქმებულ სათავადოებში უფლისწულები,

---

[1]ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზ. 1954, გვ. 64.

[2]ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზ., 1954, გვ. 65.

[3]იქვე. გვ. 68.

თავისი შვილები ჩააყენა, მაგრამ ბატონიშვილები ისევე არ ემორჩილებოდნენ მეფეს, როგორც თავადები. ჩვენამდე მოღწეულია, ერეკლე II-ის წერილი გორელებისადმი, რომლეშიც მეფე სთხოვს მათ, რომ არ მიღონ ბატონიშვილის ბრძანებები და მათი მოხელეები, არ მისცენ მათ გადასახადები[1]. აქედან ის ჩანს, რომ მეფეს ბატონიშვილებიც ისევე ეურჩებოდნენ, როგორც მსხვილი თავადები.

ცნობილია, რომ ერეკლეს 30-40 ათასიანი ჯარის გამოყვანა შეეძლო აღამაჰმად-ხანის წინააღმდეგ, მაგრამ შვილებმა და მსხვილმა თავადებმა ჯარი არ მიაშველეს, ფეოდალურმა სეპარატიზმმა ხელი შეიწყო მტრის გამარჯვებას.

ერეკლემ კარგად იცის ყველაფერი ეს და ეუბნება სოლომონს, კრწანისი ტრაგედიის შემდეგ სპარსეთი, ოსმალეთი და ლეკები აღარ მოგვასვენებენო. ამიტომ, მეფეს ქართველი ხალხის ბარბაროსული გარემოცვიდან გამოყვანისა და მოზღვავებული გარეშე მტრების მოგერიების ერთადერთ საშუალებად ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან დაკავშირება მიაჩნია. მისი აზრით, უამისოდ საქართველო „დაჩიხულობას" თავს ვერ დააღწევს და სხვ.

საერთოდ, პოემის ავტორს ვერ მოვთხოვთ ისტორიული ვითარების სიზუსტით გადმოცემას. პოემაში მითითებულია, რომ ერეკლეს თითქოს განზრახული ჰქონდა სამეფოს „გადაცემა", თავისი „მემკვიდრეობის" ჩაბარება რუსეთისათვის[2], რაც ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფერება.

პოეტი, როგორც ჩანს, 1801 წ. ცნობილი ისტორიული აქტის გავლენით მსჯელობს და ამ წელს მომხდარი შეერთების აქტზე მაშინ ხალხის გარკვეულ წრეებში მოარულ შთაბეჭდილებას გადმოსცემს. ამავე დროს მას, როგორც ჩანს, კარგად ესმოდა სხვადასხვა შეხედულებათა არსებობა 1783 წ. და 1801 წ. მომხდარი აქტების შესახებ. ამიტომაც მას მოაქვს ცნობილი დიალოგები ერეკლე მეორესა და სოლომონ ლიონიძეს შორის.

აღნიშნულ დიალოგში პოეტი ერეკლე II-ს მიაწერს გადაწყვეტილებას ქართული სამეფოს რუსეთისათვის „გადაცემის" შესახებ, სოლომონი სამეფოს დამოუკიდებლობის თანამიმდევრულ დამცველად გვევლინება. სინამდვილეში ერეკლე და სოლომონ ლიონიძე რუსეთთან ურთიერთობაში

---

[1]საქართველოს სიძველენი, I, ექვთ. თაყაიშვილის რედ., გვ. 209-210.

[2]ნ. ბარათაშვილი, თხზ., 1954, გვ. 71-72.

ერთ თვალსაზრისს იზიარებენ, რომ დიდი ქრისტიანული იმპერიის სამხედრო და მატერიალური დახმარების მიღების ხელი უნდა შეეწყო საქართველოს აღდგომა-გაძლიერებისათვის, ისე რომ მას, საბოლოო ანგარიშში, დამოუკიდებელი არსებობისათვის საფუძველი მოემზადებინა.

„ძლიერი ქვეყნის სოფარეულში შესვლა საქართველოს მესვეურებს დროებით ღონისძიებად მიაჩნდათ და ისე ესმოდათ, რომ მფარველს მათი გაძლიერებისათვის, ხელი უნდა შეეწყო. ამ გზით უნდა მიეღწიათ საოცნებო მიზანლისთვის, როცა არავითარი „მფარველი" საჭირო აღარ იქნებოდა, როცა საქართველო თვითონვე შეძლებდა თავის დაფარვას, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვას"[1]. სოლომონ ლიონიძე მართალი, დამოუკიდებელი საქართველოსათვის თაყდადებული მებრძოლი იყო, მაგრამ მას სწორია, რომ ჩვენს ქვეყანას ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს — რუსეთის მფარველობა და დახმარება ესაჭიროებოდა. იგი ერეკლესთან ერთად 1783 წ. ტრაქტატის მომხრე იყო, ვიდრე რუსეთის რეალური ზრახვები გამოიკვლევნებოდა. „მისივე ინიციატივით 1790 წ. ივერიელ მეფე-მოვაჭართა ტრაქტატის მონაწილენი, 1793 წ. საერთო მფარველობას სთხოვდნენ რუსეთის იმპერატორს". ს. ლიონიძე ბოლომდის დარჩა რუსეთთან საქართველოს 1783 წ. ტრაქტატის საფუძველზე აღიარებული ურთიერთობის დამცველად[2]. ასე რომ, ერეკლესა და სოლომონს შორის ქართული სახელმწიფოს ინმაგალი განვითარების საკითხებზე რაიმე არსებითი წინააღმდეგობა არ ყოფილა.

ნიკოლოზ ბარათაშვილს ამ შეკითხვებში, როგორც ჩანს, სურდა წარმოეჩინა ქართული საზოგადოების ზედა ფენებში იმ დროს არსებული ორი მოწინააღმდეგე პარტიის თვალსაზრისი: 1783 წ. ტრაქტატის დამცველებს ეწინააღმდეგებოდა ფეოდალთა მცირერიცხოვანი ჯგუფი (რუსოფილური პარტია), რომელიც რუსეთთან სრული შეერთების მომხრე იყო[3].

ნ. ბარათაშვილი სოლომონ ლიონიძეს სახელით, როგორც ჩანს, უპირისპირდება არა ერეკლეს, არამედ აღნიშნული რუსოფილური პარტიას[4].

სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული პოემასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, პოემაში ობიექტურად არის ასახული რუსეთთან შეერთების

---

[1]საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1974 წ., გვ. 16.
[2]იქვე, გვ. 869.
[3]იქვე, გვ. 803-804.
[4]ნ. ბარათაშვილი, თხზ., გვ. 72.

საკითხზე ორი მოპირდაპირე შეხედულება — ერთი მხრით, ერეკლე II-სა და მის მომხრეთა, ხოლო მეორე მხრით, სოლომონ ლიონიძისა და მისი თანამოაზრეებისა. თვით ავტორის — ნიკოლოზ ბარათაშვილის შეხედულება კი პოემაში არა ჩანს, პოეტს თავისი მოსაზრება არ გამოუთქვამს. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, პოეტი სოლომონ ლიონიძისა და მისი მეუღლის პირით გველაპარაკება, ზოგიერთი მკვლევარის აზრით კი პოეტი ერეკლე II-ის თვალსაზრისზე დგას.

ეროვნული თავისუფლების მოტივებზეა აგებული „ბედი ქართლისაში" გადმოცემული გასაუბრება სოლომონ ლიონიძესა და მის მეუღლეს (სოფიოს) შორის[1]. საუბარში, როგორც ჩანს, ნაგულისხმევია 1801 წ. ცნობილი აქტის მომდევნო პერიოდი, როცა თავისუფლებას მოკლებული ხალხი სამხედრო-კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდა და მრავალი „ამბოხება" ხდებოდა ცარიზმის ბრჭყალებისაგან სამშობლოს განსა-თავისუფლებლად.

1832 წ. შეთქმულებაც ერთ-ერთ ასეთ „ამბოხს" ამზადებდა და სწორედ ამ „შეთქმულთა იდეური მემკვიდრე"[2] იყო ნიკოლოზ ბარა-თაშვილი. მაშასადამე, პოეტი, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთებას ამართლებს, იმავე დროს 1832 წ. შეთქმულების მომხრეცაა და ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლიც. სოფიოსადმი თავის სიტყვაში სოლომონს საკითხი ისე აქვს დასმული, რომ თითქოს პასუხიც იგულისხმება: ქალები ფუფუნებით იცხოვრებთ, ახალ ვითარებაში რუსეთთან შეერთების შედეგად, და მეტი რაღა გინდათ, კმაყოფილი იქნებითო. ამ გამომწვევ კითხვაზე სოფიო პასუხობს: „უწინამც დღე კი დამელევა მე! უცხოობაში რაა სიამე. სადაცა ვერ ვის იკარებს სული და არს უთვისო, დაობლებული? რა ხელს ჰურის ჰატივს ნაზი ბულბული გალიაშია დატყვეკებული?... ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება, თუ მოაკლდება თავისუფლება?"[3].

ეს შესანიშნავი ადგილია პოემისა. საყურადღებოა, რომ სწორედ სოფიოს სიტყვებით პოეტი თავის შეხედულებას უნდა გამოთქვამდეს თავისუფლების შესახებ. ამის დამადასტურებელია მისი ლექსი „სუმბული და მწირი". სუმბული სიმბოლურად ტყვეობაში მყოფ საქართველოს

---

[1]ნ. ბარათაშვილი, თხზ. გვ. 77.

[2]აკაკი გაწერელია, ნიკოლოზ ბარათაშვილი, 1968, გვ. 12.

[3]ნ. ბრათაშვილი, თხზ. გვ. 77-78.

ნიშნავს. მწირი ეკითხება სუმბულს: სდ არის შენი სილამაზე, რომლის ჭვრეტით ვერ ძღებოდა ადამიანი, სად არის შენი სურნელება, რომლითაც ათრობდი მყნოსველსო. სუმბული უპასუხებს: „ხომ ხედავ მოეჭკლებივარ ჩემს სამშობლოს,... ჩემთ სწორთ", ვარ დატყვევებული, ველარ ვუყურებ ჩემს სამშობლოს ცას და აბა რა გამახარებს. დამეკარგა სილამაზეც, სურნელებაც, ვიმყოფები „ბნელსა სადგურს" სევდიანიო[1].

მწირი ეკითხება: ნუთუ ვერ ჰპოვებ აქ თავისუფლების სანაცვლოს. თავისუფლებას კი ხარ მოკლებული, მაგრამ „ოქროთი და ვერცხლით გიმკობენ სადგურს", ისე გინახავენ, რომ ზედმეტ მზესა და სიცივეს არ გაკარებენ, ეს არ გაკმაყოფილებსო? და სხვ...

სუმბული უპასუხებს: „ჰე, მწირო, სოფლად ყოველსა აქვს ეამი და ბოლო, მაგრამ ამას ვწუხ, რომ უეამოდ მეღების ბოლო", თუ თავისუფლება არ მექნება, სიცოცხლე არ მინდა და შევტრფი იმ დროს, როცა თავისუფლად გავიჭრები ველად და იქ შეკეყრები ჩემს საკრფოსო[2].

როგორც ვხედავთ, პოეტისათვის სამშობლოს თავისუფლება ყველაზე მაღალი იდეალია. ტყეობაში, უცხოობაში სიცოცხლე არც სოფიოს უნდა და არც სუმბულს არც სურთ. ისინი ოქროსა და სანახლეებს არარად აგ-დებენ, ოღონდ თავისუფალნი იყვნენ.

პოეტის აზრით, მისი დროის ქართველი თავადაზნაურობის წრის ქალები (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, მაგ., სოფიო...). საერთოდ თავადაზნაურობა, შეურიგდა ცარიზმს, მდიდრულ ცხოვრებასა და ჩინ-ორდენებს ანაცვალა სამშობლოს სიყვარული.

რეაქციული ქართველი თავადაზნაურობა 1848 წ. 24 აპრილის მიმართვაში ნიკოლოზ I-ის მიმართ გამოთქვამდა თავის უკმეშეკლილობილეს მორჩილებას, ერთგულებას და სთხოვდა საშუალება მიეცა მისთვის სიყვარული და თავდადება ეჩვენებინა თავისი სამსახურით, ქვეყნის შიგნით ან ქვეყნის გარეთ იმ რევოლუციური ძალების დასაორგუნად, რომელსაც შეეძლო რაიმე საფრთხე შეექმნა ცარიზმისათვის. ნიკოლოზ I-მა ამ მიმართვას დააწერა: „გულითადი მადლობა კეთილშობილური გრძნობებისათვის"[3].

როგორც ვხედავთ, ნიკოლოზ ბარათაშვილმა სწორად აუცილა ალეი

---

[1]ნ. ბარათაშვილი, თხზ. გვ. 40-41.

[2]იქვე, გვ. 41.

[3]АКАК, т X. 1885, С. 26.

ქართველ რეაქციონერ თავადაზნაურობას, რომელმაც, როგორც კლასმა, მონახა საერთო ენა ცარიზმთან და მის სამსახურში ჩადგა. ამდენად ეროვნული საკითხი ამ თავადაზნაურობისათვის უკვე აღარ არსებობდა. ასეთი იყო ქართველი თავადაზნაურობის უდიდესი ნაწილის პოზიცია XIX ს-ის ორმოცდაათ წლებში.

რასაკვირველია, თავისუფლება სჯობდა, მაგრამ მისი შენარჩუნება შეუძლებელი გახდა. ახლა კი, ამ შეერთების შემდეგ, საქართველოში გავრცელდა განათლება, აღიზარდა ქართველ პატრიოტთა თაობა, რომელიც იბრძვის და მიაღწევს კიდეც საქართველოს სახელმწიფოს აღდგენას, თავისუფლებას, საამისო პირობები მზადდება. მართალია, 1832 წლის შეთქმულება დამარცხდა, მაგრამ ბრძოლა გრძელდება და „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება"[1]; უნდა ვიბრძოლოთ და, „რადგანაც კაცნი გვქვიან — შვილნი სოფლისა", ამ „სოფლისათვის" უნდა ვიზრუნოთ და მიზანსაც მივაღწევთ. ასეთია ნიკოლოზ ბარათაშვილის აზრი.

ილია ჭავჭავაძე

სახელმწიფოსა და სამართლის თვალსაზრისით ილიას ნაშრომები ნაკლებად არის შესწავლილი. ამ თვალსაზრისით მათი შესწავლა კი აუცილებლად საჭიროა, მით უფრო, რომ ილიას სამართლებრივი შეხედულებები მისი მთლიანი მსოფლმხედველობის ორგანული ნაწილია. ამ შეხედულებათა შესასწავლად საჭიროა გათვალისწინება იმ ძირითადი საფუძვლებისა, რომლებზეც დამყარებულია ილიას მსოფლმხედველობა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი აზრის ისტორიის შესწავლის საქმეს პროფ. პ. რატიანმა თვალსაჩინო კვალი დაუტოვა. მან დიდი შრომა გასწია ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის შესასწავლადაც, მაგრამ მისი შეხედულებების უკრიტიკოდ მიღება და გაზიარება ჩვენ არ შეგვიძლია. მხედველობაში გვაქვს პ. რატიანის დებულება ილიას მარქსიზმთან „მიახლოვების" შესახებ[2].

პ. რატიანის შეხედულების წინააღმდეგ შეიძლება შემდეგი ვთქვათ:

1. ილია ბატონყმობის წინააღმდეგ გააფორებით იბრძოდა. ეს ბრძოლა

---

[1]ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზ. 1954, გვ. 48.

[2]პ. რატიანი, თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან, 1961

გადაგვარებული თავადაზნაურობის წინააღმდეგ ბრძოლასაც ნიშნავდა. ილია წოდებებს სათანადო ფუნქციებს აკუთვნებდა. თავადაზნაური მეომარი იყო, გლეხი — მიწის მუშა. ილიას აზრით, ფეოდალური წოდება, რომელიც წარსულში ჯანსაღი საზოგადოებრივი ძალა იყო, XIX ს-ის მეორე ნახევარში დაქვეითდა, პოეტი ამიტომაც ზრუნავდა თავადაზნაურობის სულიერი გაჯანსაღებისათვის.

2. ილია არასოდეს მარქსიზმთან არ „მიახლოებულა". მისი აზრით, საქართველოს თავისი განვითარების გზა ჰქონდა და მისთვის არ იყო სავალდებულო კლასთა ბრძოლის გამწვავება.

XIX ს-ის 80-იანი წლებიდან ილიას პოლიტიკურ შეხედულებათა ძირითადი არსი წოდებათა შერიგებისათვის ბრძოლაა. ილიას აზრით, წოდებებს შორის ფუნქციებია განაწილებული. ილია სწორედ ფუნქციების მიხედვით წოდებათა თანამშრომლობას ემყარებოდა: ხმლისა და გუთნის დაკავშირება განსაზღვრავდა მის თეორიულ მოძღვრებას.

ილიას, როგორც განმანათლებელს, სწამდა, რომ მისი ვალია ემსახუროს მთელ ხალხს და არა რომელიმე კლასს. ილია ღრმად დარწმუნებული იყო, რომ მთელი ქართველი ხალხის ინტერესების სადარაჯოზე იდგა.

ილია საქართველოში პირველი დასის მეთაური იყო. მას ამ დასის სოციალურ დასაყრდენად მიაჩნდა სოფლის მოსახლეობა წოდებათა განურჩევლად. ეს დასი საზიანოდ თვლიდა კლასთა ბრძოლას[1]. ილია ჭავჭავაძე და მისი დასი ხალხის სახელით გამოდიოდნენ და ამტკიცებდნენ, რომ მთელ ხალხს ემსახურებოდნენ. როცა ილია (1906 წლის აპრილში) სახლმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს, მან მაშინდელ პეტერბურგში კორესპონდენტებს განუცხადა: „სახელმწიფო საბჭოში მე ამომირჩია თავადაზნაურობამ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოში მე მარტო აზნაურ-თავადთა საჭიროებაზე ვილაპარაკებ. თუ ამას ფიქრობენ ზოგნი ჩემნი ამომრჩეველნი... ეს დიდი შეცდომაა. სახელმწიფო საბჭოში თუ თავადაზნაურთა სახელით შევდივარ, ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა. არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში მთელ საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები"[2].

---

[1]საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, 1970, გვ. 479.

[2]ჟურნ. „განათლება", 1908, № 3-4. გვ. 108; (მ. ბოლქვაძე, ახლო წარსულიდან, ილია ჭავჭავაძე რუსეთში 1906-1907 წ.).

„მგზავრის წერილებში“ ილიას, თუ შეიძლება ასე ითქვას, მომავალი მოღვაწეობის პროგრამაა მოცემული. როგორც ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისაში“, ისევე „მგზავრის წერილებში“ ეროვნული საკითხის შესახებ მსჯელობა და შეხედულებათა გამოთქმა დიალოგის სახით არის მოცემული.

ილია ეკითხება მოხევეს: რით იყო უკეთესი „უწინდელი“ წესი?

მოხევე უპასუხებს: უწინ „ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკეთ“[1]. უწინ, მოხევის გადმოცემით, ერი ერობდა, ახლა კი „ერი დავარდნილ, გალახულ არნ, ვრდომილ-კრთომილი. წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წესთ-წყობაი“. წახდა ქვეყანა, ცხოვრება აღარ ღირსო, ჩივის მოხევე[2].

ილია ეუბნება მოხევეს, მართალია, ძველი წესები მოისპო, დაიკარგა თავისუფლება, მაგრამ სამაგიეროდ ხომ მშვიდობიანობა დამყარდაო. ამაზე ილიას მოხევე პასუხობს: „რაი ვაქნევ ცარიელ მშვიდობას, ცარიელ სტვამაქით. რა არის მშვიდობა? უხმარ სატევარს ჟანგი დაედვის, უსრბოლო წყალჩი ბაყაყნი, ჭიაჭუალი, ქვემძრომი გამრავლდის. უდ(ეგარ, უსვენარ თერგჩი კი კალმახი იცის“. იქვე განაგრძობს: „რაი არნ მშვიდობა ცოცხალ კაცთათვის? რაი არნ მტრობა თუ ერი ერობს? ცარიელი მშვიდობა მიწაშიც გვეყოფის“...[3].

ილია დასძენს: „მიგიხვდი, ჩემო მოხევე, რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლეტი, ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რალაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დარჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის... ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, ამომეც ამის პასუხი“.

მეტად საყურადღებოა ილიას შეხედულება პატრიოტის მოვალეობის შესახებ. ილია „გლახის ნაამბობში“ წერს: „სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დედისაა, აც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა“.

---

[1]ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, პავლე ინგოროყვას რედ., 1951, გვ. 28.

[2]ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. II, პავლე ინგოროყვას რედ., 1951, გვ. 28.

[3]იქვე, გვ. 28-29.

ილიას მამული განუსაზღვრელად უყვარს. „... ჩვენი აკვანი საქართველოა, ჩვენი მამა-პაპის საფლავი საქართველოა, ჩვენის ენის ქვეყანა ეს არის, ჩვენის სიტყვა-პასუხის გამგონი ეს არის, ჩვენი მზე აქ არის და ჩვენი მთვარე, და თუ გული გაქვს — გულიც აქ არის, თუ სიყვარული გაქვს — სიყვარულიც აქ თუ იქნება, თორემ სხვაგან სადა?", წერს ილია „გლახის ნაამბობში".

პავლე ინგოროყვა მართებულად შენიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძემ, საერთოდ, თავის შემოქმედებაში და, კერძოდ, პოემა „აჩრდილში", სრულიად ახალ სიმაღლეზე აიყვანა საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგია, და დაუკავშირა ერის განთავისუფლების საქმე შრომის განთავისუფლების საქმეს, — გარკვეული სამოქმედო პროგრამა დასახა"[1].

ილია უკმაყოფილოა იმით, რომ XIX ს-ის პირველ ნახევარში და 60-იან წლებამდე, მის სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლამდე თავადაზნაურობა შერიგებული იყო რუსულ მმართველობას და აღარ იბრძოდა ეროვნული თავისუფლებისათვის.

ილია ებრძვის უიმედობას, ის მოითხოვს ყოველი ქართველისაგან პატრიოტულ თავდადებას, საქმის გონივრულად განჭვრეტას, მოქმედებას და არა ტირილსა და უბრალოდ დროის დაკარგვას. ილიას აზრით, წარსულის სიყვარული მომავლის ხიდი უნდა იყოს, თორემ საერთო საქმე, სამშობლოს აღდგენა შეუძლებელი იქნება[2].

დიდსა და პატარას, ყველას უნდა სტკიოდეს მამულისათვის გული, ადამიანს დიდ ბედნიერებად უნდა მიაჩნდეს, თუ სამშობლოს შესწირავს თავს.

მაგრამ სად არის გმირი — კითხულობს ილია, — რომელიც სამშობლოსათვის თავს დასდებს, სამშობლოს გამოიხსნის? დანაღვლიანებულია სამშობლო, რომელიც „უცხო კალთის ქვეშ ვითა ობოლი შეფარებულა" და მისთვის მებრძოლთ ვერა ხედავს[3]. „აჩრდილი" მოწოდებაა ერის განთავისუფლებისათვის. ამასთანავე, ამ პოემის ავტორს

---

[1]პავლე ინგოროყვა, ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული. ტ. I, 1951, გვ. 37.

[2]ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. I, 1951, გვ. 135.

[3]იქვე, გვ. 137.

მეტად აღშფოთებს სოციალური უსამართლობა, ბატონისა და მშრომელის ურთიერთობა. მშრომელი დღე და ღამე ოფლის ღვრით, ვაი-ვაგლახით ცხოვრობს, ხოლო ბატონი უზრუნველად ითვისებს მის ნაოფლარს.

მაშასადამე, ილია, ეროვნულ თავისუფლებასთან ერთად, შრომის თავისუფლებასაც მოითხოვს. ამ ორივე საკითხს ილია თანაბარი სიძლიერით სვამს. სოციალური თანასწორობის საკითხს ილია უტოპისტ სოციალისტების მსგავსად აყენებს. მისი აზრით, ძმობა, ერთობა და თავისუფლება მაშინ დამყარდება, როცა გაიმარჯვებს ქრისტეს წმინდა ცნება კაცთმოყვარების შესახებ, იმ ქრისტესი, რომელიც მშრომელის დახსნისათვის ჯვარს ეცვა.

ილია ეროვნულ საკითხს უბრუნდება და ქება-დიდებით იხსენიებს წინაპრებს, რომლებიც იბრძოდნენ დამპყრობლების წინააღმდეგ, სამშობლოს განსათავისუფლებლად; შენატრის იმ დროს, როცა ქართველები ერთიანი იქნებიან, ტომობრივი დაყოფა აღარ იქნება. ამასთანავე, ქართველები, კავკასიის ხალხებთან გაერთიანებულნი, იბრძოლებენ თავისუფლებისათვის, მამულის აღდგენისათვის[1].

ილიას აწუხებს, რომ ქართველი ხალხი, როგორც საჭიროა, არ არის გაეროიანებული თავისუფლებისათვის ბრძოლაში. თავისუფლება კი, მისი აზრით, ადამიანთა ნავთსაყუდარია, „ჩაგრულის წვალებულის წმინდა საფარია"[2].

ასევე პატრიოტიზმით არის გამთბარი ილიას „დიმიტრი თავდადებული" და სხვ. ეს პატრიოტიზმი, სამშობლოს სიყვარული, არ ეწინააღმდეგება სხვა ხალხის სიყვარულს, პირიქით, ილიას პატრიოტიზმი სხვა ხალხის სიყვარულსა და საერთოდ ხალხთა თავისუფლებაზე იყო დამყარებული. ილია, ოსმალეთის წინააღმდეგ მიმართული საბერძნეთის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის შესახებ წერდა: „კაცთა საუბედუროდ, დღევანდელი დღე მუშტისაა, ძალა ჰხნავს აღმართსა. მით უფრო საქებ-სადიდებელია უღონო ჩაგრულთა მოქმედება. მე არ კეჭვობ, რომ მოვა დრო, და თავისუფლება და სამართალი, რომლის სახელით დღეს ბერძენი გამოდის, დაემჯობინება მთელ სპა-ლაშქარსა, წინაშე მათთა ხმას გაიკმენდს თოფი და ზარბაზანი. აქ არის ყოვლად-მხსნელი ღონე და სასოება ადამიანისა და ამის მაგალითს დღეს

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ. ტ. I, 1951. გვ. 149.
[2] იქვე. გვ. 151.

თაალწინ გვიყენებს ერთი მუჭა ერი საბერძნეთისა".

ჩვენ არ შევუდგებით იმის განხილავას, როგორ ესმის ილიას „თავისუფლებისა და სამართლის" დამყარება, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მთელი სიმპათია დაჩაგრული ბერძენი ხალხის მხარეზეა, რომელიც თავისუფლებისათვის იბრძვის[1].

ილია მხარს უჭერს კრიტელებს, რომლებიც ოსმალეთისაგან განთავისუფლებისათვის იბრძვიან, რადგანაც სამართლიანობა „ამ შემთხვევაში კრიტელთა მხარეზეა"[2]. ამასთან ილია წუხს, რომ „პოლიტიკაში არც სამართლიანობას, არც ზნეობას ადგილი არ უჭირავს და ყოველივე გამორჩენასა და ანგარიშს ექვემდებარება", რადგანაც „პოლიტიკაში ყოველთვის ძალა აღმართს ხნავს".

ილიას აღშფოთებს სომხების დევნა ოსმალეთში. „ყველამ აშკარად იცის, რომ ამას ყველა აშკარად ხედავს", რომ ოსმალეთი სდევნის და აწიოკებს სომხებს, რომ სომხებმა „საქებურად და სამაგალითოდ თავის გასწირეს" თავისუფლებისათვის და საჭიროა მათი დახმარება[3].

ილია ხმას იმაღლებს ებრაელთა დასაცავად, გმობს ანტისემიტურ მოძრაობას ევროპის სახელმწიფოებში და მოითხოვს ებრაელებისადმი სამართლიანობის გამოჩენას. იგი ილაშქრებს დამპყრობლების წინააღმდეგ და იმ აზრს გამოთქვამს, რომ კოლონიები უნდა განთავისუფლდნენ, ყოველ ხალხს უფლება უნდა ჰქონდეს თავის საქმეებს თვითონვე წაუძღვეს, ამიტომ ინგლისი და სხვა სახელმწიფოები, რომლებიც კოლონიურ ჩაგვრას ეწევიან, გამოძევებულ უნდა იქნენ კოლონიებიდან.

ილია ირლანდიას უჭერს მხარს ინგლისთან ბრძოლაში. ის თანაუგრძნობს 1870 წლის ომში დამარცხებულ საფრანგეთს; საფრანგეთი, ილიას აზრით, ვერ შეურიგდება ელზას-ლოტარინგიის დაკარგვას და. ამასთან დაკავშირებით, საფრანგეთის ომი გერმანიის წინააღმდეგ სამართლიანი იქნება.

ილია გმობს ბისმარკის პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს პოლონელების განდევნას პოზნანიდან[4] და სხვა.

---

[1]ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ. ტ. I, 1951, გვ. 141-142.

[2]იქვე, ტ. IX. გვ. 133, 150-152.

[3]იქვე, ტ. IX, 1957, გვ. 143-145.

[4]ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ. ტ. IX, გვ. 109, ლევან ასათიანი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1958, გვ. 280-287.

წერილში — „ზოგიერთი რამ“ — ილიას გამოთქმული აქვს შეხედულება საქართველოს ეროვნობის შესახებ. მისი აზრით, „პირველ ყოვლისა, თავადი, აზნაური, მოვდელი, ვაჭარი, გლეხი, ჩინიანი და უჩინო, სხვადასხვაობას გამოხატავს და არღვევს ეროვნობას, არ ჩანს ამ სხვადასხვაობაში ერთიანი ქართველი. ამ შემთხვევაში ილია იმ აზრს გამოთქვამს, რომ სოციალური დაყოფა არღვევს ქართველობის ერთიანობას. „გუთნისა და ხმლის“ კაუშირის მქადაგებელს კლასთა ბრძოლა მავნებლად მიაჩნია ჩვენი ხალხისათვის. სოციალური დაყოფა ხელს უშლის „საყოველთაო საქართველოს სიკეთისათვის“ ბრუნვას — ამბობს ილია[1].

დიდი მწერლის აზრით, გარდა სოციალური განკერძოებისა, ხალხის მთლიანობას, ერთიანობას, კუთხურობაც არღვევს. იმერელი, გურული, მეგრელი, კახელი „კერძოობითი მიღებული, განსაკოფელი სახელებია“ და ეწინააღმდეგება ქართველობის, მთლიანი საქართველოს ცნებას.

ყოველგვარი საზოგადოებრივი წყობილება, ილიას აზრით, „ამიტომ არის შემოღებული, რომ ადამიანი რამდენადაც შესაძლოა, ბედნიერი იყოს. ადამიანი ცალკედ ერთი სუსტი და ულონო დანაბადია“[2]. მისი ბუნება იმგვარად არის აგებული, რომ „ცალკე ყოფნით, მარტო ყოფნით ვერას გზით ვერ მიაღწევს ბედნიერებასა. ამიტომაც იძულებული იქნა თავის მსგავს დანაბადთან ერთად ემოქმედნა. ამ მიზეზმა იმოქმედა, რომ ბოლოს ადამიანთავან შესდგა საზოგადოება და საზოგადოებისაგან სახელმწიფო“. ღროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა საზოგადოებისა, სახელმწიფოსა და პიროვნების დამოკიდებულებათა სამგვარი ფორმა: 1. სახელმწიფომ საკუთებით დაიმორჩილა საზოგადოება და პიროვნება; 2. „ზოგან საზოგადოებამ თავისი კუთვნილი უფლება შეირჩინა და არ დაუთმო სახელმწიფოს, და ადამიანი კი ცალკედ თვის ყურმოჭრილ ყმად გაიხადა“; 3. ზოგან „კიდეც რიგორც სახელმწიფოში საზოგადოებას, ისეც საზოგადოებაში ცალკე ადამიანს, ან უკეთ ვსთქვათ — ადამიანის პიროვნებას, თავისი საკუთარი უფლება შერჩა“.

ილიას აზრით, უკეთესი წყობილება ის არის, როცა „თვითეულ ამათგანს თავისი კუთვნილი ადგილი უჭირავს, როცა თვითეულ მათგანს „თავის სრული უფლება მიწყული აქვს“[3]. ასეთი მდგომარეობისათვის

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ. ტ. III, 1958, გვ. 74.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ. ტ. IV, 1955, გვ. 177.
[3] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ. ტ. IV, 1955, გვ. 165-166.

ენდა იბრძოლოს ყოველგვარმა პროგრესულმა ძალამ, ხოლო ამისათანა სახელმწიფოში, სახელმწიფოს გარდა, თვითონ საზოგადოებაც, თავისი მფარველობის კალთას გადააფარებს ადამიანის პიროვნების უფლებასა და ყოველს შემთხვევაში ესარჩლება და ექომაგება მას.

მიწის საკუთრების და ხიზნობის შესახებ. საკუთრების შესახებ ილიას საყურადღებო შეხედულებები აქვს გამოთქმული ხიზნობის საკითხთან დაკავშირებით. ის, ამასთანავე, განიხილავს ხიზნობის ინსტიტუტს და ცდილობს მისი შინაარსის ამოხსნას.

ილია მიზნად ისახავს ხიზნობასთან დაკავშირებით მიწათმფლობელობის ფორმების შესწავლას. ამისათვის ის საჭიროდ სცნობს მიმართოს ისტორიული მოვლენების შესწავლის შედარებით მეთოდს.

ილიას აზრით, მოვლენის შესწავლისას „ადგილობრივი ვითარების" შესწავლა ზოგჯერ არ არის საკმარისი. მხედველობაშია მისაღები, რომ ზოგიერთი მოვლენა, — ნაწილი საზოგადოებრივი თუ ეკონომიკური წყობისა, თავისი წარმოშობით, ბურუსით არის მოსილი. ამღენად არ ხერხდება ამ მოვლენის ყოველმხრივ შესწავლა, თუ არ მივმართეთ ამ მოვლენების შესასწავლად სხვა ქვეყნების ისტორიას. ხიზნობის ინსტიტუტის შესასწავლად ილია მიმართავს ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, პორტუგალიის, რუსეთისა და ინდოეთის მაგალითებს, იქ ეძებს ილია ხიზნობის მსგავს ინსტიტუტს, ამ გზით ცდილობს ამ ინსტიტუტის შინაარსში ჩაწვდომას.

ილია აღნიშნავს, რომ ძველად სხვადასხვა ხალხს მიწა სათემო მფლობელობაში ჰქონდა; ამ დროს მიწის კერძო საკუთრება არ არსებობდა, მიწათმფლობელი იმავე დროს მიწის დამმუშავებელიც იყო; დროთა ვითარებაში ეს წყობა შეიცვალა, ჩაისახა კერძო საკუთრება მიწაზე.

კერძო საკუთრება შეიძლება გაჩენილიყო ორი ფაქტორით:

1. დაპყრობით, როდესაც დამპყრობელი დაპყრობილი ხალხის მიწებს ურთიერთშორის გაიყოფდა.

2. შრომის ნაადგზე, როცა თემის რომელიმე წევრი „ახოს გაძოიღებდა სათემო მამულში". მას „შეეძლო დაეჩემა ახოდ გამოღებული მიწა"[1]. აგრეთვე თემის წევრი „უხმარ მიწას სათემოში, ანუ ტყეს, შეეძლებოდა შესამუშავებლად", ასეთი მიწები „თემის ხელქვეითობიდან" გამოდიოდა[2].

---

[1]ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ. ტ. VI, 1956, გვ. 120.

[2]იქვე, გვ. 120-121.

ამგვარად გაიდგა ფეხი კერძო საკუთრებამ. თემს მიწები ხელიდან ეცლებოდა და აღარ ჰქონდა შესაძლებლობა თემის წევრები მიწებით დაეკმაყოფილებინა. უმიწო თემის წევრები თემის გარეთ გარბოდნენ თავის შესანახად. მეორე მხრივ გაჩნდნენ მიწათმფლობელები, რომლეთაც მრავალი მიწა ჰქონდათ და ეძებდნენ მუშა ხელს ამ მიწების დასამუშავებლად. ილიას აზრით, ამ გზით გაჩნდა: ბატონყმობა, ფერმერობა და ხიზნობა. ასეთ ვითარება იყო ყველა ხალხში: ჯერ იყო სათემო მიწათმფლობელობა, შემდეგ კი გაჩნდა კერძო საკუთრების სხვადასხვა სახე.

ილიას აზრით, პირველად სათემო მფლობელობა იყო ჩვენში. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ტყისა და საძოვრების სათემო მფლობელობა დიდხანს შემორჩა და XIX საუკუნესა და XX საუკუნეშიც კი არსებობდა.

მწერალი ფიქრობს, რომ კერძო საკუთრების გაჩენის შემდეგ დროთა მსვლელობაში, იმათ შორის, ვისაც მიწა ჰქონდა და ვისაც იგი არ ჰქონდა, მაგრამ სამუშაო ძალა მოეპოვებოდა, წარმოიშვა სხვადასხვა ფორმის ურთიერთობა: 1. ბატონყმობა, რომლის შინაარსი ყველასათვის ნათელია, 2. ფერმერობა, რომლის დროს ღალა, მამულის ქირით იცვლება და მიწის ქირავნობაც ვადიანია, 3 ერთხელ დადგენილი ღალა ანუ მიწის ქირა უცვლელია და მამულის ქირავნობაც უვადოა, ამას ილია იმ ურთიერთობად თვლის, რომელსაც საქართველოში ხიზნობა ეწოდება[1].

ამ ორ მოვლენას შორის (ფერმერობა და ხიზნობა) ილია იმ განსხვავებას ხედავს, რომ პირველში კერძო საკუთრება სრული სისავსით არის წარმოდგენილი (აქ კერძო საკუთრება ხელშეუხებელია), მეორეში კი (ხიზნობაში) — მოცემულია კერძო საკუთრების შეზღუდვა, გათვალისწინებულია უმამულო მუშის ინტერესები, ხიზნობა ემსახურება „საზოგადო გაჭირვებას". პირველი კანონს ემყარება, მეორე — ჩვეულებას[2].

ფერმერობასა და ხიზნობას, თავის მხრივ, სხვადასხვა ქვეყნებში თავისებურება ახასიათებს, მაგრამ უცვლელი ღალით უვადო მიწის დაჭერის მიზანი ის არის, რომ „მიწის საკუთრებაში ფეხი მაგრად მოაჭედინოს საზოგადო ინტერესების შესაფერის ელემენტსა".

ხიზნობის შინაარსი ის არის, რომ ერთს მამული აქვს და მუშა ძალა არ გააჩნია, მეორეს სამუშაო ძალა აქვს და მამული არ მოეპოვება,

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ. ტ. VI, 1956, გვ. 125.
[2] იქვე, გვ. 126.

რაც ილიას უსამართლობად მიაჩნია. მაგრამ ამას იმით ხსნის, რომ მუშა მრავლდება, მიწა კი „რაც არის ღვთისაგან გაჩენილი იმაზე მეტს არც იმატებს და არც იკლებს". რაკი, სამწუხაროდ, მიწა და ხელი განცალკევებულია", ისეთი დამოკიდებულება უნდა დავამყაროთ მემამულესა და უმიწო მიწისმოქმედს შორის, „რომელიც ამ მიწისა და ხელის განცალკევების ბოროტს უფრო ნაკლებ აგრძნობინებდეს". ასეთი დამოკიდებულება კი არის ხიზნობა, — ასეთია ილიას აზრი. იგი ილაშქრებს გაზ. „კავკაზის" წინააღმდეგ, რომელიც წერდა, მემამულეთა და ხიზნების დამოკიდებულების სამართლიანად გადაწყვეტა ის არის, რომ მიწა მიწის მუშას უნდა დარჩესო.

ილია ამის შესახებ წერს: „ეგ ძალმომრეობა იქნება და არა სამართალი. რომლითაც ადამიანი ადამიანობს ვით ზნეობრივი არსება, და რომლის გამოც ჩვენი ანდაზა ამობობს: „სამართლით ამოთხრილი თვალი არ მეტკინება". ილიას საკუთრება ხელშეუხებლად მიაჩნია, ის ამბობს, იმავე დროს „მუშაკის მარჯვენა თავისუფლად არის აღიარებული კანონის მიერ", ამიტომ ძალმომრეობა უნდა გამოვრიცხოთ[1], საკითხი უმრავლესობას სასარგებლოდ კი არ უნდა გადაწყდეს, თუ ამ უმრავლესობის მხარეზე სიმართლე არ არისო[2].

ილია ჭავჭავაძის აზრით, საკუთრება ორი ნაწილისაგან შედგება: „ერთი — პირადი, მეორე — ზოგადი"; საკუთრება არ არსებობს „ცალკე კაცის სარგებლობისათვის, რომ ნაამაგარი მისი შრომისა მასვე მოახმაროს, არამედ საზოგადოებრივი სარგებლობისათვის, რომ შესაძლო და დღეგრძელ ჰქმნას არსებობა თვით საზოგადოებისა"; საკუთრების ორ ნაწილად დაყოფას ილია იმით ამართლებს, რომ თვითონ ადამიანი თავისი ბუნებით „ორ მხარეს წარმოადგენს", ერთის მხრივ, ადამიანი, „ცალკე სულიერია", ცალკე პიროვნებაა, რომელსაც აქვს „თავისი პირადი, საკუთარი საგანი ცხოვრებისა და სხვაზე დამოუკიდებლად მიეზიდება ამ საგნებისაკენ".

საკუთრებაში ეს ორი მხარეა მოცემული: ა) პირადი, კერძო და ბ) საერთო, საზოგადოებრივი. ყველა ქვეყანაში, რომელიც უნდა ავიღოთ, საკუთრების ეს ორი ელემენტი ერთმანეთს ებრძვის. ყველა ერში, ყველა სახელმწიფოში ამ ბრძოლამ უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელი

---

[1]ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. VI, 1956, გვ. 137.

[2]იქვე, გვ. 135.

მხარე „აუფლეონ“ – საზოგადო თუ კერძო, – ასე ფიქრობს ილია.

პირველყოფილი ადამიანის დროს საკუთრებაში გაბატონებული იყო მისი საზოგადო მხარე, დროთა განვითარებაში მან თანდათანობით ადგილი დაუთმო კერძოს, პირადს, რომელიც „მთელი თავისი სისასტიკით“ ფეოდალიზმის ეპოქაში მოგვევლინება, როცა საკუთრებას „სხვა საგანი არა ჰქონდა-რა, ყარდა ცალკე კაცის პირადი კეთილდღეობისა“. მაშასადამე, ილია ფიქრობს, რომ ფეოდალიზმის დროს საკუთრებაში კერძომ ჩაყლაპა საზოგადო, ე.ი. ერთი მხრივ მამულები კერძო კაცია ხელში აღმოჩნდა, მეორე მხრივ ფეოდალიზმმა „განაშორა მუშახელი სამოქმედო საგანს – მიწას“. ამ გარემოებამ შეარყია „ბუნებრივი მდგომარეობა ეკონომიური ცხოვრებისა“. მაშასადამე, ილია ისევ ეკონომიურ წყობას უჭერს მხარს, როცა საკუთრების ეს ორი მხარე დაპირისპირებული არ არის ერთმანეთთან, როცა მიწისმოქმედს მიწა საკუთრებად აქვს. მაგრამ, ილია იმასაც ამბობს, რომ ეს ბუნებრივი მდგომარეობა ფეოდალიზმის დროს დაირღვა, საზოგადომ ადგილი დაუთმო კერძოს, რამაც უმამულო მამულიანს შეახვედრა. უიმისოდ შეუძლებელი შეიქნა არსებობა: მამულიანს მუშა – ხელი ესაჭიროებოდა, უმამულო მუშას – მამული. ეს არის სათავე ხიზნობისა. ხიზნობა ნებაყოფლობაზეა აშენებული[1]. იგი „ჭირსა და სიმშილს“ კი არ გამოუწვევია, როგორც ზოგიერთებს ჰგონია[2]. ხიზნობა სხვისი მიწის მოხმარების ერთგვარი სახეა, რომელიც ჩვეულებით არის გამტკიცებული და მთლიანად ნებაყოფლობაზეა დამყარებული. ხიზნობა რომ არ არის „ჭირისა“ და „სიმშილის“ შედეგი, ამის დასამტკიცებლად ილია იმას ასახელებს, რომ ხიზნობის მსგავსი ინსტიტუტი მრავალ ქვეყანაშია.

საქართველოში ხიზნობა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში სხვისი მიწისმფლობელობა ერთგვარ პრინციპზეა აგებული, თუმცა სხვადასხვა ქვეყანაში ეს ინსტიტუტი თავისებურია.

ხიზნობის ძირითადი შინაარსი ის არის, რომ შეზავებულია, შერიგებულია ერთმანეთთან უმიწო მუშისა და უმუშო მიწის ინტერესები და ეს შერიგება მორიგებაზე, ნებაყოფლობაზეა დაფუძნებული.

ხიზნობის წარმოშობის „მუდმივი მიზეზი“ ის საჭიროებაა, რომელმაც უმამულო მიწის მუშა მემამულესთან მიიყვანა, იმ მემამულესთან,

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. VI. 1956, გვ. 151.
[2] იქვე, გვ. 143.

რომელსაც არ ჰყავს მუშა ხელი; ხიზნობის წარმოშობის კრიტერიუმი მიზეზი „ეკონომიური ანგარიშია“ — ერთი მხრივ უმიწობა, მეორე მხრივ — უხელობა.

ხიზნობის მეორე მხარე ის არის, რომ ერთი მხრივ „ლალი და სამსახური უცვალებელი იყოს“, ე.ი. მემამულემ იცოდეს, რომ მიწისმოქმედი არ მოაკლებს გარკვეულ გადასახადს, მეორე მხრივ მიწისმოქმედიც დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მან „მკვიდრად ჩადგა ფეხი მამულში, რომ გაიჩინა „მუდმივი ბინა“.

ხიზნობა საკუთრების უფლების შეზღუდვაა, საკუთრებაში ზოგადის, საზოგადოს გამარჯვებაა. ხიზნობაში კერძო, პირადი უკან იხევს. მაგრამ ეს კანონზე კი არ არის დაფუძნებული, არამედ ჩვეულებაზე. ეს მიაჩნია ილიას ხიზნობის მესამე ნიშნად[1].

მეოთხე ნიშნად ანუ მხარედ ილია იმას ასახელებს, რომ ხიზნობა, ერთი მხრივ, უმამულო მიწისმოქმედს უფლებას აძლევს დაბინავოს მამული თავისი ნებით და წავიდეს, მაგრამ მემამულეს აძლევს საათანადო ანაზღაურება მისცეს; მეორე მხრივ, მან მემამულეს შეარჩინა მიწის საკუთრების უფლება, რადგან უფლება მისცა გაუშვას ხიზანი თავისი მიწიდან. მაგრამ საათანადო ანაზღაურებით, რომელიც „არანაკლებ ძვირფასი პირობითია“, ვიდრე ის, რომელიც ხიზანს აქვს, თუ ის თავისი ნებით მამულიდან აიყრება. ამავე დროს, ხიზნობამ „ხანგრძლივობა ხელისა და მამულის ერთმანეთთან შეყრისა და მოთავსებისა

„გარდა ჭკუისა და ზნეობის სიმაღლისა“, გაცნობილი იყოს ხალხის ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებას, მას უნდა ესმოდეს ხალხის „ტკივილი და სიხარული“: ამისათვის კი საჭიროა, მოხელეს უშუალოდ ესმოდეს ხალხის ენა. „მოსამართლემ რომ თავის ყურით არ მოისმინოს მოწმის ჩვენება, საცა ხშირად ერთი სიტყვა, ასე თუ ისე გამოთქმული, უფრო დიდის და ცხოველის ნათელით მოჰფენს ყოველს საქმის გარემოებას, ვიდრე მთელი ლაქლაქი უვიცისა და ბრიყვის მთარგმნელისა, — ის რა მოსამართლეა? მოხელე, რომელსაც მე ჩემსას ვერას გავაგებინებ და ის თავისას, — ის რა ჩემი მომვლელია? აქ მარტო სახეა, და არა სული და ხორცი“. ამას, ე.ი. მოხელის მიერ ქართული ენის უცოდინარობას ისიც უნდა დავუმატოთ, წერს ილია, რომ ხშირად ამ მოხელემ სრულებით არ იცის ხალხის ჩვეულება, მისი ზნეობა, მიდრეკილება, ჭირი და ლხინი, ამიტომ არის, რომ ხალხს ჭირად მიაჩნია, „როცა საქმე ან სამოხელეოდ ან სასამართლოდ გაუხდება“, ამიტომ არის ხალხი „კანონზედაც და მმართველობაზეც გულდაწყვეტილი და გულაყრილი“.

მაშასადამე, მთავრობას, საერთოდ, სახელმწიფოს რეჟიმს, სახელმწიფოს კანონებს ხალხი იმის მიხედვით აფასებს, თუ როგორია ის მოხელე, რომელიც მასთან ახლოა, მასთან მუდმივ ურთიერთობაშია. და თუ ასეთი მოხელე უზნეოა, ხალხის ენისა და ზნე-ჩვეულების უცოდინარია, ხალხისათვის, თვით სახელმწიფო და მისი კანონებიც მიუღებელია, უარსაყოფია. ამიტომ, მოხელეთა შერჩევაში, „განათლებისა და ზნეობით აღმატებულების გარდა, ენის ცოდნას უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს“[1]. მხოლოდ ამგვარ მოხელეს შეუძლია „მართალი და ჭეშმარიტი სამსახური გაუწიოს სახელმწიფოსაც და საზოგადოებასაც“[2] — ასეთია ილიას აზრი.

მწერალი ფიქრობს, რომ ევროპის სახელმწიფოები ამ მხრივ რუსეთზე მაღლა დგანან: ევროპელებსაც წესად აქვთ, რომ მოხელეს, თუ მან ადგილობრივი ენა არ იცის, „ფეხსაც არ შეადგმევინებენ იმ ხალხში“, სადაც უნდა იმსახუროს. რაც შეეხება რუსეთს, აქ კი, როგორც ილია ამბობს „სულ სხვას ვხედავთ, აქ არამც თუ მოხელისაგან თხოულობენ, რომ აქაური ენები იცოდნენ, არამედ თვითონ აქაურებისათვისაც კი ამოაკვეთინეს ფეხი აქაურს ენებს აქაურის სასწავლებლებიდამ“.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ. ტ. V, 1955, გვ. 38.

[2] იქვე.

საქართველოში სასულიერო და საოსტატო სემინარიებიდან განდევნეს ქართული ენა, ქართველებს „გზა არა გვაქვს ჩვენი ენა შევისწავლოთ, თირემ სხვას ვინა ჩივის“

ილია აღფრთოვანებულია, რომ ქართველმა ხალხმა „საკუთარის თაოსნობით, ღვაწლით, შემოწირულობით“ მრავალი რამ გააკეთა. 1879 წელს“ გახსნა ქართული სკოლა, დაარსდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და „შესდგა ქართული თეატრის დასი“. საქართველოს უბედურება, ილიას აზრით, ის იყო, რომ იგი სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ დანაწილდა, რის გამოც დაირღვა ერთობა ქართველთა შორის, როგორც სახელმწიფოებრივი, ისე საზოგადოებრივი. ახალ-გაზრდა თაობამ მიზნად დაისახა, იბრძოლოს ერთობისათვის, ეროვნული კულტურისათვის და აღნიშნული დაწესებულებები სწორედ ამ ბრძოლის შედეგად გაიხსნა.

მაშასადამე, ილიას აზრით, ენის, ეროვნული თეატრისა და სხვა საკითხები ფრიად საყურადღებოა და საჭიროა, მათს გადაჭრას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს, მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება ეროვნული საკითხის გადაჭრა, არ უნდა დავკარგოთ ფარ-ხმალი, არ უნდა შევწყვიტოთ ბრძოლა.

მაშ რა არის ეს ძირითადი საკითხი, რომელიც ხსენებულ საკითხზე მაღლა დგას? სხვას რას გულისხმობს ილია? აი რას:

რუსეთი რთული სახელმწიფოა, მასში „სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი ცხოვრობენ, და მერე ისე რომ თავიანთ მამა-პაპეულ მიწა-წყალზე შეჯგუფულნი არიან და არა შიგ-და-შიგ გაფანტულნი“. ამიტომ, მთავარი პოლიტიკური საკითხი, რომელიც უნდა გადაწყდეს, ეროვნებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების საკითხია. ეს „რთული და ძნიმე საგანი მთელი თავისის სიგრძით და სიგანით“ წინ უდგას რუსეთს გადასაწყვეტად. ამას მოითხოვს „თითონ მდინარეობა სამართლიანის აზრისა“, ამას მოითხოვს „თითონ სახელმწიფოს პირდაპირი ინტერე-სებიცა“, უნდა დაინიშნოს „საზღვარი სახელმწიფო მოქმედებისა საზო-გადოდ და ეროვნებისა ცალკედ“.

რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ხალხი ძლიერ უკმაყოფილია იმით, რომ რუსეთის სახლმწიფოს უჭირავს „საზოგადოების ცხოვრების ‘ ყველა ადგილი, ე.ი. ყველაფერი სახელმწიფოა და ეროვნებას, ხალხს არაფერი რჩება, მაშინ როდესაც ყოველ ხალხს აქვს „საკუთარი საქმე, საკუთარი ჭირი და ლხინი“, „ცალკეულ ხალხს კი რუსეთის სახელ-მწიფოში“

არავითარი უფლება არა აქვს, ის „გულხელდაკრეფილი... ხმაამოღებლივ სხვის მაყურებელი“ უნდა იყოს[1]. რუსეთის სახელმწიფოს მოხელეები ხდევნიან ეროვნებებს, რადგანაც ეროვნების არსებითი ნიშანი ენაა, ამიტომაც მოხელეები „ყველაზე უწინარეს ენას მისწვდნენ“ და დაუწყეს მას დევნა. ცენზურის გამო ილია მთავრობის პოლიტიკას მოხელეებს აბრალებს და მათი კრიტიკით აძხელს ცარიზმის პოლიტიკას[2]. ილია აღნიშნავს, რომ თვით რუსი ხალხის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები ილაშქრებენ ცარიზმის ეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ.

აბა მოკუსმინოთ, რა მიაჩნია დიდ მწერალს თავისი ერის მიზნად: „ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსაღონელი ფათერაკისაგან“[3]. თუკი „ევროპაში, — წერს იგი, — თვითმფლობელობა, თვითმმართველობა და სხვადასხვა თვით-უფლებები შემოიღეს, ჩვენ რაღა ეგრე უკან ჩამოვრჩით, რომ ერთის სიტყვის და ერთის დაწესებულების შემოღება ვერ შევიძლოთ“.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ. ილია 1881 წელს თავის ერთ-ერთ წერილში ეხება ნაფიცი მსაჯულისა და ერობის საკითხს. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, ილიას აზრით, ძლიერ საჭირო და სასარგებლოა, ის სანატრელია ჩვენთვის. თუკი სასამართლოს წარმოება ქართულ ენაზე იქნება, მხოლოდ მაშინ „სჯის და მსაჯულობს სინდისი ერისა და არა ჩინოვნიკისა“[4].

ერობების და თვითმმართველობის შესახებ. ასევეა ერობაც, ერობა, მისივე აზრით, არჩეულ უნდა იქნეს დემოკრატიულ პრინციპზე. თუ კანონით გათვალისწინებული იქნება, რომ ერობაში მდიდრები და ჩინოვნიკები უნდა აირჩიონ, მაშინ ერობა დაკარგავს ყოველგვარ მნიშვნელობას, რადგანაც „ჩინოვანი და მდიდარი — ერი არ არის“. ერობას უნდა ჰქონდეს „ფართო გზა მოქმედებისა“, მაშინ ის გააძლავლებს თავის დანიშნულებას.

ილია „ერობებისა და სახელმწიფოს ურთიერთობის განსაზღვრის საჭიროებას ქადაგებს და შენიშნავს, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტისა

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებ., ტ. V, 1955, გვ. 80.

[2] იქვე, გვ. 81-82.

[3] იქვე, გვ. 95.X

[4] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. V, 1955, გვ. 135. (ილიას ციტატა მოაქვს 1881 წ. ნოემბრის „Русская речь“-ში გამოქვეყნებული წერილიდან, ავტორს არ ასახელებს).

და ერობის შემოღება საჭიროა, მაგრამ ეს არ არის ყველაფერი, გარდა ამისა, სხვა მრავალი „საჭიროებანიც“ არისო.

ილია მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში უტრიალებდა ეროვნულ საკითხს და სხვადასხვა კუთხით ცდილობდა მის გაშუქებას. ერთ-ერთ წერილში (1883 წელს არის დაწერილი) ის ეხება XIX ს-ის პირველ ნახევარს და აღნიშნავს, რომ ეს პერიოდი მიძინების, არარაობის ხანა იყო. მაშინდელი ქართველისათვის რომ გეკითხათ, რა გსურსო, მოგიგებდა: სიცოცხლეო და ამაში მხოლოდ ხორციელ სიცოცხლეს გულისხმობდა. მისთვის ლუარსაბ თათქარიძე მისაბაძი იყო და მისგვარ ცხოვრებას ეწეოდა. ამ პერიოდის ქართველი არ იცნობდა სულიერ ცხოვრებას, არ იცოდა, თუ რა არის სამშობლო, მისი თავისუფლება, აღარ ახსოვდა, რომ ჩვენს ქვეყანას ყავდა მამულისშვილები, რომელთა თავგანწირვამ შემოგვინახა ეროვნული თვითმყოფობა[1]. რასაკვირველია, ამ პერიოდში იყო გამონაკლისიც: ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი და სხვები, მაგრამ მათი მოღვაწეობა არ იყო განმსაზღვრელი.

ილია მოითხოვს, რომ „ქართული ენა... დაიდვას ქვაკუთხედად ჩვენის განათლებისა“, ყველა საგანი პირველი კლასიდან მეოთხე კლასამდე ქართულ ენაზე უნდა ისწავლებოდეს, „რუსულ ენასაც კი უნდა ჰქონდეს ადგილი, მაგრამ როგორც ცალკე საგანს და არა სახსარს ანუ საშუალებას სწავლებისა“. ასეთივე შეხედულება გაატარა საქართველოში სოფლის სკოლების მასწავლებელთა კრებამ და ილიას მოსწონს და იცავს ამ მოსაზრებას[2].

ილიას აწუხებს, რომ სკოლაში ქართული ენის დაუმკვიდრებლობა ხელს უშლის განათლების გავრცელებას, ეს კი დიდი უბედურებაა, რადგანაც გაუნათლებელი რჩება „უბრალო გლეხობა, — ეს უმრავლესობა... ჩვენის ეროვნულის იმედებისა“[3].

ილიას „ერის დამოუკიდებლობაზე“ აქვს საუბარი, მაგრამ რა შინაარსს მოიცავს მისი გაგებით, დამოუკიდებლობა, არა აქვს ახსნილი. ილია XIX ს-ის საქართველოში არსებულ ბევრ კარგ ხალხისათვის სასარგებლო მოვლენას აღნიშნავს, მაგრამ მათგან ყველაზე მნიშვნელოვნად ერის გამოფხიზლება მიაჩნია. მდგომარეობა არსებითად არ შემსუბუქებულა[1], გაჭირვება „ჯერ კიდევ არ გათავებულა და არც მალე

---

[1]ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. V, 1955, გვ. 274-278.
[2]იქვე, გვ. 25.
[3]იქვე, ტ. V, 1955, გვ. 281-282.

გათავდება, იქნებ დიდი განსაცდელიც მოგველის მომავალში", მაგრამ მაინც იმედები გვაქვს, რადგანაც ერი გამოფხიზლდაო", წერს იგი.

ილიას აზრით, სახელმწიფოები განსხვავდებიან ერთმანეთისგან ცენტრალიზაციის პრინციპის გატარების მიხედვით. სახელმწიფოს მმართველობაში განსაზღვრული უნდა იყოს ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი მმართველობის ფუნქციები. ბევრი საკითხი ადგილობრივ თვითმმართველობებს უნდა გადაეცეს მოსაგვარებლად. მაგალითად, განათლების საქმეები; „სამართლიანი საზღვარი" უნდა დაიდოს სახელმწიფოსა და ადგილებს შორის მმართველობის მხრივ. სახელმწიფოს უნდა ექვემდებარებოდეს ზოგადი, საერთო საქმეები. სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ორგანოებს შორის, მწერლის აზრით, შეჯარებით უკეთ არის კომპეტენცია განსაზღვრული ინგლისსა და ამერიკაში (შეერთებულ შტატებში), ვიდრე სხვაგან.

ილია გამოთქვამს აზრს, რომ მთავრობის მოვალეობაა გაიგოს ხალხის გულისტკივილი, მისი ადგილობრივი საჭიროება, რათა უწამლოს მას. ამისაკენ მთავრობას შეუძლია ორგვარ ხერხს მიმართოს: თავისი მოხელეები განაწესოს ადგილებზე და ამ მოხელეების საშუალებით გაიგოს ადგილობრივი საჭიროებები, ან კიდევ ადგილობრივად თვითმმართველობებს მიანდოს ადგილობრივი საქმეები. მწერალი ამ ორი საშუალებიდან მისაღებად მხოლოდ მეორეს თვლის, რადგანაც, მოხელეების საშუალებით ადგილობრივი ჭირ-ვარამის გარკვევა ძნელია.

სოფლად თვითმმართველობა უნდა ემყარებოდეს შემდეგ საფუძვლებს: 1. არჩევნებში მონაწილეობის უფლება უნდა ჰქონდეს სოფლის ყველა მცხოვრებს. 2. ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს ყველა უნდა ემორჩილებოდეს, ვინც კი სოფელში ცხოვრობს, 3. ადგილობრივი მოხელეები — მამასახლისი, მოსამართლენი მოსახლეობამ უნდა აირჩიოს, 4. ადგილობრივი მოხელე პასუხისმგებელი უნდა იყოს საზოგადოების წინაშე[2].

აი, ასე ესმის ილიას ადგილობრივი თვითმმართველობის აგების პრინციპი. ის აღნიშნავს, რომ ეს პრინციპები რუსეთის ადგილობრივ თვითმმართველობაში დარღვეულია: პირველ ყოვლისა, სოფელში ხმის უფლება აქვს მხოლოდ კომლის უფროს მამაკაცს; ამის მიხედვით ხმის

---

[1] ს. ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებ. ტ.V, 1955 წ. გვ. 280-281.
[2] იქვე. გვ. 43-44.

უფლებას მოკლებულია ის გლეხი, რომელიც სრულწლოვანია, გადასახადებსაც იხდის, მაგრამ კამერალური აღწერით ოჯახის უფროსად არ ირიცხება, ამგვარი აღწერა კი ათ წელზე ადრე არ ხდება.

მეორე ნაკლი ის არის, რომ თვითმმართველობაში ყველა წოდების კაცი არ იღებს მონაწილეობას. რუსეთი ამ შემთხვევაში არ არის მისაბაძი. იქ სათემო მიწისმფლობელობაა, საქართველოში კი — მიწის კერძო საკუთრება. თვითმმართველობის სამაგალითო ქვეყნად ინგლისი უნდა ჩაითვალოს, რუსეთმა კი თვითმმართველობის მხრივ ჩამორჩენილ პრუსიას მიჰბაძა. რუსეთში რომ სოფლად ორი სახის საკუთრებაა — სათემო და კერძო, ფეოდალური, ამით ეს ქვეყანა განსხვავებულია საქართველოს სინამდვილისაგან, მაგრამ რუსეთში საკუთრების ამ ორი ფორმის მიხედვით არ უნდა ყოფილიყო მოწყობილი თვითმმართველობა, მის თვითმმართველობას ამიტომაც აკრიტიკებენ. საქართველოში კი რუსეთის თვითმმართველობის მსგავსი რამ მიუღებელია. საქართველოში მიწისმფლობელობა ერთგვარ პრინციპზეა დამყარებული: საეკლესიო, თავადაზნაურობისა და გლეხების მიწისმფლობელობა ერთნაირად კერძო ხასიათისაა. ილია წერს, რომ ჩვენში წოდების გამოსახატავი სიტყვაც არ მოგვეპოვებოდა, რომელიც რუსულ „сословие"-ს შეეფერებოდა[1]. წოდება მხოლოდ ახლა შემოვიდა საქართველოში, მანამდე კი არც იყო წოდებრივი დაყოფა, არავითარი განსაკუთრებული უფლება საქართველოში თავადაზნაურობასა და სამღვდელოებას არ ჰქონდა. „ჩვენში ერთნაირად უხმონი და უფლებასმოკლებულნი იყვნენ" მეფის მიმართ, თუ მეფე ზოგჯერ თავადაზნაურობისა და სამღვდელოების წარმომადგენლებს მოიწვევდა რჩევისათვის, ეს მეფის უფლება იყო და არა თავადაზნაურობის ან სამღვდელოებისა[2].

ილიას აზრით, თვითმმართველობას შემდეგი ნაკლი აქვს:

1. ყველა გლეხი არ არის უფლებამოსილი, 2. სოფლის მცხოვრები თავადი, აზნაური ან სამვდელო პირი ამოღებული არიან თვითმმართველობის დაქვემდებარებიდან, 3. სოფლის თვითმმართველობის მოხელეები არ არიან პასუხისმგებელნი საზოგადოების წინაშე[3].

ილია მოითხოვს ამ ნაკლის გამოსწორებას. ის კარგად იცნობს

---

[1]ი. ჭაეჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., VI, 1956, გვ. 52.

[2]იქვე, გვ. 52-53.

[3]იქვე. გვ. 63.

სახელმწიფოს მმართველობის სხვადასხვა ფორმებს. ცენტრალიზებული სახელმწიფო, ილიას განმარტებით, ისეთ სახელმწიფოს ეწოდება, რომლის მართვა ერთი ცენტრიდან ხდება. შეიძლება ეს მმართველობა ერთი კაცის ხელში იყოს (მონარქია), შეიძლება კი მრავალის ხელში (რესპუბლიკა), მაგრამ როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში სახელმწიფო შეიძლება ცენტრალიზებული იყოს. სპარსეთში მმართველობა შაჰის ხელშია, საფრანგეთში — პარლამენტისა, ორივე შემთხვევაში სახელმწიფოს ერთი ცენტრი მართავს. ილიას ამ შემთხვევაში, ცენტრალიზებული სახელმწიფოს ფორმის თავისებურებად ის მიაჩნია, რომ ცენტრს ხელში აქვს აღებული მმართველობის ყველა სადავე და თვითმმართველობებს ადგილობრივი საჭიროების მიხედვით კი არ უნაწილებდა ფუნქციებს, არამედ თავისი მოხელეების საშუალებით ცარიავს. ილია აღნიშნავს, რომ საფრანგეთის ცენტრალურმა მთავრობამ ადგილებს მისცა რამდენადმე მაინც „ადგილობრივი ინტერესების... მოსავლელად" უფლებები, თვითონ მართოს ზოგიერთი თავისი საქმე, მაგრამ „სამართლიანი საზღვარი" ცენტრალურსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის მაინც არ დაუდვია, ე.ი. მრავალი საქმე, რომელიც ადგილობრივი საჭიროების მიხედვით ადგილების სამმართველოდ უნდა ყოფილიყო განკუთვნილი — ცენტრს აქვს[1].

მომრიგებელი მოსამართლის შესახებ. ილია თავის შრომებში მომრიგებელი მოსამართლის საკითხსაც ეხება. მისი აზრით, რუსეთში მომხდარი სასამართლოს რეფორმა, ამასთანავე, მომრიგებელი მოსამართლის სახელოს შემოღება უაღრესად პროგრესული მოვლენაა, „ჭეშმარიტი ნაყოფია მეცნიერებისა და ევროპის ცივილიზაციისა", ამ საკითხების მოგვარებას რუსეთში „გულმოდგინეთ და ჭეშმარიტების სიყვერულით" მოეკიდნენ; ამასთანავე, სასამართლოში შემოღებული ახალი წესი საერთოდ მოსაწონია, ხოლო „მაზედ უფრო მოსაწონია მომრიგებელ მოსამართლეობის დაწყობილება"[2].

ილია აღნიშნავს, რომ საქართველოში ამ ახალის წესის შემოღების წინააღმდეგ ასეთი საბუთები წამოაყენეს: 1. საზოგადოება არა არის მომზადებული ახალი კანონისათვის, 2. ხაზინას არა აქვს ამ კანონის გასატარებლად საჭირო თანხა, 3. იმდენი კეთილსინდისიერი და მცოდნე

---

1. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. V, 1955, გვ. 316-317.
2. იქვე, გვ. 72.

კაცი არ მოიპოვება, რამდენიც ახალი კანონის გატარებისათვის არის საჭირო[1].

როგორც ილია გადმოგვცემს, ახალი კანონის მომხრეებს წამოყენებული მოსაზრებებისათვის ასე უპასუხიათ: თუ კანონი ჭეშმარიტ საფუძველზეა აგებული, მისი გატარებისათვის დროისა და ადგილის შერჩევა არ არის საჭიროო.

ახალმა კანონმა შეიძლება მაშინვე ჯეროვნად არ იმოქმედოს, მაგრამ, რადგან ის „მართებულ" პრინციპზეა დამყარებული, ადრე გაიდგამს ფესვებს. რამდენადაც ადამიანი კარგს ყოველთვის ეგუებაო.

ხაზინა ფულის ნაკლებობას „ეკონომიური ვითარების" გამოც განიცდის და იმის გამოც, რომ მართლმსაჯულების ორგანოები არ არიან „რიგიანადა აგებულნი", ამიტომ სწორედ ახალი კანონია ამ შემთხვევაში საჭირო.

თუ ისეთი ადამიანები ნაკლებად გვყავს, რომლებიც ახალ კანონს შეასრულებენ, ეს ძველი უვარგისი კანონების ბრალიც არის და ამიტომაც გვჭირდება ახალი კანონიო[2].

ილია ახალი კანონების მომხრეა. ეს კანონები რუსეთისათვის იყო განკუთვნილი და მხოლოდ ჩვენში შემოიღეს ის დამახინჯებულად. ილიას გადმოცემით, მხედველობაში მიიღეს ის სამი მიზეზი, რომელზედაც გვქონდა საუბრაი და ამის მიხედვით ახალი კანონი შეკვეცეს, რაც აღშფოთებს ილიას: რასაკვირველია, — წერს ის, — ადგილობრივ ვითარებას ანგარიში უნდა გაეწიოს ახალი კანონის შემოღების დროს, „მაგრამ როცა უმთავრესნი და არსებითნი საფუძველნი ცვლილებისა არის ნაყოფი კაცობრიობის საერთო ცივილიზაციისა და მეცნიერებისა, მაშინ იგი საფუძველი ყველგან და ყველასათვის მოსახდენია", ამიტომაც „უმთავრესი და არსებითი საფუძველი" ახალ კანონს არ უნდა გამოეცალოს, იმისათვის, რომ ის საქართველოში ან რუსეთის იმპერიაში შემავალ სხვა ხალხებში უნდა გატარდეს.

ილია ჩამოთვლის იმ საფუძვლებს, რომლითაც ასაბუთებდნენ რუსეთში მომრიგებელი მოსამართლეობის ინსტიტუტის შემოღების საჭიროებას: 1. მოსამართლე ხალხთან ახლოს უნდა იყოს, 2. სასამართლო საქმის მარტივი წარმოება მისაწვდომი იქნება ყველასათვის, 3. ფორმალობა არ

---

[1]იქვე, გვ. 73-74.

[2]ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრე., ტ. VI, 1956, გვ. 72.

უნდა უშლიდეს ხელს ჭეშმარიტების დადგენას, 4. მომრიგებელმა მოსამართლემ უნდა იცოდეს ადგილობრივი ვითარება, ხალხის ზნე-ჩვეულება, 5. მომრიგებელი მოსამართლე ადგილობრივი ხალხის გულშემატკივარი უნდა იყოს, ხალხი მას უნდა ენდობოდეს. ყველამ უნდა იცოდეს, რომ დამნაშავე სასჯელს ვერ გაექცევა, ზიანი აუნაზღაურებელი არ დარჩება[1]. ამასთანავე, მომრიგებელი მოსამართლის ძირითადი დანიშნულება საქმის მორიგებით დამთავრება არის.

ილიას რწმენით, მომრიგებელი მოსამართლის შესახებ არსებული დებულება საქართველოსათვის შეკვეცილია, მას გამოცლილი აქვს ის პროგრესული საფუძვლები, რომელზეც დამყარებულია ეს ინსტიტუტი რუსეთში. პირველ ყოვლისა, მომრიგებელი მოსამართლე ადგილობრივი კი არ არის, არამედ სხვა ქვეყნიდან მოსული, რომელმაც არც ქართული ენა იცის, არც ადგილობრივი ზნე-ჩვეულებები. მაგალითად, ჩვენ სვანებს, ფშავ-ხევსურებს იაროსლაველი კაცი ენიშნებათ მომრიგებელ მოსამართლედ; ნუთუ საქართველოში არ მოიპოვება ღირსეული ადამიანი, პატიოსანი გამჭრიახი გონების მქონე, რომელსაც შეეძლოს მომრიგებელი მოსამართლის მოვალეობის შესრულება, თუკი „იაროსლავში კი პანტასავით“ არიან ასეთი პირები?[2] — ამ შეკითხვით ამთავრებს ილია ზემოთ აღნიშნული აზრის გამოთქმას.

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ, რუსეთისაგან განსხვავებით, საქართველოში მომრიგებელი-მოსამართლის გასარჩევი საქმეების ქვემდებარეობა გაფართოებულია[3], ამასთანავე მომრიგებელ-მოსამართლეს ჩვენში ადგილობრივი მოსახლეობა კი არ ირჩევს, არამედ — ინიშნება.

ილია წერს: „თუ რუსეთის ხალხი იცნეს მომზადებულად“, იმისათვის, რომ მომრიგებელი მოსამართლე აირჩიოს, „ჩვენს ხალხს რაღა ღმერთი გაუწყრა?“, რატომ უნდა იყოს ქართველი ხალხი ამ უფლებას მოკლებული?

ილიას აზრით, მომრიგებელი მოსამართლე ხალხმა უნდა აირჩიოს, ის ხალხთან ახლოს უნდა იყოს, კარგად უნდა იცოდეს ხალხის ზნე-ჩვეულება და მაშინ, თუ ის კეთილსინდისიერად მიუდგება თავის

---

[1]ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ., კრებ., ტ. VI, 1956, გვ. 78-79.
[2]იქვე, გვ. 80-81.
[3]იქვე, გვ. 81.
[4]იქვე, გვ. 83.

მოვალეობას, კიდეც შეასრულებს მას ღირსეულად. მომრიგებელი მოსამართლე, მის შესახებ კანონის მიხედვით, „ხალხის შინაური და მახლობელი მსაჯულია", მან მორიგებით უნდა გაათავოს საქმე და მთავარი კიდევ ის არის, რომ მან ჭეშმარიტების ძიებაში უნდა იხელმძღვანელოს ბუნებითი სამართლით და არა ფორმალურით" — ასე მსჯელობს ილია და განაგრძობს:

რუსეთის კანონმდებლობით, მოსამართლემ, თუ კანონში ვერ ნახავს კაზუსის შესაბამის მუხლს, უნდა იხელმძღვანელოს „კანონმდებლობის საერთო აზრით". ამით ჩვეულების გამოყენება შეზღუდულია, თუ იგი საერთოდ შესაძლებელია, მაგრამ საქართველოში ჩვეულება სავსებით უკუგდებულია. საქმე ის არის, რომ მომრიგებელ მოსამართლედ ისეთ პირს ნიშნავენ, რომელმაც არ იცის ჩვენი ენა, ჩვენი ჩვეულება". მაშასადამე, ასეთი მოსამართლე ადგილობრივ ჩვეულებას ვერ მოიმარჯვებს, მაშინ როდესაც კანონმდებელს სწორად ამ ჩვეულების ფართო გამოყენების საჭიროება უნდა აღენიშნა და ამ მხრივ გაეკეთებინა გამონაკლისი. ჩვენს სინამდვილეში არის საკითხები, რომლებიც განსხვავებულია რუსეთისაგან: „...ჩვენში განსხვავებული ყოფა-ცხოვრების გამო, უფრო ხშირია იმისთანა შემოსვევა, რომელიც არ არის მოხსენებული მოქმედ კანონებში, ან თუ არის, ხშირად წინააღმდეგია ხალხისაგან ცნობილი სამართლისა. მაგალითები, აუარებელი დავების შესახებ მიწისა, ტყისა, საძოვრების მფლობელობისა, გზებისა, ვენახებისა, ქალთა მონაწილეობისა მემკვიდრეობაში, ქალთა საკუთრებისა ოჯახში (სათავნო ქალისა), სამკვიდროსი, სამარხისა, საქვრივოსი, ნაცვალ-გარდობით მუშაობისა, გაჟრილობისა და ბევრი ამისთანები"[1].

ჩამოთვლილი მაგალითების მიხედვით, სასამართლოს წინაშე წამოჭრილი კაზუსების განხილვასთან დაკავშირებით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვეულებას. მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს „ჩვენი ჩვეულება, ესე იგი ხალხისაგან მამა-პაპით აღიარებული სიმართლე", რომელიც ილიას შეხედულებით ხშირად „ერთს ამბობს და რუსული კანონები კი — ან სულ არას ამბობენ ან თუ ამბობენ სულ სხვას"[2]. ამიტომ, ეს ჩვეულება წარმმართველი უნდა იყოს მომრიგებელი მოსამართლის საქმიანობისათვის, — ასეთ აზრს გამოთქვამს ილია.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. VI, 1956, გვ. 94.

[2] იქვე.

მისიეე შეხედულებით მომრიგებელ მოსამართლეს უნდა შეეძლოს: 1. შუაკაცობა, ე.ი. მორიგებით საქმის გადაწყვეტა და 2. „ბუნებრივის სიმართლით საქმის გადაწყვეტა", ამისათვის მომრიგებელი მოსამართლე უნდა იყოს ადგილობრივად ამორჩეული, რომელსაც ეცოდინება ქართული ენა და ქართული ჩვეულება. უამისოდ, ქართული ენისა და ზნე-ჩვეულებების უცოდინარს, არც „ბუნებრივი სიმართლის საქმის წარმოება" შეუძლია და არც მორიგებით საქმის გადაწყვეტა. საბოლოოდ, ილიას აზრით, მომრიგებელი მოსამართლის საკითხიც თვითმმართველობასთან არის დაკავშირებული.

ილია ჭავჭავაძეს ინგლისი მიაჩნია ისეთ სახელმწიფოდ, რომელშიც დაცულია პიროვნების უფლებები. ინგლისში, ილიას აზრით, ისეთი წესწყობილებაა, სადაც სახელმწიფოს მიერ მოსახლეობას არავითარი მოვალეობა არ შეიძლება დაეკისროს, თუ უკანასკნელმა არ იცი, ამის თამხმობა არ არის და ეს თვითონვე არ დაადგინა. ინგლისი თვითმმრთველობის სახელმწიფოა. მაგრამ ილიას მაინც არ მოსწონს ინგლისის წესწყობილება იმ მხრივ, რომ ირლანდიას შეკვეცილი უფლებები აქვს.

როგორც ვხედავთ, ილია იბრძვის თვითმმართველობისათვის.

ილიას შესახებ წერდნენ, რომ იგი ფართო თვითმმართველობის მომხრეა, რომელსაც საკანონმდებლო ფუნქციები ექნებაო[1]. ასეთი თვით-მმართველობის შექმნით ილია ვარაუდობდა ეროვნული საკითხის გადაწყვეტას, რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში.

სამართლის შესახებ. ილია სამართალს მნიშვნელოვანი ხასიათის ფაქტორად თვლის. სამართლებრივ ურთიერთობას, ადამიანთა შორის უფლებისა და მოვალეობის განსაზღვრას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. „ჩემი და შენი", ილიას შეხედულებით, განსაზღვრული უნდა იყოს. რაც დიდად შეუწყობს ხელს ადამიანთა კეთილდღეობას[2].

ილია სამართლიანად წერს: გლეხის მხოლოდ განთავისუფლება არ არის საკმარისი. მისი უმიწოდ განთავისუფლება იმას ნიშნავს, რომ შიმშილით მოკვდეს[3].

საყურადღებოა, რომ ზოგჯერ ილიას მოჰყავს მეცნიერებაში გამოთქმული შეხედულებანი, მაგრამ არა ჩანს თვითონ იზიარებს თუ

---

[1]ჟურნ. „განათლება", 1908, № 3-4, გვ. 109.

[2]იქვე, გვ. 8.

[3]ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებ.. ტ VI, 1956. გვ. 9-10.

არა ამ შეხედულებას. ამბობენ, — წერს ილია, — რომ „კანონთა უვარგისობა თუ სიკეთე თვითონ ხალხის ბრალიაო, იმიტომ რომ თავი და ბოლო კანონებისა თვით ხალხიაო. რამდენად მისაღებია ეს საბუთი, ჩვენ მაგის გამოძიებას არ შევუდგებით".

მეორე ადგილას ილიას მოჰყავს ინგლისელი მეცნიერის მოსაზრება სამართლის შესახებ: „... კანონები დადგენილ არიან ქვეყნიერებაზედ იმიტომ კი არა, რომ ესე ნებავდა ადამიანსა, არამედ იმიტომ, რომ მაგას მოითხოვდა ეკონომიური საჭიროება ერთის მხრით და მეორეს მხრით სიმართლე, წარმომდგარი ზნეობითის და სარწმუნოების გრძნობათაგანაო"[1].

ილია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სამართალს. სამართლის პრაქტიკულად განხორციელებას, კერძოდ, სასამართლოს საქმიანობას ილია განათლების საქმეს უდარებს. მისი აზრით, სასამართლოს უკეთ წარმართვისათვის სახელმწიფომ ფული არ უნდა დაიშუროს, რადგანაც „სამართლის ურიგოდ მოწყობილობა სვავია, რომელიც ნთქავს ხალხის სიმდიდრესა, მახვილია — რომელიც ჰკვეთს ფრთებსა ხალხის ხელთმოქმედებას და ეკონომიურს წარმოებას".

კანონი, ილიას აზრით, მტკიცედ უნდა სრულდებოდეს, ის მიუდგომელი უნდა იყოს, ე.ი. ყველასათვის ერთნაირად უნდა მოქმედებდეს. საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის აუცილებელია, რომ „სამართალი რიგიანად" იყოს აგებული, ე.ი. სამართლის წარმოება მართებულ პრინციპზე უნდა იყოს დამყარებული, რომ „სამართალი და კანონი" ყველას „სწამდეს თავის მფარველად, თავის სახსნელად", თორემ თუ „სამართლისა და კანონის" არა სჯერათ, მაშინ ყველაფერი აირევა, ილიას აზრით, ყველას უნდა სჯეროდეს იმისი, რომ არაფერი დაეკარგება, რომ ყველაფერი სამართლიანად გადაწყდება[2].

კანონი, სამართლის წარმოება სიმართლეს, სამართლიანობას უნდა ემყარებოდეს. პირველი და მთავარი სამართლის წარმოებაში ის არის, რომ „კაცმა ჯერ უნდა მართალი ეძებოს, მხოლოდ მართალი და სხვ არა-რა"[3]. იმ შემთხვევაში როცა ირჩევა უმრავლესობისა და უმცირესობის, მაგალითად, მემამულეებისა და ხიზნების საქმე, სიმართლე უნდა მოიძებნოს

---

[1]ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებ. ტ.VI, 1950, გვ. 119.

[2]ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. VI. 1956, გვ. 87.

[3]იქვე, გვ. 135.

და თუ სიმართლე „აშკარად უმცირესობისაკენ არის“ და მაინც „უმრავლესობის კანონმა“ გაიმარჯვა, „ეგ ძალმომრეობა იქნება და არა სამართალი“. საჭიროა, რომ სამართალმა გაიმარჯვოს, რადგანაც, ილიას აზრით, სამართლით, ე.ი. სიმართლით, „ადამიანი ადამიანობს ვით ზნეობრივი არსება, და რომლის გამოც ჩვენი ანდაზა ამბობს: „სამართლით ამოთხრილი თვალი არ მეტკინებაო“. ილია „სამართალს“ ზოგჯერ მართლმსაჯულების თვალსაზრისითაც ხმარობს.

ილია მოითხოვს, რომ სასამართლო საქმის გარჩევას, ან რომელიმე საზოგადოებრივი საკითხის განხილვას საფუძვლად დაედოს სიმართლე. მაგრამ სად არის ეს სიმართლე, ეს სამართლიანობა? სიმართლე, სამართლიანობა ხალხის მიერ აღიარებული სიმართლეა, რომელიც ჩვეულებაშია მოცემულიო.

იმას, რაც ფორმალურ სამართალს ეწინააღმდეგება, — ამბობს ილია, — მეცნიერები „ბუნებრივ სიმართლეს“ უწოდებენ, ხოლო ბუნებითი სიმართლე, ხალხის ჩვეულებას ემყარება, ჩვეულება არის „დედაბოძი ბუნებრივი სიმართლისა“ „ბუნებრივს სიმართლეს“ ილია რუსულად შემდეგი სიტყვებით გადმოგვცემს: естественная справедливость. ბუნებრივი სიმართლე ანუ ბუნებითი სამართალი მწერალს ხალხისათვის თანდაყოლილ სიმართლედ შიაჩნია.

ჩვეულება „ჩვენს საქართველოს ერსა რჯულთ უმტკიცესად მიაჩნია სამართლიანად“[1], ილიას აზრით, „ჩვეულება ერისათვის იგივე რჯულია, იგივე კანონია, მხოლოდ დაუწერელი კი“. და ჩვეულებას, დაწერილი კანონის წინაშე, ის უპირატესობა აქვს, რომ იგი „ყოველთვის ცხოვრების ჭეშმარიტი საჭიროების დანაბადია და ყოველთვის უტყუარი წამალიც არის ამ საჭიროებისა“. ამასთანავე, დაწერილ კანონს ჩვეულების მიმართ ის უპირატესობა აქვს, რომ დაწერილი კანონი არაფერს არ შეირევს, მაშინ, როდესაც ჩვეულება შეიძლება სხვადასხვა დანაშრევებთან, გადმონაშთებთან იყოს დაკავშირებული[2].

ჩვეულების სახით ილიას ჩვეულებითი სამართალი აქვს წარმოდგენილი, ე.ი. ისეთი ჩვეულება, რომელიც უკვე გადაქცეულია ჩვეულებით სამართლად, მაგრამ დაწერილი არ არის, წერილობითი ფორმა არა აქვს. ილიას აზრით, რაკი რუსული კანონები არ შეესაბამებოდა ქართულ

---

[1]ი. ჭავჭავაძე, თხზ, სრ. კრებ., ტ. VI. 1956, გვ. 154.

[2]იქვე.

სინამდვილეს, საქართველოში უფრო ფართოდ უნდა ყოფილიყო დაშვებული ჩვეულების გამოყენება, მაშინ, როდესაც სწორედ ეს არ იყო გაკეთებული.

ილიასათვის ამ შემთხვევაში მთავარი ის გახლდათ, რომ რუსული კანონები საქართველოსათვის არ იყო დაწერილი და არც შეესაბამებოდა მის ცხოვრებას. ამიტომ, რადგანაც ქართული კანონები ამ დროისათვის უკვე აღარ იყო და მის მაგიერ რუსული კანონები მოქმედებდა, საქართველოს თავისებურება მოითხოვდა ქართველი ხალხის ჩვეულების მიხედვით გაერჩიათ სასამართლო საქმეები. ქართული სინამდვილის თავისებურებათა გასათვალისწინებლად ილია ქართულ ჩვეულებათა მომარჯვებას სცნობდა აუცილებლად. ამასთან იყო დაკავშირებული ის საკითხიც, რომ მომრიგებელი მოსამართლე ადგილობრივი უნდა ყოფილიყო.

რასაკვირველია, ილიამ იცის, შესწავლილი აქვს სამართლის სხვადასხვა სკოლების შეხედულებები[1]. ის პირდაპირ მიუთითებს კიდეც მეცნიერებზე, რომლებიც „ბუნებრივ სიმართლეს" უპირისპირებენ, ფორმალურ, ე.ი. პოზიტიურ სამართალს[2]. ამ შემთხვევაში ილიას, რასაკვირველია, სამართლის ბუნებითი სკოლა აქვს მხედველობაში. სამართლის ბუნებითი სკოლის მოშველიება მას იმისათვის დასჭირდა, რომ გაემართლებინა დაპირისპირება ბუნებითი და პოზიტიური სამართლისა. სამართლის ბუნებითი სკოლის შეხედულებებიდან გამომდინარე საკითხებს, იმას, რომ სამართალი თვით ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს და მუდმივად უცვლელია, საერთოა ყველა ადამიანისათვის და პრიორიტეტი აქვს პოზიტიურ სამართალთან, ილია არ ეხება. როგორც ვნახეთ, ილიას ბუნებითი სამართლის საფუძვლად ჩვეულება მიაჩნია.

ილია საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს სამართლის მოქმედების შესახებ: „მართალი, კანონის სათავე ცხოვრებაა, მაგრამ არც უიმისობაა, რომ კანონი არ მოქმედებდეს თვით ცხოვრების ავკარგიანობაზე. აქ ერთმანეთის ზეგავლენა უეჭველია და აუცილებელი: თუ ცხოვრება სწვრთნის კანონს, კანონიც სწვრთნის თვით ცხოვრებას და, მაშასადამე, საზოგადოებასაც, ერსაცა"[3]. მაშასადამე, ილიას შეხედულებით, კანონს

---

[1]ნიკოლოზ კველიშვილი. ილია ჭავჭავაძე იურისტი, 1970, გვ. 44-48.

[2]ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. VI, 1956, გვ. 93.

[3]ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. XIII, 1957, გვ. 346.

ცხოვრება, საზოგადოებრივი ვითარება წარმოშობს, მაგრამ წარმოშობის შემდეგ კანონი არ არის პასიური, ის თავის მხრივ გავლენას ახდენს ცხოვრებაზე. ილია მეთოდოლოგიურად მართებულ პოზიციაზე დგას.

დანაშაულის და სასჯელის შესახებ. ილია თავის შრომებში ეხება დანაშაულისა და სასჯელის საკითხებს და დანაშაულის მიზეზად სოციალური უსამართლობა მიაჩნია. ყაჩაღად გავარდნილ კაკოს („კაკო ყაჩაღი") გლეხკაცი უყვარს და მისთვის იბრძვის. პოემაში მოთხრობილია, თუ როგორ ართმევს ბატონი შვილს თავის ყმას. მამა სთხოვს ბატონს, დამიბრუნე შვილიო. ბატონი უარით უპასუხებს. მამა სიტყვას უბრუნებს: „მე ჩემი მომეც, შენ შენი გქონდეს". ილია, სწორედ ამას მოითხოვს: ადამიანთა ურთიერთობა ისე უნდა მოეწყოს, რომ ყველას ჰქონდეს მიჩენილი „თავისი", რომ სამართალი უნდა განსაზღვრავდეს, თუ რა არის ერთისა და რა არის მეორესა.

ბატონი კი სთელავს ადამიანის უფლებას, სცემს ის მოხუც მამას, რომელიც შვილს თხოულობს, რის გამო მოხუცის შვილი ზაქრო კლავს ბატონს.

„გლახის ნაამბობში" ბატონი ყმას საცოლეს ართმევს. არავითარი თხოვნა თანშეზრდილი ყმისა. ბატონმა არ შეისმინა: ქალს ნამუსს ხდის, ყმას აპატიმრებს. ამის სამაგიეროდ ყმა კლავს ბატონს[1]. მაგრამ ამ შემთხვევაში ბატონყმობისდროინდელ სოციალურ ვითარებასთან გვაქვს საქმე. ბატონყმობის შესახებ კი ილია პირდაპირ წერს, რომ ის უსამართლობა იყო.

ბატონყმობის დროსაც და მის შემდეგაც ხდებოდა ქურდობა და სხვა ამგვარი დანაშაული, რისი მიზეზი ილიას აზრით, „ეკონომიური ჭირბოროტი და გაჭირვება არის, საზოგადოდ რომ ვთქვათ"[2].

შესაძლებელია, ავაზაკობის მიზეზი მამულის უქონლობაც იყოს, როდესაც მკვიდრს, გლეხს არ შეუძლია ცოლ-შვილი შეინახოს, მაგრამ, ილიას შეხედულებით ამ საკითხს ყოველმხრივ შესწავლა უნდა. უნდა გაირკვეს, რომელ ადგილებში ხდება ავაზაკობა, როგორია იქ მიწის-მფლობელობა. კიდევ რა შეიძლება იყოს ამ ადგილზე ავაზაკობის მიზეზი და სხვ[3].

---

[1]ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. II, 1951, გვ. 102-118.
[2]იქვე, ტ. VI, 1956, გვ. 204.
[3]იქვე, გვ. 204-205.

ავაზაკობასთან, ე.ი. ყაჩაღობასთან დაკავშირებით, ილია ეხება „ავაზაკთა ამხანაგობას“. იგი განასხვავებს ერთმანეთისაგან ჯგუფურ და ერთი პირის მიერ ჩადენილ ყაჩაღობას, მაგრამ პასუხისმგებლობის განსხვავებაზე კი არაფერს ამბობს.

ილია ერცლად განიხილავს დანაშაულის მიზეზებს, რამდენჯერმე უბრუნდება ამ საკითხს და დასკვნის სახით აღნიშნავს, რომ დანაშაულის მიზეზი, საერთოდ, ეკონომიური გაჭირვება, „ეკონომიური უღონობა“ არისო. შემდეგ უმატებს: ავაზაკობა ანუ ყაჩაღობა და ქურდობა ისეთი დანაშაულია, რომელსაც ყველა ერთიანი ძალით უნდა შეებრძოლოთო, ხელისუფლების სათანადო ორგანოებმა, ამ საქმეებზე მიჩენილმა მოხელეებმა კი ყველაფერი უნდა იღონონ დამნაშავის აღმოსაჩენადო.

ილია უკმაყოფილოა იმით, რომ მოხელენი გულგრილობას იჩენენ ქურდისა და ავაზაკის ძებნის მიმართ. „თხაც რომ დაიკარგოს“, პოლიციის ბოქაულმა ფეხზე უნდა დააყენოს ყველანი და მანამ არ მოისვენოს, სანამ დამნაშავეს არ მიაგნებსო. პოლიციის მოხელე ფხიზლად უნდა იყოს, ქურდობა და ავაზაკობა ყველას დიდ ბოროტებად უნდა მიაჩნდეს, თუ ყველას ეცოდინება, რომ ქურდი და ავაზაკი ვერ დაიმალება, მაშინ ასეთი დანაშაული ნაკლებად მოხდებაო[1]; ქურდსა და ავაზაკს, ილიას აზრით, ისიც აქეზებს, რომ სასამართლო საქმის გარჩევას აჭიანურებს, გამოძიების დაგვიანების გამო კი იკარგება დანაშაულის კვალი. მოწმეებს ავიწყდებათ საქმეო — გვეუბნება მწერალი[2].

ილიას შეხედულებით, ადამიანებმა სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად იმ ზნეობრივი ნორმით უნდა იხელმძღვანელონ, რომლის მიხედვით „რაც შენ არ გინდა მოგივიდეს, იმას ნურც სხვისთვის მოინდომებ“[3].

ადამიანი პასუხისგებაში რომ მიეცეს, დანაშაულში რომ აქხილო, უპირველეს ყოვლისა, მას „დასაბუთებული ბრალდება“ უნდა წაუყენო. ეს ბრალდება იმდენად მაინც უნდა იყოს დასაბუთებული, რომ ბრალდებულს პასუხი მოეთხოვოს. ცარიელი სიტყვები, დაუსაბუთებელი ბრალდების წაყენება მხოლოდ ცილისწამებაა. ბრალდება რაიმე საბუთიანობას უნდა შეიცავდეს, რომ შესაძლებელი იყოს „უარყოფა

---

[1]ი. ჭავჭავაძე. თხზ. სრ. კრებ., ტ. VI, 1956, გვ. 225.
[2]იქვე, გვ. 227.
[3]იქვე, ტ. IX, 1957, გვ. 304.

პატიოსანი კაცისა და აშას კვრა (ე.ი. წაყენებულ ბრალდებაზე უარის თქმა, ი.ს.) ქურდისა" ერთმანეთისაგან განვასხვავოთ.

ილიას აზრით, არავის აქვს უფლება ადამიანს უსაბუთოდ ბრალი დასდოს, პიროვნების პასუხისგებაში მისაცემად საჭიროა სათანადო საბუთები; დანაშაულისათვის აუცილებელია ბრალი. ბრალის ხარისხის მიხედვით განსაზღვრული უნდა იყოს პასუხისმგებლობა. ბრალის მიხედვით ზოგი დანაშაული მძიმეა, ზოგი მსუბუქი; ჩხუბისა და ერთმანეთთან წაკიდების დროს, შეიძლება ადამიანმა დანაშაული ჩაიდინოს, მაგრამ ასეთი დანაშაული უცაბედი აღელვებით, წაკიდებით და ჩხუბით გამოწვეული, შეიძლება მსუბუქ დანაშაულად ჩაითვალოს. ასეთი ჩხუბის დროს შეიძლება ადამიანმა შემთხვევით „ფათერაკად" აწყინოს რაიმე მეორეს, მაგრამ ადამიანი სრულებით არ იყოს საშიში საზოგადოებისათვის, შეიძლება „გულით წამხდარი კაცი არ იყოს". „გულით წამხდარი" ადამიანი კი საშიშია საზოგადოებისათვის, იგი დაუძინებელი მტერია, „დაუძინებელი ბოროტია ყველასი", რადგანაც „ავკაცობა მისი მუდამი ხელობაა"[1].

ილიამ სასამართლოს ერთ განაჩენზე, რომლითაც ბრალდებულს ოთხი წლის კატორღა მიესაჯა ღირსების ჩამორთმევით, სპეციალური წერილი დაწერა და თავისი შეხედულება გამოთქვა სასჯელზე.

ყოველი დანაშაული, ილიას აზრით, სასჯელს უნდა იწვევდეს, მაგრამ ეს სასჯელი დანაშაულის შესაფერისი, შესატყვისი უნდა იყოს. სასჯელი, მიზნად უნდა ისახავდეს საზოგადოების უვნებელყოფას დანაშაულისაგან: „ბოროტად მოქმედი კაცი" ისეთ მდგომარეობაში უნდა ჩააყენონ, რომ საზოგადოებას არაფერი დაუშავდეს. თუ დამნაშავე გამოსასწორებელია, „ისე უნდა გარემოცულ იქმნას, რომ მორჯულდეს, გასწორდეს, გაკეთდეს და ისევ პატიოსან კაცად დაუბრუნდეს საზოგადოებას"[2].

ილია წერს: „ჩვენი გულითადი აზრი ის არის, რომ სასჯელი ზღვევა არ იყოს, სამაგიეროს გადახდას არ მოასწავებდეს". სამაგიეროს გადახდას ილია სამართლის შეურაცხყოფად მიიჩნევს, „მართლიერება, სამართალი მთელი ერის გაწმენდილი სინდისია, მთელის ერის გაწმენდილი ნამუსია, და როგორ უნდა იკადროს ამ საყოველთაო სინდისმა, ამ

---

[1]ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებ., ტ. VI, 1957, გვ. 235.
[2]იქვე, ტ. VIII, 1957, გვ. 337.

საყოველთაო ნამუსმა, ჯიბრში ჩაუდგეს უბედურს შემცოდველსა და „კბილი კბილისა წილ და თვალი თვალისა წილ“ გამოსთხოვოს. აქ საჭიროა მორჯულება შემცოდველისა და არა ჯვარცმა და შანთით გლეჯა ხორცისა, ტანჯვა და წვალება“.

ილიას აზრით მსაჯულობა, მოსამართლეობა ადამიანის „უდიდესი მოვალეობაა“, მსაჯული ის ადამიანია, „რომელსაც აბარია ჩვენი ქონება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სული და ხორცი, ერთის სიტყვით, ჩვენი კაცური კაცობა, ჩვენი ადამიანობა. იგი განხორციელებული სინდისია მთელის ერისა“, და ის იმით უფრო იტანჯება, როცა ხედავს, რომ დამნაშავე სამაგიეროს გადახდის ობიექტია. მოსამართლე „სიყვარულით, გულისტკივილით“ უნდა განიკითხავდეს დამნაშავესა და არა რისხვითა და წყრომით[1]. კი არ უნდა ხარობდეს დამნაშავის დანახვით, არამედ შეწუხებული უნდა იყოს, რომ სასჯელით სამაგიეროს გადავუხდით[2].

სიმძიმეს დანაშაულობისას უნდა შეეწონოს სიმძიმე სასჯელისა, — და შემდეგ განაგრძობს, რომ „მძიმე სასჯელი“ არც დანაშაულის ამოკვეთას შველის, არც ზნეობრივად აქვს მას დადებითი გავლენა, მაგრამ თუ მაინც მძიმედ დასჯიან დამნაშავეს, ეს იმიტომ, რომ მას მძიმე დანაშაული ჩაუდენია.

სიკვდილით დასჯის შესახებ. ილია სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ილაშქრებს. იგი იმ აზრისაა, რომ სამართალი ჰუმანურ საწყისებს უნდა ემყარებოდეს, ამიტომ სიკვდილით დასჯა უნდა მოისპოს.

მ. კოვალევსკის ცნობით, ილია ჭავჭავაძე პროფ. ტაგანცეევთან ერთად სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გამოდიოდა[3]. მართებულად აღნიშნავს პ. ინგოროყვა, რომ ილიას მოთხრობა „სარჩობელაზედ“ ერთი „უძლიერესი ნაწარმოებთაგანია, რომელიც სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ დაწერილა“[4]. ილიამ მოამზადა სიტყვა სიკვდილით დასჯის

---

[1]ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებ., ტ. VIII, 1957, გვ. 337-338.

[2]იქვე, გვ. 338.

[3]ნ. კვლიშვილი, ილია ჭავჭავაძე იურისტი, 1970, გვ. 68; ს. ჯორბენაძე, ილია ჭავჭავაძე — სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ მებრძოლი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 69, 1958 წ., გვ. 223-252.

[4]ილია ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებ., I, პ. ინგოროყვას წერილი, „ილია ჭავჭავაძე“, გვ. CXIII.

გაუქმების შესახებ. მ. ბოლქვაძის გადმოცემით, ილიას უთქვამს რომ სიტყვა, რომლითაც მოვითხოვ სიკვდილით დასჯის მოსპობას, დავასრულეო, და ჯერ სახელმწიფო საბჭოს მემარცხენე ჯგუფს წავუკითხავ და შემდეგ კი სახელმწიფო საბჭოსო.

ილიას კარგად ესმოდა, რომ სიკვდილით დასჯის მოსპობა ვერ განხორციელდებოდა მომხრეების სიმცირის გამო.

პიროვნების თავისუფლების შესახებ. ილია ეხება პიროვნების თავისუფლებას, მის ხელშეუხებლობას და აღნიშნავს, რომ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან „მე" და „ჩვენ", ეს იმას ნიშნავს, რომ პიროვნება „ერთის მხრით უფალია, მეორეს მხრივ მოვალე. უფალია თავის საკუთარ საქმეში, თავის ცალკე ინტერესების მოედანზედ. იქ იმას თავისი განცალკევებული საკუთარი „შინა" აქვს. ეგ საკუთარი „შინა" ხელშეუხებელი კუთვნილებაა და ამიტომაც კერა ადამიანის პატივცემულია ყველასაგან, ვისაც არ დაუკარგავს გრძნობა ადამიანის ღირსებისა, ვისაც კაცი კაცად სწამს. ამ ცალკე ინტერესების მოედანზედ ბრძანებლობს ადამიანის მძლავრი „მე", რომელსაც ვიდრე თავის ქერქშია, საზოგადოებრივ „ჩვენ" არამცთუ ერჩის რამეს, არამედ თვითონ გუშაგად უდგას, რომ დაუსჯელად არავინ ხელიც არ შეახოს"[1].

ამასთანავე, — განაგრძობს ილია, — „ადამიანი იმისთანა თვისებით არის ქვეყანაზედ გაჩენილი, რომ ყველაფერში განცალკევებული ვერ მოიხდენს, თვისთა გარე ცხოვრებას, ვერ შესძლებს ვერასგზით და ვერას მანქანებით". ამიტომ, ის სხვა ადამიანებთან ამყარებს ურთიერთობას, საზოგადოებისაგან მოწყვეტით ადამიანს არ შეუძლია ცხოვრება, საზოგადოებაში ამ სხვა ადამიანებთან „დამოკიდებულების გამო, ყოველს ადამიანს თავის საკუთარის „შინას" გარდა, სხვაგვარი „შინაც" აქვს, საცა იგი ერთი მრავალთაგანია და საცა ამის გამო მისი „მე" მოვალეა და „ჩვენ" მბრძანებელი. ეგ „ჩვენ" თითონ საზოგადოებაა, ანუ მთავრობა", ამ „ჩვენის", ე.ი. საზოგადოებისა და მისი მთავრობის მოვალეობაა დაიცვას „მე", ე.ი. დაიცვას პიროვნება, რომ ის ხელშეუხებელი იყოს[2]. პიროვნება ისე უნდა იქნეს დაცული, რომ „მის ცალკე ბედნიერებას, ცალკე კეთილდღეობას, სიკეთეს არა აბრკოლებდეს რა, მის სულსა და გულსა ფრთის გაშლას არა უშლიდეს-რა, თუ რომ სხვის ბედნიერებას

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. VIII, 1957, გვ. 242-243.X

[2] იქვე, გვ. 243-244.

არას ერჩის და არას უშავებს“.

მაშასადამე, ილიას აზრით, როცა პიროვნება თავისთვის მოქმედებს, ანგარიშს ამისათვის არავის არ უნდა აძლევდეს. ამავე დროს ადამიანი სხვასთან ერთად მოქმედებს, ის მონაწილეა „საზოგადოების საქმეებისა“. ამდენად „იგი განსასჯელია და განსაკითხავი საყოველთაოდ და საქვეყნოდ“. რაც შეეხება ადამიანის პიროვნებას, მის „მე“-ს, ის არავის არ ექვემდებარება; პროგრესული საზოგადოება სწორედ იმ იდეას ემხრობა, რომლის მიხედვით პიროვნება ხელუხლებელია, — ასეთია ილიას აზრი.

ქალთა უფლებების შესახებ. ილია თავის შრომებში ეხება ქალთა საკითხს და ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ, ვინც ფიქრობს, რომ ქალი მოვალეა იყოს მხოლოდ დედა, მეუღლე და და. ილია ასე სვამს საკითხს: რატომ ასეთივე მოთხოვნილება არ უნდა წავუყენოთ კაცსაც? რატომ არ უნდა ჰქონდეთ ქალსა და კაცს თანასწორი უფლება?

ილიას აზრით, ქალი და კაცი თანასწორი უფლებით უნდა სარგებლობდეს. საქმე ის კი არ არის, რომ ოჯახს მოვლა უნდა, ოჯახის მოვლა ერთსაც ეკალება და მეორესაც. საკითხი მხოლოდ ის არის, რომ ოჯახის გარეთ, საზოგადოებაში ადამიანს აქვს მოვალეობა, რითაც ის უნდა დაფასდეს. საზოგადოებრივი მოღვაწეობა კი ორივეს შეუძლია, კაცსაც და ქალსაც. ისინი ორივენი „კაიკაცობით“ უნდა დაფასდნენ. „ვინც კაცად არ ვარგა, ის არც მამად ივარგებს, არც სხვად რადმე, იმიტომ რომ მამობა და დედობა ადამიანური, მარტო შვილების გამრავლება და ძუძუს წოება არ არის“[1], — წერს ილია. მისი შეხედულებით, პირველ ყოვლისა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქალი ადამიანია და სწორედ ადამიანობის სრულყოფილობის სახელით უნდა გადავჭრათ ქალთათვის კაცთან გათანასწორობის უფლების მოპოვების საკითხი[2].

ამისათვის საჭიროა განათლება, ადამიანს, როგორც ქალს, ისე კაცს, განათლებით უნდა „გონება გავუხსნათ ჭეშმარიტის აზრებისათვის, აღუფრთოვანოთ გულისტკივილი კაცობრიული და მოქალაქეობრივის ინტერესებისათვის“, ასეთი განათლებით, ასეთი „თვალთამხედველობით დედაკაცი გაუთანასწორდება მამაკაცსა“[3]. ამგვარად დგას ეს საკითხი ევროპაში და ამას უნდა მივსდიოთ ჩვენც, — ამბობს ილია.

---

[1]ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. VIII, 1957, გვ. 330.
[2]იქვე, გვ. 334.
[3]იქვე, გვ. 336.

ილიას ტერმინი „დედაკაცი“ ისეთ ტერმინად მიაჩნია, რომელიც კარგად გამოხატავს, კარგად გადმოგვცემს ქალის დანიშნულებას. ამ ტერმინით, ილიას აზრით, მინიშნებულია, რომ დედაც კაცია და მამაც. ილია წუხს, რომ „დედაკაცი“ სათაკილო სახელად მიაჩნიათ ქალებს, მაშინ, როდესაც ქართულ ენას სწორედ „დედა“ გამრავალგვარებული და განდიდებული აქვს. მაგალითად, დედა-ენა, დედა-ბოძი, დედა-ქალობა და სხვა. ამიტომ, ილიას შეხედულებით, „დედაკაცი“ შინაარსეულად იმას გადმოგვცემს, რომ ქალიც კაცია.

ძველად ქართველმა ქალმა იცოდა თავისი მოვალეობა, — წერს ილია, — თავისი ღირსება, მაგრამ სწავლა, განათლება აკლდა. ძველად ქართველ ქალს ხასიათი, თვისება ჰქონდა გაწვრთნილი: „ხასიათის თვისების გაწვრთნაში ჩვენს ძველს ოჯახს ეხლანდელი სკოლა ვერ შეედრება. უწინდელს ჩვენს გაწვრთნას ცოდნა აკლდა და ეხლანდელს ჩვენს ცოდნას ხასიათის და თვისების გაწვრთნა აკლია“[1].

ილიას შეხედულებით, ხასიათის გაწვრთნილება, რომელიც დამახასიათებელი იყო ძველი დროის ქართველი ქალისათვის, ნიშნავდა შრომისმოყვარეობასა და პატიოსნებას. იგი წერს, რომ ძველი პერიოდის ქართველი ქალების ამ დადებით თვისებას უნდა შეემატოს ახლანდელი პერიოდის ცოდნა და განათლება და მაშინ მივიღებთ დღეისათვის იდეალურ ქალსო და განაგრძობს, რომ ქალს, პირველ ყოვლისა, ადამიანობა მოეთხოვება ისევე, როგორც კაცს, თორემ „დედობა“ ცოლობა და დობა დიდი საქმე არ არის. ეს ზოგი ბუნების საქმეა, ზოგი გარემოებისა. საქმე კაი დედაკაცობაა, კაი ადამიანობაა, ანუ უკეთ ვსთქვათ, კაი კაცობაა და მერე დედობა, ქმრობა, ცოლობა და სხვა“[2].

ილია ქალთა საკითხს სპეციალურ წერილებშიც ეხება[3] და გაკვრითაც აქვს საუბარი სხვადასხვა წერილებში.

ილიას გადმოცემით, ქალთა საკითხში მიღებული იყო ასეთი მოსაზრება: ქალის განათლება არ არის საჭირო იმისათვის, რომ გასწიოს დედობა, ცოლობა და დობა. ახლა კი როგორც რუსეთში, ისე ევროპაში

---

[1]ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. IV, 1955, გვ. 237.

[2]იქვე, გვ. 367.

[3]ი. ჭავჭავაძე, დედათა საქმე და ქალთა განათლება, თხზ. სრ.. კრებ., ტ. IV, 1955, გვ. 369-374; ქალთა სასწავლებელი, იქვე, გვ. 366-368; დედათა საქმის გამო, იქვე, ტ. VIII, 1957, გვ. 329-337; პატარა საუბარი, იქვე, ტ. III, 1958, გვ. 427-430.

შეიცვალა ეს შეხედულება და ქალის დანიშნულებად, პირველ ყოვლისა, კარგი კაცობა მიაჩნიათ. ქალი ისეთივე უფლებით უნდა სარგებლობდეს, როგორც კაცი. პირველ ყოვლისა, ის საზოგადო მოღვაწეა, საზოგადოების სრულუფლებიანი წევრია და შემდეგ — ოჯახის წევრი. აქედანვე გამომდინარეობს, რომ ქალი, როგორც კარგი კაცი, შრომისმოყვარე, განათლებული და პატიოსანი ადამიანი, ოჯახსაც კარგად წაუძღვება[1].

ილია „უკანონო" შობილთა სამართლებრივი რეჟიმის საკითხებსაც ეხება და პროგრესულ შეხედულებას გამოთქვამს.

„უკანონოთ შობილი" ყოველგვარ უფლებას მოკლებული იყო. „ამგვარად შობილისათვის, — წერს ილია, — არც სახელია, არც გვარია, არც დედა, არც მამა, არც მამეული, არც დედეული ქონება, არც მამაშვილური და დედაშვილური განწყობილება... ასე უწყალოდ ყოფნა უბედურად დარჩენილისა სწორედ ულმობელობაა, გულქვაობაა, ცოცხალმკვდრად დამარხვაა უდანაშაულო და უცოდველის ადამიანისა"[2].

ეთქვათ, — განაგრძობს ილია, — დედა და მამა დამნაშავენი არიან „უკანონოთ შობილი" შვილის გაჩენისათვის, მაგრამ რა დააშავა შვილმა? უდიდესი „უსამართლობაა", რომ შვილს მოეთხოვოს მშობლის დანაშაული და ამისათვის სასჯელი დაედოს. „მერე რა სასჯელი, რა საზღაური! ყოველივე პატივი და ღირსება... უკანონოთ შობილს თვალის ახილებისთანავე წართმეული და ჩამორთმეული აქვს. იგი უდედ-მამოა, თუ დედ-მამა გასწირავს, იგი უნათესავოა, უსახელოა, უგვაროა, უხარისხოა, არც მამეულის ქონებაზე მიუწვდება ხელი, არც დედისეულისაზე და ყოველფერში უმწეო და უნუგეშოა. რა დააშავა? ვის რა წაართვა? ვის რა შეცოდა"[3]. დედ-მამა მას სასიკვდილოდაც იმეტებს, თუ არა, ვინმეს მიუგდებენ გასაზრდელად.

ილია შეძრწუნებულია ასეთი უსამართლობით.

ქალისა და კაცის დაახლოებას და ამ ნიადაგზე შვილის გაჩენას, „რაც გინდა წმინდა გრძნობა და დიდი სიყვარული წინ უძღოდეს", ასეთი დაახლოების შედეგად გაჩენილ შვილს უაღრესად სასირცხვილო მოვლენად სთვლიდნენ. ამ ნიადაგზე ზოგჯერ დედა თავს იკლავდა, თავს იწამლავდა, ან შვილს იმეტებდა და სხვ. ამ შემთხვევაში, ილიას

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. IV, 1955, გვ. 366-374; იქვე, VIII, 1957, გვ. 334-336.
[2] იქვე, ტ. VIII, 1957, გვ. 344.
[3] იქვე, გვ. 345.

შეხედულებით, კანონი და საზოგადოებრივი აზრი მეტად ულმობელია.

ამჟამად კი, — წერს ილია, — გამოდის ახალი კანონი, რომელიც არ უყურებს ასე ულმობლად ამ საქმეს. ილიას აზრით, „უკანონოდ შობილი“ შვილის ყოლა, რასაკვირველია, არ არის მოსაწონი, მაგრამ „ადამიანი ადამიანს ისე“ უნდა „მოექცეს, რომ უბედურება დაუნელოს, „სიმწარე დაუტკბოს“ და იქამდე არ მიიყვანოს, რომ თვითმკვლელობა არ გადაწყვიტოს ან ბავშვი უპატრონოდ არ მიაგდოს.

ილია მიესალმება ახალ კანონს, რადგან იგი ძველთან შედარებით უფრო ჰუმანურია: პირველ ყოვლისა, დედას ავალებს ბავშვის აღზრდას, მამას — შვილისათვის ზრუნვას, ხარჯის გაღებას და სხვა.

როგორც ჩანს, ილია არც ახალი კანონით არის სავსებით კმაყოფილი, საერთოდ მას უსამართლოდ მიაჩნია „უკანონოდ შობილის“ უუფლებო მდგომარეობა და წერს: „ესეთი კაცთა შორისი უსამართლო, უმადლო და ულმობელი ურთიერთობა, რასაკვირველია, ოდესმე თავის დროსა და ჟამს მოიჭამს და მარტო ისტორიაშიღა თუ დარჩება კაცობრიობის არა-სასახელო სახსოვრად, ვითარცა საწყაო ჩვენის ეხლანდელის გულის სიკეთისა და საზომი ჩვენი ჭკუა-გონებისა თვალთა მოკლედ ხედვისა“.

აკაკი წერეთელი

ქართველი ხალხის საამაყო შვილის აკაკი წერეთლის მოღვაწეობა მრავალმხრივია. ჩვენ მისი მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან მხოლოდ ერთ მხარეს შევეხებით, კერძოდ, მის შეხედულებებს სახელმწიფოსა და სამართალზე. ამ თვალსაზრისით აკაკის შრომები დღემდე არ ყოფილა შესწავლილი.

პოეტი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში, არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, ხშირად გამოთქვამდა შეხედულებას სახელმწიფოს წყობილებაზე, ამ სახელმწიფოს სასამართლო ორგანიზაციაზე, სხვადასხვა დაწესებულებებსა და სამართლის ამა თუ იმ ინსტიტუტზე. ეს შეხედულებები აკაკის მთლიანი მსოფლმხედველობის ნაწილია და ასახულია მის მხატვრულ ნაწარმოებში, აგრეთვე პუბლიცისტურ წერილებში.

რუსეთთან საქართველოს ურთიერთობაზე, საქართველოს სახელმწიფოებრიობასა და მმართველობაზე აკაკის შეხედულებას მჭიდრო კავშირი აქვს მისსავე იურიდიულ შეხედულებებთან. ამიტომ, უპირველესად,

განვიხილავთ აკაკის შეხედულებას საქართველოს რუსეთთან ურთიერთობისა და ქართველი ხალხის ერთიანობისათვის ბრძოლის საკითხებზე, რის შედეგადაც შევეხებით მის მხოლოდ ზოგიერთ შეხედულებას სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტებზე.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ აკაკი თავის შრომებში მრავალ სოციალურსა და ეკონომიურ საკითხს შეეხო[1].

საქართველოს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხებზე ფრიად საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული აკაკის წერილში „ჩემი აღსარება"[2]. აკაკი წერს: „სულითა და გულით ქართველი ვარ, პატრიოტი. სამშობლოს კეთილწარმატება მიტომ მენატრება, რომ ის პირნათლად, მჭიდროდ შეუკავშირდეს ფერადოვან მსოფლიოს"[3], აკაკის აზრით, პატრიოტობა სხვა ხალხის სიყვარულს არ ეწინააღმდეგება, პირიქით, პატრიოტიზმი ხიდია მსოფლიოს ხალხებთან კავშირისა.

უხსოვარი დროიდან ქართველი ხალხი უმკლავდება მოზღვავებულ მტერს. XVIII ს-ის მეორე ნახევარში, ერეკლე II-ის და სოლომონ I-ის დროს, საქართველოს მდგომარეობა ცოტათი გამოსწორდა. ამ დროს ეკატერინე II-ის მთავრობამ ომი დაიწყო ოსმალეთთან. ამ ომში ერეკლე II და სოლომონ I ჩაებნენ რუსეთის მხარეზე. რუსეთმა ჯარიც გამოგზავნა საქართველოში ტოტლებენის ხელმძღვანელობით, მაგრამ ტოტლებენმა უღალატა ერეკლეს და ბრძოლის წინ მტრის პირისპირ დატოვა.

ერეკლე, საქართველოს გარეშე და შინაური მტრების მოუსვენრობის გამო, მოხუცობის ჟამს, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საქართველო რუსეთს უნდა შეერთებოდა. მაგრამ ისე „კი არა, როგორც დღეს ვხედავთ. იმას უნდოდა რომ შინაგანად სამეფო ხელშეუხლებელი ყოფილიყო და მხოლოდ საგარეო პოლიტიკაში დამორჩილებოდა რუსეთს".

აკაკის აწუხებს, რომ ინტელიგენცია, რომელზედაც ბევრი რამ არის დამოკიდებული, არა დგას თავის სიმაღლეზე. საქმე ის არის, რომ სწავლა-განათლების საქმე ვერ არის დაყენებული საჭირო დონეზე და ინტელიგენცია ვერ ნახულობს საკმაო მასალას პატრიოტიზმისათვის,

---

[1]ივ. სურგულაძე, აკაკი წერეთლის სოციალურ-ეკონომიური შეხედულებანი, ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", № 12, 1968, ლევან ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, 1953.

[2]ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. XIV, 1961, გვ. 351-356.

[3]ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. XIV, 1961, გვ. 351.

რადგან „რჯული და სამართალი სხვებს უჭირავთ ხელში! სწავლა-განათლებას სხვები უდგანან სათავეში და თავისაგან თავის ნებაზე გაჰყავთ ლარი და ხაზი! საუკუნეზე მეტია, რაც ქართველებს ნაციონალური საკვები აღარ ეძლევათ... ამის ბრალია, რომ ქართველი ინტელიგენტი სხვის კარზე ფართხალობს“[1].

რასაკვირველია, აკაკის, ისევე როგორც ილიას, არ ჰქონდა საშუალება (ცენზურის გამო) ყველაფერი ეთქვა, რასაც ფიქრობდა, აკი თვითონვე წერს: „სათქმელი ბევრი გვაქვს, მაგრამ პირი — კი წყლით გვაქვს სავსეო“[2], მაგრამ პოეტმა ის კი თქვა გარკვევით, რომ ქართული სახელმწიფო უნდა აღსდგესო.

აკაკის პოეზიაში სოციალური და ეროვნული საკითხები ხშირად გადახლართული იყო ერთმანეთში. აკაკი უმღერის იმ ადამიანს, ვინც ქველმოქმედია, ვისი იდეებიც ვარსკვლავებივით კიაფობს ადამიანის საკეთილდღეოდ, ვინც მარად ფიქრობს თავის მამულზე და ვისაც სამშობლოს საკეთილდღეოდ უძგერს გული. ასეთი ადამიანი, აკაკის აზრით, არ კვდება, მისი სახელი უკუნითი უკუნისამდე გადაეცემა შთამომავლობას, ხოლო ის კი, ვინც ქვრივ-ობლებს აწიოკებს, მშრომელებს ჩაგრავს, ვისაც მხოლოდ გამდიდრება აქვს მიზნად დასახული, საზიზღარია, როგორც სიცოცხლეში, ისე სიკვდილის შემდეგ.

აკაკი ნატრობს იმ დროს, რომ მისი სატრფო-სამშობლო თავისუფალი იქნება; მამულიშვილის მოვალეობად პოეტს ის მიაჩნია, რომ შემოხსნას ბორკილები სამშობლოს, რომ მას ძალით ვერავინ შეაშინებდეს; ამასთანავე, აკაკი ნატრობს სამშობლოს გამოხსნას, აყვავებას. ეს არის პოეტის უდიდესი მისწრაფების საგანი[3].

გაზაფხული, პოეტის სიტყვით, ლამაზად რთავს ქვეყანას, მაგრამ პოეტისათვის მანამ არ იქნება გაზაფხული, სანამ „ქართველების ამირანი მიჯაჭვული“ ეგულება, ხოლო „მიჯაჭული ამირანი არის მთელი საქართველო“, ავტორი იმედოვნებს, რომ ამირანი გაწყვეტს ჯაჭვს და განთავისუფლდება.

აკაკი წერეთლის აზრით, ძველად „მთელი ერი ორ წოდებად იყო გაყოფილი: მხედრებად (მეომრებად) და მუშაკებად. პირველი შეადგენდა

---

[1]ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. XIV, გვ. 478.
[2]ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. XIII, 1961, გვ. 300.
[3]იქვე, ტ. II, 1950, გვ. 7, ლექსი 1880 წ.

მაღალ წრეს, ხოლო მეორე — დაბალს. თავადაზნაურობა ბრძოლის ველზე ათენ-აღამებდა და გლეხობა — კი საზრდოს აწოდებდა მათ და თავის თავსაც არჩენდა, და იმ დროის მიხედულობით უკეთესი წეს-წყობილება მოუხერხებელიც იყო. დღეს სულ სხვა არის"[1].

ძველი თავადაზნაურობის შთამომავალთ დღეს, — წერს აკაკი, — „მეთაურობა და თავადობა არ შეუძლიათ", ისინი მამა-პაპათა ადგილს ვერ დაიჭერენ, რადგან დროს მხოლოდ ქეიფში ატარებდნენ. „მოდი და უთხარი ქვეყანას: „დღევანდელი გაქსუებული „მრავალჟამიერის" მოღრიალე და ხანჯლის მოტრიალე ძველი ოჯახების ნაშთები იწამე და ეთაყვანეო"[2].

ბატონყმობის გადავარდნას აკაკი სულითა და გულით მიესალმება, თვითონაც ხომ ამისათვის იბრძოდა, მაგრამ იმასაც ამბობს, ისევე როგორც ილია, საქართველოში „ბატონყმობას მისთანა მტარვალური და მონური ხასიათი არ ჰქონია, როგორც სხვაგანო"[3].

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ბატონყმობის მოსპობა აკაკის სამართლიანად მიაჩნია, რადგან ამ რეფორმით „ერთი რომ სამართლიანად დაიჩაგრა, ათასი და ათიათასი სამართლიანად გაბედნიერდა".

ძველადაც თავადაზნაურობა ერთიანი არ იყო. მათი ერთი ნაწილი, რომელიც სხვის კარზე იყო აღზრდილი[4], მტრობდა სამშობლოს, მეორე ნაწილი კი, ე.ი. უმრავლესობა, რომელიც გლეხობასთან იყო აღზრდილი, ერთგული იყო თავისი ქვეყნისა. თავადაზნაურობის ეს უმრავლესობა და გლეხობა „ორივ ერთად ძმურად სამსხვერპლოდ თავგადადებულნი" იბრძოდნენ სამშობლოს საკეთილდღეოდ. ასეთია აკაკის აზრი. დღეს კი, — წერს იგი, — სხვა დროა, და „თავადებსაც სულ სხვა გვარს მოსთხოვს გარემოება. ძველის ერისთავ-დიდებულის ადგილი დაიჭირა ინტელიგენციამ", და ის უნდა გაუძღვეს ქვეყანას, მაგრამ ისე კი, რომ ხელი არ აიღოს ძველ ტრადიციებზე, საზოგადო საქმე წინ დააყენოს საპირადოზე.

აკაკის შეხედულებით, სხვადასხვა კუთხეების ეთნოგრაფიული სხვაობა ალამაზებს და ამშვენებს ერთიან საქართველოს. პოეტი ცალ-

---

[1]ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. XIII, 1961, გვ. 528.
[2]იქვე, გვ. 528-529.
[3]ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. XIV, 1961, გვ. 8.
[4]იქვე, ტ. XIV, 1961, გვ. 174.

ცალკე ახასიათებს ქართლელს, იმერელს, მეგრელსა და გურულს[1], გვიჩვენებს მათს როგორც დადებითს, ისე უარყოფით მხარეებს. კუთხურობის საკითხს აკაკი სპეციალურად შეეხო თავის წერილში „ბ-ნი ნინია გარეჯელის საპასუხოდ“[2].

აკაკის ძლიერ აწუხებდა კუთხურობის საკითხი და სხვა წერილებშიც უბრუნდება მას. აკაკი ჰკიცხავს იმას, ვინც ქართველურ ენებს ერთმანეთს უპირისპირებს. სხვადასხვა კილოზე ლაპარაკი იმას არ ნიშნავს, რომ ამ კილოებზე მოლაპარაკე ქართველები ერთმანეთისაგან გამოვყოთ. ჯერ ერთი, ეს ქართველური ენებია და მეორე, — სამწერლო ენა საერთოა, ქართულია.

აკაკი წერს: მეგრელობა, გურულობა, კახელობა, ქართლელობა, რაჭველობა დასაძრახისი არ არის, მაგრამ კუთხურობამ არ უნდა დასძლიოს „ქართველობა“, უნდა ვიცოდეთ, რომ კუთხეების უკან ერთიანი სამშობლოაო[3]. აკაკი წერდა, კუთხურობა „კერძოობის უფრო მაღლა დაყენებაა საქვეყნოზე“, ის ფეოდალური დაქსაქსულობის გადმონაშთია და, სამწუხაროდ, დღესაც იგრძნობაო.

საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენელმა უნდა იცოდეს, რომ მისი სამშობლო საქართველოა, რომ საქართველო ყველა კუთხისათვის ერთია, კუთხურობა „ის ეკალია, რომელიც ეშმაკის ხელით ითესება, შემდგომში გვიჩხვლეტს და დაგვაწყლულებს“. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ამოვძირკვოთ ეს ეკალი, — ასეთია აკაკის აზრი.

სასამართლოს შესახებ. აკაკი გამუდმებით ადევნებდა თვალყურს რეფორმის შემდეგდროინდელ სასამართლო დაწესებულებებს, მათს მუშაობას და ხშირად აქვეყნებდა კრიტიკულ წერილებს სასამართლოს მუშაობაზე, სასამართლო პროცესზე. იმდროინდელი სასამართლო დაწესებულებათა მუშაობის საკითხები ასახულია, როგორც მის პუბლიცისტურ წერილებში, ისე მხატვრულ ნაწარმოებში.

აკაკის ბასრი მახვილი, პირველ ყოვლისა, მეფის სასამართლოს წინააღმდეგ იყო მიმართული და ეს შემთხვევითი არ არის: პოეტს არ შეეძლოა გულგრილად ეცქირა სასამართლო დაწესებულებათა

---

[1]ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. XII, 1960, გვ. 71.
[2]ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. XIV, 1961, გვ. 122-128.
[3]იქვე, გვ. 429.

უსამართლობით გატანჯული ხალხის განცდებისათვის და ეს განცდები აისახა აკაკის შემოქმედებასა და მოღვაწეობაში.

1882 წელს დაწერილ „საახალწლო ნატვრაში" აკაკი სასამართლო ორგანოებისაგან მოითხოვს სამართალს, სამართლიანობას[1]. სასამართლოს შესახებ დაწერილ საგანგებო წერილებში პოეტი პროცესუალური სამართლის საკითხებს ეხება. ეს საკითხებია: მხარეები, მოწმეები, მათი სასამართლოში გამოძახება, მტკიცების საშუალებები.

აკაკი ამხელს სასამართლო დაწესებულებებში გაბატონებულ გახრწნილებას, მექრთამეობას, სიყალბეს. სასამართლოში ფული ბატონობს, ქრთამი აკეთებს ყველაფერს. კანონებს, სასამართლო დაწესებულებებს მხოლოდ ის დანიშნულება აქვს, რომ ფულიანებს გაუწიოს დახმარება და თვითონ სასამართლოში მომუშავეებმა ისარგებლონ მატერიალურად. აკაკი დასცინის სასამართლოს, რომლისთვისაც სიმართლე არ არსებობს: პრისტავი, ადვოკატი და მოსამართლე შეხმატკბილებულად მოქმედებენ[2].

ამასთანავე, აკაკი ადმინისტრაციის თვითნებობის შემაძრწუნებელ სურათებს აგვიწერს. მისი გადმოცემით ქუთაისის გუბერნიაში ერთ-ერთი სოფელი მთლად გადაწვეს იმისათვის, რომ ვიღაცამ გაისროლა.

უსაზღვროა, აუტანელი ადმინისტრაციისა და სასამართლოს თვითნებობა. ხშირია შემთხვევა, რომ ისინი საქმეს არც კი იძიებენ. მათი თვითნებობისა და უსამართლობის დასახასიათებლად აკაკი ასეთ შემთხვევას გვამცნობს: ბორჩალოში დანაშაული ჩაიდინა ალი მუსტაფამ, მაგრამ داااპტიმრეს მუსტაფა ალი, რომელიც არაფერ შუაში იყო. როდესაც ეს გაუგებრობა გამოირკვა, ადმინისტრაციამ ასე „داااბუთა" მუსტაფა ალის داპტიმრება: მუსტაფა ალი და ალი მუსტაფა ერთი და იგივეა, ორივე თათარია. თუ ამჟამად ერთმა ჩაიდინა დანაშაული, სულერთია, ხვალ მეორე ჩაიდენს, რა ვუყოთ, რომ ერთს „ალი" წინ აქვს და მეორეს — ბოლოს[3].

სწორედ ასეთი გაურჩევლობა, თვითნებობა, აკაკის აზრით, დამახასიათებელია მეფის სასამართლოსათვის, პოლიციისათვის და საერთოდ, ხელისუფლებისათვის.

---

[1]ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. II, 1950, გვ. 61.
[2]იქვე, ტ. XV, გვ. 480.
[3]იქვე, ტ. IX, 1959, გვ. 282-288.

საქართველოში, როგორც განაპირა ქვეყანაში, სასამართლო რეფორმა არ გატარდა. პირველ ყოვლისა, არ შემოიღეს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, იმ მოტივით, რომ განაპირა ქვეყნების „ინოროდცები" განეითარების დაბალ საფეხურზე დგანან, არ იციან რა არის დანაშაული, და მათი წარმომადგენელი, როგორც ნაფიცი მსაჯული, გაამართლებს ყოველგვარ დამნაშავესო[1].

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში მხოლოდ 1917 წ., შეფის მთავრობის დამხობის შემდეგ შემოიღეს.

საოლქო სასამართლოსადმი დაქვემდებარებული ტერიტორია საქართველოში დაყოფილი იყო სამომრიგებლო უბნებად, თითოეულ უბანში იყო მომრიგებელი მოსამართლე, რომელსაც ჰყავდა მოადგილეები. სამომრიგებლო დაქვემდებარებაში მყოფი ტერიტორიიდან გამოიყოფოდა განსაკუთრებული სამომრიგებლო უბნები, რომლებშიც საქმეებს არჩევდნენ მომრიგებელი მოსამართლის მოადგილეები.

მომრიგებელ მოსამართლეს, არჩევის ნაცვლად, ნიშნავდა ამიერკავკასიის ადმინისტრაცია.

წინასწარ გამოძიებას ისეთი დანაშაულისას, რომლისთვისაც გათვალისწინებული იყო წოდებრივ უფლებათა ჩამორთმევა ან შეზღუდვა, სასამართლოს გამომძიებელი კი არ აწარმოებდა, არამედ — მომრიგებელი მოსამართლე ან მისი მოადგილე.

საქმის შესრულება იძულებითი წესით ხდებოდა მას შემდეგ, როცა მომრიგებელი მოსამართლის შემარიგებელი ფუნქცია ვერ გამოიღებდა შედეგს. ამასთანავე, შემარიგებელი გარჩევა ფორმალურად ხდებოდა.

ყველაფერი აჭიანურებდა საქმეებს, სასამართლოს საქმეებში ადმინისტრაცია ერეოდა, სუფევდა თვითნებობა, მექრთამეობა და სხვა.

მეფის მთავრობამ ასეთი შეკვეცილი რეფორმაც დაგვიანებით გაატარა საქართველოში.

პირველ ყოვლისა, აკაკის ის აღელვებს, რომ ახალი სასამართლო „გადასხვაფერებულად შემოიღეს ჩვენში ადგილობრივი მთავრობის მეცადინეობით"[2], რომ საქართველოში „სიტყვიერი საჩივარი შეუძლებელია", მომჩივანმა წერილობით უნდა „განაცხადოს იმ ენაზე, რომელიც მას არ ესმის", აკაკი აღნიშნავს: „დიდ განსაცდელში არის

---

[1]Г. Н. Туманов, Земельные вопросы и преступность на Кавказе, 1900, с. 77.

[2]ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებ. ტ. XIII, 1961, გვ. 345.

ჩავარდნილი ქვეყანა". ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში არ შემოიღეს; აკაკი აღშფოთებულია, რომ ნაფიცი მსაჯულების შემოუღებლობას შემდეგნაირად ასაბუთებდნენ: „განა შეიძლება იქ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, სადაც აქაური მკვიდრნი თავისიანებს, გინდ ავაზაკი იყოს, ხელს აფარებენო".

აკაკი ბევრჯერ უბრუნდება იმ საკითხს, რომ სასამართლოში საქმე უცხო ენაზე ირჩეოდა, რის გამოც აუცილებელი იყო თარჯიმანი, რომლის საქმიანობამ სასამართლო პროცესი ყალბ გზაზე დააყენა.

აკაკი საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს სამართლის ამა თუ იმ ინსტიტუტის შესახებაც.

დანაშაულის შესასწავლად, აკაკის აზრით, მნშვნელოვანია დანაშაულებრივი ქმედობის მოტივის, მიზეზების შესწავლა, რის შედეგადაც შესაძლებელია ერთმა დამნაშავემ აღგვაშფოთოს, მეორე დამნაშავე კი შეგვებრალოს კიდეც.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში მოტივს არსებითი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის კვალიფიკაციისათვის. კანონში ზოგჯერ აღნიშნულია დანაშაულის მოტივი (ანგარება, ქვენაგრძნობები და სხვ.).

აკაკი კარგად იყენებს მოტივის საკითხს სვანების გასამართლების დროს, როცა ის დამცველად გამოდიოდა. სვანები, აკაკის სიტყვით, გაამწარა, შეაწუხა, მოთმინებიდან გამოიყვანა ადგილობრივმა ადმინისტრაციამ. ისინი იცავდნენ თავის თავს, ოჯახს, ზნე-ჩვეულებას. მათი მოქმედება, მათი აზრით, მხოლოდ მოსაწონი იყო[1].

აკაკი ანალიზს უკეთებს ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმეს, რომელშიაც სამართალში მიცემულს მკვლელობა ბრალდებოდა. ეს ანალიზი მრავალმხრივ არის საყურადღებო. აკაკი სვამს დანაშაულის ძიების საკითხს. მისი აზრით, სასამართლო პროცესში საყურადღებოა ეჭვმიტანილისა და დამნაშავის პიროვნების საკითხი. სასამართლოს განაჩენი, აკაკის მართებული მტკიცებით, არ უნდა ემყარებოდეს ვარაუდს, არამედ მას მტკიცე საფუძველი უნდა ჰქონდეს. ეჭვი განაჩენის გამოტანის დროს სასამართლოს აღარ უნდა ჰქონდეს, ის სავსებით დარწმუნებული უნდა იყოს დანაშაულის ჩადენასა თუ არჩადენაში.

---

[1]აკაკის სადამცველო სიტყვა, წარმოთქმული სვანების საქმის გარჩევის დროს სასამართლოში, ძლიერ კარგად აქვს განხილული იურისტ ანდრო გელოვანს (იხ. „საბჭოთა სამართალი", 1958, № 2).

აკაკი აკრიტიკებს იმ განაჩენს, რომელიც, მისი აზრით, ადასტურებს, რომ სასამართლოს ჭეშმარიტებისათვის არ მიუგნია. აკაკის მეტად საყურადღებო, სავსებით დასაშვები, მაგრამ ერთმანეთის საწინააღმდეგო ვარაუდები მოჰყავს და სვამს კითხვას, ასეთ შემთხვევაში როგორ შეიძლებოდა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანაო. ფრიად საყურადღებოა იმის აღნიშვნა, რომ აკაკის მიერ მოყვანილი ვარაუდები იურიდიულად სავსებით დასაშვებია და დამყარებული საქმისა და იურიდიული საკითხების სათანადო ცოდნაზე[1].

„მართალი" და „სიმართლე" აკაკისათვის ერთი და იმავე შინაარსის ცნებებია. „სიმართლე" და „მართალი სიტყვა", პოეტის თქმით, არ უყვარს საზოგადოებას, ანუ, უფრო სწორად, საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც „ქვეყნისათვის შრომა" არცა სწამს, არცა სურს, რადგანაც პირადული ინტერესი მაღლა აქვს დაყენებული საზოგადოებაზე, „სხვისი უბედურება" მას „არ ეყურება" და თავისი „ჯიბის სამსახურით" არის გატაცებული[2].

აკაკისათვის უსამართლოა ყოველივე, რაც კი წინააღმდეგია პატიოსნებისა: ღალატი და მზაკვრული მოქმედება, ცილისწამება. მტრობა პატიოსანი ადამიანის მიმართ, იმ ადამიანის მიმართ, რომელიც სამშობლოსა და სიმართლისათვის იბრძვის[3]. კანონი და სამართალი, ორივე „სწორ გზას", ე.ი. სამართლიანობას უნდა ემსახურებოდეს, მაგრამ ეს ასე არ არისო, შენიშნავს აკაკი.

აკაკი სამართლის შესახებ იმ აზრისაა, რომ „კანონები უნდა ემყარებოდნენ ზნესა და ჩვეულებას ხალხისა, რომელსაც ეს კანონები უნდა შეეფარდოს". იგი ხმარობს აგრეთვე ტერმინს „უფლებას". პოეტი სწავლა-განათლებას უსურვებს ქართველებს, რათა მათ გამოიყენონ ეს სწავლა და მოიხმარონ უფლება, რომ „ქვეყნის მომავალს" არ სწყვეტდნენ „უმეცრები" და მათი ადგილი დაიკავონ სწავლულებმა, „სიმართლე" აკაკისათვის ის არის, რისთვისაც იბრძვის პატიოსანი ადამიანი. მისი ერთ-ერთი ლექსის სათაურია „სიმართლე"; ლექსის ავტორი სიმართლის სახელით ჰკიცხავს იმ დროს, როდესაც ყველაფერი „ვერცხლით იწონება".

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ აკაკის პროზაულ ნაწარმოებში

---

[1]ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებ., ტ. XV, 1963, გვ. 412-417.

[2]იქვე, ტ. II, გვ. 30-31.

[3]ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებ., ტ. II, გვ. 38-39.

„ჩემი თავგადასავალი“ საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული შვილის აღსაზრდელად გაბარებაზე. პოეტის მართებული მოსაზრებით, ამ ინსტიტუტის შინაარსი ის არის, რომ მშობელსა და გამზრდელს შორის მყარდება სისხლით ნათესაობის მსგავსი მტკიცე კავშირი. ფეოდალური საქართველოს ისტორიაში ამ ინსტიტუტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

„თავგადასავალში“ საუბარია აგრეთვე ფეოდალური საქართველოს ადათებსა და ამ ადათებიდან ადათობრივი სამართლის წარმოშობაზე, რის შესახებაც პოეტს მეტად საინტერესო მასალა აქვს მოტანილი.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ სამართლის ერთ-ერთ ინსტიტუტზე, რომელსაც თავის ნაშრომებში აკაკი ეხება.

ივ. გომართელმა 1907 წლის ჟურნ. „ცისკარში“ გამოაქვეყნა წერილები — „ნაწყვეტები წარსულიდან“, რომლებშიაც ის აზრია გატარებული, რომ საქართველოში ბატონყმობის დროს იყო პირველი ღამის უფლება. ამის წინააღმდეგ გამოვიდა აკაკი წერეთელი, რომელმაც უარყო საქართველოში პირველი ღამის უფლების არსებობა.

ამასთანავე აკაკი აღნიშნავს, რომ ქართველი ხალხის მტრები „უსამართლო საბატონო პოლიტიკას მისდევენ“, მათ სურთ ქართველი ხალხი გათიშონ, გლეხები მიუსიონ თავადაზნაურობას. ამის ერთ-ერთი საშუალებაა პირველი ღამის უფლების არსებობის მტკიცება, რაც გლეხებსა და თავადაზნაურობას შორის ამწვავებს დამოკიდებულებას.

აკაკის ეზიზღება „ტიკივით“ გაბერილი მდიდარი. მდიდარი ქურდობს, მაგრამ „დიდებულ ქურდს“ არაფერს ჰკადრებენ, ხოლო „მართალსა“, მაგრამ საწყალსა, ე.ი. ღარიბს, სდევნიან. მდიდარი „შიგნით სხვაა, გარეთ სულ სხვაა“, ხოლო ღარიბი გულუბრყვილოა, მდიდარი ანგარიშიანია, „საწყალს კი ეს ანგარიში არ ოდეს არ ეყურება“[1].

ქალთა უფლებების შესახებ. აკაკი, ისე როგორც ილია, ქალებისათვის განათლებას მოითხოვს[2].

ქალების საზოგადოებრივ საქმეებში ჩაბმას აკაკი ყოველმხრივ მიესალმება და იმასაც აღნიშნავს, რომ ქალები კაცებზე ნაკლებად არ სდებენ თავს საზოგადოებრივი საქმისათვის. აკაკის აზრით, ქალსა და კაცს „თანასწორი ადგილი უნდა ეჭიროთ ცხოვრებაში და ისტორიულად სწორედ ასე იყო ეს“, საქმეები მათ განაწილებული ჰქონდათ როგორც

---

[1]ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებ., ტ. I, 1950, გვ. 346-347.

[2]ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებ., ტ. XIV, 1950, გვ 112-121.

ერთმანეთის „თანასწორ ორ ნახევარს“.

პოეტი მოითხოვს ქალებისათვის სასაწავლებლის გახსნას. მას ძლიერ აწუხებს, რომ განათლებულმა ქალებმა ზოგჯერ არ იციან ქართული, რადგანაც სკოლაში ამ საგანს არ ასწავლიან. აკაკის აზრით, განათლება ის აუცილებელი საშუალებაა, რომელიც ქალს გამოიყენებს საზოგადო ასპარეზზე, სადაც მას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია[1].

აკაკის უსამართლოდ მიაჩნია, რომ ქალის შესახებ სავსებით უმართებულო შეხედულებაა გამეფებული უძველესი პერიოდიდანვე. ქალი ხშირად ბოროტების მიზეზად მიაჩნიათ: ბერძნებმა ტროადის ლაშქრობის მიზეზად მშვენიერი ელენე ჩათვალეს, ებრაელებმა სამსონის დამარცხება დალილას დაბრალეს, ეგვიპტელები „ბჭე-მაღალ ფარაონთა დამხობას“ კლეოპატრას მიაწერენ, ქრისტიანები ადამიანისაგან სამოთხის დაკარგვის მიზეზად ევას თვლიან, მაგრამ, აკაკის აზრით, ქართველები სულ სხვა თვალით უყურებენ ქალს. პირველ ყოვლისა, საქართველო ღვთისშობლის წილხვედრია; გარდა ამისა, კაპადოკიელი ნინო ქართველთა განმანათლებელია, ქეთევან დედოფალი ქართველი ერისა და მისი სარწმუნოებისათვის წამებულია, თამარ მეფე კი მაგალითი იყო იმისა, რომ „ქვეყნის გაერთგულება და ამაღლება შეიძლება მხოლოდ სიტკბოებით, ლმობიერებით და სიყვარულით“. აკაკის აზრით, ეს „სამი, ეს „მთიებთა სამაია“ ნათლის სვეტად წინ უძღოდა ჩვენს დედებს, ქართველ ქალებს და მათდა სადიდებლად, უნდა გამოვტყდეთ, რომ არც იმათ უღალატნიათ ისტორიული სიმართლისათვის და ღირსეული მიმდევარი ყოფილან იმ სამთა წინამორბედთა“. პატარა საქართველომ რომ მტერი მოიგერია, ამისი მიზეზი „ქართველი ქალი იყო, ის ჭირშიაც და ლხინშიაც მეუღლეობას უწევდა ქმარს და შვილებს გმირებად უმზადებდა მომავალს. დღეს, როდესაც ქვეყანა დაკნინდა და ყველაფერმა იცვალა ელფერი, დაქვეითება ყველაზე უფრო ქალებს დაეტყო“.

აკაკის აზრით, დღევანდელმა ქალმა რომ ძველი ქალის გზა განაგრძოს, საჭიროა მიიღოს განათლება, კარგად შეისწავლოს სამშობლო ენა, რითაც გაუძღვება საზოგადო საქმეებს.

ჩვენ განვიხილეთ აკაკის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა ზოგიერთი საკითხი. აკაკის პოლიტიკურ-იურიდიული შეხედულებები მისი მსოფლმხედველობის ნაწილია. ჩვენ ვნახეთ, რომ აკაკი, ისე

---

[1] ა. წერეთელი, თხზ. 1რ. კრებ. ტ. XIV., ტ. XIV, 1961, გვ. 487.

როგორც ილია, ებრძვის ბატონყმობას, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ის მშრომელების ინტერესების სადარაჯოზე დგას. აკაკი მიესალმება 1905 წლის რევოლუციას, ამავე დროს ის არ ივიწყებდა ხმლისა და გუთნის დაკავშირების თეორიას.

ნიკო ნიკოლაძე (1843-1928 წწ.)

ნ. ნიკოლაძე იყო საქართველოში ეროვნული განმანთავისუფლებელი მოძრაობის რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მეთაური[1].

ნ. ნიკოლაძე სასტიკად ილაშქრებდა ცარიზმის წინააღმდეგ. ის მთელი თავისი არსებით გმობდა ცარიზმის მიერ ადგილობრივ მკვიდრთა გარუსების პოლიტიკას. ნ. ნიკოლაძე ოცნებობდა ისეთ საზოგადოებაზე, როცა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას ადგილი არ ექნებოდა[2].

ნ. ნიკოლაძე ყოველთვის მთელი ხალხის სახელით გამოდიოდა. მისი იდეალი ისეთი საზოგადოება იყო, სადაც საყოველთაო შრომა, თანასწორობა და თავისუფლება იქნებოდა. მისი აზრით, მდიდართა მიერ ღარიბთა ჩაგვრაზე დამყარებული საზოგადოება უნდა გარდაქმნილიყო თანასწორობასა და თავისუფლებაზე დაფუძნებულ, ე.ი. ჰარმონიულ საზოგადოებად[3]. მაგრამ ამისათვის, ნ. ნიკოლაძის აზრით, არ არის საჭირო არც რეფორმები, არც რევოლუციები, არამედ საჭიროა საზოგადოების ეკონომიური, გონებრივი და ზნეობრივი გარდაქმნა; საჭიროა რომ მშრომელები და არამშრომელები განათლებულნი იყვნენ, თავადაზნაურობა და ბურჟუაზია მშრომელ ხალხს უნდა დაუკავშირდეს, „შეედულოს"; ნ. ნიკოლაძის აზრით, საჭიროა თავადაზნაურობის სახალხო საქმით დაინტერესება, ეს კი თავადაზნაურობისა და ხალხის შეეკავშირებით —უნდა მოხდეს. რასაკვირველია, აქ თავს იჩენს ნ. ნიკოლაძის შეხედულება კლასთა შერიგებაზე, კლასთა ბრძოლის უარყოფაზე და სხვა[4].

ნ. ნიკოლაძის აზრით, არაა საჭირო ხალხის აჯანყება, არამედ

---

[1]საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ი. ანთელავას რედ., გვ. 515.
[2]საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, ი. ანთელავას რედ., 1970, გვ. 517.
[3]საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, ი. ანთელავას რედ., 1970, გვ. 521.
[4]ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი, I, 1962, გვ. 24-25.

აუცილებელია მისი აღზრდა ამ შეკავშირებისათვის.

სახელმწიფოს შესახებ. ნ. ნიკოლაძეს უმაღლესი იურიდიული განათლება ჰქონდა მიღებული. ეს გარემოება თავს იჩენს მის შრომებში. ნ. ნიკოლაძემ შესანიშნავად იცის სხვადასხვა ქვეყნების სახელმწიფოებრივი წყობილება და კიდეც გადმოგვცემს თავის შეხედულებებს სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმებზე.

ნ. ნიკოლაძეს ამ შრომებში განხილული აქვს ევროპის სახელმწიფოს მმართველობის ფორმები. პირველ ყოვლისა, ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ სხელწიფოები ფორმების მხრივ შეიძლება იყოს მონარქიული და რესპუბლიკური[1].

ავტორის აზრით, მონარქიული სახელმწიფო სამგვარია: დესპოტური, აბსოლუტური და კონსტიტუციური. დესპოტური ხელისუფლების დროს ფუნქციები დანაწილებული არ არის (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო), აბსოლუტურ მონარქიაში მეფის ხელისუფლება განუსაზღვრელია, მაგრამ ის სახელმწიფოს კანონებით მართავს, ხოლო კონსტიტუციურ სახელმწიფოში მეფის უფლებანი განსაზღვრულია ხალხის წარმომადგენლებით[2].

რესპუბლიკური მმართველობის სხვა ფორმებიც არსებობდა საბერძნეთში, რომში და შუა საუკუნეების ქალაქებში.

თუ რესპუბლიკას არისტოკრატია მართავდა, მას უწოდებდა არისტოკრატიულ რესპუბლიკას, თუ უზენაესი ხელისუფლება რესპუბლიკაში რამდენიმე გვარის ან პირის ხელშია — ამას ეწოდებოდა ოლიგარქიული რესპუბლიკა, თუ რესპუბლიკაში ერთი პირის ხელისუფლებაც იყო, — ეს არის ტირანია, ხოლო თუ რესპუბლიკას, ავტორის აზრით, მართავს ხალხის მიერ არჩეული პირები, ასეთ მმართველობას დემოკრატიული ეწოდება[3], ე.ი. ეს არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

ნ. ნიკოლაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, თუ როგორ არის სახელმწიფოს მმართველობა მოწყობილი შიგნით, არის თუ არა სახელმწიფოში განხორციელებული ხელისუფლების დაყოფა, დანაწილება: საკანონდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ფუნქციების მიხედვით[4].

---

[1]ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. I, დ. გამეზარდაშვილის რედ., 1962. გვ. 370.
[2]ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი, I, 1962, გვ. 370-372, ტ. II, 1960, გვ. 202-203.
[3]მისივე, ტ. I, გვ. 381-382
[4]ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. I, 1962, გვ. 370.

ამ დანაწილების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადმინისტრაცია და აღმასრულებელი ხელისუფლება არ უნდა ერეოდეს საკანონმდებლო საქმიანობაში, არ უნდა ახდენდეს მასზე გავლენას, ამასთანავე, სასამართლო არ უნდა იყოს დამოკიდებული აღმასრულებელი ან საკანონმდებლო დაწესებულებისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს არ შეუძლია ობიექტურად საქმის – განხილვა და გადაწყვეტა. ფუნქციების ასეთი დანაწილება კონსტიტუციურ მონარქიაშიც შეიძლება განხორციელდეს, მაგრამ შედარებით უფრო სრულად ის რესპუბლიკაშია მოცემული.

ავტორის აზრით, მისი დროის რესპუბლიკური წყობილებიდან ყველაზე უფრო მოწინავე არის ამერიკის შეერთებული შტატები, ხოლო – კონსტიტუციური მონარქიებიდან – ინგლისი[1].

საგლეხო რეფორმის შესახებ. ნ. ნიკოლაძეს მრავალ საკითხზე აქვს გამოთქმული თავის შეხედულება. ნაშრომში – „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში" (1865 წ.) გლეხთა რეფორმას, რომელიც ცარიზმმა საქართველოში ჩაატარა, ნ. ნიკოლაძე უარყოფითად აფასებს. ის ამ რეფორმის მიმართ იმ შეხედულებისაა, რომ რუსეთის მთავრობის „კანონმდებლობა" რეფორმების შესახებ ფაქტიურად ბატონყმობას არ სპობს. პირველ ყოვლისა, მთავრობამ გლეხების მიერ მიწის გამოსყიდვა – მემამულეებთან „ნებაყოფლობით შეთანხმებას" მიანდო[2]. ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობამ მიწის საკუთრება ხელშეუხებლად მემამულეებს დაუტოვა. თუ მემამულე არ არის თანახმა, რომ გლეხმა მიწა გამოისყიდოს, მაშინ გლეხი ვალდებულია მემამულის სასარგებლოდ იხადოს დაწესებული გამოსაღები, თუ ეს არ სურს, გლეხს შეუძლია წავიდეს, მაგრამ უმიწოდ მას არსებობა არ შეუძლია. ეს არ არის ბატონყმობის მოსპობა, ეს არის „მძარცველების და ყაჩაღების, სიყალბისა და დანაშაულობის დაკანონება"[3].

ადვოკატის შესახებ. ნ. ნიკოლაძეს ფრიად საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული სასამართლოში დამცველის ფუნქციაზე. ნ. ნიკოლაძის აზრით, როცა სასამართლოში სისხლის სამართლის საქმე ირჩევა, ამ საქმისადმი შეიძლება ორგვარი მიდგომა: 1) ადამი-

---

[1]ნიკ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 1, 1962, გვ. 383.
[2]იქვე, გვ. 271.
[3]იქვე, გვ. 271.

ანობის თვალსაზრისით, — ძიების მიზნით და 2) კოდექსის ამა თუ იმ მუხლის მიხედვით.

როცა საკითხი დგას პიროვნების შესახებ, ის ყოველმხრივ უნდა იქნეს შესწავლილი. სასამართლო და ვექილები უნდა ხელმძღვანელობდნენ საზოგადოების ინტერესებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ჭეშმარიტება, სიმართლე უნდა დავაყენოთ „კანონიერების ვიწრო ცნებაზე" მაღლა[1]. კანონი, ავტორის აზრით, „ცოტად თუ ბევრად უსამართლოა ყველა არსებულ სახელმწიფოში", ხოლო „შეჭმარიტება და სიმართლე დამოკიდებული არაა არავითარ კანონმდებლობაზე"[2].

ავტორის აზრით, არ არსებობს მოქმედება „მიზეზოდ", ეს იმას ნიშნავს, რომ დანაშაულს აქვს თავისი გამომწვევი მიზეზები, ეს არის: პიროვნების ესა თუ ის მდგომარეობა, დამნაშავის ცხოვრების „არახელსაყრელი პირობების ზეგავლენა" და სხვა. დანაშაულის აღმოსაფხვრელად საჭიროა იმ პირობების მოსპობა, რომელიც დანაშაულს კვებავს. „დუხჭირი პირობები" აიძულებს ადამიანს ჩაიდინოს დანაშაული, ჩაგდოს საფრთხეში, საკუთარი თავისუფლება, ქონება და ხშირად სიცოცხლე".

ვექილის მოვალეობა დაიცვას ბრალდებული „კანონის ბრმა სიმკაცრისაგან", მაგრამ ეს მაინც არ არის მთავარი ვექილისათვის. ვექილისათვის სასამართლო ის ტრიბუნა უნდა იყოს, საიდანაც მან უნდა მიმართოს საზოგადოებას დანაშაულის მთავარი მიზეზების შესახებ, დანაშაულის პირობების გამორკვევის შესახებ, ამით ვექილობამ ხელი უნდა შეუწყოს „ისეთი მდგომარეობის შექმნას, როცა პატიოსანი მუშაკნი იძულებულნი არ იქნებიან სამარცხვინო საქციელი ჩაიდინონ სამუშაოს ნაკლებობისა ამ ხელფასის სიმცირის გამო".

ამისათვის უნდა გამოარკვიოს „ამჟამად არსებული წესების ნაკლოვანებანი და შეცდომები", რომელიც არის საზოგადოებაში, სასამართლოში, კანონებში"[3].

დანაშაულისა და პასუხისმგებლობის შესახებ. წერილში „მოძღვრება შეურაცხადობის შესახებ და ჩვენი განათლებულები" (1875 წ.) ავტორი გამოთქვამს თავის შეხედულებას ადამიანის თავისუფალი ნებისა და პასუხისმგებლობის შესახებ[4]. ავტორის გადმოცემით არსებობდა

---

[1]ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი, I, 1962, გვ. 286.

[2]ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი, I, 1962, გვ. 286.

[3]იქვე, გვ. 286-287.

[4]ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი, IV, 1964, გვ. 274-280.

ფილოსოფიური სკოლა, რომელიც ამტკიცებდა შემდეგს: „ადამიანი თავის თავში ატარებდა კეთილის ან ბოროტის ელემენტებს, და თავისი ბუნების მიხედვით იბადებოდა ქვეყანაზე კეთილ ანდა ბოროტ ადამიანად. ამ სკოლის აზრით, ყველა მის (ადამიანის, ი.ს.) საქციელში დამნაშავეა მხოლოდ ადამიანის თავისუფალი ნება, თუმცა ეს თავისუფალი ნება, ერთხელ და სამუდამოდ შემოფარგლულია ადამიანის კეთილი ანდა ბოროტი ბუნებით". ნების თავისუფლების საკითხი ფილოსოფიური საკითხია. თავისუფალი ნების თეორიას, ადამიანის დანაშაულებრივი მოქმედებისათვის პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებით, სისხლის სამართალში ავითარებდა სისხლის სამართლის კლასიკური სკოლა, რომელიც ადამიანის თავისუფალი ნების აღიარებით, პასუხისმგებლობას ადამიანის ნებას აკისრებდა და სასჯელის მიზნად ზოგად პრევენციას თვლიდა.

ამის საწინააღმდეგოდ გამოვიდნენ სისხლის სამართლის ანტროპოლოგიური და სოციალური სკოლები, რომლებიც უარყოფდნენ ადამიანის თავისუფალ ნებას.

სოციოლოგიური სკოლის თვალსაზრისით ადამიანის ქცევას განსაზღვრავს მემკვიდრეობა, წრე და სხვა მრავალი ფაქტორი. ნ. ნიკოლაძე სისხლის სამართლის სოციოლოგიური სკოლის შეხედულებას იზიარებს, როცა წერს: „ადამიანის ბუნებაში არ არის ცუდი და კარგი, რომ ხასიათი იქმნება გარეშე გარემოებათა ერთობლივი გავლენით, რომ ინდივიდუალური სიცოცხლის ცუდი გამოვლინებათა ძირშივე აღკვეთისათვის... საჭიროა ზრუნვა ამ ცუდ გამოვლინებების გამომწვევ არაკეთილსასურველ გარემოებათა და ცხოვრების პირობების აღსაკვეთად"[1].

ნ. ნიკოლაძის აზრით, საჭიროა ყოველგვარი ზომების მიღება და ბრძოლა იმისათვის, რომ აცილებული იქნეს თავიდანვე ისეთი ვითარება, რომელიც ადამიანს დანაშაულს ჩაადენინებს, რომ ძირშივე მოისპოს დანაშაულის გამომწვევი ფაქტორები[2]. ამასთანავე, ნ. ნიკოლაძე, სასტიკ ბრძოლას უცხადებს იმ, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, „განმანთავისუფლებლებს", რომლებიც ნების თავისუფლების უარყოფასთან ერთად უარყოფენ პასუხისმგებლობასაც დანაშაულისათვის.

ნ. ნიკოლაძე იმ შეხედულებისაა, რომ დანაშაულს განსაზღვრავს

---

[1]ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი, IV, 1964, გვ. 277.

[2]იქვე, გვ. 279.

გარემო, მემკვიდრეობა, სოციალური მდგომარეობა და სხვა, რომ ადამიანს არა აქვს თავისუფალი ნება. ამასთანავე, ის კატეგორიულად წინააღმდეგია იმის, რომ რახან ადამიანს თავისუფალი ნება არ აქვს, ამიტომ დამნაშავე შეურაცხადად ვაღიაროთ.

სამედიატორო სასამართლოს შესახებ. საყურადღებოა ნ. ნიკოლაძის შეხედულება სამედიატორო სასამართლოს შესახებ.

ნ. ნიკოლაძე ბ. ღოღობერიძესთან კამათში მართებულად აღნიშნავს, რომ სამედიატორო სასამართლო ძველი ინსტიტუტია[1]. მართლაც ეს ინსტიტუტი ხშირად არის დამოწმებული ფეოდალური პერიოდის წყაროებში.

პირველ ყოვლისა, ღირსების სამსჯავროში ორთავე მხარე თანაბარი უფლებებით სარგებლობს. თითოეული მხარე ერთი და იმავე რაოდენობით ირჩევს სასამართლო წევრებს, მოსამართლეებს ან მსაჯულებს — 2, 3 ან მეტი რაოდენობით[2]. არჩეული მსაჯულები ირჩევენ თავმჯდომარეს.

ამას წინ უსწრებს ერთი მხარის მიერ მეორე მხარის სასამართლოში გამოწვევა. გამოწვევისათვის ერთი მხარე მეორე მხარეს უგზავნის რწმუნებულს, ანუ მოციქულს.

რწმუნებულს მიაქვს მეორე მხარესთან აგრეთვე სასამართლოს მუშაობის პროგრამა, პროგრამა ანუ სამედიატორო ჩანაწერი უნდა შედგენილ იქნეს ორივე მხარის შეთანხმებით.

ნ. ნიკოლაძის აზრით, იმ შემთხვევაში თუ სამედიატორო სასამართლოსათვის შედგენილი გასარჩევი საკითხების გამო რაიმე გაუგებრობა წარმოიშობა, საჭიროა მხარეთა შეთანხმებით არჩეული იქნეს არბიტრი, რომლის გადაწყვეტილება უნდა იყოს საბოლოო, „უაპელაციო"[3].

არბიტრი, როგორც ჩანს, სპეციალურად ამ საქმისათვის, ნ. ნიკოლაძის მიერ იყო დასახელებული, საერთოდ კი წყაროების მიხედვით სამედიატორო სასამართლოს არბიტრი არ ჰყავდა, ის თვითონ იყო არბიტრი.

მთავარია, ჩამოყალიბება სადავო საკითხებისა და ამის შესახებ შეთანხმება. საბოლოოდ მხარეთა შეთანხმების მიხედვით, სამედიატორო სასამართლოს, ნ. ნიკოლაძის აზრით, შეუძლია ჩამოაყალიბოს საკითხები,

---

[1]ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი, VI, 1970, გვ. 25.

[2]იქვე, 25.

[3]იქვე, გვ. 365-366.

რომლებიც მან უნდა განიხილოს. სამედიატორო სასამართლოს განაჩენს მხარეები უნდა დაემორჩილონ. ნ. ნიკოლაძის აზრით, მოსამართლეები კომპეტენტური და ავტორიტეტიანი უნდა იყვნენ, მათ უნდა ესმოდეთ საქმის სპეციფიკა.

მოსამართლეების ავტორიტეტიანობა საერთოდ სამედიატორო სასამართლოსთვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. თუ საკითხი სოფლელთა სამედიატორო სასამართლოს შეეხებოდა, იქ ასეთი პირები ცნობილი იყო და მხარეებიც მათ არჩევას შეეცდებოდა. სოფლებში ე.წ. თავკაცების ან „საბჭოს", ე.ი. სასამართლოს საქმის მცოდნე პირების მიგნება არ წარმოადგენდა რაიმე სიძნელეს.

ნ. ნიკოლაძე კი ამ შემთხვევაში გულისხმობს „სახელგანთქმულს" პირებს „რომ მათი განაჩენი რამედ ღირდეს საზოგადოების თვალში"[1].

ამასთანავე ნ. ნიკოლაძის აზრით, მხარეს უნდა ჰქონდეს უფლება აცილება მისცეს მოწინააღმდეგის მიერ დასახელებულ მოსამართლეს. ნ. ნიკოლაძეს მოჰყავს მსაჯულის აცილების საფუძვლიანობის მაგალითი: მხარემ მედიატორად დაასახელა თავისი მოსამსახურე, ეს შეურაცხმყოფელია მეორე მხარისათვის.

ნ. ნიკოლაძეს აქვს საინტერესო წერილი სათაურით — „სოციალურ და პოლიტიკურ გარდაქმნათა შესახებ" (1875 წ.)[2].

ავტორის აზრით, მომავლისაკენ მისწრაფება დამახასიათებელია ყველა სახელმწიფოების ხალხებისათვის, განურჩევლად ამ სახელმწიფოთა სახელმწიფოებრივი წყობილებისა[3]. ამ პროგრესისაკენ მებრძოლთ ავტორი ჰყოფს ორ მიმდინარეობად: პირველი მიმდინარეობის წარმომადგენელნი თანდათანობით გარდაქმნების მომხრენი არიან, ისინი, ავტორის გადმოცემით, გონივრული მეთოდით იბრძვიან, ძველს იყენებენ ახალის აშენების დროს. მეორე მიმდინარეობის აზრით, საჭიროა ძველის ძირფესვიანი განადგურებით ახალის აშენება. ნ. ნიკოლაძის აზრით, პროგრესისათვის მებრძოლი უნდა დაეყრდნოს ძველს, არ უნდა ეცადოს მის განადგურებას, არამედ უნდა გამოიყენოს ის.

„კაცობრიობის ისტორიაში ჯერ კიდევ არ ყოფილა მაგალითი, რომ თუნდაც ერთი რომელიმე ოდნავ სერიოზული ცვლილება ხალხის

---

[1]ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი, VI, 1970, გვ. 26.

[2]ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი, IV, 1964, გვ. 255-262.

[3]იქვე, გვ. 256.

ბედში... მომხდარიყო ახალი მოძღვრების, ანდა პროპაგანდის მხოლოდ პრაქტიკული, უარმყოფელი ძალით"[1].

სოკრატემ და პლატონმა „ისე გააკრიტიკეს ძველი სამყარო, რომ საზოგადოებრივი წყობილებისა და სულიერი ცხოვრებისაგან ქვა ქვაზე არ დატოვეს, მაგრამ არა მათ შეარყიეს ეს სამყარო, არა მათ შეცვალეს კაცობრიობის ბედ-იღბალი, საჭირო იყო ქრისტეს მოძღვრების მთელი „დადებითი", „შემოქმედებითი" მხარე იმისათვის, რომ ხალხებს შეეცვალათ თავიანთი შინაგანი და საზოგადოებრივი ცხოვრების წყობილება"[2].

ნ. ნიკოლაძე, საერთოდ პროგრესისათვის მებრძოლია, მაგრამ ის მომხრეა არა ძალმომრეობითი გადატრიალების, არამედ ინტელიგენციის პროპაგანდის შედეგად საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების თანდათანობითი გარდაქმნის.

ჩვენ განვიხილეთ ნ. ნიკოლაძის ზოგიერთი იურიდიული შეხედულება იმ შრომების მიხედვით, რომელიც დაწერილია 1878 წლამდე და გამოცემულია მის თხზულებათა ტომებში (I-VI). ნ. ნიკოლაძის თხზულებათა გამოცემა გრძელდება და ნაკარაუდევია 15 ტომის გამოქვეყნება.

გიორგი წერეთელი (1842-1900)

ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი დაიბადა საჩხერის რაიონში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შევიდა პეტერბურგის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1861 წელს სტუდენტთა მღელვარებაში მონაწილეობისათვის რამდენიმე თვე იჯდა კრონშტადტის ციხეში. 1863 წელს დაბრუნდა საქართველოში. იგი იყო თერგდალეულთა მოძრაობის ერთ-ერთი მონაწილე. 1866-1869 წლებში გ. წერეთელი რედაქტორობდა ჟურნ. „დროებას", 1868 წლიდან — „სასოფლო გაზეთს", ხოლო 1871 წლიდან — ჟურნ. „კრებულს".

1877 წელს გ. წერეთელმა ნიკო ნიკოლაძესთან ერთად დაარსა „მეორე დასი", რომელიც იცავდა აზრს საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობის შესახებ და ეს მიაჩნდა ქვეყნის აღორძინების

---

[1]ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი, IV, 1964, გვ. 257-258.

[2]იქვე, გვ. 258.

პირობად.

1893-1897 წლებში გ. წერეთელი რედაქტორობდა პროგრესულ გაზეთ „კვალს“, რომელიც 1897 წლიდან გადაიქცა „მესამე დასის“ ორგანოდ.

გ. წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელთან, ნიკო ნიკოლაძესა და სხვებთან ერთად არის თერგდალეულთა წარმომადგენელი. თერგდალეულები, ოწინავე იდეებით შეიარაღებულნი, სათავეში ჩაუდგნენ საქართველოში ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლას. ისინი, როგორც განმანათლებლები, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით აღჭურვილნი, იბრძოდნენ ბატონყმობის მოსასპობად და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გასაღვივებლად.

გ. წერეთელი სამშობლოს უსაზღვრო მოტრფიალეა. როდესაც 4 წლის განშორების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში, იგი აღფრთოვანებით მოგვითხრობს იმ გრძნობებზე, რომელიც მასში სამშობლოს კვლავ ხილვამ გამოიწვია. „ეს მშვენიერი მიწაწყალი, ეს ლურჯი ცის კამარა პატრონობს ახლა ჩემს მამა-პაპის ძვლებს, ჩემს დაუვიწყარ ყმაწვილობას. მოდი და თაყვანს ნუ სცემ ამ მხარეს, მოდი და თავს ნუ დასდებ ამ მხარისათვის, როდესაც ჩემი ავლადიდება იქ მარხია. მოდი და საუკუნოდ თავს ნუ გასწირავ იმის კეთილმდგომარეობისათვის“[1].

გ. წერეთელმა, „როგორც პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ, დიდი როლი შეასრულა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურისა და აზროვნების განვითარების ისტორიაში[2].

მას იცნობდნენ, როგორც გამოჩენილ მწერალს, ფილოსოფოსს, შ¡ეაწავლილია მისი მსოფლმხედველობა, ბელეტრისტული და პუბლიცისტური ნაშრომები, მაგრამ არ არის სპეციალურად გაანალი-ზებული მისი იურიდიული შეხედულებანი, მისი თვალსაზრისი სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტებზე, სხვადასხვა საბის მოხელეებზე, ბანკების დაარსებაზე, ქალის უფლებრივ მდგომარეობაზე. გ. წერეთელი, როგორც განმანათლებელი, ყოველი საკითხის განხილვას განმანათლებელთა იდეებს უდებს საფუძვლად და ჩვენც, პირველ ყოვლისა, ამ საკითხს განვიხილავთ.

განათლების შესახებ. განათლება არის ის მიზანი, რომელიც

---

[1]გ. წერეთელი, თხზულებეთა სრული კრებული, ტ. I, ს. ხუნდაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, პუბლიცისტური წერილები, 1862-1868, 1937, გვ. 159.

[2]ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში. ტ. V, 1982, გვ. 19.

დასახული უნდა გვქონდეს ჩვენი ხალხისთვის, „უპირველესი ნიშანი განათლებისა არის წერა–კითხვის გავრცელება საზოგადოებაში“, წერს გ. წერეთელი თავის წერილში „განათლების გავრცელებაზედ საზოგადოებაში“[1].

გ. წერეთლის აზრით, ამქვეყნად „უპირველესი ღირსება განათლებაში და სწავლაში მდგომარეობს“[2]. განათლების გარეშე ყველაფერი ფუჭია, უნდა ვიზრუნოთ იმისთვის, რომ შთამომავლობას განათლება მივცეთ, ადამიანი უნდა ეცადოს, უნდა იზრუნოს მომავლისათვის. ჩვენ უნდა უარვყოთ მოსაზრება, რომ თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზეც ნუ იქნება. უგუნურობადაა მიჩნეული საფრანგეთის მეფის ლუი XVI-ის გამოთქმა – „ჩემს შემდეგ თუნდაც წარღვნა მოსულაო“. ყოველი ჩვენგანის მოვალეობაა, წერს გ. წერეთელი, „თავის თავის გარდა თავისი მოძმე კაციც ახსოვდეს და იმისათვის არ დაიშუროს ყოველი კეთილი საქმე“, შეეწიოს ყოველ გასაჭირში“. განათლება უნდა გავავრცელოთ, რათა საშუალება მოგვეცეს შევიგნოთ ერთობა. „ერთობის“ შეუგნებლობა გვიშლის ხელს საერთო საზოგადოებრივ საქმეში. მაგალითად, ბანკის დაარსება ძლიერ სასარგებლო საქმეა, მაგრამ მას სათანადო გავრცელება არა აქვს, რადგან ჩვენში არა აქვთ შეგნებული მისი ავკარგიანობა. თავის წერილში „ბუნების მეცნიერება და მისი დიდი ღვაწლი ხალხის განათლებისათვის“ გ. წერეთელი ავითარებს იმ შეხედულებას, რომ გაუნათლებელ გონებას ადვილად ეუფლება ცრუმორწმუნეობა. მეცნიერების ცოდნა აღმოფხვრის ადამიანში ცრურწმენას და ასწავლის მას, თუ როგორ ისარგებლოს ბუნების ძალებით[3]. თავის სხვა წერილში გ. წერეთელი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სწავლა-განათლება აძლევს ადამიანს საშუალებას, გამოიყენოს ბუნება. ამიტომ ვცადოთ ყოველგვარი საშუალებით „სწავლის გადმონერგვა... უსწავლელი ხალხი პირუტყვია“[4].

განათლებული კაცისათვის, გ. წერეთლის აზრით, მზის დაბნელება ბუნების ჩვეულებრივი მოვლენაა, რომელსაც აქვს თავისი მიზეზები,

---

[1]გ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული. ტ. I, პუბლიცისტური წერილები, გვ. 77.

[2]იქვე, გვ. 80.

[3]იქვე, გვ. 84-85.

[4]გ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, I, პუბლიცისტური წერილები, გვ. 94-95.

კანონები.

„სწავლა არის ბუნების კანონების ცოდნა“, სწავლა არის გარკვევა იმისა, თუ რისგან რა მოვლენა წარმოიშობა. ნასწავლმა და განათლებულმა კაცმა, წერს გ. წერეთელი, იცის ბუნების კანონები, ისიც იცის, რომ ადამიანი ბუნების ნაწილია, ის კარგად იცნობს „თავის სიცოცხლის კანონებს“. აქედან გამომდინარე, „მას უყვარს თავისუფლება, თავისი მამული“, რადგანაც ასეთი სიყვარული გამომდინარეობს ადამიანის თავდაცვისაგან: ის შეჰხარის „ყოველს კეთილს“, მან იცის, რომ სხვისი ბედნიერება „მის საკუთარ ბედნიერებას შეადგენს“. ადამიანი სწავლა-განათლებით შეიგნებს, რომ სხვა ადამიანებთან ბრძოლა არ არის მისთვის სასარგებლო. ადამიანი ბუნებას უნდა ებრძოლოს, რომ უკეთ იცხოვროს, ამისათვის კი საჭიროა სხვასთან შეხმატკბილებული ცხოვრება, ამისათვის საჭიროა ადამიანთა ერთობა, ეს არის თავდაცვის იარაღი.

გ. წერეთლის აზრით, „სიმდიდრე ბუნებაშია, მისი მოპოვება შრომით შეიძლება“. სამწუხაროდ, წერს გ. წერეთელი, კაცობრიობამ ეს ჯერ-ჯერობით ვერ ისწავლა. ის ვერ ხედავს, რომ „ერთმანეთის ცარცვაში, ერთმანეთის ჩაგვრაში, ერთმანეთის ჩაყლაპაში და ჩანთქმაში არ არის ბედნიერების წყარო. კაცობრიობა ვერ მიხვდა და დიდხანსაც ვერ მიხვდება, რომ ვინც სხვას ყლაპავს, იმას სხვანიც ჩაყლაპავენ. კაცობრიობა ჯერ ვერ მიხვდა, თუ რაში მდგომარეობს ადამიანის „თავის-დაცვა“.

თავისუფლება არის ის ძალა, რომელიც ატრიალებს ადამიანის სიცოცხლის ჩარხს. ადამიანის ბუნებაში ჩანერგილია ბედნიერების ძიება. ბედნიერება კი ადამიანთა ერთობაა, მათი ერთიანი ბრძოლაა ბუნების წინააღმდეგ. ამავე დროს კაცობრიობა, გ. წერეთლის აზრით, ვერ მივიდა იქამდე, რომ მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. „გაუნათლებლობის გამო ის (კაცობრიობა, ი. ს.) ყოველთვის თავისი ბუნებით კანონების წინააღმდეგ მოქმედებს“ და ერთმანეთთან ბრძოლით ადამიანები სამოთხის ნაცვლად ჯოჯოხეთს იშენებენ[1]. განათლება არის ის საშუალება, რომელიც მიიყვანს კაცობრიობას იმ დასკვნამდე, რომ ადამიანთა ბედნიერება არის თავისუფლება, რომელსაც ის მოიპოვებს განათლებით. გ. წერეთლის აზრით, „ჭეშმარიტი განათლება მდგომარეობს სრული ადამიანის ბუნების

---

[1]გ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, პუბლიცისტური წერილები, გვ. 127.

წარმატებაში და გახსნაში, იმან უნდა იმოქმედოს როგორც სულზე, ისე სხეულზე". განათლებულია ის ადამიანი, რომლისთვისაც „ბუნების ყოველი მხარე გახსნილია". გ. წერეთლის აზრით, ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანთა როგორც სულიერ, ისე ფიზიკურ აღზრდას. იმისათვის, რომ გონებრივად განვითარდეს, ადამიანს ესაჭიროება ფიზიკური აღზრდა. ამასთანავე, გ. წერეთლის აზრით, სწავლის დროს ადამიანი სრულად უნდა მიეცეს შესასწავლი საგნის შეცნობას. „უფრო სასარგებლოა, ადამიანმა იცოდეს ცოტა და მტკიცედ", ვიდრე „ბევრი, რომელსაც ის მოიპოვებს მსუბუქი კითხვით". მაშასადამე, საჭიროა საგნის ღრმად შეთვისება, განათლების ღრმად დაუფლება. ზერელე ცოდნა არ არის სასარგებლო.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ გ. წერეთელს განათლების მიღების საუკეთესო გზად დასავლეთ ევროპა მიაჩნია. იგი ჩრდილოეთში, ე.ი. რუსეთში, განათლების მიღებას არ უარყოფს[1], მაგრამ დასავლეთ ევროპაში განათლების მიღებით ჩვენი ახალგაზრდობის წარმატება, მისი აზრით, ორჯერ იმატებს.

ქართული თეატრისადმი მიძღვნილ წერილში (1866 წ.) გ. წერეთელი იმ შეხედულებას ავითარებს, რომ თეატრი კარგი პიესების ჩვენებით ასწავლის ხალხს მოსაწონ და დასაგმობ ქცევებს, თეატრი განათლებას ავრცელებს ხალხში. გ. წერეთლის აზრით, თეატრი ერის გონებისა და ზნე-ჩვეულების საწრთენელი სკოლაა, იგი ხალხის გათვითცნობიერების, ეროვნული თვითშეგნების გაღვიძების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაღრმავების საშუალებაა[2].

გ. წერეთელი განათლებას მიიჩნევდა პროგრესის საფუძვლად და ყოველნაირად ცდილობდა საქართველოში სკოლების გამრავლებას, უმაღლესი სასწავლებლის გახსნას. მას განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის „თბილისის უნივერსიტეტის დაარსების სასარგებლოდ საზოგადოებრივი აზრის შემუშავების საქმეში"[3]. გ. წერეთლის აზრით, ქართველი განათლებული ახალგაზრდობის ძირითადი მიზანი ეროვნულ-სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლა უნდა იყოს. იგი, როგორც დიდი დემოკრატი რადიკალი,

---

[1]ს. ხუნდაძე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის, 1949, გვ. 121.

[2]შ. სალუქვაძე, გ. წერეთელი, პუბლიცისტური მემკვიდრეობიდან, 1967, გვ. 21–23.

[3]ა. მახარაძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1957, გვ. 380.

ხალხთა თავისუფლებისათვის მებრძოლი, ყოველთვის ჩვენი საზოგადოების მოწინავე რიგებში იდგა. მას სიახლის დიდი შეგრძნება ჰქონდა და ყოველგვარ პროგრესულ წამოწყებას უჭერდა მხარს.

გ. წერეთლისა და ნიკო ნიკოლაძის ინიციატივით 1873 წელს ციურიხში დაარსდა ქართველი ახალგაზრდობის წრე „უღელი", რომელმაც წლის ბოლოს გადაინაცვლა ჟენევაში. წრე მრავალ წევრს აერთიანებდა და მიზნად ისახავდა საგანმანათლებლო ხასიათის მოღვაწეობას. ჟენევაში ეს წრე ახალი ძალებით, ხალხოსანი რევოლუციონერებით შეივსო. ამ წრის ხელმძღვანელი იყო გ. წერეთელი[1].

სანასარიანის გარდაცვალების გამო წარმოთქმულ სიტყვაში გ. წერეთელი ავითარებს იმ მოსაზრებას, რომ სამშობლოსა და ერის დასაცავად ხმალი აღარ არის უპირველესი იარაღი, დღეს ჩვენი ხმალია სწავლა-განათლება. როგორც უწინდელ დროში ყოველი ქართველი ხმალ ამოწვდილი უდგა დარაჯად თავის სამშობლოს, ჩვენც ისე უნდა ვიყოთ შეიარაღებული სწავლა-განათლებით, ყოველ ჩვენგანს სამეცნიერო წიგნი უნდა გვეჭიროს ხელში და მით უნდა ვიბრძოდეთ, მით ვიგერიებდეთ სამშობლოს მტრებს[2].

მისი აზრით, განმანათლებური იდეები გამოყენებული უნდა იყოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეებთან ერთად. ავტორი სასტიკად აკრიტიკებს თავად-აზნაურთა წარმომადგენლებს, რომლებიც მშობლიურ ენას გმობენ[3].

თავის რომანში „გულქანი" გ. წერეთელი აკრიტიკებს ახალი თაობის ისეთ წარმომადგენელს, რომელიც რუსეთში ცხოვრობს, განათლება რუსეთში მიიღო, უმაღლესი განათლების დიპლომი ხელთ აქვს, მაგრამ თავისი ქვეყნის ისტორია, ლიტერატურა არ იცის.

ამავე რომანის მიხედვით, ავტორი აკრიტიკებს სამოციანი წლების თავადაზნაურობას, რომელიც კარგი ცხოვრებისათვის ყველაფერს ჩადის, რომელთათვის ზნეობას არა აქვს ფასი.

„გულქანის" მიხედვით, განათლებას მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როცა ის ხალხს ხმარდება.

---

[1] ნ. აბზიანიძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1959, გვ. 465.

[2] გაზ. „ივერია", 1890, №129.

[3] იქვე, გვ. 346–347, 524–525.

სახელმწიფოს შესახებ. თვითმოქმედებასთან დაკავშირებით გ. წერეთელი ეხება სახელმწიფო წყობილების საკითხს[1]. წერილის „თვითმოქმედების" (სამუელ სმაისის თხზულებიდან გადმოკეთებული) მიხედვით, რაც უნდა კარგი სახელმწიფოებრივი წყობილება იყოს, ის ვერ მისცემს ადამიანს „ნამდვილ შემწეობას"[2]. საერთოდ კი უკეთესი სახელმწიფოებრივი წყობილება ის არის, რომელიც „მომეტებულს თავისუფლებას აძლევს კაცს თავის განათლებისათვის და ამით შეაძლებინებს იმას, რომ თვითონვე გაიუმჯობესოს თავისი პირადი მდგომარეობა".

მცდარია მოსაზრება, წერს გ. წერეთელი, რომლის მიხედვით ადამიანის ბედნიერება სახელმწიფო წყობილებაზეა დამოკიდებული, რომ საზოგადო პროგრესი საერთოდ სახელმწიფოებრივი წესწყობილების შედეგია. სახელმწიფო თავისი კანონებით იცავს ადამიანის სიცოცხლეს, თავისუფლებასა და საკუთრებას. სახელმწიფო და მისი კანონები ადამიანს ვერ შეასწავლის შრომას, ყაირათიანობას: „გარყვნილ ადამიანს ვერ გარდაქმნის პატიოსნად, ასეთი თვისებების მოპოვება ადამიანს შეუძლია მხოლოდ თავისი საკუთარი ნიჭის ხმარებით და ვარჯიშობით"[3].

საზოგადოების, ხალხის პროგრესი თითოეული პიროვნების პატიოსნებაში, მხნეობაში, შრომისმოყვარეობაში მდგომარეობს, ხოლო „ნაციონალური უძლურება არის შედეგი ამ კერძო პირების სიზარმაცისა... და ბიწიერებისა"[4].

ყოველი ხალხის მმართველობა, გ. წერეთლის აზრით, არის „გამომხატველი კერძო პირებისა". თუ მმართველობა „თავის აზრებით და მიმართულებით ხალხზე მაღლა დგას, ის მიუცილებლად ფრთებს დაუშვებს და გაუსწორდება ხალხს".

თავისუფლების „მკვიდრი საფუძველი კერძო პირების ხასიათზეა" დამყარებული, ამაზეა დამოკიდებული „ნაციონალური პროგრესი", ამაში მდგომარეობს ინგლისის „თავისუფლების ძალა". „ინგლისელებმა იციან, რომ ისინი არიან თავისუფალნი არათუ მარტო იმისათვის, რომ ისინი ცხოვრობენ თავისუფალის დაწესებულების მფარველობის ქვეშ, არამედ

---

[1]გ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, პუბლიცისტური წერილები, გვ. 138-158.

[2]იქვე, გვ. 139.

[3]იქვე, გვ. 139-140.

[4]იქვე, გვ. 140.

იმისთვისაც, რომ ყოველს წევრს საზოგადოებისას კარგად ესმის, თუ რა არის თავისუფლება"[1].

გ. წერეთელს მოჰყავს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბას უყვარს ინგლისელები, რადგანაც „ამბობენ იმას, რასაც ფიქრობენ"[2]

ინგლისში სათანადო პირობები შეიქმნა იმისათვის, წერს გ. წერეთელი, რომ ადამიანი თავისუფალი იყოს, „პირადი თავისუფლება და ენერგიული მოქმედება" შეადგენს ეროვნული ძლიერების მიზეზს. მისი აზრით, ყველაფერი დამოკიდებულია ოვიოონ ადამიანზე, ადამიანმა რომ მიაღწიოს ბედნიერებას, ამისათვის საჭიროა თავისუფლება, თავისუფლების მისაღწევად საჭიროა, პირველ ყოვლისა, განათლება.

გ. წერეთელი წერილში „ამ დროების ფრანცეიის მწერალნი და იმათი თხზულებანი" (1968 წ.) განიხილავს ნაპოლეონ III-ის იმპერატორობის ხანაში საფრანგეთის მდგომარეობას. საფრანგეთის ანაბინდელი მწერლები ეხებიან საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხებს.

როგორი უნდა იყოს ხალხის უფლებანი, რა ცვლილებანი უნდა მოხდეს სახელმწიფოებრივ წყობილებაში, რომ დემოკრატიული წყობილება შეიქმნას? გ. წერეთელი ამ საკითხების ირგვლივ განიხილავს ორ ძირითად მიმართულებას: ერთის აზრით, საჭიროა ძირფესვიანად შეიცვალოს სახელმწიფოებრივი წყობილება; ამისათვის საჭიროა რევოლუცია. მეორე მიმართულება უარყოფს რევოლუციას, როგორც ისეთ მოვლენას, რომელიც მხოლოდ „მოძრაობდა და ხმიანობაა", რისგანაც სიკეთე არ არის მოსალოდნელი. მეორე მიმართულება ასაბუთებს რეფორმების საჭიროებას[3].

ჩვენ გვაინტერესებს გ. წერეთლის შეხედულება ამ საკითხზე. გ. წერეთელი ცდილობს ობიექტურად გადმოგვცეს სხვადასხვა თვალსაზრისი, მაგრამ აქა-იქ მაინც ამჟღავნებს თავის შეხედულებას. ანაბინდელი საფრანგეთი რომ ხალხის თავისუფლების მხრივ მძიმე მდგომარეობაში იყო, ამას გ. წერეთელიც აღნიშნავს, მაგრამ რევოლუციის „შავი ღრუბლები" საფრანგეთის ცაზე „საშიშ ქუხილს" გამოიწვევს და საჭიროა

---

[1]გ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 1, პუბლიცისტური წერილები, გვ. 141.

[2]იქვე, გვ. 143.

[3]იქვე, გვ. 247-258.

მისი თავიდან აცილება. გ. წერეთელს ამის დასასაბუთებლად მოჰყავს ფრანგი კრიტიკოსის შერერის სიტყვები, რომ საზოგადოებას „რევოლუცია ჰკლავს და არ აძლევს ქვეყანას თავისუფლებას“[1].

რეფორმისტები მოითხოვენ ხალხისათვის ფართო უფლებების მიცემას; კონსტიტუციური მონარქია და რესპუბლიკა გვპირდება ქვეყნის მმართველობაში ხალხის მონაწილეობის უზრუნველყოფას. ასეთი აზრი გამოითქვა ფრანგი მოღვაწეების მიერ და ეს მოსაზრება გ. წერეთელს მოჰყავს თავის წერილში.

სოფლის მოხელეების შესახებ. გ. წერეთელმა 1868 წელს გამოაქვეყნა ორი წერილი სოფლის მოხელეების ამორჩევის შესახებ[2]. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ახალი კანონი გამოიცა, რომლის მიხედვით სოფლის მცხოვრებნი ირჩევდნენ მოხელეებს. ასეთი მოხელეები არიან: მამასახლისი, სოფლის მოსამართლე, ნაცვალი, გზირი, მეველე, „მერუე“ და სხვა. გ. წერეთელი სოფლის მცხოვრებთ უხსნის, რომ, დებულების მიხედვით, მამასახლისს, მოსამართლესა და ნაცვალს სოფლის ყრილობაზე ირჩევენ, სოფლის სხვა მოხელეებს კი სოფელი აყენებს „თუ უნდა ჯამაგირით“[3]. გ. წერეთელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, თუ ვინ უნდა ამოირჩიოს სოფელმა მამასახლისად, მოსამართლედ ან ნაცვლად. „სიფხიზლე და სიფრთხილე გვმართებს, სათანადოდ უნდა ვეძებოთ და ვიპოვოთ კაი მოხელეები“, მაგრამ კარგი ის როდია, ვინც კარგად ლაპარაკობს; კარგი ლაპარაკი ყველას შეუძლია — ქურდსაც, კაცის-მკვლელსაც, მექრთამესაც, ქვრივ-ობლის დამჩაგვრელსაც, „ღარიბის თავში მცემელსაც“.

„კარგი კაცი იგია, ვისაც ალალ-მართალი ლუკმა-პური უჭამია თავის ოფლითა, ვისაც თავის სიცოცხლე სიმართლით გაუტარებია“[4], გარდა პატიოსნებისა. ასეთი კაცი „ორსმჭვრეტელური ჭკუის პატრონი უნდა იყოს, რომ არ მოტყუვდეს“.

სოფლის მოხელე უნდა იყოს ჭკვიანი, მართალი, გამჭრიახი და სოფლისათვის მზრუნველი, თავგამოდებული. სოფელში კი მრავალი

---

[1]გ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, პუბლიცისტური წერილები, გვ. 52.

[2]იქვე, გვ. 359-366, 373-374.

[3]იქვე, გვ. 361.

[4]გ. წერეთელი, თხზულებათა სრულის კრებული, ტ. I, პუბლიცისტური წერილები. გვ. 365.

საქმეა გასაკეთებელი. პირველ ყოვლისა, სოფლებში პურის მაღაზია უნდა გაიხსნას, რომ გაჭირვების დროს გლეხობას დაეხმაროს პურით, თესლით.

გარდა ამისა, სოფელში სასურველია ბანკის დაარსება ნებაყოფლობით ფულის მოგროვების საფუძველზე. ეს ფრიად სასარგებლო იქნება გლეხებისათვის, რომელთაც ბანკი ხელს გაუმართავს გაჭირვების დროს. ამასთანავე, „ძალიან საჭირო რამ არის სკოლების გამართვა", გლეხობისათვის აუცილებელია „წიგნის ცოდნა", ყოველივე ამისათვის კი სოფელს ესაჭიროება „კაი მოთავე კაცები", ისეთი მოხელები, რომელნიც „ქვეყნის სიკეთის მოსურნენი იქნებიან".

სოფლის მოხელე ისეთი კაცი უნდა იყოს, რომელიც საკუთარ კეთილდღეობას არ გაარჩევს ქვეყნის სიკეთისაგან; როგორც თავისი თავისა და ცოლ-შვილის სიკეთე სურს, სოფლის სიკეთეც ისე სურდეთ იგი ღარიბისა და ობლის მფარველი უნდა იყოს.

ამასთანავე, გ. წერეთლის აზრით, მოხელეებმა „ატიოსნება, რიგიანობა, სიფაქიზე უნდა ჩამოაგდონ სოფელში, სახელმწიფო გადასახადები წესიერად გააწესონ და მოაგროვონ.

გ. წერეთლის აზრით, „მართალი, პატიოსანი" ისეთი ადამიანია, რომელიც არც ღარიბს დააკლებს რამეს და არც მდიდარს წაართმევს „უსამართლოდ". თავისთავად მდიდარი, ვინც არ უნდა იყოს, შეიძლება თავის სიმდიდრეს, ქონებას სამართლიანად ფლობდეს.

ვექილის შესახებ. გ. წერეთელი „პირველი ნაბიჯში" აგვიწერს „სოფლის ვექილის" საქმიანობას. წუნკალა ჩაფხუტაძე ადგენდა ყალბ საბუთებს, ცდილობდა ფულიანი კლიენტი ენახა და ფუღი ინტერესებისა. „ფულის შოვნისათვის ის ყოველგვარი სისაძაგლეს ჩადიოდა. მას ბევრი ცუდი საქმე ბრალდებოდა. სასამართლოს მის შესახებ მრავალი რამ ჰქონდა გაგონილი და ამის გამო კერძო ვექილობის მიღებას არ აძლევდნენ"[1].

გ. წერეთელი დაწვრილებით ახასიათებს ნაფიც ვექილის სივილას, რომელმაც დაამთავრა უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტი და დაიწყო ვექილობა. იგი ვერ აღუდგა წინ ცხოვრების ძმვინვარებას და შეითვისა უწმინდურება. რაში მდგომარეობს „უწმიდურება"? ეს აღწერილი აქვს გ. წერეთელს სივილას მოღვაწეობის მიხედვით. ყველას-

---

[1]გ. წერეთელი, პირველი ნაბიჯი, 1964, გვ. 124-126.

ვინც მასთან მივიდოდა საჩივლელად, გამორჩენის თვალით უყურებდა. სივილამ, როგორც ადვოკატმა, „ყოველ უკუღმართ საქმეს მიჰყო ხელი“, ამით მან გაითქვა სახელი „ჩინებული ადვოკატისა“; სივილას მტკიცებით, ის კი არ არის დამნაშავე, ვინც კაცი მოკლა, არამედ ის, ვინც მოკლეს, რადგანაც „ამ უკანასკნელს განზრახვა ჰქონია პირველის მოკვლისა“. მკვლელობის სათავეს თუ მოვნახავთ, ამბობს სივილა, ასეთ ვითარებას შევნიშნავთ: დამნაშავეა არა ის, ვინც მოკლა ან დაჭრა, არამედ დაზარალებული. ამ შეხვედრაში გაჭირვებული არის ის, რომელიც ბრალდებულია, რომელმაც მე ამომმართა დახმარებისათვის, რათა შევუმსუბუქო სასჯელი; სივილას არ სწამს „დანაშაულობა“, მას, როგორც ადვოკატს, სამართალი აძლევს უფლებას დაიცვას ბრალდებული, დაეხმაროს მას. ამიტომ ის ყველაფერს აკეთებს, რათა „გაჭირვებულს“ შეუმსუბუქოს მდგომარეობა.

ამავარად, დაასკვნის გ. წერეთელი, სივილა „შეიქმნა ნამდვილი ავაზაკებისა დედაბურჯი“, მან „მალე შეითვისა“ ავაზაკების „ხასიათი, ცხოვრება და შეხედულება“. ასეთ ადვოკატს, „რაც უფრო დიდი ავაზაკის გათავისუფლებას შესძლებდა სამართლისაგან,... მით უფრო ნიჭიერისა და ჭკვიანის სახელი ჰქონდა გავარდნილი“[1] მთელ საზოგადოებაში. სივილასთან მოდიოდნენ დახმარების სათხოვნელად ყოველი სახის დამნაშავენი და ისიც თავგამოდებით ცდილობდა მათ დაცვას. სამაგიეროდ, დიდ გასამრჯელოს ღებულობდა. სივილასთან მოდიოდნენ ჩარჩები. რომლებიც მეეახშეობით ტყავს აძრობდნენ ხალხს. ადვოკატი ყოველგვარ ზომებს იღებდა, რომ კიდევ უფრო დაემძიმებინა მდგომარეობა მათთვის, ვისაც ისედაც უმძიმდა პროცენტების გადახდა. გ. წერეთლის სიტყვებით რომ ვთქვათ, სივილა „ჩარჩებს უჭერდა მხარს და არა მათგან ჯვარცმულებს“[2]. ამავე დროს ადვოკატ სივილას თავი მოჰქონდა, როგორც საზოგადო მოღვაწეს. ის ქადაგებდა მამულის სიყვარულს, სამშობლოს მოვალეობის პირნათლად შესრულებას, ქველმოქმედებას და სხვა[3]. გ. წერეთლის დასკვნით, ადვოკატების ასეთი მავნებლური საქმიანობა იყო ახალი ცხოვრების შედეგი და, ამრიგად, ახალ ცხოვრებაში სამოქმედო ასპარეზი არ ჰქონდა იმათ, ვინც სიმართლით და სინდისით

---

[1] გ. წერეთელი, პირველი ნაბიჯი, 1964, გვ. 195.
[2] იქვე, გვ. 193.
[3] იქვე, გვ. 194.

ხელმძღვანელობდა.

როგორც ვხედავთ, გ. წერეთელი მძაფრად აკრიტიკებს „ახალ ცხოვრებას“, ე.ი. კაპიტალისტურ წყობილებას. იგი, როგორც სამოციანელი და თერგდალეული, ებრძოდა ბატონყმობას. გ. წერეთელი მართებულად ვარაუდობს, რომ ახალი, ბურჟუაზიული წყობილება, რომელიც საქართველოში მყარდება, პროგრესულია ფეოდალიზმთან შედარებით. მაგრამ ბურჟუაზიული საზოგადოება ამავე დროს ადამიანის დაჩაგვრის საქმეს ემსახურება, სწორედ ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ შეუქმნა პირობები ადვოკატებს წუნკალასა და სივილას, ფართოდ გაეშალათ მავნებლური საქმიანობა.

გ. წერეთელი ბურჟუაზიული წყობილების დამყარებას საქართველოში აუცილებელ მოვლენად თვლიდა. მაგრამ, მისი შეხედულებით, საჭიროა ბრძოლა იმისათვის, რომ ადამიანი არ იყოს დაჩაგრული ბურჟუაზიული წყობილების დროს.

გ. წერეთლის ნაწარმოების მიხედვით, ბურჟუაზიულ საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებში შეიძლება პატიოსანი კაციც მუშაობდეს; ასეთი არის, „პირველი ნაბიჯის“ მიხედვით, ერთი ახალგაზრდა გამომძიებელი, უმაღლესი განათლებით, „ღარიბი ოჯახის შვილი“, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა ცხოვრების ჩირქი მოცხებული და თავისი მოვალეობის „სინდისიერად“ შესრულება ჰქონდა მიზნად დასახული. ამ გზით ელოდა ის დაწინაურებას და უზრუნველი ცხოვრების მოპოვებას. ეს გამომძიებელი ცდილობდა იერემიას დანაშაულის საქმის ობიექტურად, სამართლიანად გამოკვლევას. ბახვა ფულავას, როგორც ვაჭრობით გამდიდრებულ კაცს, უყურებდა როგორც ჩარჩს და ამიტომაც სკეპტიკურად იყო განწყობილი მისი ჩვენებისადმი. ბახვასაგან მან ქრთამი არ მიიღო. გამომძიებელმა როგორც კი მიაგნო უეჭველ საბუთებს, არც დააყოვნა იერემიას პასუხისგებაში მიცემა. მან ისე კარგად შეისწავლა საქმე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ იერემიას გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა.

სასამართლოს შესახებ. გ. წერეთლის აზრით, სასამართლომ საქმე არ უნდა გაარჩიოს მხოლოდ ფორმალური საბუთების მიხედვით, როგორც ამას აკეთებდა მეორე ინსტანციის სასამართლო. სასამართლომ ყოველმხრივ უნდა შეისწავლოს საქმე, დაჰკითხოს დაზარალებული და ბრალდებული, მოწმეები; მოისმინოს პროკურორისა და ადვოკატის სიტყვები და ყველა ამ მონაცემის მიხედვით გამოიტანოს დასკვნა.

სხვანაირად რომ ვთქვათ, შეიმუშავოს შინაგანი რწმენა ამ საკითხზე და ისე გამოიტანოს განაჩენი და გადაწყვეტილება.

გ. წერეთელი წერილში „ახალი სასამართლოს შემოღების გამო“ ეხება რუსეთში XIX საუკუნის სამოციან წლებში ჩატარებული სასამართლოს რეფორმის საკითხს. წერილი დაწერილია 1868 წელს[1]. მასში გ. წერეთელი აღნიშნავს, რომ გლეხთა განთავისუფლება, ბატონყმობის გაუქმება ძისასალმებელი მოვლენაა. მებატონეს ერგო თავისი მიწის ღირებულება, ხოლო გლეხს შეუმსუბუქდა მდგომარეობა. მაგრამ „19 თებერვალი კიდევ უფრო იმითი შეიქმნა ჩვენთვის სადღესასწაულო, რომ ამ ღღეს მოგვიტანა კარგი სამართალი“.

ახალი სასამართლო იმით არის კარგი, რომ ის „ძალიან მალე გადაწყვეტს სადაო საქმეებს“, დიდხანს აღარ გაცდევინებს, როგორც უწინ იყო. უწინ, ე.ი. სასამართლოს რეფორმამდე, სასამართლო და ადმინისტრაცია არ იყო გაყოფილი, პოლიციელი კიდეც იძიებდა საქმეს და კიდეც არჩევდა მას, ამასთანავე თავის განაჩენი მასვე უნდა მოეყვანა სისრულეში.

ახალი სასამართლო საქმეს განიხილავს, პოლიციას კი საქმის განხილვასთან საქმე არა აქვს. ამასთანავე, გ. წერეთლის აზრით, ახალი სასამართლოს ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ის საქმეს განიხილავს საჯაროდ და ზეპირად[2].

1897 წლის მარტში გამოქვეყნებულ წერილში გ. წერეთელი ავითარებს იმ მოსაზრებას, რომ მართლმსაჯულება ხალხის ზნე-ჩვეულებაზე, მისი ცხოვრების ხასიათზე უნდა იყოს დამოკიდებული. სხვა ნიადაგიდან გადმონერგილი მართლმსაჯულება და სამართალი ვერ მოიკიდებს ფეხს ცხოვრებაში. გ. წერეთელი აკრიტიკებს სენატის კანონს, რომელსაც ყარაბეგოვს მიაწერს; მართლმსაჯულებისა და სამართლისათვის მთავარია თავისუფლება, თანასწორობა, ხალხები არ უნდა დავყოთ „რუსებად“ და „არარუსებად“ იმ მიზნით, რომ მათ შორის „მეტ-ნაკლები უფლებანი“ დავამყაროთ, ერთი არ უნდა ჩაგრავდეს მეორეს.

საგლეხო რეფორმისა და ბანკების შესახებ. აღნიშნული წერილი გ. წერეთელმა ქუთაისში ბანკის გახსნასთან დაკავშირებით (1866 წ.)

---

[1]გ. წერეთელი, თხზულებათა კრებული, ტ. I, პუბლიცისტური წერილები, გვ. 302-306.

[2]იქვე. გვ. 304.

გამოაქვეყნა. იმ თანხიდან, რომელიც მეფის მთავრობამ თავადაზნაურობას მისცა გლეხების განთავისუფლების გამო, იმერეთის თავადაზნაურობამ 10 პროცენტი გადადო ბანკის დასაარსებლად. იმერეთი, გ. წერეთლის აზრით, ბუნებით მდიდარია, მაგრამ ღარიბი ქვეყანაა, რადგანაც აქ არც ვაჭრობა არის გავცელებული და არც ხელოსნობა. ამის მიზეზი კი ის არის, რომ იმერეთს „კაპიტალი ძალიან აკლია"[1]. ასეთ ვითარებაში განუვითარებელია ვაჭრობა, ამასთანავე, მამულის პატრონს არ შეუძლია მიწის დამუშავება. ბანკი სარგებლობას მოუტანს ქვეყანას ფულის სესხებით.

გ. წერეთელი მიესალმება იმას, რომ ბანკი შემოსავლის ნაწილს მოახმარს „ახალი თაობის განათლებას", ბანკს შეუძლია დახმარება გაუწიოს ახალგაზრდებს განათლების მიღებაში.

გ. წერეთელი აღფრთოვანებულია გლეხთა განთავისუფლებით და იმით, რომ „დაჩაგრულს ძმებს მიეცათ დიდი ხნით დაკარგული სიმართლე, ამ გარემოებამ, ე.ი. გლეხთა განთავისუფლებამ, მისცა მწერალს „ახალი წყარო ჭაბუკობისა", „ჩემი გულის გამნელებელი და დადუმებული ენის ამდგმელი", წერს მწერალი, გლეხების პირადი განთავისუფლება იყო[2].

გლეხების დახმარების ერთ-ერთ საშუალებად გ. წერეთელს ბანკებისა და ამხანაგობის დაარსება მიაჩნდა.

1866 წ. წერეთელმა გამოაქვეყნა წერილი „მლეთის სოფლის საზოგადოებას სათემო განჩინების გამო"[3]. სოფ. მლეთის მცხოვრებთ გადაუწყვეტიათ სასოფლო ბანკის დაწესება. გ. წერეთელი მიესალმება ამ გადაწყვეტილებას.

სასოფლო ბანკის წევრები არიან სოფლის ღარიბი ნაწილის წარმომადგენლებიც: ვისაც რამდენი შეუძლია, იმდენს შეიტანს. ასეთი ამხანაგობა არის სიღარიბის აცილების საშუალება; სიღარიბის მოსპობა შეუძლია ასეთ ასოციაციასო, წერს გ. წერეთელი. „ჩვენში კეთდებიან რამდენიმე ფულის მქონებელნი პირნი მრავალის შრომით და მოღვაწეობით", ეს წესი უნდა შეიცვალოს. ერთი პიროვნება კი არ უნდა მდიდრდებოდეს და ამის შედეგად პროლეტარები მრავლდებოდნენ, არამედ უნდა შედგეს ამხანაგობანი, „აბაზობით და მანეთობით" შეადგინონ

---

[1]გ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, გვ. 41.

[2]იქვე, გვ. 27.

[3]იქვე, გვ. 59-63.

კაპიტალი. ამხანაგობის წევრებს აღარ ექნებათ საჭიროება, ეძიონ „გარეშე სესხი“, რომელიც მათ შრომას ღუპავს. ამხანაგობას შეუძლია გაიჩინოს „პურის მაღაზიები“, აქედან მიიღონ პური სესხად „ზოგიერთი სარგებლით“, ან კიდევ ამ მაღაზიებით შეუძლიათ გაყიდონ პური და აქციონ კაპიტალად. „ასეთ ამხანაგობას თვითონ შეუძლია ხელი მოჰკიდოს აღებ-მიცემობას“. სოფლებში დაარსებული „პატარ-პატარა ბანკები“ იხსნის მათ სიღარიბისაგან. „მხოლოდ ამგვარად შეიძლება კეთილდღეობის გავრცელება ხალხში“, „ამხანაგობის გარეშე კი შეიძლება თითოოროლა გამდიდრდეს, მაგრამ საზოგადოება მხოლოდ ღარიბდება, ზნეობით მცირდება“[1].

ნიკო ხიზანაშვილი (ურბნელი)

ნ. ხიზანაშვილი, პირველ ყოვლისა, პუბლიცისტი იყო. იმისათვის, რომ შევისწავლოთ მისი შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე, უნდა გავითვალისწინოთ ავტორის მსოფლმხედველობა, რამდენადაც პოლიტიკური შეხედულება გარკვეული მსოფლმხედველობით არის განსაზღვრული, იგი მოაზროვნის მსოფლმხედველობის ერთი ნაწილია. ნ. ხიზანაშვილი ხალხოსანია[2].

ქართველი ნაროდნიკების ერთ-ერთი თავისებურება, რუსი ნაროდნიკებისაგან განსხვავებით, იმაში მდგომარეობდა, რომ ქართველი ხალხოსნები ეროვნულ საკითხს აყენებდნენ და ეროვნული თავისუფლებისათვის იბრძოდნენ[3].

80-იანი წლების პირველ ნახევარში ნ. ხიზანაშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „პროგრესს მოითხოვს ჩვენი ხალხის ბედნიერება“, ეს არის „უკანასკნელი სიტყვა მეცნიერებისაო“[1]. ავტორს მხედველობაში აქვს 80-იანი წლების ევროპული პროგრესი, რომელიც კაპიტალიზმის

---

[1]გ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, პუბლიცისტური წერილები, გვ. 61-62.

[2]გ. ნადირაძე, ნიკოლოზ ურბნელი საქართველოს ისტორიის მკვლევარი, თსუ, 1973.

[3]ე. ჩადუნელი, ჟურნალ „იმედის“ საზოგადოებრივ-ეკონომიური შეხედულებანი, 1961, გვ. 44.

განვითარებაში მდგომარეობდა. კაპიტალისტურ განვითარებას ნ. ხიზანაშვილი თვლიდა „ქართველი ხალხის წინსვლის აუცილებელ პირობად“[2]. იგი კაპიტალიზმს განიხილავდა როგორც გარდამავალ საფეხურს თანასწორობისა და თავისუფლების საკაცობრიო იდეალების განხორციელების გზაზე.

ნიკო ხიზანაშვილს მრავალი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული ქართული სამართლის ისტორიიდან, რომლებშიც მოცემულია მისი სამართლებრივი შეხედულებანი. ერთ-ერთი ასეთი შრომა არის „ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი“. პირველად ეს ნაშრომი წერილების სახით იბეჭდებოდა „ივერიაში“, შემდეგ კი ცალკე წიგნად დაიბეჭდა[3].

ნ. ხიზანაშვილი მართებულად შენიშნავს, რომ ბექას სამართლის წიგნისათვის აღბუღას თავისი კანონები მიუმატებია. აღბუღას ასეთი საქმიანობა, ავტორის დაკვირვებით, შედეგი ყოფილა ქურდობისა და მეკობრეობის გავრცელების, ყმისა და ბატონის დამოკიდებულების გამწვავებისა[4].

ბექასა და აღბუღას სამართალი, ავტორის მოსაზრებით, მხოლოდ საათაბაგოში მოქმედებდა, მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შემდეგდროინდელი ქართული სამართლისთვისაც.

საათაბაგოსთან დაკავშირებით ნ. ხიზანაშვილი გამოთქვამს თავის შეხედულებას ათაბაგობის ინსტიტუტის შესახებ. ავტორის მოსაზრებით, ათაბაგობა ათალიკობასთან არის დაკავშირებული, ათალიკობას კი საქართველოში მამა-მძუძეობა ეწოდებოდაო[5]. საქართველოში ჩვეულებად იყო შვილის აღსაზრდელად გაბარება. მეფე თავის შვილებს აღსაზრდელად აძლევდა მეფის შემდეგ პირველ პირებს, პირველ მოხელეს, ხოლო დიდებული თავის შვილს, აგრეთვე, აძლევდა აღსაზრდელად თავის საფეოდალოში ყველაზე დიდ ვასალს და ა.შ.

ათაბაგობა სელჩუკების სამეფოში პირველ მინისტრს ნიშნავდა. ასევე შეიქმნა ის საქაროველოშიც. მაგრამ, ავტორის აზრით, საქართვე-

---

[1]„დროება“, 1883, № 94.

[2]ვ. გაგოიძე, ნარკვევები XIX საუკუნის ფილოსოფიური და სოციალური აზრის განვითარების ისტორიიდან საქართველოში, 1971, გვ. 214.

[3]ნ. ურბნელი, ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, 1890.

[4]ნ. ურბნელი, ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, 1890, გვ. 3-4

[5]იქვე, გვ. 6-7.

ლოში „არა ჩანს, რომ... ათაბაგნი მეფის აღმზრდელნი ყოფილიყვნენ".

ათაბაგობის ინსტიტუტი დაწვრილებით გვაქვს შესწავლილი სხვა შრომაში და დასაბუთებული გვაქვს, რომ საქართველოშიც ათაბაგობა მეფის აღმზრდელს ნიშნავდა, ხოლო საქართველოს პოლიტიკურად დანაწევრების შემდეგ ათაბაგობა, რომელიც გიორგი V-საგან ნაბოძები ჰქონდა სამცხის მთავარს (გიორგი V-ის ბიძას), სამცხის მთავრის ტიტულად გადაიქცა და მის სამთავროსაც საათაბაგო ეწოდა[1].

ავტორის აზრით, სამართალს, კანონმდებლობას საზოგადოებრივი მოთხოვნილება და საჭიროება წარმოშობს, ეს მოთხოვნილება აძლევს კანონმდებლობას ამა თუ იმ მიმართულებას[2].

ავტორი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ აღბუღამ „ძველ სისხლს" არაფერი დააკლო, ე.ი. სასჯელი არ შეამსუბუქა, რადგანაც ამით დანაშაული უფრო „გაადვილდებისო". როგორც ჩანს, სასჯელით აღბუღა აფრთხილებდა მოსახლეობას, ე.ი. აღბუღა სასჯელს ზოგადი პრევენციის თვალსაზრისით უდგებოდა. ავტორის აზრით, მონღოლების ბატონობის გადაგდების შემდეგ სხვა გარემოებებთან ერთად „სამართალიც ეროვნულ გზაზე დადგა, მშობლიურს ნიადაგზედ აღმოცენდა"[3]. ამიტომაც, ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნს მონღოლური გავლენა სრულებით არ ეტყობა. ასეთი გავლენა, ავტორის აზრით, არც იყო მოსალოდნელი, რადგანაც მონღოლები, ქართველობასთან შედარებით, განვითარების დაბალ საფეხურზე იდგნენ, მონღოლები „ველური ხალხის" ცხოვრებას ეწეოდნენ, ე.ი. ისინი „საგვარეულო წყობილების" საფეხურზე იმყოფებოდნენ.

ნ. ხიზანაშვილი საუსებით მართებულად აღნიშნავს, რომ ფეოდალური წყობილების სამართლის წიგნს გარკვეული სისტემა არ გააჩნია, რომ კანონები შედგენილია კაზუსების მიხედვით. ამიტომ, მკვლევარი ფეოდალური წყობილების სამართლის წიგნის შესწავლის დროს თავის „საკუთარს სისტემას" მიმართავს და ამის მიხედვით ახდენს კვლევა-ძიებას.

ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ ფეოდალიზმის დროს საზოგადოება დაყოფილია წოდებებად, ის იერარქიულად არის აშენებული.

---

[1] იე. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბ., 1965.

[2] ნ. ჯობნელი, ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მაიი სამართალი, 1890, გვ. 30.

[3] იქვე, გვ. 56.

ამასთანავე ავტორის აზრით, საათაბაგოში ისეთივე ფეოდალიზმი იყო, როგორიც იყო ევროპაში. იერარქია საათაბაგოში აშენებული იყო გკარსა, მამულსა და სახელოზე[1]. ნ. ხიზანაშვილი ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის სხვადასხვა ნაწილს არ განასხვავებს ერთმანეთისაგან, მაგალითად, ბაგრატ კურაპალატისეული სამართლის წიგნის ნაწილს განიხილავს, როგორც აღბუღას კანონმდებლობას.

ავტორი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ აღბუღას სამართლის წიგნში ათაბაგის სისხლის ფასი არ არის განსაზღვრული, ისე როგორც ვახტანგის სამართლის წიგნში არ არის მოცემული მეფის სისხლის ფასი[2]. ამის მიზეზად ავტორი იმას ასახელებს, რომ საათაბაგოში იერარქიის სათავეში ათაბაგი იდგა, ათაბაგი „თავის სამთავროში ხელულსა და სამართალზე მაღლა იდგა და იმის სისხლის ფასს ვერვინ დასდებდა“[3].

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით, მეფის სწორი, თანაბარი იყო კათალიკოსი, არც მისი სისხლი იყო შეფასებული, ასევე, ათაბაგის სწორი იყო მაწყვერელი და აღბუღას კანონებში მისი სისხლიც არ არის შეფასებული.

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში საერო და საეკლესიო პირები დაყოფილი არიან პატივის მიხედვით იერარქიულად და სისხლი შეფასებულია გვარის, მამულისა და სახელოს მიხედვით.

წოდებების შესახებ. აღბუღას კანონმდებლობის ანალიზისას, ავტორი საზოგადოებას შემდეგნაირად ყოფს: დიდებული, სხვადასხვა ხარისხის აზნაური, ვაჭარი და გლეხი[4]. გლეხობისაგან წარმოშდგარი მსახური ნ. ხიზანიშვილს ცალკე წოდებად მიაჩნია, რომელიც გლეხობაზე მაღლა იდგა. სინამდვილეში მსახური გლეხობის მაღალი ფენაა. ნ. ხიზანაშვილი არ უარყოფს იმას, რომ მსახური გლეხობისაგან წარმოსდგა. მაგრამ ნ. ხიზანაშვილის აზრით, „საქართველოში წოდება კასტას არ ნიშნავდა და გუშინდელი გლეხი შეიძლებოდა ხვალ და ზეგ აზნაური გამხდარიყო. ასე იყო ევროპაშიც და ჩვენი ფეოდალური წყობილება ხომ ბევრად მიაგავს ევროპიულსა“.

ავტორის აზრით, გლეხობა ორ ნაწილად განიყოფებოდა: გლეხნი

---

[1]ნ. ურბნელი, ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, 1890, გვ. 60.
[2]ნ.ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.
[3]იქვე, გვ. 68.
[4]იქვე, გვ. 90-103.

და ყმანი. გლეხობას „სამამულო დამოკიდებულება“ ჰქონდა მიწის პატრონთან, სხვა მხრივ, გლეხობა თავისუფალი იყო[1].

გლეხის დაყმევება, ნ. ხიზანაშვილის აზრით, სხვადასხვა რიზეზით ხდებოდა: 1. ტყვედ ჩავარდნით, 2. ვალაუვალობით, 3. გაყიდვით, 4. სისხლის ფასში მიცემით და სხვა[2].

XIII-XV სს-ებში გლეხობის ძირითადი მასა უკვე დაყმევებულია. ყმობის ხარისხი განსხვავებული იყო: ნასყიდი ყმა ყმობის ყველაზე დაბალ საფეხურს წარმოადგენდა, ტყვე-მონას უდრიდა. XII ს-დან თავისუფალი გლეხი იშვიათი მოვლენა იყო და თუ ის გლეხთა გარკვეულ კატეგორიას წარმოადგენდა, სავარაუდოა, რომ ეს კატეგორია ძლიერ მცირერიცხოვანი იყო და ამ კატეგორიას უფრო გარდამავალი საფეხურის მნიშვნელობა ჰქონდა.

ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ ვახტანგ VI-ის დროსაც ისეთივე ბატონყმობა იყო, როგორიც აღბუღას დროს, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ რაც დროს და ჟამი მიდიოდა, ყმობა სამძიმო ხდებოდა[4]. „ყმობა სამძიმო შეიქმნა და გლეხის ყმად მიცემა გაადვილა“ და ამასთან დაკავშირებით „თავისუფალის გლეხობის რიცხვი შემცირდა“.

ოჯახის შესახებ. ნ. ხიზანაშვილი იკვლევს ქართული ოჯახის ისტორიას და მართებულად აღნიშნავს, რომ მონოგამია წარმოიშვა გვაროვნული წყობილების დაშლის საფუძველზე, „წინად, წერს ავტორი, კერძო საკუთრების მაგივრად საზოგადო საგვარეულო საკუთრება იყო“[5].

ამ გარემოებას, ე.ი. გვაროვნულ წყობილებას ერთგვარი გავლენა ჰქონდა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებზე.

ავტორი აღნიშნავს, რომ საგვარეულო წყობილების დროს შვილი მამის სახლში პირადად სავსებით მოკლებული იყო ყოველგვარ უფლებას. ამასთან დაკავშირებით წერს, რომ ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნს არ ეტყობა გვაროვნული წყობილების გავლენა, საათაბაგოს ამ პერიოდისათვის დიდი ხანია განვლილი ჰქონდა „საგვარეულო წყობილება“,

---

[1]ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი., გვ. 103-105.

[2]იქვე, გვ. 107-113.

[3]ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1963, გვ. 141; 142-164.

[4]ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრ., 1890, გვ. 111.

[5]ნ. ხიზანაშვილი, ძველი ქართული ოჯახი (ნ. ხიზანაშვილი-ურბნელი), ეთნოგრაფიული ნაწერები, გ. ჩიტაიას შესავალი წერილით, 1940, გვ. 167.

შვილს ოჯახში გარკვეული უფლებები ჰქონდა[1]. მამას, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით, შეეძლო შვილის გაძევება (მუხ. 58), მაგრამ ამ გაძევებას არ ჰქონდა მკაცრი ხასიათი, როგორც ეს გვაროვნული წყობილების დროს იყო მიღებული. აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით, მამა შვილს გააძევებდა იმ შემთხვევაში, თუ შვილი მამას რაიმეს ავნებდა, რაიმე დანაშაულს ჩაიდენდა მის მიმართ.

თუ გაძევებული შვილი მამას არაფერს დაუშავებდა, მამის სიკვდილის შემდეგ, მას მემკვიდრეობაზე უარს ვერ ეტყოდნენ[2].

ხოლო თუ ძმამ ძმა მოკლა, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით (მუხ. 22), ასეთი დამნაშავე სისხლის ორმაგი ფასის გადახდის გარდა უნდა გადაიხვეწოს ისე, რომ ადამიანის თვალმა არ ნახოს, რადგანაც მან უსაზიზღრესი დანაშაული ჩაიდინა.

ნ. ხიზანაშვილის აზრით, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით, გაძევება მამის უფლებაა და არა გვარისა, როგორც ეს გვაროვნული წყობილების დროს იყო. ამასთანავე, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნს ქრისტიანობის გავლენა ატყვია, რამდენადაც ძმის მკვლელობა „საღმრთო ბრალად", ე.ი. სარწმუნოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად მიაჩნია[3].

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნს ოჯახის გაყრაზეც აქვს საუბარი (მუხ. 156). ის არ უწყობს ხელს გაყრას. ნ. ხიზანაშვილი ამ გარემოებას ხსნის გვაროვნული წყობილების გავლენით; დიდი ოჯახი, გვარვნული წყობილებიდან მომდინარეობს და ბექა-აღბუღას სამართალი ამ წყობილების გავლენას განიცდის ამ შეთხვევაში, რამდენადაც კანონმდებელი დიდი ოჯახის მომხრეობას ამჟღავნებს, ისე როგორც ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი[4].

ნ. ხიზანაშვილი, დიდი ოჯახის მოტრფიალეა. ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი და ვახტანგის სამართალი ოჯახის გაყოფას არ ეკიდებიან თანაგრძნობით, მაგრამ ამ შემთხვევაში, საქმე ეხება ფეოდალის ოჯახს (ვახტანგის სამართლის წიგნიდან ეს გარკვევით ჩანს), ხოლო ფეოდალის ოჯახის გაუყრელობა არ უნდა

---

[1]ნ. ურბნელი, ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, 1890, გვ. 190-172.
[2]იქვე, გვ. 172.
[3]იქვე, გვ. 175.
[4]ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრ., გვ. 179.

იყოს შედეგი გვაროვნული წყობილების გავლენისა.

ანდერძის შესახებ. ანდერძის შესახებ ნ. ხიზანაშვილი იმ აზრისაა, რომ ის გაჩნდა გვაროვნული წყობილების შემდეგ, მანამდე თავისუფალი ანდერძი არ არსებობდა, ე.ი. გვაროვნული წყობილების დროს ანდერძით ქონების დატოვება შეიძლებოდა მხოლოდ გვარის შიგნით. შემდეგში კი, ანდერძით ქონების გადაცემა შესაძლებელი შეიქნა გვარის გარეთაც. ანდერძის გამცემს შეეძლო ქონება დაეტოვებინა იმისათვის, ვისთვისაც სურდა, ასეთი რამ არ იზღუდებოდა. აღბულას სამართლის წიგნის მიხედვით, წერს ავტორი, ანდერძი არ არის შეზღუდული.

მიწის საკუთრების შესახებ. ნ. ხიზანაშვილი მართებულად აღნიშნავს, რომ ფეოდალიზმი მიწის საკუთრების იერარქიულ ბუნებაზე არის დამყარებული, რომ მემამულეთა გაბატონებული კლასი თავის ბატონობას მიწის საკუთრებაზე ამყარებს. ამიტომაც, წერს ნ. ხიზანაშვილი, ბექა-აღბულას სამართლის წიგნში დიდი ადგილი უჭირავს სამამულო ურთიერთობის მოწესრიგების საკითხებს.

მამულის საკუთრებაზე იყო დამყარებული სენიორალურ-ვასალური დამოკიდებულება. ვასალი ვალდებული იყო სამსახური გაეწია სენიორისათვის, სამაგიეროდ ვასალი ფლობდა პატრონის ანუ სენიორის მამულს, თუ ვასალი სამსახურზე უარს იტყოდა, მაშინ სენიორს უფლება ჰქონდა მისთვის ჩამოერთმია მამული.

მამული სენიორს ეკუთვნოდა და სენიორსა და ვასალს შორის, ავტორის აზრით, ისეთივე ურთიერთობა არსებობდა, როგორიც იყო ევროპის ფეოდალურ ქვეყნებში.

ავტორის აზრით, ხანდაზმულობის არარსებობა მიწის მფლობელობაზე, განვითარების დაბალი საფეხურის მაჩვენებელია, მაგრამ საათაბაგო ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს: საათაბაგო საზოგადოებრივი განვითარების მხრივ მაღალ საფეხურზე იდგა. მაგრამ იქ ხანდაზმულობას მაინც არ ჰქონდა ადგილი[1].

ხელშეკრულებების შესახებ. ბექა-აღბულას სამართლის წიგნის მიხედვით, ავტორს განხილული აქვს ხელშეკრულების სხვადასხვა სახეები: სესხის (ვალი) ხელშეკრულებას ავტორი მართებულად თვლის უძველეს ხელშეკრულებად. ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ უძველეს პერიოდში შეიძლებოდა ვალად გადაცემა მამულის, აგრეთვე

[1]ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრ., 196.

რაიმე ნივთის, საქონლისა და ფულის. უძველეს პერიოდში ფული ნაკლებად იყო და ამიტომაც ვალად გაიცემოდა მამული და საქონელი.

6. ხიზანაშვილი აღნიშნავს, რომ კანონმდებელი ეროგვარ ზღვარს უდებს მევახშეებს და ცდილობს მოვალე დაიცვას მათგან: ფულის გამსესხებელს შეეძლო 20 % სარგებელი აეღო, მაგრამ სარგებელზე სარგებლის აღების უფლება არავის არ ჰქონდა. ვალის საგარანტიოდ შეიძლებოდა წინდის მიცემა. წინდად შეიძლებოდა მიცემულიყო მამული, იარაღი, სამკაული და სხვა. თუ მამული იყო წინდში, სესხის გამცემი სარგებლობდა ამ მამულით, სანამ სესხს მოვალე არ გადაიხდიდა.

ავტორის აზრით, ვალის ხელშეკრულებისაგან წარმოიშვა ვალაუვალი მონა რომში, ხოლო თავის გაყიდვა — საათაბაგოში[1].

ნასყიდობის საგანი ბექა-აღბულას სამართლის წიგნის მიხედვით, იყო მამული და საქონელი[2]. მამული, ავტორის აზრით, მხოლოდ მემამულეს ეკუთვნოდა და მასვე შეეძლო მისი გაყიდვა, გლეხს კი მონაგარის გაყიდვა შეეძლო.

ყიდვა-გაყიდვისათვის მნიშვნელობა ჰქონდა ვადის დადებას, პაემანს. პაემანი სხვადასხვა სახის პირობას შეიცავდა და ხელშეკრულებას ძალა ჰქონდა ამ პაემანის გასვლის შემდეგ[3].

გარდა ამისა, ავტორის მიერ განხილულია „საშამშლელო", რომლის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ხელშეკრულების დამრღვევი იხდიდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის მეათედს.

ავტორი გამოთქვამს შეხედულებას ქირავნობის ხელშეკრულების შესახებ აღბულას კანონმდებლობის მიხედვით (მუხ. 79.); ის აღნიშნავს: სულხან-საბა ორბელიანიც განმარტავს, რომ სიტყვა „ქირა" არაა ქართული. ქართულად მას „მიზდი" ეწოდებაო. თუმცა „ქართველი, სიტყვას ქირას უფრო ხმარობს" და აღბულას სამართლის წიგნში სწორედ „ქირა" გვხვდება და არა „მიზდი"[4].

ავტორი ქართულ ქირავნობას ადარებს რომაულს და მათ შორის ხედავს მსგავსებასა და განსხვავებას. რომისათვის სამი სახის ქირავნობა იყო ცნობილი: უსულო საგნის, ადამიანის დაქირავება სამსახურისათვის

---

[1]ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრ., გვ. 211-212.

[2]იქვე, გვ. 213.

[3]იქვე, გვ. 218.

[4]იქვე, გვ. 219.

და ადამიანის დაქირავება რაიმე სახელოსნო საქმის შესასრულებლად. აღბუღას სამართლის წიგნი კი იცნობს კაცისა და სახედრის ქირავნობას. რომის სამართლისაგან განსხვავებით აღბუღას სამართლის წიგნმა არ იცოდა უსულო საგნის გაქირავება. რაც შეეხება სახელოსნო საქმისათვის დაქირავებას, ნ. ხიზანაშვილის ვარაუდით, მართალია, ის არ გვხვდება აღბუღას სამართლის წიგნში, მაგრამ საგულისხმებელია, რომ ასეთი ქირავნობა საათაბაგოში არსებობდა, რამდენადაც აღბუღას სამართლის წიგნისთვის უცხო არ იყო ადამიანის დაქირავება.

ქირავნობა გათვალისწინებული იყო განსაზღვრული დროით. აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით (მუხ. 79.), თუ დაქირავებული მოკვდება სამუშაოზე, დამქირავებელი არ არის პასუხისმგებელი, მაგრამ თუ დაქირავებული ადამიანი ან სახედარი ზედმეტად ამუშავეს და ამით მოკვდება, მაშინ დამქირავებელი ვალდებულია აანაზღაუროს მისი ღირებულება.

გარდა ამისა, შეიძლება სამუშაო ძალა გაექირავებინა თავისუფალ ადამიანსაც.

ავტორი ეხება ამანათის საკითხს. ამანათი ეწოდებოდა ნივთის, ქონების, მამულის მიბარებას შესანახად (მუხ. 87, 88). მიბარებას „შეევედრებას" ეძახდნენ. გლეხს ესაჭიროებოდა მამულის შევედრება, ე.ი. გლეხი მემამულეს გამოართმევდა მამულს, ამუშავებდა მას, უხდიდა გადასახადებს მემამულეს და ირჩენდა თავსა და ინახავდა ოჯახს.

ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ შევედრებას ანუ მამულის ამანათად გაცემას, შეიძლებოდა ფეოდალთა შორისაც ჰქონოდა ადგილი, მაგრამ ძირითადად ეს ურთიერთობა საბოლოოდ მემამულესა და გლეხს შორის დამყარდა და გლეხობის ექსპლოატაციის ერთ-ერთი საშუალება იყო[2].

ამანათსა და შევედრებასთან დაკავშირებით, ავტორს საუბარი აქვს ვისგანმე ნივთის ანუ საქონლის წაღებაზე. წაღებული ნივთი აღბუღას კანონმდებლობით პატრონს უნდა დაბრუნებოდა, ზიანი პატრონისთვის უნდა აენაზღაურებინათ. ამასთან ერთად, ნივთის „წაღება" შეიძლება სხვადასხვა ვითარებაში მომხდარიყო. ავტორი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ აღბუღას კანონმდებლობის შედგენის დროს

---

[1]ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრ., გვ. 221.

[2]იქვე, გვ. 227-230.

საიცხე-საათაბაგოში რთული და გამწვავებული მდგომარეობა ყოფილა. ერთი მხრივ, კლასთა ბრძოლა, მეორე მხრივ, გარეშე მტრების თავდასხმები და მესამე მხრივ, რაც მთავარია ამ შემოხვევაში, გამუდმებული შინაური, ფეოდალური ომები, ქმნიდნენ ისეთ ვითარებას, როდესაც ხელშეკრულების შესრულება ობიექტურად შეუძლებელი იყო. ამასთან ერთად, მხედველობაში იყო მისაღები ის გარემოება, რომ მუდმივი თავდასხმებისა და შეხლა-შემოხლის დროს, დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ან სისხლის ანაზღაურება კითხვის ქვეშ იდგა[1].

ნ. ხიზანაშვილი ეხება ჩუქების ინსტიტუტს, რომელიც მოცემულია აღბუღას სამართლის წიგნში. აღბუღას კანონმდებლობით, მართებულად მიუთითებს ავტორი, შეიძლებოდა ნაჩუქრობის მოშლა, თუ გამჩუქებელსა და საჩუქრის მიმღებს შორის უთანხმოება ჩაძოვარდებოდა[2].

ავტორი განიხილავს რა ქრთამის საკითხს, მის ორ მნიშვნელობაზე მიუთითებს: ქრთამი, როგორც კანონიერი გასამრჯელო და ქრთამი, როგორც დანაშაული. ავტორის ვარაუდით, ქრთამს თავდაპირველად გასამრჯელოს მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო შემდეგში „წაიბილწა და პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა“[3]. „ქრთამს“ ჯერ კიდევ XII საუკუნეში ს-ში ჰქონდა ორმაგი მნიშვნელობა (ვეფხისტყაოსანი). დროთა განმავლობაში მეტად მძიმე შეფასება მიიღო ხალხის შეხედულებამ ამ დანაშაულზე. ამიტომ, მისი პირველი მნიშვნელობა (კანონიერი გასამრჯელოსი) მივიწყებულ იქნა. XIX ს-დან სიტყვა ქრთამი მხოლოდ დანაშაულებრივი მოქმედების გამომხატველად იქცა.

ავტორი ყურადღებას აქცევს იმას, რომ აღბუღას სამართლის წიგნი სასტიკად სდევნის მექრთამეს და მკაცრად სჯის მას[4].

ნ. ხიზანაშვილი აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით, ეხება ამხანაგობის საკითხს და გამოთქვამს შეხედულებას, რომ ქართული ფეოდალური სამართლისათვის ცნობილი ყოფილა ამხანაგობის ინსტიტუტი. რომ ამხანაგებს საერთო ძალით, საერთო ქონებით შეეძლოთ შეეძინათ მამული და სხვა.

---

[1]ნ. ურბნელი. დასახ. ნაშრ., გვ. 231-232.X

[2]იქვე, გვ. 232-234.

[3]იქვე, გვ. 234-235.

[4]იქვე, გვ. 268-269.

თავდებობის შესახებ. თავდებობა ხელშეკრულების შესრულების გარანტია იყო. თავდებობა ისტორიულად მძეკლობისაგან უნდა იყოს წარმოშობილი...[1].

ნ. ხიზანაშვილი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ თავდებობა პიროვნების სოციალური მდგომარეობით იყო განსაზღვრული. ეს გარემოება იმაში ნახულობდა გამოხატულებას, რომ გლეხს თავდებად დადგომა შეეძლო მხოლოდ ბატონის ნებართვით[2].

ნ. ხიზანაშვილი სათავდებოს სანახშიროს უწოდებს. სანახშიროს ცნება ნ. ხიზანაშვილს პირველად აქვს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში განხილული და საკმაოდ დაწვრილებითაც[3]. ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ სანახშირო მძიმე სისხლის სამართლის საქმეებისათვის იყო გათვალისწინებული, ამავე დროს სანახშირო არ იყო სასჯელის ძირითადი სახე. მძიმე სისხლის სამართლის საქმისათვის გათვალისწინებული იყო სისხლის ფასი და სანახშირო. სანახშირო დამოუკიდებელი სასჯელის სახეა. ავტორი უთითებს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონზე, რომელშიაც სანახშირო განმარტებულია როგორც მესისხლეთა შეთანხმება-დაზავებაზე, რადგანაც სანახშირო დაზავების შესახებ შეთანხმების შედეგი იყო, ამიტომ ძნელია იმისი თქმა, თუ რამდენად შეიძლება სანახშიროს სათავდებო ან საწინდარი ეწოდოს. სანახშირო, როგორც ეს ნ. მარმა გამოარკვია, სანადირო შინაარსის ტერმინიდან გადაიქცა სისხლის სამართლის ტერმინად[4].

ნ. ხიზანაშვილის აზრით, საპირო წარმოშობილი უნდა იყოს რელიგიური საფუძველზე და მას („საپიროს") დამნაშავე იხდიდა მოკლულის სულთან შესარიგებლად[5]. საپირო ძირითადი სასჯელის გარეშე დამოუკიდებელი საზღაური იყო.

სასამართლოს შესახებ. ნ. ხიზანაშვილის შეხედულებით საათაბაგოში უმაღლეს მოსამართლედ ათაბაგი, ე.ი. სამცხე-საათაბაგოს

სურგულაძე, თავდებობის ინსტიტუტის შესახებ ქართულ ფეოდალურ საქართველოში, თბილისის სახ. უნივერსიტეტის ნაშრომები, ტ. VII, 51, 1953.

[2]ნ. ურბნელი, ათაბაგი ბექა და აღბულა და მათი სამართალი, 1890, გვ. 236-239.

[3]იქვე, გვ. 238, 259, 261.

[4]Н. Марр, Происхождение из охотничьего быта двух грузинских терминов уголовного права („Записки Восточного отд. русск. археол. общества", XVIII, выпуск IV, с. 1908).

[5]ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი; გვ. 262-263.X

მთავარი ითვლებოდა. დიდ საქმეებს, როგორც სისხლის სამართლისას, ისე სამოქალაქოს, იგი ან პირადად არჩევდა ან კიდევ მოსამართლეების ანუ ბჭეების მონაწილეობით (თვითონ თავმჯდომარეობდა).

6. ხიზანაშვილს საყურადღებო და მართებული შეხედულება აქვს გამოთქმული სასამართლოს შესახებ. ავტორის აზრით, სასამართლო წარმოიშვა გვაროვნული წყობილების შემდეგ, ე.ი. კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს გაჩენასთან ერთად. მანამდე სასამართლო დაწესებულება არ არსებობდა. ავტორის აზრით, სასამართლოს წინ უსწრებს შუაკაცობის ინსტიტუტი, რომელიც გვაროვნული წყობილების დროს შეიძლებოდა ყოფილიყო. ავტორის აზრით, საათაბაგოში შუაკაცობა ცენტრალიზებული სახელმწიფო მმართველობის არარსებობის გამო გვიანობამდე იქნა შემონახული[1].

რასაკვირველია, ხელისუფლება ყოველთვის ამჯობინებდა, შუაკაცის მაგიერ თავის საკუთარ მოხელეს გაერჩია საქმე. ავტორის დაკვირვებით, შუაკაცობა წვრილმან საქმეებში იყო დაშვებული[2].

ავტორს შესწავლილი აქვს ფიცის როგორც მტკიცების საშუალების მნიშვნელობა, ამასთან დაკავშირებით, მის მიერ განხილულია საკითხი მოფიცართა ინსტიტუტის შესახებ[3].

ბრალის შესახებ. ავტორის აზრით, ხალხის კულტურის დაბალი დონის მაჩვენებელია, როდესაც ბრალის პრობლემა არ არის სათანადოდ დამუშავებული. გაუნათლებელი ხალხი ცხოველებსაც სჯის.

ბრალის პრობლემის დამუშავების ხარისხი რომ ხალხის იურიდიული აზრის მაღალი დონის მაჩვენებელია, ეს კარგადაა ცნობილი სისხლის სამართლის მეცნიერებაში[4]. ავტორს ღრმად აქვს ეს საკითხი შესწავლილი და ამის მიხედვით სავსებით მართებულად გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ქართული სამართალი, კერძოდ, ბექა-აღბუღას კანონმდებლობა, ამ შემთხვევაში განვითარების მაღალ დონეზე იდგა, რამდენადაც ქართული სამართლით დანაშაულის სიმძიმე განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ დამნაშავის ნება რამდენად მონაწილეობდა ქმედობაში. განზრახვა, იმის

---

[1]ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 274.

[2]იქვე, გვ. 280-281.

[3]იქვე, გვ. 281-305.

[4]ივ. სურგულაძე, სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, 1959, გვ. 142-149.

მიხედვით უნდა შეფასდეს, თუ რამდენად ბოროტია განმზრახველის ნება, მაგალითად, ღალატი, მძიმე დანაშაულია, რამდენად ამ ქმედებაში მძვინვარე ბოროტებას აქვს ადგილი და სხვა[1].

ავტორი მართებულად ეკამათება სულხან-საბა ორბელიანს იმაში, რომ ღალატი „მარტო შუხანათურად მოკვლას" კი არ ნიშნავს, არამედ ღალატი სხვა დანაშაულსაც აღნიშნავს. აღბუღას კანონმდებლობით ღალატი ცალკე დანაშაულიც არის. გარდა ამისა, ის წინამძღვარიც არის დანაშაულისა. ღალატი დანაშაულს ამძიმებს. საერთოდ ის დანაშაულის კვალიფიკაციის განმსაზღვრელია[2].

ღალატით დანაშაული ორმაგი სისხლის გადახდევინების იწვევს.

დანაშაულის მცდელობის შესახებ. ნ. ხიზანიშვილის აზრით, ქართულმა სამართალმა იცის მცდელობა, როგორც განუხორციელებელი დანაშაული. ავტორს მოჰყავს აღბუღას კანონმდებლობის ის მუხლი, რომელშიაც წერია: თუ ვინმე ღალატით კაცის მოსაკლავად წავიდეს, მაგრამ ეს განზრახვა არ განახორციელოს, ან თვითონვე დაშალოს მკვლელობა, ან სხვამ არ ჩაადენინოს, ეს არის ცდა, „ცარიელი განზრახვა" და სასჯელს არ იწვევს, რამდენადაც დანაშაულად არ ითვლებოდა[3].

დანაშაულის შესახებ. ღალატის გარდა, აღბუღას კანონმდებლობით ორკეცი სისხლი იყო გათვალისწინებული „ძმისა და მეყვისის" (მეყვისი ახლო ნათესავია) მოკვლისათვისაც. ამას გარდა, ასეთი დამნაშავე „ძლიესია ინახვის კაცთაგან" (მუხ. 22), ე.ი. ასეთი დამნაშავე გაძევებული უნდა იქნესო[4].

მკვლელობის შემდეგ ავტორი იხილავს ჭრილობის („გერში") საკითხს. ნ. ხიზანიშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით ეხება რუსეთის, გერმანელებისა და კელტების სამართალს. ავტორი აღნიშნავს, რომ სხვა ქვეყნების სამართალთან შედარებით, აღბუღას კანონმდებლობა ჭრილობის და დასახიჩრების დანაშაულს, მსუბუქ სასჯელს ადებს. ასოთა მოკვეთისა და დაშავებისათვის აღბუღას კანონმდებლობით სისხლის მესამედი და მეოთხედი არის გათვალისწინებული, მაშინ, როდესაც

---

[1] ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრ., გვ. 310-330.
[2] იქვე, გვ. 328-329.
[3] იქვე, გვ. 329-330.
[4] იქვე, გვ. 330-331.

სხვა ქვეყნების სამართლის მიხედვით, ასეთივე დანაშაული იწვევდა სისხლის ნახევრის გადახდევინებას. ამასთანავე, თანასწორ დანაშაულად ითვლებოდა: ხელისა და ფეხის მოკვეთა, ყურისა და ცხვირის მოჭრა და თვალის წამოგდებინება".

აღბუღას კანონმდებლობით, ხელისა და ფეხის მოკვეთისა ან დაშავებისათვის სისხლის მესამედი, ხოლო თვალის „წამოგდებინებისათვის" სისხლის მეოთხედი იყო გათვალისწინებული (მუხ. 5). მაგრამ თუ „წაპარვით" იქნებოდა მიყენებული დაზიანებული, ფეხის ან ხელის მოკვეთა, თვალის ან პირისახის დაზიანება (მუხ. 124), მაშინ ქართული სამართლით გათვალისწინებული იყო ნახევარი სისხლი[1].

ნ. ხიზანაშვილი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ თვალის დაწვა და თვალის ამოგდება ქართული სამართლით განსხვავებული დანაშაულია და პირველი გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე მეორე: დაწვა იწვევს სრულ სისხლს, ხოლო ამოგდება — მეოთხედს[2]. ძმის თვალების დაწვისათვის, სრულის სისხლის გარდა, სანასშიროს გადახდაც იყო გათვალისწინებული.

ისეთი დაშავება, რომელიც პირისახესთან იყო დაკავშირებული, უფრო მძიმე დანაშაულად ითვლებოდა[3].

ნ. ხიზანაშვილს განხილული აქვს სხვადასხვა სახის დანაშაული: ცემა, დაპატიმრება — საბელის მიბმით, გინება, გრძნეულების შეწამება, მუქარა და სხვა.

ქონებრივი დანაშაულიდან ნ. ხიზანაშვილს შესწავლილი აქვს შემდეგი სახეები: გაძარცვა, თავდასხმა (სასაფლაოზე თავდასხმა, ქარავანზე თავდასხმა, ეკლესიაზე თავდასხმა და სხვ), მეკობრეობა — ქურდობა, ჯოგის წასხმა და სხვა[4].

სასჯელებიდან ნ. ხიზანაშვილს შესწავლილი აქვს: სიკვდილით დასჯა, ხელ-ფეხის მოჭრა, თვალების დაწვა. ყველაზე გავრცელებული სასჯელი იყო დაურვება. ქართულმა სამართალმა იცოდა აგრეთვე სხვადასხვა სახის გამაწბილებელი სასჯელები.

ნ. ხიზანაშვილის მეორე ნაშრომი „გიორგი ბრწყინვალე მეფე

---

[1]ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრ., გვ. 333.

[2]იქვე, გვ. 335.

[3]იქვე, გვ. 336.

[4]იქვე, გვ. 362-383.

საქართველოსი“ ღრმა პატრიოტიზმით არის დაწერილი, რომელშიც გიორგი V-ის მეფობის დროის მრავალი საკითხია განხილული და მათზე თავისი შეხედულებები აქვს გამოთქმული[1].

ნ. ხიზანაშვილი გიორგი ბრწყინვალეს ახასიათებს „სახელმწიფოებრივი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანად, რომელმაც „შემოქმედებითი ძალა გამოიჩინა“.

პიროვნების როლის შესახებ. ავტორის აზრით, პიროვნებას უსათუოდ დიდი როლი აქვს ისტორიაში, მაგრამ ის უნდა მოქმედებდეს ისტორიული გარემოების მიხედვით, მან ალღო უნდა აუღოს საერთო ვითარებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მოქმედება უშედეგო იქნება, ის მიზანს ვერ მიაღწევს.

პიროვნების როლის საკითხს ისტორიაში, ეხება ავტორი თავის ისტორიული შინაარსის მონოგრაფიაში, რომელშიაც დავით აღმაშენებლის მოღვაწეობაა დახასიათებული[2].

ნ. ხიზანაშვილის აზრით, ეპოქა განსაზღვრავს პიროვნების მოქმედებას, მაგრამ თვითონ პიროვნებასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ისტორიულ ვითარებაზე, მას შეუძლია „თავის ნებაზეც ატრიალოს ცხოვრების ჩარხი“.

ნ. ხიზანაშვილი საზოგადო მოღვაწედ, სამშობლოს საამაყო შვილად ისეთ ადამიანს თვლის, ვისი „საქმენიც“ სამარადისოდ დარჩა ხალხის მეხსიერებაში, ვინც მისცა მაგალითი ხალხისადმი თავდადებული სამსახურისა[3].

თუ პიროვნება თავისი ეპოქის სიმაღლეზე დგას, გააჩნია სათანადო განათლება, ნიჭი და უნარი, მოქმედებს დროის მიხედვით, ამავე დროს იბრძვის სამშობლოს საკეთილდღეოდ, ასეთი ადამიანი სტოვებს ისტორიაში კვალს და მის ხსოვნასაც სამუდამოდ ინახავს ხალხი.

ავტორი ამტკიცებს, რომ თუ ისტორიული ვითარება ხელს არ უწყობს, პიროვნება ვერაფერს გახდება. მას საქართველოს ისტორიიდან მოჰყავს მაგალითები: ბაგრატ დიდი და გიორგი მეშვიდე პირადი მამაცობითა და სამშობლოსათვის თავდადებით გამოირჩოდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისტორიული ვითარება მათ ხელს არ უწყობდა.

---

[1] ნ. ურბნელი, გიორგი ბრწყინვალე მეფე საქართველოსი, 1889, გვ. 5.
[2] ნ. ურბნელი, მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, 1894.
[3] იქვე, გვ. 113.

თემურ-ლენგს ქართველ მეფეებზე დიდად მეტი ლაშქარი ჰყავდა და ამიტომაც დამარცხდნენ ისინი.

გიორგი V-ის „ძეგლის დების" შესახებ. ნ. ხიზანაშვილი ფიქრობს, რომ გიორგი V-ეს „ძეგლის დების" გარდა შედგენილი უნდა ჰქონდეს სამართლის წიგნი მთელი სამეფოისათვის[1]. ასეთი მოსაზრება სჩვა მონაცემებით არ მტკიცდება. საერთოდ კი, რომ უნდა არსებულიყო ერთიანი საქართველოისათვის განკუთვნილი სამართლის წიგნიც, ამის დამამტკიცებელია ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტი, რომელიც ბექა-აღბულას სამართლის წიგნშია შემონახული.

ნ. ხიზანაშვილს თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად მოჰყავს ვახტანგის სამართლის წიგნის 102-ე მუხლის[2], რომელშიც წერია, რომ მეფე გიორგიმ „შუათანა" ძმისათვის წილი განაწესაო", მაგრამ ეს არის გიორგი XI და არა გიორგი V.

ნ. ხიზანაშვილი მართებულად აღნიშნავს, რომ გიორგი V-ის „ძეგლის დება" ადგილობრივი, პატრიკულარული ხასიათის ძეგლია, ის მთიულებს ეხება, მაგრამ მთელ მთიანეთს კი არ მოიცავს, არამედ „ქსნისა და არაგვის რამდენსამე ხეობას"[3].

ავტორი ახასიათებს მთიულეთის ეთნო-ცხოვრებას, მათ ჩვეულებას. მისი აზრით, „ყველა ხეობას და პაწია ადგილს თავისი ადათი და ჩვეულება ჰქონდა, იქ თითოეულს თემს, საზოგადოებას, სოფელსაც კი საკუთარი ადგილობრივი ადათი მოეპოვებოდა, ჩვეულებანი — ერთმანეთისაგან განსხვავებული და გარეულებული"[4].

ავტორის მოსაზრებით, „ცხოვრების მოთხოვნილება ჰბადებს სჯულმდებლობის" საჭიროებას, რასაც სამართლის ზოგადი ისტორიაც ადასტურებს.

ნ. ხიზანაშვილის მითითებით, სამართლის წიგნის შესავალში ახსნილია მიზეზი მისი შედგენისა („უსამართლო მძლავრობა"). როგორც ჩანს, ფეოდალიზმის განვითარების შედეგად, მთებში კლასთა ბრძოლა გამწვავებულა და გახშირებულა სხვადასხვა ხასიათის დანაშაულებანი.

---

[1]ნ. ურბნელი, გიორგი ბრწყინვალე..., 1889, გვ. 101-102; მისივე, ძეგლის დაღება, 1890, გვ. 1-2.

[2]ნ. ურბნელი, გიორგი ბრწყინვალე, 1889, გვ. 102-103.

[3]ნ. ურბნელი, ძეგლის დება გიორგი ბრწყინვალისა, 1890, გვ. 2.

[4]იქვე, გვ. 2-5.

ამ გარემოებამ გამოიწვია სამართლის წიგნის შედგენა:

ნ. ხიზანაშვილის განმარტებით, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დება“ არის „ძთიულების ადათის აღწერა“. მისი აზრით, ასევეა საერთოდ მთიანეთის სხვა კუთხის, მაგალითად, დაღესტნის კრებულიც, მასშიც „საადათო ჩვეულებანი“ არის მოცემული[1].

ავტორი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ კანონმდებელს „ძეგლის დებაში“ მოცემული აქვს საერო სამართლის საკითხები, ხოლო „სასჯულოს საქმე“ „ეკლესიის კომპეტენციაშია დატოვებული[2].

ნ. ხიზანაშვილის აზრით, გიორგი V-ის „ადმინისტრაციული შენობა“ ძლიერ კარგი იყო. მის დადებით მხარეს ნ. ხიზანაშვილი იმაში ხედავს, რომ სახელმწიფო მმართველობა არ ავიწროებდა „მთიულ თვითმმართველობას“. სახელმწიფოს მოხელეების გვერდით არსებობდა თემის თვითმმართველობაც და ისინი ერთმანეთის ხელს არ უშლიდნენ[3].

ნ. ხიზანაშვილი იხილავს „ძეგლის დების“ სამოქმედო ტერიტორიის მმართველობის სისტემას. ავტორის მართებული შენიშვნით ერისთავი, ადგილობრივი ხელისუფლების უმაღლესი რანგის მოხელეა. ერისთავობა, ისევე „წოდებრივ ღირსებას ნიშნავს“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერისთავი უმაღლესი მოხელეცაა და უმსხვილესი ფეოდალიც.

ერისთავს ყველაფერი ეკითხებოდა საერისთავოში, ის „საერისთავოს ბატონიც არის და პატრონიც“. ერისთავს, „პირდაპირი დამოკიდებულება“ ჰქონდა სახელმწიფოს დარბაზთან. საჭირეების შემთხვევაში დარბაზს მოახსენებდა საერისთავოსთან დაკავშირებულ ამა თუ იმ საკითხზე[4].

ავტორი აღნიშნავს, რომ ერისთავის ფუნქციები ისე როგორც სხვა მოხელეებისა, არ იყო განსაზღვრული, რაც შედეგი იყო იმისა, რომ მმართველობის სხვადასხვა უწყება ერთმანეთისაგან არ იყო გაყოფილი. ნ. ხიზანაშვილის განმარტებით, საქართველოში არ იყო გატარებული ხელისუფლების დაყოფა, თუმცა სახელმწიფო ცდილობდა ამას. ამ პრინციპის გატარება არ მოხერხდა საქართველოს ისტორიის შემდგომ პეიოდშიც, რასაც ძირითადად ფეოდალური აშლილობა და გარეშე მტრები უშლიდნენ ხელს.

---

[1]ნ. ურბნელი, ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, 1890, გვ. 5.
[2]იქვე, გვ. 6-7.
[3]იქვე, გვ. 7-9.
[4]იქვე, გვ. 10-11.

„ძეგლის დების“ მიხედვით ერისთავის შემდეგი მოხელე, რომელიც „ერისთავის მარჯვენა ხელად“ ითვლებოდა, ავტორის განმარტებით იყო „გამგებელი“[1]. გამგებელი ერისთავის მოადგილეა, მას იგივე ფუნქციები აქვს, როგორც ერისთავს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ერისთავს ექვემდებარება და მას აბარებს ანგარიშს თავის საქმიანობაზე[2].

გამგებლად, ჩვეულებრივად იყო მსახური ან აზნაურიშვილი. გამგებელი ერისთავთან ერთად დარბაზს მოახსენებდა საერისთავოს მმართველობის სხვადასხვა საკითხის შესახებ[3].

ავტორი ცდილობს მოგვცეს მოურავის დახასიათება, რომელიც „ძეგლის დადებაში“ არის მოხსენებული.

ნ. ხიზანაშვილის აზრით, მოურავი უპირველეს ყოვლისა, დარბაზის ბრძანებას ასრულებს, ასევე, სხვა მოვალეობაც აკისრია. ავტორს მოჰყავს სათანადო საბუთები იმასთან დაკავშირებით, რომ მოურავი შეიძლებოდა ყოფილიყო ციხის, ამა თუ იმ სოფლის, ან ქალაქისა. აღნიშნავს, რომ თბილისის მოურავი სასამართლო ფუნქციებსაც ასრულებდა, ხოლო ატენის მოურავს ხევისთავის ფუნქციებიც ჰქონდა. ავტორის განმარტებით, ქიზიყის მოურავობა ანდრონიკაშვილებს ეჭირათ, ხოლო თუშ-ფშავისა — ჩოლოყაშვილებს. ამასთანავე, ეკლესიასაც ყავდა თავისი მოურავებიო.

ნ. ხიზანაშვილი ეხება „ძეგლის დებაში“ მოხსენებულ ხევისთავის სახელს. ხევისთავი — ხევის უფროსი, ხევის თავკაცი უნდა იყოს, ნ. ხიზანაშვილი კი მას „დასტურლამალის“ ხევისთავის ფუნქციებსაც მიაწერს[4].

ავტორს განხილული აქვს ძეგლის დადებაში მოხსენებული ხევისბერი და ციხისთავი[5].

ნ. ხიზანაშვილს ხევისბერობის ინსტიტუტი შესწავლილი აქვს სხვა შრომაშიც („ფშავ-ხევსურეთი“). ამ წერილის მიხედვით კი ხევისბერი „თავის ხეობაში სრული ბატონი იყო“, ხევი, მართალია, სამეფოში

---

[1]ნ. ურბნელი, ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, 1890, გვ. 11-12.

[2]იქვე, გვ. 12.

[3]იქვე, 11.

[4]ნ. ურბნელი, ძეგლი დება..., 1890, გვ. 16-17; ხევისთავის შესახებ იხ. ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, 1952, გვ. 339-345.

[5]ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, გ. ჩიტაიას რედ., 1940, გვ. 10-16.

„ძველადი ადმინისტრაციული ერთეულია“, მაგრამ ამ ერთეულის ყოველმხრივი ხელმძღვანელი ხევისბერია. მას სხვა ფუნქციებთან ერთად სამხედრო ფუნქციაც ჰქონდა.

მაშასადამე, „ძეგლის დადების“ მიხედვით, ხელისუფლების ადგილობრივი მოხელეები არიან: ერისთავი, გამგებელი, მოურავი, ციხისთავი, ხევისთავი და ხევისბერი, ხევისთავი, როგორც ვიქვით, არ უნდა იყოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ დადგენილი. ასევე ითქმის ხევისბერზეც.

დარბაზს, ნ. ხიზანაშვილის აზრით, სათათბირო უფლების გარდა, ადმინისტრაციული ფუნქციებიც ჰქონდა. დარბაზს საერთოდ სათათბირო უფლება ჰქონდა, მაგრამ როდესაც მეფე თავმჯდომარეობდა, ბუნებრივია, მისი გადაწყვეტილება საბოლოო იყო და უფლებასთან უნდა შესრულებულიყო. მეფე დარბაზზე ადგა. ნ. ხიზანაშვილის შენიშვნით მეფეს შეეძლო არ მიეღო დარბაზის გადაწყვეტილება[1].

ნ. ხიზანაშვილი ძლიერი მეფის ხელისუფლების მომხრეა და ამიტომ ქება-დიდებას ასხამს გიორგი V-ს. მეორე მხრივ კი, მეფის ხელისუფლებას, ავტორის აზრით, არ უნდა ჰქონდეს დესპოტური ხასიათი. მეფე სახელმწიფოს ხალხის წარმომადგენლებთან ერთად უნდა მართავდეს.

ნ. ხიზანაშვილის აზრით, „ძეგლის დება“ სისხლის ფასს გვარის მიხედვით განსაზღვრავს, ე.ი. იმის მიხედვით, თუ დაზარალებული ფეოდალური კიბის რა საფეხურზე დგას. მისეული თქმით, სისხლის ფასი, გვარს გარდა, სახელოს (საქმიანობის) მიხედვითაც განსაზღვრებოდა[2]. მართლაც „ძეგლის დადებაში“ სისხლის ფასის განსაზღვრისას ჯერ ერისთავია მოხსენებული, შემდეგ გამგებელი და ა.შ.

ძეტად საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული ნ. ხიზანაშვილს მთიელთა ხევისა და სოფლის შესახებ. ავტორის აზრით, მთიელთა სოფელი და ხევი არ გავს არც „община“-ს, არც „მარკას“. „ძეგლის დების“ მიხედვით, ხევი ეს სოფელი კომლების მიხედვით ცხოვრობს. „თვითოეულს კომლს ცალკე საკუთრება აქვს, თავის ადგილ-მამული უჭირავს და საერთო მფლობელობა არ იცის“. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ავტორის აზრით, XV ს-ის მთიელეთში, კერძოდ, „ძეგლის დების“ სამოქმედო ტერიტორიაზე უკვე კლასობრივი საზო-

---

[1] ნ. ურბნელი, ძეგლის დადება, გვ. 26.

[2] ნ. ურბნელი, ძეგლის დება, 1890, გვ. 28-29

გადოება არსებობდა. აქ გვაროვნული წყობილების ძლიერი გადმონაშთებიც იყო. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ავტორმა ამ საზოგადოებაში სავსებით მართებულად, კლასები დაინახა. ეს იმას ნიშნავს, რომ „ძეგლის დების" დაწერის დროსაც მთიულეთი განვითარების მაღალ საფეხურზე მდგარა. ამ გარემოების განსაკუთრებით აღნიშვნა იმიტომ ვცანით საჭიროდ, რომ დღესაც კი ზოგიერთი მკვლევარის უმართებულო აზრით, მთიულეთს XIX საუკუნეშიც თითქოს გვაროვნული წყობილება ჰქონდა.

6. ხიზანაშვილი ჯერ კიდევ XIX ს-ის ოთხმოციან წლებში, წყაროების ანალიზის შედეგად, ჩვენი აზრით, მართებულ დასკვნას აკეთებს, რომ „ძეგლის დებით" საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ურთიერთობის საფუძვლად „საგვარეულო" კავშირი გამორიცხულია, ავტორი „ძეგლის დების" მიხედვით", საგვარეულო კავშირის ნიშნებს სავსებით როდი უარყოფს, მაგრამ მისი მნიშვნელობა ჩამოქვეითებულია და წამყვანს კლასობრივი ინსტიტუტები წარმოადგენენ[1].

ავტორის აზრით, საგვარეულო წყობილებაზე კლასობრივი საზოგადოებისა და მისი სახელმწიფოს უპირატესობა „ძეგლის დებასა" და ბექა-აღბუღას სამართლის წიგნებით იმაშიც ვლინდება, რომ ღარიბი დამნაშავის პატრონად გვარი კი არა, სახელმწიფო გამოდიოდა. ეს მაშინ ხდებოდა თუ ამ უკანასკნელს მამული ჰქონდა, ხოლო თუ მამული არ ჰქონდა, მას პატრონიც არ ჰყავდა[2].

მაშასადამე, ამ შემთხვევაში გვარი უკანა პლანზეა დაყენებული.

რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გვაროვნული წყობილების ელემენტებს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა „ძეგლის დების" მიხედვით. იგი ოჯახსა და გვარს გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ეს კარგად ჩანს, ხევისბერისა და მისი ოჯახის წევრების ნათესაველის სისხლის ფასის დანაწესიდან. ხევისბერის ახლობლების სისხლი უფრო ძვირად ფასობდა, ვიდრე შორეული ნათესავის[3].

6. ხიზანაშვილი ფიქრობს, რომ „ძეგლის დების" ეპოქაში „საგვარეულო კავშირი უკვე შერყეული იყო, მოკლებული იყო პირვანდელს ცხოველ ძალას და საკვირველიც არაა, რომ ოჯახს დარჩა გვარზე უპირატესობა".

---

[1]ნ. ურბნელი, ძეგლის დება, 1890, გვ. 44-45.

[2]იქვე, გვ. 44-47.

[3]იქვე, გვ. 48-56.

ოჯახთან დაკავშირებით, ნ. ხიზანაშვილი გამოიქვამს მოსაზრებას, რომ ოჯახის წევრებს შეეძლოთ ქონების შეძენა ნასყიდობის საშუალებით. ოჯახის მამული საშუალება უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ბეგარის შესრულებისა. ამდენად, ავტორის აზრით, მამული სახელმწიფოს ეკუთვნოდა. სულ სხვა იყო ნასყიდობის ნიადაგზე შეძენილი ქონება. ასეთ ქონებაზე სახელმწიფოს ვალდებულება, მისი გადასახადები არ ვრცელდებოდა. ამდენად მყიდველს მტკიცელ ეჭირა ივი და მასზედ შეუზღუდველად ახორციელებდა საკუთრებას[1].

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ნ. ხიზანაშვილი პირველი იყო ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელმაც ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ნასყიდობის საფუძველზე წარმოშობილ საკუთრების უფლებას. ნ. ხიზანაშვილმა მარიეტულად აუღო ალღო ამ ხასიათის სამართლებრივ ურთიერთობას.

ავტორის აზრით, ნასყიდი ქონება არის მყიდველის კერძო საკუთრება, ხოლო კერძო საკუთრებას გასაქანს არ აძლევდა საბატონო მამული და სახელმწიფო საკუთრება[2]. კერძო საოჯახო საკუთრება საბატონო საკუთრებას რომ ჰყავდა „დაჩაგრული" იქედანაც ჩანს, რომ „ძეგლის დებამ", „ანდერძით" მემკვიდრეობა არ იცის.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მემკვიდრეობით მიღებული ქონება, ან მიწა-ადგილი, ანუ მამული — ოჯახის საერთო საკუთრებას შეადგენდა და, ამდენად, მისი გასხვისებაც შეზღუდული იყო. ამისათვის ოჯახის ყველა წევრის თანხმობა იყო საჭირო. მიუხედავად ამისა, ასეთ ქონებას სახელმწიფო ქონება არ შეეძლება ეწოდოს, როგორც ეს ავტორს მიაჩნია[3]. მხოლოდ სახელმწიფო გადასახადის თვალსაზრისით იყო ის დაბეგვრის ობიექტი.

ოჯახის წევრს, თუ ის საკუთრებას შეიძენდა ნასყიდობით, შეძენილზე სრული საკუთრება ჰქონდა. შეეძლო მისი გასხვისება, ან ისე მოხმარება, როგორც მას სურდა. ხოლო მაშინ, როდესაც საოჯახო მამული საერთოა, კერძო საწყისებზე მისი მოხმარება შეზღუდული იყო. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ საოჯახო საკუთრება აფერხებდა ეკონომიკურ განვითარებას (საუბარია ფეოდალური წყობილების საკუთრების უფლებაზე). ფეოდა-

---

[1]ნ. ურბნელი. ძეგლის დება, 1890, გვ. 96-98.
[2]იქვე, 1890, გვ. 95
[3]იქვე.

ლიზმის დროს საკუთრება იერარქიული ბუნებისაა. ეს იმას ნიშნავს. რომ საკუთრება შეზღუდულია, რომ ერთსა და იმავე მიწის ნაჭერზე რამდენიმე პირს აქვს საკუთრების უფლება: სენიორს, ვასალს, ვასალის ვასალსა და ა.შ.

როგორც ვთქვით, შეზღუდულია აგრეთვე ფეოდალის საოჯახო საკუთრება, სახასო საკუთრება. ეს შეზღუდვა ფეოდალის ოჯახის წევრების უფლებიდან გამომდინარეობს. ფეოდალიზმის დროს ყველაზე უფრო თავისუფალი იყო საქართველოში ე.წ. სათავისო საკუთრება. სათავისო საკუთრების საფუძველი შეიძლება ყოფილიყო ნასყიდობა, სისხლის ფასი და სხვა.

ფეოდალური წყობილების დროს სათავისო საკუთრება გზას უკაფავდა ფეოდალიზმის წიაღში ახალ საზოგადოებრივ ეკონომიკურ ფორმაციას. საბოლოო ჯამში ის იყო ერთგვარი შორეული წინამძღვარი ფეოდალიზმის რღვევის, კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვისა და, ამდენად, უფრო პროგრესული სახე საკუთრებისა. ავტორის მართებული შეხედულებით, „ძეგლის დების", სისხლის სამართალი ჯერ ისევ დაბლა დგას და შურისძიება კანონად მიაჩნიათ"[1]. მისი აზრით, „ძეგლის დება" ადათს ემყარება, მას შურისძიება დაშვებული აქვს, მაგრამ მის შესავიწროებლად, კანონმდებელი კომპოზიციების სისტემას მიმართავს[2].

ავტორის აზრით, როდესაც „საზოგადოების აზრი ისე დაბლა დგას, რომ შურისძიება სჯულ-მდებლობის საფუძველს შეადგენს", მაშინ „სამართლის წარმოებაც უფრო კერძო კაცის საქმე და მოვალეობაა, ვიდრე სახელმწიფოსი"[3].

ნ. ხიზანაშვილი დაწვრილებით განიხილავს სხვადასხვა ხასიათის დანაშაულისათვის გათვალისწინებულ კომპოზიციებს, აგრეთვე სასჯელთა ისეთ სახეებს, როგორიცაა, გაძევება და მამულის ჩამორთმევა. კომპოზიცია, ავტორის აზრით, „შურისძიების შესყიდვაა"[4]. იგი გათვალისწინებული იყო: მკვლელობისა და დაჭრისათვის. დაჭრა და სხეულის დაზიანება სხვადასხვა სახის იყო: თვალების დაზიანება, კბილების ჩამოგდებინება, ხელებისა და ფეხების დაზიანება და სხვ.

---

[1]ნ. ურბნელი, ძეგლის დება, 1890, გვ. 100.

[2]იქვე, გვ 100-101.

[3]იქვე, გვ. 112.

[4]იქვე, გვ. 101.

ავტორი ჩერდება მეკობრეობაზე, როგორც დანაშაულზე, და, ამასთან დაკავშირებით, განიხილავს თანამონაწილეობის (ასაბია) საკითხს.

რუის-ურბნისის „ძეგლის წერის" შესახებ. ნ. ხიზანაშვილი თავის ნაშრომში „ჩვენი საეკლესიო სჯულმდებლობა"[1], პირველ ყოვლისა, განხილული აქვს „ძეგლის წერა" 1103 წლისა, რომელიც დავით აღმაშენებლის მიერ მოწვეულმა საეკლესიო კრებამ მიიღო.

ავტორი აღნიშნავს, რომ დავით აღმაშენებელს განზრახული ჰქონდა სასულიერო წოდება მიემხრო და გამოეყენებინა ის „მეტად გალაღებულ და თავგასულ არისტოკრატიისათვის ფრთების" შესაკვეცად, მათ ასალაგმავად[2].

დავით აღმაშენებლის გადაუდებელი ამოცანა იყო მეფის ხელისუფლების გაძლიერება, რისთვისაც მსხვილ ფეოდალთა ალაგმვით უნდა მიეღწია. ნ. ხიზანაშვილი ამართლებს მეფის მიზანს, რომელსაც დადებითი როლი უნდა ეთამაშნა სახელმწიფოს გაძლიერების თვალსაზრისით. როგორც შემდეგ თამარ მეფის დროს აღმოჩნდა, მსხვილ ფეოდალებს მაინც დიდი ძალა ჰქონდათ და საბოლოო ჯამში მეფის ხელისუფლება მათთან ბრძოლაში, შეიძლება ითქვას, დამარცხდა[3].

ავტორის აზრით, „ძეგლის წერა" არის ქართული ორიგინალური სჯულმდებლობა. ის შედეგია ეროვნული იურიდიული აზრის განვითარებისა, ადრე ეკლესია, ძირითადად, მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის სჯულმდებლობით სარგებლობდა, „ძეგლის წერა", სავსებით დამოუკიდებელი, ეროვნულ პოზიციაზე დგას. დავით აღმაშენებელმა უარყო ბიზანტიის კარის მიერ ქართველი მეფისათვის განკუთვნილი ტიტულები, რაც ქართული სახელმწიფოს სუვერენობის მაჩვენებელი იყო. ეს გარემოება, ე.ი. საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენობა, ასახულია „ძეგლის წერაშიც"[4].

ავტორის შეხედულებით, „ძეგლის წერა" მიზნად ისახავს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას და, ამასთან დაკავშირებით, ზნეობრივი საკითხების მოწესრიგებას — ხალხის ზნეობის ამაღლება უპირველეს

---

[1] ნ. ურბნელი, ჩვენი საეკლესიო სჯულმდებლობა, გაზ. „იბერია", 1888, № 38, 46, 47, 75, 270, 271.X

[2] იქვე, № 38.

[3] იქვე.

[4] იქვე.

ამოცანად ჩანს.

ავტორი არ ეთანხმება პლ. იოსელიანს იმაში, რომ „ძეგლის წერა“ მწვალებლობის წინააღმდეგ იყო მიმართულიო. ავტორის მოსაზრებით, დავით აღმაშენებელი სარწმუნოებრივ საკითხებში ცნობილი იყო, როგორც შემწყნარებელი. ის არ ებრძოდა სხვა სარწმუნოების წარმომადგენლებს და გამოირჩეოდა კიდეც სარწმუნოებრივი თავისუფლებისადმი სრული პატივისცემით[1].

ავტორის აზრით, დავითის მიზანი იყო მსხვილი ფეოდალების ალაგმვა, რომლებიც ეკლესიაში იყვნენ მოკალათებულნი. ეკლესიის მაღალი რანგის მსახურნი მსხვილი ფეოდალების ოჯახებიდან იყვნენ. ისი მხარს უჭერდნენ ერისთავებისა და მთავრების სეპარატისტულ მისწრაფებას. დავითის მიერ მოწვეული საეკლესიო კრებაც, სწორედ იმას აღნიშნავს, რომ ღირსეული პირები უნდა იქნენ შერჩეული საეკლესიო თანამდებობაზე. ღირსებაზე აქცენტის გაკეთება აქ იმას ნიშნავს, რომ ასეთი პირები შეიძლება არ ყოფილიყვნენ ძირძველ ფეოდალთაგან[2].

„ძეგლის წერა“ ებრძვის ეკლესიაში დამკვიდრებულ ანგარებას და სასტიკად სდევნის საეკლესიო ქონების მომხვეჭელთ, მექრთამობასა და სხვა ბოროტებას.

ავტორის შენიშვნით, „ძეგლის წერა“ ეხება ოჯახის საკითხებსაც. პირველ ყოვლისა, განსაზღვრავს საქორწინო ასაკს. კრძალავს უწლოვანთა დაქორწინებას, აგრეთვე, სხვა სარწმუნოების წარმომადგენელთან შეუღლებას[3]. „ძეგლის წერა“ მრავალ საკითხს ეხება, მთავარი კი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ ისაა, რომ ხელი შეუწყოს სამეფო ხელისუფლების გაძლიერებას.

6. ხიზანაშვილი აკრიტიკებს ხელისუფლებას, რომელიც გასაქანს არ აძლევს საზოგადოებრივ თაოსნობას. საჭიროა დავირაზმოთ იმის შესასრულებლად, რის შესაძლებლობაც ლეგალურ პირობებში არსებობს. ავტორის აზრით, წარმატების მისაღწევად საკმარისი არ არის თითოოროლა პიროვნების მოღვაწეობა. საზოგადოებრივ თაოსნობას, საზოგადოებრივ ინიციატივას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების პროგრესისათვის[1].

---

[1]6. ურბნელი, ჩვენი საეკლესიო სჯულმდებლობა, გაზ. „ივერია“, 1888, № 46.
[2]იქვე, № 270.
[3]იქვე, № 271.

ნ. ხიზანაშვილის აზრით, არის რიგი ქვეყნებისა (მას მხედველობაში აქვს დასავლეთ ევროპის პარლამენტური ქვეყნები), რომლებშიც სახელმწიფოს მმართველობა ისეა მოწყობილი, რომ საზოგადოებისა და კერძო პიროვნების ინიციატივას, თაოსნობას ფართო სარბიელი აქვს მიკუთვნებული. ზოგიერთ ქვეყანაში კი (ავტორს მხედველობაში აქვს მეფის რუსეთი), „მმართველობით ძალა სძლევს და სთრგუნავს საზოგადოებრივ თაოსნობას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მთელი საზოგადოების ძალღონე უნდა მიმართული იყოს თაოსნობის გავრცელებაზე, ხალხი არ უნდა შეურიგდეს მთავრობის თვითნებობას, მის მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების ინიციატივის ჩაკვლას. ისეთ შემთხვევაში, როცა მთავრობა საზოგადოებრივ ინიციატივას ახშობს, „საჭიროა უფრო დიდი სიფხიზლე, მეცადინეობა, კანონიერი ბრძოლა გარეგან გარემოებებთან და არა გულზე ხელის დაკრეფა“[2]. ეს ბრძოლა არსებული წყობილების წინააღმდეგ არის მიმართული. თუმცა ავტორი არ მოუწოდებს ამ წყობილების დასამხობად და ბრძოლას „კანონიერების“ ფარგლებში მოითხოვს. მიუხედავად თქმულისა, წერილის სტრიქონთა შორის ისეთი მიმართულებაა, რომ ეჭვს არ ტოვებს ავტორის მისწრაფებაში, სხვაგვარად იგი. არ დაიბეჭდებოდა. ასე ხშირად სიტყვა „კანონიერების“ ხსენება ცენზურის შეცდომაში შესაყვანადაა გათვალისწინებული.

ნ. ხიზანაშვილს სწამს, რომ მთავრობის საწინააღმდეგოდ საზოგადოებამ უნდა გამოიჩინოს „ცხოველი ძალა, ბრძოლის წადილი“. საზოგადოებამ უნდა იბრძოლოს იმისათვის, რომ თავის ინიციატივას „ფრთები შეკვეცილი“ არ ჰქონდეს, რომ „საზოგდოებრივი ძალა მეტად ვიწრო კალაპოტში“ არ იყოს მოთავსებული[3].

თვითმმართველობის შესახებ. საყურადღებო მოსაზრება აქვს ნ. ხიზანაშვილს გამოთქმული თვითმმართველობის შესახებ[1]. წერილი უნდა გამოქვეყნებულიყო 1883 წლის იანვრის „იმედში“. საკითხი ეხება რუსეთის იმპერიაში ერობის შემოღებას, რომლის მიხედვითაც სოფლად

---

[1]ნ. ურბნელი, ხმა პროვინციიდან, „დროება“, 1883, № 166.

[2]საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 489, საქმე, 548, ფურც. 75.

[3]იქვე.

მამასახლისი და სოფლის მსაჯული უნდა აერჩიათ.

ავტორი წერს: ძნელად მოიპოვება ისეთი სახელმწიფო დაწესებულება, რომელსაც ხალხი ისე გულგრილად უყურებდეს, როგორც ახლად შემოღებულ თვითმმართველობას[2].

ავტორის აზრით, ამისი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ თვითმმართველობა ყვლეფის და ხალხის გაღატაკების საშუალებად გადაიქცა". თვითმმართველობის წესდების მიხედვით არჩეული მოხელე კი, მაგალითად, სოფლის მამასახლისი ან სოფლის მსაჯული, მიზნად ისახავს პირად სარგებლობას, „თვითმმართველობის დახმარებით საზოგადოების გაძარცვას, გაგლეჯვას". წესდებამ ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგა და „სოფლის თავისუფლება მოხელე კაცების პიროვნულ" ძალადობად გადაიქცა. სასამართლოებში აუარებელი საჩივრები შემოდის ამ მოხელეებზე[3].

ავტორის აზრით, არავითარ თვითმმართველობაზე არ შეიძლება საუბარი, თუ ეს თვითმმართველობა მთავრობის „მზრუნველობით" არის შებოჭილი. თვითმმართველობა იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებას აქვს სრული თავისუფლება წესდების ფარგლებში მოქმედებისათვის.

ავტორი აღნიშნავს, რომ თვითმმართველობის შესახებ ევროპაში ფრიად საყურადღებო და პროგრესული იდეები გამოითქვა, ეს საკითხი იქ მეცნიერულად დამუშავდა. ევროპული მეცნიერება „სრულიად უარყოფს მმართველობითს მზრუნველობას და საზოგადოებას უცქერის როგორ თავისუფალ იურიდიულ პირს". სწავლულთა აზრით, საზოგადოება და სახელმწიფო ერთმანეთისაგან განსხვავებული უნდა იყოს". სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს საზოგადოების თვითმმართველობის საქმეში[4], სახელმწიფომ ხელი უნდა აიღოს თვითმმართველობის „ყოველგვარ მზრუნველობაზე და რეგლამენტაციაზე".

ამიტომ სწარმოებს ბრძოლა სახელმწიფოსა და თვითმმართველობას შორის. რუსეთში კი თვითმმართველობა გადაიქცა „სახელმწიფოს სამსახურის ორგანოდ"[1], აქ, ე.ი. რუსეთში „ურიადნიკებმა" „გაჰქელეს ერობა,

---

[1]„ჯიდეკ ჩვენს თვითმმართველობაზე", წერილი ცენზურამ არ გაუშვა (საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 480, საქმე 548, გვ. 9-17).

[2]იქვე, ფურცელი 9.

[3]იქვე.

[4]სსცს არქივი, ფ. 480, საქმე № 548, ფურც. 10.

თვითმმართველობა“. ამიტომ არის ჩვენში თვითმმართველობა უნაყოფო, უვარგისიო, — წერს ავტორი. იგი ახალგაზრდობას ბრძოლისაკენ მოუწოდებს. მეტად შეწუხებულია იმით, რომ ახალი თაობის ნაწილი „შერიგებია აწინდელს სინამდვილეს და მორჩილებაში აღზრდილი ყოველგვარ თავისუფალ მოქმედებას არის მოკლებული, ნაყოფიერს თაოსნობას მოშორებული“, ამ ახალგაზრდობისათვის „ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას“[2]. ავტორი იმ მოსაზრებას ავითარებს, რომ საჭიროა შეურიგებელი ბრძოლა საზოგადოებასა და პიროვნების თავისუფალი მოქმედებისათვის.

6. ხიზანაშვილი თავისუფალ თემს იდეალად აცხადებს, ამით იგი ხალხოსნურ მსოფლმხედველობას ამჟღავნებს, ის როგორც ხალხოსანი, თემის თაყვანისმცემელი იყო.

ავტორის აზრით, იმ სახელმწიფოებში, სადაც ცენტრალიზაცია არ არის ძლიერ განვითარებული, თვითმმათველობასაც უფრო აქვს გასავალი. რუსეთში კი „თვითმმართველობა უსულო და უხორცო კანონია“, მას სიცოცხლე არ უწერია. რუსული სახელმწიფოებრივი წყობილება თავისი არსით უარყოფს ყოველგვარ თვითმმართველობას, თვითმმართველობისათვის აუცილებელია საზოგადოებრივი ძალების თავისუფალი და აქტიური მოქმედება.

თვითმმართველობა რუსეთის „სახელმწიფო აგებულებას“ არ შეესაბამება და თვითმპყრობელობის პირობებში ის ვერც იარსებებს[3].

ავტორის მართებული მოსაზრებით, „არც ერთი რეფორმა, რომელიც შემოღებული იქნა ჩვენს ცხოვრებაში... არ არის დაბოლოვებით, სრულებით შემუშავებული და ისე განხორციელებული ცხოვრებაში, რომელიც გნებავთ რეფორმა აიღოთ, ყველას ეტყობა შეუმუშავებლობა, რაღაც ნაირი ნახევრობა... არც ერთი რეფორმის შინაარსი არ არის ისე ფართო და ვრცელი, როგორც ამას მოითხოვს თვით რეფორმის ბუნება, მისი მიზანი და დანიშნულება“[4].

ამისი მიზეზი, ავტორის შეხედულებით, შემდეგში მდგომარეობს. რეფორმა შეიძლება ორი გზით, ორი საშუალებით ჩატარდეს: პირველი, ე.წ. „კანონიერი“ საშუალება, როცა მთავრობა რეფორმას ხალხს აძლევს

---

[1]სსცს არქივი, ფ. 480, საქმე № 548, ფურც. 11.
[2]იქვე, ფ. 76.
[3]სსცს არქივი, ფ. 12.
[4]სსცს არქივი, ფ. 480, საქმ. 548, ფურც. 12.

(როგორც ეს რუსეთში ჩატარდა), ვითარცა „მოწყალებას". მეორე გზა — თვით ხალხი, უკმაყოფილო თავისი აწინდელი მდგომარეობით, ითხოვს ცვლილებებს და როგორც არის შემოაქვს იგინი ცხოვრებაში[1]. ავტორი მთელი არსებით მეორე გზით რეფორმის ჩატარების მომხრეა.

თეორიულად, თვითმმართველობის წესდებაში ცოტად თუ ბევრად თვითმმართველობას მინიჭებული აქვს ზოგიერთი უფლება, მაგრამ სინამდვილეში ეს წესდება სრულებით არ ხორციელდება. ძთავრობა, პოლიცია არ აძლევს გასაქანს თვითმმართველობას. ავიღოთ, მაგალითად, მამასახლისი ან სოფლის მსაჯული, რომელთაც წესდებით სოფელი ირჩევს. სინამდვილეში მამასახლისი და სოფლის მსაჯული მხოლოდ „უბრალო და უხმო იარაღია" პოლიციის ხელში. მათი არჩევაც მხოლოდ პოლიციის მითითებით ხდება. ამ თითქოს არჩევით, მსაჯულს კავშირი აქვს პოლიციასთან და უკანასკნელის სრული გაკლენის ქვეშ იმყოფებიან. მაშასადამე, სინამდვილეში, ყველაფერს პოლიცია, ბიუროკრატია განაგებს და თვითმმართველობა მხოლოდ ქაღალდზეა.

ასეთი მდგომარეობის მიზეზი არის სახელმწიფო ბიუროკრატიზმი, თვითმმართველობისათვის „გულისა და სულის შემხუთველი ‘ხემოოგან მზრუნველობა"[2].

ასეთი თვითმმართველობა ძველად საქართველოში არ იყო, ის რუსეთმა შემოიტანა. ძველ საქართველოს „ის სიკეთე და ბედნიერება ჰქონდა, რომ ბიუროკრატიულ წესწყობილებას მოშორებული იყო. არ იცოდა ჩვენმა პოლიტიკურმა ცხოვრებამ აგრეთვე ცენტრალიზაციაც"[3].

ავტორის აზრით, ეს ორი გარემოება — ბიუროკრატიზმისა და ცენტრალიზაციის არარსებობა საქართველოში „ხელს უწყობდა საზოგადო ასპარეზზე მოქმედ პირებს. მათ პიროვნულ თავისუფლებას (საზოგადოებრივ ასპარეზზე ფართო სამფლობელო ჰქონდა მიზომილი. ამისათვის თავისნობა დიდი იყო. ამისათვის საქმე კეთდებოდა უსულოდ და უგულოდ კი არა, როგორც ეხლა, არამედ თავგანწირვით, მამაცურად, ისე რიგორც შეშვენის ნამდვილ მოქალაქეს" და ეს ყველაფერი „იმიტომ, რომ ბიუროკრატიული წესწყობილება, სულის და გულის შემხუთველი ცენტრალიზაცია არ იცოდა ძველმა ქართველმა".

---

[1]სსცს არქივი, ფ. 480, საქმ. 548, ფურც. 13.

[2]იქვე, ფ. 14.

[3]იქვე, ფ. 16.

კანონის შესახებ. ნ. ხიზანაშვილის შეხედულებით, ხალხის ზნეობრივ აღზრდაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კანონი. სახელმწიფომ კანონები უნდა შეადგინოს ჰუმანიზმის საფუძველზე. მოქმედი კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს ხალხის სურვილს, მის მოთხოვნილებას. ამგვარი კანონი ხელს უწყობს „ხალხის ზნეობრივ აღზრდას". „თუ გნებავთ, რომ ხალხმა სისხლად და ხორცად გარდააქციოს სიყვარული თანასწორობისა, მიეცით მას ისეთი სამართალი, რომელიც ხალხის გემოვნებას ეთანხმება, იმის საჭიროებას აკმაყოფილებს, ისეთი სამართალი, რომელიც ნამდვილად ხალხს სურს"[1]. ნ. ხიზანაშვილის შეხედულებით, მოქმედი კანონმდებლობა ჰუმანური უნდა იყოს, იგი ხალხის საჭიროებას უნდა ითვალისწინებდეს.

ნ. ხიზანაშვილი ეხება რეფორმის შემდეგდროინდელ სამართალს, რომელმაც აღიარა „თანასწორობა" კანონის წინაშე, სამართლის წინ ყველა თანასწორად დააყენა დიდი და პატარა, თავადი და გლეხი, მდიდარი და ღარიბი, ნასწავლი და უსწავლელი. ეს თანასწორობა საჭირო იყო იმისათვის, რომ სამართალი მიმზიდველი ყოფილიყო, მაგრამ გლეხობას კანონის წინაშე „თანასწორობამ" სარგებლობა არ მოუტანა, რადგანაც ხალხი „სამართალს თავის სამართლად არ სცნობს".

ავტორის აზრით, თანასწორობა კანონის წინაშე არაფერია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც „ეკონომიურ დამოკიდებულებაში" იმყოფებიან თავადაზნაურობასთან, მაგ., დროებით ვალდებული გლეხი არ შეიძლება თანასწორი იყოს მემამულისა, რომელზედაც ის ეკონომიურადაა დამოკიდებული. ამ შემთხვევაში „თანასწორობას უფრო თეორიული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პრაქტიკული", ეს თანასწორობა მხოლოდ „კარგი და მშვენიერი სიტყვაა" და რეალური შინაარსი არა აქვს.

ავტორი მართებულ მოსაზრებას გამოთქვამს იმის შესახებ, რომ ფეოდალურ საქართველოს უფლება, ან კანონი, სავსებით შეესაბამება ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზაციას[2].

ნ. ხიზანაშვილის აზრით, საქართველოში „ფეოდალურ-მონარქიული ფორმა არსებობდა სახელმწიფოს მმართველობაში, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ფეოდალებმა არ მისცეს მეფეს აბსოლუტური

---

[1]ნ. ურბნელი, ჩვენი გლეხკაცობა და ახალი სამართალი, „იმედი", № 3, 1882 წ.

[2]ნ. ხიზანაშვილი, უფლება და კანონი ძველ საქართველოში, ჟურნ. „იმედი", № XI-XII, 1882, გვ. 32.

წესწყობილების დამყარების საშუალება. მეორე მხრივ, მეფეც ცდილობდა ფეოდალური განკერძოების ალაგმვას. ამასთანავე, მესამე ძალა (დამპყრობელნი) ხელს უშლიდა საქართველოში აბსოლუტიზმის დამყარებას"[1]. ამიტომ, გამოთქმა „თვითმპყრობელი" ფეოდალური საქართველოს მეფის მიმართ შეუფერებელია[2].

ავტორი საქართველოს ისტორიის მამასახლისობის პერიოდს, ე.ი. გვაროვნულ წყობილებას, გამოყოფს საქართველოს ისტორიაში ისეთ პერიოდად, როდესაც, ჩვეულებების მიხედვით, თვით ხალხი განაგებდა თავის საქმეებს. ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ მამასახლისობის ხანა საქართველოში ათენის „დემოკრატიულ სამართლის" ხანას კი არ მიაგავს, არამედ ეს ჩვეულებაზე დამყარებული ხალხის მმართველობაა"[3], ე.ი. გვაროვნული წყობილებაა.

დავით აღმაშენებლის შესახებ. ნ. ხიზანაშვილს შრომაში — „მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო" (1894 წ.) — დაწვრილებით აქვს განხილული დავითის მოღვაწეობა და იგი ყოველმხრივ ჰყავს დახასიათებული.

ავტორი ადარებს ერთმანეთს დავითისა და თამარის მეფობას და აღნიშნავს, რომ დავითის მოღვაწეობა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე თამარისა, თუმცა „თამარ მეფის გვირგვინი უფრო ბრწყინავს და ელვარებსო"[4].

ავტორის აზრით, დავითმა თავისი დაუღალავი შრომის შედეგად შექმნა ძლიერი ქართული სახელმწიფო, რითაც იგი თამარზე მაღლა დგება.

მეფე დავითი არამარტო ბრძენი და განათლებული ადამიანი იყო, ამასთან ერთად, განათლების მფარველი, მეცენატი და სხვა სარწმუნოების შემწყნარებელი. „საზოგადოდ მეფეს ისე ღრმად უღვიოდა გულში განათლების სიყვარული, რომ თანასწორად ეპყრობოდა ყველა სწავლულს, თუნდაც მაჰმადიანი ყოფილიყო".

დავით აღმაშენებელი, პირველ რიგში მტკიცე სამეფო ხელისუფლების

---

[1]ნ. ხიზანაშვილი, უფლება და კანონი ძველ საქართველოში, ჟურნ. „იმედი", № XI-XII, 1882, გვ. 33.

[2]იქვე.

[3]იქვე, გვ. 35.

[4]ნ. ურბნელი, მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, ისტორიული ნარკვევი, 1894, გვ. 1.

შექმნას შეუდგა, მან გააერთიანა საქართველოში და ალაგმა მსხვილი ფეოდალები, ერისთავები.

ავტორი მართალი უნდა იყოს იმაში, რომ მეფის ხელისუფლებას საქართველოში არასოდეს არ მიუღწევია იმ სიძლიერემდე, როგორც ეს დავითის დროს იყო. ავტორი აქ ხმარობს ტერმინს „თვითმპყრობელობა". თვითმპყრობელობა, აბსოლუტიზმის სახით საქართველოში დავითის დროს არ ყოფილა, მაგრამ მეფის ხელისუფლება რომ მის დროს გაძლიერდა, ეს კი ფაქტია. ტერმინს „თვითმპყრობელობა" ავტორი ხმარობს გარეშე ძალებისაგან დამოუკიდებელი შინაარსით, სუვერენობის მნიშვნელობით. დავითმა შეძლო მსხვილი ფეოდალების დამორჩილება. ამასთანავე, ეკლესიაც დაუქვემდებარა სამეფო ხელისუფლებას.

ავტორის აზრით, დავით აღმაშენებელი მეფისა და ეკლესიის ურთიერთობის საკითხში ბიზანტიის პოლიტიკას ადგა. ბიზანტიაში კი ეკლესია ასწავლიდა, რომ მეფობა ღვთისაგან არის დაწესებული და მას უნდა ემორჩილებოდეს ყველა, როგორც ერისკაცნი, ისე ეკლესიაცა და მისი მსახურნი[1]. ამავე მოძღვრების მიხედვით, სამეფოს ქვეშევრდომს უფლება აქვს ურჩობა გაუწიოს მეფეს და მმართველსო[2].

ნ. ხიზანაშვილის განმარტებით, როცა მეფე ან მმართველი არ არიან შემკულნი „ზნეობრივი ღირსებით", ასეთ მეფესა და მმართველს არც შეუძლიათ მორჩილება მოსთხოვონ ქვეშევრდომი.

ერის თავისუფლების შესახებ. მეტად საყურადღებოა, სახალხო განათლების საკითხებთან დაკავშირებით, ნ. ხიზანაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება ერისა და მისი თავისუფლების შესახებ.

ყოველი ხალხი, რომელიც არ უნდა ავიღოთ, ავტორის აზრით, უეჭველად შეიცავს ერთ ისეთ თვისებას, ერთს ისეთ ნიჭს, რომლითაც ის უპირატესად გამოირჩევა სხვა ხალხებისაგან „ეს ობოლი მარგალიტი ყოველივე ისტორიული ერისა, ეს ხალხის „გენია" დიდად პატივსაცემი და ყურადღების ღირსია"[3]. ამასთანავე, ავტორს საუბარი აქვს დიდსა და პატარა ერზე, ხალხზე. მისი აზრით, ყოველ ერს, ყოველ ხალხს შეუძლია შეიტანოს თავისი წვლილი, თავისი „გენიის" ნაყოფი მსოფლიოს საგანძურში. ეს არის საფუძველი იმისა, რომ სახალხო განათლება

---

[1]ნ. ურბნელი, მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, 1894, გვ. 103.

[2]იქვე, გვ. 103-104.

[3]ნ. ხიზანაშვილი, საფუძვლები სახალხო განათლებისა, ჟურნ. „იმედი", № V, 1882, გვ. 7.

ეროვნულ თავისუფლებას უნდა ემყარებოდეს.

ავტორის შეხედულებით, „სახალხო განათლების ხასიათი და მიმართულება საზოგადოთ შეკავშირებულია ხალხის ცხოვრებასთან, მას ხალხოსნობის ბეჭედი აზის"[1].

ავტორის აზრით, პოლიციური სახელმწიფო და ეკლესია, „სულსა და გულს უხუთავდა" საზოგადოებრივ ცხოვრებას, არ აძლევდა მას თავისუფლებას, გასაქანს, ეს კარგად შენიშნა XVIII საუკუნის ორმა დიდმა მოაზრივნემ ვოლტერმა და რუსომ. ვოლტერმა ლახვარი ჩასცა ეკლესიას, ხოლო რუსო შეებრძოლა პოლიციურ სახელმწიფოს[2].

ნ. ხიზანაშვილის შენიშვნით XVIII საუკუნემ უანდერძა XIX საუკუნეს ადამიანის ბუნებითი უფლებებისათვის ბრძოლა. ბრძოლა საზოგადო პროგრესისა და „დაბალი ხალხის" ინტერესებისათვის ზრუნვა. „დაბალი ხალხისათვის, რომელიც საშინელ სიღარიბეშია", რომელთა ყოფა „უფრო ეკადრება საქონელს", ვიდრე ადამიანს[3].

მეორე მხრივ კი მდიდრები ფუფუნებაში და გარყვნილებაში ცხოვრობენ, ეს „უსამართლობა დამყარებულია კანონზე, სამართალზე", ეს არის „კანონიერი უსამართლობა და არაფერი სხვა".

საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ „თავისუფლება, ძმობა და ერთობა" დაუდვა საფუძვლად სახალხო განათლებას, მაგრამ ნაპოლეონ I-მა უარყო ყოველივე, უღალატა რევოლუციას და „თვითმპყრობელობა" დაამყარა, რითაც საფუძველი გამოუთხარა თავისუფლებას და სახალხო განათლებას[4].

ნ. ხიზანაშვილი რიგ იურიდიულ საკითხებზე, თავის დროის მიხედვით, პროგრესულ შეხედულებას გამოთქვამს. მისი აზრით, „კანონი არსებობს ცხოვრებისათვის და ცხოვრება კანონისათვის". იმის მიხედვით, კანონები ისე უნდა შეიცვალოს, როგორც ამას ცხოვრების საჭიროება მოითხოვს. ამასთანავე, იურიდიული მეცნიერება ვითარდება, კანონის ახალ საფუძველს იკვლევს: „ამისათვის დაწერილი კანონი მეცნიერებას ყურს უნდა უგდებდეს და მეცნიერების უკანასკნელი სიტყვით ხელმძღვანე-

---

[1]ნ. ხიზანაშვილი, საფუძვლები სახალხო განათლებისა, ჟურნ. „იმედი", № V, 1882, გვ. 44.

[2]იქვე, № VI, გვ. 66.

[3]იქვე, გვ. 52-53.

[4]იქვე, № VII, VIII, 1882, გვ. 61-62.

ლობდეს"[1].

ავტორის აზრით, დანაშაულის ჩადენა გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით, ხშირად დამნაშავე „მარტო იარაღია გარეგანი გარემოებისა"[2]. ავტორი იმ აზრისაა, რომ დაშნაშავის ნება მრავალი გარემოებით არის განპირობებული.

ავტორის აზრით, სასჯელის მიზანი, მხოლოდ დაშინება არ უნდა იყოს, რაიგანაც იურიდიულმა მეცნიერებამ დაასაბუთა, რომ დაშინება ვერ აღკვეთს დანაშაულს.

მტკიცებულებების შესახებ. ნ. ხიზანაშვილს აგრეთვე გამოქვეყნებული აქვს წერილები, რომლებშიც მტკიცების საშუალებანია განხილული.

პირველი წერილი მიძღვნილია ორთა*ბრძოლისადმი (ხმალში გამოწვევა). ძველი ქართული სამართლით ხმალში გამარჯვებული სასამართლო პროცესში გამართლებულად ითვლებოდა. ნ. ხიზანაშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით იხილავს ვახტანგის სამართლის წიგნს და ხმალში გაწვევა ძველი ქართული სამართლისათვის მოქმედ ინსტიტუტად მიაჩნია[3]. მეორე წერილი მიძღვნილია ორდალების ისეთი სახეებისადმი, როგორიც არის შანთითა და მდუღარით გამოცდა. ავტორის აზრით, შანთი და მდუღარე ძველ ქართულ სამართალში მოქმედებდა, ისინი შემოტანილი უნდა იყოს ინდოევროპული ხალხების ზეგავლენით[4].

ნ. ხიზანაშვილი მართებულად აღნიშნავს, რომ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ურთიერთისაგან განუყოფლობა იურიდიული განვითარების დაბალი დონის მაჩვენებელია[5].

ნ. ხიზანაშვილი თავის წერილში — „ფშავ-ხევსურეთი"[6], ერთმანეთს ადარებს „მთიელსა და ბარელს". იგი ყოველ მხრივ დადებითად ახასიათებს ფშაველსა და ხევსურს. ავტორის აზრით, ერთი საუკეთესო თვისება ამ მთის შვილებისა იმაში მდგომარეობს, რომ ფშავ-ხევსურელი „უფრო

---

[1]ნ. ჟორნელი, „შრომა", იურიდიული სიბრძნე, გაზ. „დროება", № 105, 1883.

[2]იქვე.

[3]ნ. ხიზანაშვილი, ხმალში გატანება (ქართული დუელი), ჟურნ. „მოგზაური", № 1, 1901, გვ. 37-47.

[4]ნ. ხიზანაშვილი, შანთი და მდუღარე (ჩვენის სამართლიდან), ჟურნ. „მოგზაური", № 3, 1901, გვ. 239-251.

[5]ნ. ჟორნელი, ჩვენი საეკლესიო ისტორიიდან, ჟურნ. „მოამბე", № 3, 1898, გვ. 15.

[6]ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, გ. ჩიტაიას რედ., 1940, გვ. 1-90.

მეტად იცავს თავის პიროვნულს ღირსებას, თავის თავისუფლებას, ვიდრე ბარის მცხოვრები ქართველი[1].

მთიულისა და ბარელის ასეთი განსხვავების მიზეზს ავტორის აზრით ის ქმნის, რომ ბარის ქართველმა წარსულს „თუ ზურგი არ შეაქცია, პირი მაინც აარიდა"[2], ბარის ქართველი „კარგა ხანია განათლების გზას ადგია, ამ განათლების გარეგნობას იღებს, ითვისებს და თავის ცხოვრებაში შეაქვს".

ამ შემთხვევაში ნ. ხიზანაშვილი ჟან ჟაკ რუსოსა და მის მიმდევართა გავლენას განიცდის.

ნ. ხიზანაშვილი აღნიშნავს, რომ ის ილაშქრებს არა ცივილიზაციის წინააღმდეგ საერთოდ, არა განათლების წინაღმდეგ, არამედ ის წინააღმდეგია „ყალბი გარეგანი განათლების".

ავტორს არ მოსწონს, რომ ბარის ქართლში ფეხი გაიდგა „გარეგანმა განათლებამ, რომელიც მიმზიდველია თავისი ბრწყინვალე ფორმით და რომელიც ასუსტებს, აფუტურავებს ცხოვრების თავისებურებას"[3].

ავტორის აზრით, ქართლისათვის „საჭიროა დრო და ჟამი, რომ გარეგანს განათლებას თან მოჰყვეს ნამდვილი აზრი ევროპულის განათლებისა, რომელიც დაათბობს სულსაც და გულსაც"[4].

დასასრულს, აუცილებელია იმ გარემოების აღნიშვნა, რომ ნ. ხიზანაშვილი ქართული სამართლის ძეგლებისა და სამართლის ისტორიის საკითხების განხილვისას, როგორც წესი, მიმართავს შედარებითს მეთოდს და ცდილობს, ქართული სამართლის ამა თუ იმ ინსტიტუტის შინაარსის დასადგენად, გამოიყენოს სხვადასხვა ქვეყნის სამართლის ისტორიის მასალები. ყველაზე უფრო ის რომის სამართლის ინსტიტუტებს მიმართავს. პარალელებისათვის იყენებს ბიზანტიის, საფრანგეთის, ინგლისის, რუსეთის, ინდოეთისა და სხვა ფეოდალური ქვეყნების სამართლის ინსტიტუტებს, იშველიებს აგრეთვე მუსლიმურ სამართალსაც.

---

[1]ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, გ. ჩიტაიას რედ., 1940, გვ. 2.
[2]იქვე, გვ. 1.
[3]იქვე, გვ. 3.
[4]ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940, გვ. 2.

შ ი ნ ა ა რ ს ი

რედაქტორისგან 3

თავი I. ადრეფეოდალური და ფეოდალიზმის მომწიფების პერიოდის პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებანი 8

იაკობ ცურტაველი 8

აიეტი და ფარტაძე 9

„ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ავტორი 11

იოანე საბანისძე 14

„მოქცევაი ქართლისაის“ ავტორი 17

ბასილი ზარზმელი 18

გიორგი მერჩულე 21

თავი II. ფეოდალიზმის გაერთიანების პერიოდის პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებანი 26

ექვთიმე მთაწმინდელი 26

გიორგი მთაწმინდელი 28

ლეონტი მროველი 32

დავით აღმაშენებელი 36

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი 43

ყუთლუ-არსლანის დასი 46

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი 55

თამარის მეორე ისტორიკოსი 57

შოთა რუსთაველი 65

§ 1. სახელმწიფოს ფორმის საკითხი 65

§ 2. მართალი სამართლის საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით 70

§ 3. ტახტის შემკვიდრეობის საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით 72

„ხელმწიფის კარის გარიგების“ ავტორი 75

თავი III. ერთიანი სახელმწიფოს დაშლის პერიოდის პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებები (XVI-XVIII სს.) 77

არჩილი (1647-1713) 79

სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725) 85

ვახუშტი პაატონი (1696-1757) 91

დავით გურამიშვილი 93
ალექსანდრე ამილახვარი 98
იოანე ბაგრატიონი 113
თავი IV. XIX საუკუნის მოღვაწეთა პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებანი 118
ვახტანგ ირაკლის ძე ბაგრატიონი 119
დავით ბაგრატიონი 126
იაგორ ჭილაშვილის პოლიტიკური შეხედულებანი 143
ნიკოლოზ ბარათაშვილი 155
ილია ჭავჭავაძე 161
აკაკი წერეთელი 196
ნიკო ნიკოლაძე 206
გიორგი წერეთელი 213
ნიკო ხიზანაშვილი (ურბნელი) 227
შინაარსი 261